# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 9 (359) ◆ 4 – 10 მარტი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „დღეს პანკისი, ხვალ იქნება აფხაზეთი, ზეგ სამაჩაბლო“

### „ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობა, თქვენი ინფორმაციით, ლოგიკას ექვემდებარება“



— შევარდნაძე ორ ფრონტზე თამაშობდა, რუსებზე და ამერიკელებზე... თუ საჯაიამ ეს იცოდა და მაინც წავიდა ამაზე, აფერუმ, მის ვაჟკაცობას.

**მამუკა არეშიძე**

— პუტინმა ცივი წყალი გადაასხა იმ რუს პოლიტიკოსებს, რომლებმაც უპრეცედენტო ღრიანცელი ატეხეს საქართველოში ამერიკელ სამხედროთა გამოჩენის გამო! პუტინმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

— ამერიკისთვის დღეს პრიორიტეტული მიმართულებაა პანკისი, ხვალ იქნება აფხაზეთი, ზეგ სამაჩაბლო. ამერიკამ რეალური მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფოს გასაძლიერებლად.

გვ.3

**გიორგი ბარამიძე**

### „ბატონო ნუგზარ, თქვენი გულახდილობის შემეშინდა კიდეც“

მისი შეხვედრის მიზანი იყო, დავერწმუნებინე, რომ ჩემს წინააღმდეგ წამოსული ბინძური კამპანიის უკან ის კი არა, კახა თარგამაძე იდგა და მე დავუჯერე. მაგრამ ნუგზარ საჯაიას შემთხვევაში მისი მორალი არ ჯდებოდა სხვათა მორალის ფარგლებში, იმიტომ, რომ მათ პრეზიდენტი, ჩემი აზრით, სჭირდებოდათ საკუთარი ინტერესებისათვის და ამაში საჯაია ხელს უშლიდა. გვ.7 **ელენე თევდორაძე**

### შესაძლო ვარიანტები ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად...



**„კვირის პალიტრის“ სამხედრო მიმომხილველის ანალიზი...** გვ.5,9

ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება პანკისის ხეობის სათანადო დაზვერვის გარეშე წარმოუდგენელია.

არსებობს ათობით წმინდა სამხედრო სახის ნიუანსი, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია ოპერაციის დაგეგმვის სტადიაშივე, მათ შორის „ნაღმური ომის“ საშიშროებაც. ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებამდე აუცილებელია პანკისის ხეობის მიმდებარე შინაგანი ჯარების ოთხივე საგუშაგოზე დამატებითი თავდაცვითი ზღუდეების აგება და იქ მყოფი გუშაგების ჯავშანჟილეტებით აღჭურვა,

## გასროლის შემდეგ საჯაიას გადარჩენის მცირე შანსი მაინც არსებობდა გვ.9

## არ უნდა ჩავერიოთ ასეთ ავანტიურაში



უცნაურია, რომ ამერიკელების გამოჩენით თბილისის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა აზრი — წელში გავიმართებითო, — და ამაყად ასწიეს თავი. თუ ეს ლოკალური ღონისძიებაა, კი ბატონო, მაგრამ თუ საქართველო ანტიტერორისტულ, ანტიმუსლიმანურ და ანტიფუნდამენტალისტურ ოპერაციებში ჩაერთვება, ეს უმძიმესი შეცდომა იქნება. ამერიკელები ამ ოპერაციას განახორციელებენ, წავლენ თავიანთ ქვეყანაში, ჩვენ კი შეგვექმნება დიდი პრობლემები, რომლებსაც ვერ გადავჭრით. არ უნდა ჩავერიოთ ასეთ ავანტიურაში. არ არის ეს ჩვენი ქვეყნის საქმე. გვ.8

## ყველაზე ინტელექტუალი ქართველი პოლიტიკოსები

გვ.35 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## თებერვლის ყველაზე სკანდალური მოვლენები

მკითხველის შეიცინმი

**ეკონომიკა, ბიზნესი:** გვ.27

## დღეს უცხოელ ინვესტორებს საქართველოში მხოლოდ ნავთობი, ოქრო და მანგანუმი აინტერესებთ

ქართველი სპეციალისტებისთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია ქართული ოქროს ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟი, როცა, ისევ მათი მტკიცებით, საქართველოში არსებობს გაცილებით უფრო ძვირფასი და მდიდარი სპილენძისა და ალუმინის საბადოები. უკვე არსებულ მარაგებზე დაყრდნობით, თურმე სავსებით შესაძლებელია ფერადი და მსუბუქი მეტალურგიის განვითარება, რასაც, უდავოდ, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს

## დაბადების დღე აზდაკის როლში



### ანუ სპექტაკლი, რომელსაც კონიაკის თვისებები აქვს...

აზდაკისთანა მოსამართლეები ჰყოლოდეს ყველას, ალალი და კეთილმოსურნე ხალხისთვის და, რა ვიცი, ხალხს ისე ეცხოვროს, რომ მოსამართლე არ დასჭირვებოდეს.

ამ გაჭირვებულ ჟამს ვინმეს თუ სიამოვნებას მიანიჭებ, არტისტისათვის ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია. ღმერთმა ქნას, შეგვძლებოდეს კიდევ მრავალჯერ გაგვეხარებინოს ხალხი. გვ.22

შევარდნაძე თავის გარშემო პოლიტიკურ ფიგურებს არ აჩერებს. მას თავის გარშემო ჰყავს ელემენტარულად ყურმოჭრილი მონები, ფუნქციონერები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ შევარდნაძის ნებას, ანუ საჯაია დამოუკიდებელი არ იყო.

თუ სასამართლო დადგენილება არ შესრულდა, და არ მოხდა ჩემი ეტაპირება, მაშინ მე პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ იმ რაზმებს, რომლებსაც ამერიკელები მოამზადებენ, შევარდნაძე გამოიყენებს საკუთარი პოლიტიკური ოპონენტების გასანადგურებლად. გვ.8




**Computron**

IBM - Compaq - HP - Dell - Unisys-Toshiba



99 $ -დან

კომპლექტი

**კომპიუტერები**

მის: ქ. თბილისი, ფიროსმანის ქ. №23

☎94-28-33


**რას წერენ ჩვენზე:**

გვ.14 პუტინი და შევარდნაძე პანკისის ხეობის, აფხაზეთის, ამერიკელების და ბანდიტების შესახებ

ვენსი

## უცნობი დეტალები მენშევიკების მიერ გადარჩენილი განძის ისტორიიდან გვ.10

ნინას ვიღაცამ შეატყობინა, ცუდადაა ტარასის საქმეო. ის-ისაა, რაზმის მეთაურმა ბრძანება უნდა გასცეს, ესროლეთო, გიჟივით შემოიჭრა ნინა. რაზმის უფროსს ბრძანება ყელში გაეჩხირა ულამაზესი ქალის დანახვაზე, ხოლო, როცა ქალმა ჯერ ესპანურ, მერე ინგლისურ ენებზე, ბოლოს კი სუფთა, უაქცენტო ფრანგულით ჰკითხა — მითხარით, რომელი ქვეყნის წარმომადგენლები ხართო, მეთაური მუხლებზე დავარდა და პირჯვარი გადაიწერა. ბრძანების გარეშე იგივე გაიმეორეს მისმა ხელქვეითებმაც. გაოგნებულმა ფრანგებმა, როცა გამოერკვნენ, აღიარეს, რომ აქ, ამ ველურების ქვეყანაში, მით უმეტეს, ტყეში, რომელიც უფრო ჯუნგლებს წააგავს, ვიდრე პარიზულ ბულონს, ამ საოცრების ხილვას, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდნენ.

## გაზაფხული შემოსულა, ლეენ!

## თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღძრა სისხლის სამართლის საქმე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ნუგზარ საჯაიას ტრაგიკულ სიკვდილთან დაკავშირებით. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ საფეთქელში ნასროლი ერთი ტყვიით თავის ტვინის დაზიანება იმდენად ძლიერი იყო, რომ შეუთავსებელი გახდა სიცოცხლისთვის. ნუგზარ საჯაია ქართველმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე შაბათს, 2 მარტს გააცილა და დიდი პატივი მიაგო მის ხსოვნას. დაკრძალვის ცერემონიალს დაესწრნენ რუსეთის, უკარაინისა და აზერბაიჯანის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნები. ნუგზარ საჯაია ვაკის სასაფლაოზე ჟიული შარტავას გვერდით დაკრძალეს!

## ანტიტერორისტული კამპანიის ახალი ფრონტი

28 თებერვალი საქართველოსთვის ისტორიულ თარიღად აღიქვეს ექსპერტებმა. ამ დღეს პენტაგონმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ იხსნება ანტიტერორისტული კამპანიის ახალი ფრონტი და რომ ეს ქვეყანა არის საქართველო, სადაც აშშ-მა უკვე მიავლინა სამხედრო ინსტრუქტორები. პენტაგონში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციამდე მსოფლიო პრესის გიგანტებმა „ვაშინგტონ პოსტმა", „ნიუ-იორკ თაიმსმა" და „უოლ-სტრიტ ჯორნელმა" გაზეთების პირველ გვერდზე ერთდროულად გამოაქვეყნეს სტატიები საქართველოში ანტიტერორისტული კამპანიის დაწყების შესახებ. საინტერესოა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, ინფორმაცია მას შემდეგ დაადასტურა, როცა პენტაგონის და სახელმწიფო დეპარტამენტის დელეგაციები სახელმწიფო კანცელარიასა და თავდაცვის სამინისტროში გამოჩნდნენ!

იმავდროულად კი მოსკოვსა და რუსეთის მასმედიაში წარმოუდგენელი ანტიქართული კამპანია დაიწყო, რომლის დროსაც ყველა — ჟურნალისტი, პოლიტოლოგი, ექსპერტი, სამხედრო პირი თუ პოლიტიკოსი — საქართველოს ლანძღვა-გინებით იყო დაკავებული! მაგრამ ამით ვერა მოიმკეს რა. პენტაგონი და ადმინისტრაცია საკმაოდ მშვიდად აფიქსირებდა მთელი მსოფლიოს გასაგონად — ანტიტერორისტული კამპანია საქართველოში ორ ეტაპად განხორციელდება: პირველ ეტაპზე ამერიკელი ინსტრუქტორები გაწვრთნიან ქართულ კონტრტერორისტულ ქვედანაყოფებს, აღჭურავენ შეიარაღებით და ტექნიკით, მათ შორის ვერტმფრენებით, რომლებიც უკვე თბილისშია. მეორე ეტაპზე კი პანკისის ხეობაში ამერიკელ სამხედროებს გადასხამენ. პენტაგონის განცხადებით, ეს მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინიციატივა წამოვა საქართველოს ხელისუფლებისგან და პარლამენტი მიიღებს შესაბამის დადგენილებას საქართველოში ამერიკის ჯარის შემოსვლის შესახებ...

## №1 სოციალისტი საგონებელშია ჩავარდნილი

ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა ჩამოსვლამ და პანკისის ხეობაში ერთობლივი ქართულ-ამერიკული ოპერაციის განხორციელების პერსპექტივამ საგონებელში ჩააგდო სოციალისტთა ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი და ფრაქცია „აღორძინების" წარმომადგენლები. საპარლამენტო ფრაქციათა უმრავლესობა კი მიესალმა ამ ფაქტს. საინტერესოა, რომ უშუალოდ ამ ღონისძიების დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე სოციალისტთა ლიდერი საქართველოში შეგროვილი 650 ათასი ხელმოწერით რუსეთის დუმას ეწვია და რუს კოლეგებს გადასცა სია, სადაც ჩვენი თანამოქალაქეები რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას უჭერენ მხარს. რჩეულიშვილს შესანიშნავი მიღება მოუწყო დუმის სპიკერმა გენადი სელეზნიოვმა. მეტიც, არაოფიციალურ ვახშამზე №1 სოციალისტი პუტინის კამპანიაშიც კი მოხვდა, მაგრამ რად გინდა?!

თბილისში ჩამოსული რჩეულიშვილი აქ უკვე სხვა პროცესების მოწმე გახდა და მიუხედავად მოსკოვიდან წამოსული უბინძურესი ლანძღვა-გინებისა, კატეგორიულად აცხადებდა, შესაძლო სპეცოპერაციაში რუსების ჩაბმა აუცილებელია, რადგან პანკისმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რუსეთის უსაფრთხოებაო(!). „აღორძინების" ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ კი ბრძანა, რომ პანკისი აფხაზეთში გაიცვალა და, შესაბამისად, აფხაზეთი დაიკარგაო(!).

## გენერალი ორდენების დაბრუნებას აპირებს

ციხიდან გათავისუფლებული გენერალი გუჯარ ყურაშვილი ალაპარაკდა და იგორ გიორგაძესთან თავის ურთიერთობებზეც გააკეთა განცხადებები. სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში ყურაშვილი სწორედ გიორგაძესთან შეხვედრის შემდეგ დაადანაშაულეს. ყურაშვილი აღიარებს, რომ ძებნილ იგორ გიორგაძეს მინსკში მართლაც შეხვდა მხოლოდ და მხოლოდ პირად საქმეზე, თანაც სულ 20 წუთით და საუბარში საქართველოში მაშინ შექმნილ ვითარებაზეც უამბო, თუმცა განსაკუთრებული არაფერი უთქვამს — ზოგადად ხალხის გაჭირვებაზე ლაპარაკობდა... გუჯარ ყურაშვილმა გაიხსენა პატიმრობის დროს მიყენებული შეურაცხყოფა და განაცხადა, რომ მისგან პრეზიდენტ შევარდნაძეზე ტერაქტის ორგანიზების აღსარებას ვახტანგ ქუთათელაძის და კახა თარგამაძის მოადგილეები ითხოვდნენ. ახლა ყურაშვილი პრეზიდენტ შევარდნაძისთვის იმ ორდენების უკან დაბრუნებას აპირებს, რომლებიც საქართველოს ერთგულებისა და მამაცობისთვის პრეზიდენტმა პირადად გადასცა...

## რა მოხდა უჰალსტუხო სამიტზე?

ყაზახეთში გამართულ დსთ-ის ლიდერთა ე.წ. უჰალსტუხო სამიტზე (რომელსაც მხოლოდ ჰეიდარ ალიევი არ ესწრებოდა ჯანმრთელობის გაუარესების გამო), სადაც ყველა მოელოდა, რომ პრეზიდენტი პუტინი ძველებურად „დასჯიდა" და დაამცირებდა პრეზიდენტ შევარდნაძეს საქართველოში პენტაგონის ინსტრუქტორთა შემოსვლის გამო, სრულიად საწინააღმდეგო მოხდა. პუტინმა მსოფლიოს გასაგონად თქვა, რომ თუ შუა აზიაში არიან ამერიკელები, რატომ არ უნდა იყვნენ საქართველოში! რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ვნებათაღელვა მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ ჩვენ არ ჩაგვაყენეს საქმის კურსში საქართველოში ამერიკელ სამხედროთა შესვლის შესახებო! პრეზიდენტი შევარდნაძე ალმა-ათაში ყველაზე გვიან ჩაფრინდა. იგი ელოდა საქართველოს პარლამენტის რეაქციას მოსკოვში ამტყდარი ანტიქართული ისტერიის მიმართ. ჩვენი პარლამენტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიღებულ განცხადებაში ქართული მხარის საკმაოდ ღირსეული პოზიცია გამოსჭვივის. განცხადებაში დაგმობილია რუსეთში გაჩაღებული მორიგი ანტიქართული ისტერია და ნათლადაა მინიშნებული, რომ არავის საქმე არ არის, ვისთან ითანამშრომლებს საქართველო და ვის შემოიყვანს თავის ტერიტორიაზე!

აი, ამის შემდეგ გაემგზავრა შევარდნაძე ყაზახეთში, სადაც მან პირდაპირ მიანიშნა, რომ სწორედ ამერიკელთა დიდი დახმარების წყალობით შეიქმნა ქართული სასაზღვრო ჯარი, რომ ანტიტერორისტული ქვედანაყოფებისა და ქართული არმიის მომზადება მხოლოდ და მხოლოდ აშშ-ს შეუძლია და სხვა არც ერთ ქვეყანას, რომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ვერასოდეს ეღირსებიან დამოუკიდებლობას, რუსეთთან მიერთებას და ა.შ. ბუხართან მჯდარი პუტინი ჩუმად უსმენდა შევარდნაძის ამ განცხადებებს და „თანხმობის ნიშნად" თავს აკანტურებდა... ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ცალსახად დააფიქსირა, რომ რუსეთის ხელისუფლებაში აზრადაც არავის მოსდის განიხილოს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების საკითხი და რომ რუსეთი პატივს სცემს საქართველოს სუვერენიტეტსა და მთლიანობას..

## პანკისი უკვე „გასაიდუმლოებული" ზონაა...

პანკისის ხეობას ლამის მთელი დასავლეთის მასმედიის წარმომადგენლები მიაწყდნენ, რომლებიც, მათივე თქმით, დღე-დღეზე ელიან კონტრტერორისტული ოპერაციის დაწყებას. საინტერესო ის არის, რომ პანკისის ხეობა ჟურნალისტთა უმრავლესობისთვის დახურულ ზონად იქცა, სადაც არათუ ქართველ ჟურნალისტებს არ უშვებენ, არამედ ბი-ბი-სის წარმომადგენლებსაც კი. მეტიც, ახლახან პენტაგონში გამართული სენსაციური პრესკონფერენციის მონაწილე ამერიკელ ჟურნალისტებსაც, უკვე მესამე დღეა აყურყუტებენ ხეობის შესასვლელში. ისინი საგანგებოდ ჩამოვიდნენ ოპერაციის გასაშუქებლად. მხოლოდ ყველგანმავალმა CNN-მა შეძლო ხეობაში შეღწევა და როგორც „ბოროტი ენები" ამბობენ, აშშ-ის საელჩოს „მარიფათის" წყალობით... ბი-ბი-სის კორესპონდენტები კი აღშფოთებას ვერ მალავენ იმის გამოც, რომ ელემენტარული ინფორმაციაც კი გასაიდუმლოებულია... ჩეჩნები და ქისტები კი შიშით ელიან ოპერაციის დაწყებას.

## დიპლომატი გაათავისუფლეს

ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გამართულ სასამართლოზე პატიმრობიდან ვადამდე გაათავისუფლეს ქართველი დიპლომატი გიგა მახარაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც კი მორალურ თანადგომას უწევდა პატიმრობისას ამერიკაშიც და თბილისშიც ხუთი წლის მანძილზე. გიგა მახარაძის ვადამდე გათავისუფლების წინააღმდეგ სასამართლოზე არავის დაუძრავს კრინტი. არც ამერიკის მართლმსაჯულებას გაუპროტესტებია ეს აქტი.

## სანაიას მეუღლე მკვლელობის მუხლის შეცვლას ითხოვს...

გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავა საოლქო სასამართლომ კიდევ 3 თვით დატოვა წინასწარ პატიმრობაში იმის მიუხედავად, რომ ადვოკატები ხურცილავას გათავისუფლებას ითხოვდნენ იმ არგუმენტით, რომ ძიებას არასაკმარისად აქვს დასაბუთებული სანაიას მკვლელობის მოტივი(!). გამოძიება ჭიანურდება იმის გამოც, რომ აშშ-ის გამოძიების ფედერალურ ბიუროში ჯერ კიდევ არ დასრულებულა სანაიას მკვლელობის მასალების ექსპერტიზა.

სასამართლოს დახურულ სხდომას ესწრებოდა გიორგი სანაიას მეუღლე ხათუნა ჩხაიძე თავის ადვოკატთან ერთად. იგი ხურცილავასთვის განზრახ მკვლელობის მუხლის უფრო მძიმე ბრალდებით შეცვლას ითხოვს. ხათუნა ჩხაიძე დარწმუნებულია, რომ მკვლელობა შეკვეთით მოხდა და რომ მკვლელი წინასწარ იყო შესული სანაიას ბინაში...

## სტიქიას მსხვერპლი არ მოჰყოლია

გასულ კვირას თბილისს და აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებს გრიგალმა გადაუარა. გომბორის გადასასვლელზე მოულოდნელად მოსულმა დიდმა თოვლმა კი გზა გადაუღობა 400-მდე მსუბუქ ავტომანქანას და ავტობუსს მგზავრებითურთ, რომლებიც თოვლში ჩარჩნენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში. თოვლის და ნამქერის საფარქვეშ აღმოჩენილ ხალხს დახმარება საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტმა აღმოუჩინა. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის, არადა თოვლში გაჩხერილ ტრანსპორტში 1000-მდე მგზავრი, მათ შორის, ბევრი ბავშვი იმყოფებოდა, რომლებსაც 7-გრადუსიან ყინვაში მოუხდათ ღამის გათევა.

## მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი

ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობის ირგვლივ ამტყდარ აჟიოტაჟს ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯიც მოჰყვა. ნაციონალური მოძრაობის ოფისში ამ მოძრაობასა და „მრეწველებს" შორის გაფორმდა ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს განსაზღვრავს. მასში დაფიქსირებულია, რომ ეს ძალები ყველაზე მწვავე პოლიტიკური ბრძოლის დროსაც კი დაიცავენ მორალურ-ეთიკურ ნორმებს, უარს იტყვიან დაუსაბუთებელ ბრალდებებსა და ცილისწამებაზე, პოლიტიკური ბრძოლის მთავარ მეთოდად გამოიყენებენ არა ოპონენტების „გაშავებას" და კომპრომეტირებას, არამედ საკუთარი ღირსების წარმოჩინებას და პოზიციური პროგრამის წარდგენას! მოელიან, რომ ამ დეკლარაციას პარლამენტის სხვა პოლიტიკური ჯგუფებიც შეუერთდებიან.

## „აღორძინება" უკან დახევას არ აპირებს

გრძელდება დაპირისპირება ფრაქცია „აღორძინებასა" და დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ იოსელიანს შორის, რომლის გადადგომას კატეგორიულად მოითხოვს „აღორძინება". დაპირისპირება კიდევ უფრო გაამძაფრა ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობის შემდეგ ავთო იოსელიანის განცხადებამ, — მე არ ვაპირებ თავის მოკვლას და მაგათ ყველას გადავუვლიო. გამორიცხული არ არის, ეს დაპირისპირება ბათუმსა და თბილისს შორის ურთიერთობებში მორიგი გაუგებრობის მიზეზად იქცეს... საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია „აღორძინების" ლიდერმა ჯემალ გოგიტიძემ განაცხადა, რომ ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობასთან დაკავშირებით პროკურატურა რამდენჯერმე შეეცადა მის დაკითხვას. მისივე თქმით, იგი დაკითხვაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მივა, თუ იოსელიანი თანამდებობიდან გადადგება.

## სამინისტროებს „სეკვესტრირებას" უპირებენ

ანტიკორუფციული საბჭოს მიერ მომზადებული პროექტისა და გეგმის საფუძველზე მალე დაიწყება აღმასრულებელი ხელისუფლების სტრატეგიული გარდაქმნა. სამინისტროების რაოდენობა 19-დან 12-მდე შემცირდება, რის ხარჯზეც მნიშვნელოვნად გაიზრდება დარჩენილ და გაერთიანებულ სამინისტროთა თანამშრომლების ხელფასები. ასევე განხორციელდება სახელმწიფო კანცელარიის სტრუქტურული ცვლილება.

## არასრულწლოვანის მკვლელობა

გლდანში მოსწავლეებს შორის მომხდარ ჯგუფურ ჩხუბს მე-8 კლასის მოსწავლის ბესიკ აზმაიფარაშვილის სიცოცხლე შეეწირა, ორი მოზარდი კი დაიჭრა. ეჭვმიტანილი დაკავებულია. მისი თქმით, დანა მან თავდაცვის მიზნით გამოიყენა და მოკლულ თანატოლს არ იცნობდა. გაირკვა, რომ ორი სკოლის მოზარდები გოგოს გულისთვის „არჩევდნენ საქმეს", რაც შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა.

## არჩევნები არალეგიტიმურად აღიარეს

2 მარტს აფხაზეთში ე.წ. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელიც დაგმეს და არალეგიტიმურად გამოაცხადეს საქართველოში გაეროს მისიამ, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და უცხოეთის ქვეყნების საელჩოებმა. საქართველოს პარლამენტმა კი ამ ე.წ. არჩევნებთან დაკავშირებით განცხადება-მიმართვა დაუგზავნა მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელშიც კიდევ ერთხელ არის დაფიქსირებული, რომ მაშინ, როცა აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა იძულებითაა განდევნილი მშობლიური ადგილებიდან, ლაპარაკიც ზედმეტია აფხაზეთში არჩევნების ლეგიტიმურობაზე და რომ სეპარატისტთა ეს დემარში ხელს არ უწყობს სამშვიდობო პროცესის წარმართვას და კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. სოხუმის ე.წ. პარლამენტში 35 დეპუტატი აირჩიეს, რომელთა შორის ორი ქართული გვარის მქონე „ხალხის რჩეულიც" ფიგურირებს...

## დიპლომატიის „გიგანტები" გაიპარნენ

თბილისში რუსეთის საელჩოს შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს ქართველმა სტუდენტებმა და მეომარმა ვეტერანებმა, რომლებმაც დაგმეს რუსეთში გაჩაღებული ანტიქართული ისტერია და აგრესია და საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრაც მოითხოვეს. მაგრამ, როგორც წესი, ელჩი გუდევი საკუთარი დიპლომატიური კორპუსითურთ მაგრად შეიკეტა გისოსებს მიღმა და არათუ აქციის დაშლამდე, არამედ დაღამებამდე გარეთ ცხვირი არავის გამოუყვია... შემდეგ კი ნელ-ნელა დაიწყეს საელჩოს ეზოდან გამოსვლა ავტომანქანებმა, თანაც 5-5-წუთიანი ინტერვალებით და რუსული დიპლომატიის „გიგანტებმა" თავიანთ საცხოვრებელ რეზიდენციებს მიაშურეს...

## საქართველოს საჰაერო სივრცე ისევ დაარღვიეს

პარასკევს რუსეთის ავიაციამ რამდენჯერმე დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. არხოტის ხეობაში ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან საბრძოლო ვერტმფრენი შემოიჭრა, რომელიც 10 წუთის მანძილზე ზვერავდა არემარეს და შემდეგ ჩრდილოეთისკენ აიღო კურსი. იმავდროულად კოდორის ხეობის თავზე რუსეთის რამდენიმე სამხედრო თვითმფრინავი შემოიჭრა, რომლებიც 4 ათასი მეტრის სიმაღლიდან დასტრიალებდნენ ხეობას და შემდეგ რუსეთისკენ გაფრინდნენ... ეს ინფორმაცია რუსეთის მასმედიამ და გენერალიტეტმა უარყო...

## ბანკი გაკოტრებულად გამოაცხადეს

დასრულდა „თბილკრედიტბანკის" გაკოტრების გახმაურებული პროცესი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „თბილკრედიტბანკი" ოფიციალურად გაკოტრებულად გამოაცხადა და ბანკს ლიკვიდატორიც დაუნიშნა. საბანკო ექსპერტებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ ბანკი გადახდისუუნაროა და აუცილებელია მისი ლიკვიდაცია. „თბილკრედიტბანკის" მიერ გასტუმრებული მილიონ-ნახევარი დოლარის დასაფარავად ლიკვიდატორი ბანკის აქტივების გაყიდვას დაიწყებს. „თბილკრედიტბანკის" გაკოტრების მიზეზად ეროვნული ბანკი მის სუსტ მენეჯმენტს ასახელებს, თუმცა ბანკის ხელმძღვანელობა გაკოტრებაში პირდაპირ ადანაშაულებს ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს და აცხადებს, „თბილკრედიტბანკი" პოლიტიკურ ინტრიგებს შეეწირაო.

## დედის დღეს დედები აქციით შეხვდნენ

დედის დღე 400-მდე მრავალშვილიანმა დედამ საპროტესტო აქციით აღნიშნა თბილისის მერიასთან. დედები ყოველთვიური დახმარების მიღებას და პარლამენტში საგანგებო კანონპროექტის განხილვას ითხოვდნენ.

## ჩეჩნები აშშ-ის გადაწყვეტილებას იწონებენ



ჩეჩნეთის რესპუბლიკის (იჩქერიის) საგარეო საქმეთა მინისტრმა ილიას ახმადოვმა დადებითად შეაფასა აშშ-ის გადაწყვეტილება, დაეხმაროს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ანტიტერორისტული შენაერთების გაწვრთნაში. ახმადოვის თქმით, მისი და პრეზიდენტ ასლან მასხადოვის აზრით, ამერიკელ სამხედროთა გამოჩენა საქართველოში ხელს შეუწყობს სტაბილურობას პანკისის ხეობაში და აღკვეთს რუსების განზრახვას, დაბომბონ და შეიჭრან ხეობაში მყოფი ჩეჩნების გასანადგურებლად.

## ჩრდილოვანი მთავრობა მუშაობას შეუდგა

ვაშინგტონიდან გავრცელდა საინტერესო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აშშ-ის ოფიციალური ადმინისტრაციისა და ხელისუფლების პარალელურად უკვე ინტენსიურად მუშაობს ე.წ. აშშ-ის ჩრდილოვანი მთავრობა. ეს 100-კაციანი ახალშექმნილი მთავრობა თეთრი სახლიდან, ანუ ვაშინგტონიდან შორს, გასაიდუმლოებულ ტერიტორიაზე ბუნკერში ფუნქციონირებს(!). ბუშის ადმინისტრაციის წევრთა თქმით, ამ საიდუმლო პროგრამას ანტიტერორისტული ოპერაციების გაგრძელება უწოდეს. პროგრამის განხორციელება „ალ-ქაიდას" მიერ ბირთვული იარაღის ხელში ჩაგდების შესაძლებლობამ დააჩქარა... ე.წ. ჩრდილოვანი მთავრობის წევრები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ ბუნკერში სამ ცვლად და ოჯახებთან შეხვედრა სასტიკად აკრძალული აქვთ. ამ მთავრობის არსებობა ხანგრძლივი პერიოდისთვისაა გამიზნული!

## ტერორი გრძელდება

გრძელდება ხოცვა-ჟლეტა ებრაელებსა და პალესტინელებს შორის. კვირას იერუსალიმში ისრაელ ჯარისკაცთა საგუშაგოს პალესტინელები დაესხნენ და 8 კაცი მოკლეს, მოგვიანებით კი კამიკაძე-ტერორისტმა სინაგოგის შესასვლელთან თავი აიფეთქა და 16 ებრაელი დახოცა, მათ შორის, სამი ბავშვი...

# „დღეს პანკისი, ხვალ იქნება აფხაზეთი, ზეგ — სამაჩაბლო...“

**„დიდ პოლიტიკას თან სდევს მსგავსი ფაქტები, ანუ, პოლიტიკაში მსხვერპლთშეწირვის მომენტი“**





არ ვიცი, ქართული საზოგადოება დაივიწყებს თუ არა, რასაც რუსი პოლიტიკოსები სჩადიოდნენ ტელეკომპანიებით გამოსვლისას, როცა უმოწყალოდ ჭრიდნენ და კერავდნენ ქართულ მიწა-წყალს უბინძურესი კომენტარებით. მეტიც, ბალკანიზაციასა და „პირისაგან მიწისა აღგვას“ გვიწინასწარმეტყველებდნენ (წესით და რიგით, აღარ გვაქვს მსგავსი მოვლენების დავიწყების უფლება), მაგრამ რა მოვუხერხოთ იმ თანამემამულეებს, რომლებიც უაზრო მლიქვნელობით კვლავ რუსეთისკენ იმზირებიან და მის იმედზე არიან?! ალბათ მავანნი იტყვიან, აღვირახსნილი ანტიქართული განცხადებებით ხომ მხოლოდ ცალკეული პოლიტიკოსები და ექსპერტები გამოდიოდნენ, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ კრემლის მიერ კონტროლირებადი ტელეკომპანიებიდან ილვრებოდა ეს სიბინძურე და პოლიტიკოსებს არც ლეონტიევ-ტრეტიაკოვ-ბაბაიანის და ძმათა მათთა კოჰორტა ჩამორჩებოდა, რომელთა მიზანმიმართული მჭევრმეტყველება არაფრით ჩამოუვარდებოდა სიცრუისა და კაცთმოძულეობის ჰებელსისეულ პროპაგანდას?! საგულისხმოა, რომ გამეორდა შარშანდელი სცენარი: როცა მაშინაც აიწყვიტეს რუსმა პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველომ უარი უთხრა რუსეთს პანკისის ხეობაში ოპერაციის ჩატარებაზე. გამობრძანდა პუტინი და ვითომ აქ არაფერიაო, „პატივი მიაგო“ საქართველოს სუვერენიტეტს და ლანძღვა-გინებაც გაქრა რუსეთის მასმედიიდან, თუმცა, როგორც ვნახეთ, დროებით. ახლაც, დსთ-ის სამიტზე, პუტინი ლამის საქართველოში ამერიკელ სამხედროთა შემოსვლის გულმხურვალე მომხრედ მოგვევლინა, თუმცა შევარდნაძეს „წკიპურტი“ მაინც წაჰკრა — რატომ არ გამაფრთხილეო და პასუხიც შესაბამისი მიიღო — გაფრთხილებულიც იყავით ჩვენგან და ამერიკელებმაც პირადად ჩაგაყენეს საქმის კურსშიო!.. მადლობა ღმერთს, პრეზიდენტმა როგორც იქნა, ხმა ამოიღო... უნდა ითქვას, რომ პუტინისა და შევარდნაძის „არ ვიცოდით“, „არა, იცოდით“ და ბოლოდროინდელი მოვლენები მრავალმხრივი განსჯის საბაბს გვაძლევს ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობის შესაძლო მიზეზებზე სასაუბროდ და აი, რატომ: „კვირის პალიტრისთვის“ სხვადასხვა წყაროსგან ცნობილი გახდა ჯერჯერობით დაუზუსტებელი ინფორმაცია — თურმე ГРУ-ს სრულ მზადყოფნაში ჰყავდა სპეცრაზმები პანკისის ხეობაში შესაჭრელად იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენი ხელისუფლება ამის ნებას არ მისცემდა. ეს ცნობილი გახდა პრეზიდენტ შევარდნაძისთვის, რომელმაც ყველაზე სანდო ხელქვეითი ნუგზარ საჯაია მიავლინა მოსკოვს ერთადერთი მიზნით — დაერწმუნებინა კრემლი, რომ საქართველო რუსეთთან ერთად აუცილებლად განახორციელებდა ოპერაციას პანკისში. ოღონდ მანამდე ჩეჩენი ლტოლვილების საკითხი უნდა გადაეწყვიტათ. რუსები სიხარულით დათანხმდნენ და გახსოვთ, თბილისში ჩამოვიდა მათი საგანგებო დელეგაციაც... რუსეთი აღარ ეწინააღმდეგება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას აფხაზეთის საკითხზე და ურთიერთობები თბება! იმავე წყაროების ცნობით, ამ ამბების პარალელურად შევარდნაძე ინტენსიურ კონსულტაციებს აწარმოებს ამერიკელებთან და სთხოვს საქართველოში ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გამოგზავნას. შემდეგ ამერიკელები უშვებენ დეზინფორმაციას პანკისში ბინ ლადენის ყოფნის შესახებ, რასაც პარიზში თუთიყუშივით იმეორებს იგორ ივანოვი. სერგეი ივანოვიც თითქმის იმავეს გაიძახის, თან იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობით რუსეთი გადაჭრის „პანკისელი“ ტერორისტების პრობლემას. პანკისში ბინ ლადენის და „ალ-ქაიდას“ წევრების ყოფნის შესახებ რუსეთის მიერ გაკეთებული განცხადებების შემდეგ, რასაც თბილისიდან ბანი მისცა ფილიპ რემლერმა, ვაშინგტონს პრაქტიკულად გზა გაეხსნა პანკისში „ბინ ლადენისა და „ალ-ქაიდას“ გასანადგურებლად“. ამის შესახებ აუწყა კიდეც მოსკოვს! ბუნებრივია, რუსები სასტიკად მოტყუებულნი და დამცირებულნი გრძნობენ თავს, თბილისში ჩამოდიან რუშაილო და პატრუშევი და პარალელურად იწყება უბინძურესი კამპანია ნუგზარ საჯაიას, როგორც „მთავარი დამნაშავის“ წინააღმდეგ. საგულისხმოა ვალერი ხაბურძანიას განცხადება — მან საჯაიას თვითმკვლელობამდე მიყვანაში ბრალი რუსეთის ზოგიერთ სპეცსამსახურს დასდო. ასევე საგულისხმოა საჯაიას დაკრძალვაზე შევარდნაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა: „მან თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანა...“ და რუშაილოს მიერ თქმული ფრაზაც: „ნუგზარ საჯაია ჩვენთან ერთად საკითხების განხილვისას ყოველთვის ცდილობდა დაეზუსტებინა — იყო კი მომგებიანი ჩვენთვის (რუსებისთვის) ეს...“ ვიმეორებ, შემოგთავაზეთ დაუდასტურებელი ინფორმაცია მაგრამ ამასთანავე, ვფიქრობ, მას, როგორც ვერსიას, აქვს არსებობის უფლება. ამის შესახებ ქვემოთ კავკასიის საკითხთა ექსპერტ **მამუკა არეშიძესთან** ვისაუბრებ, ახლა კი დსთ-ის სამიტის შედეგებს კომენტარს უკეთებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ბარამიძე**.

— სამიტზე უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ პუტინის განცხადება, რომელმაც საქართველოს უფლებად გამოაცხადა ჩვენს ქვეყანაში ამერიკელ სამხედროთა ჩამოსვლის ფაქტი და ბრძანა, რომ ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს — თუ შუა აზიაში შევიდნენ ამერიკელები, რატომ არ უნდა შესულიყვნენ საქართველოშიო. ამით წყალი გადაასხა რუს პოლიტიკოსებს, რომლებმაც უპრეცედენტო ისტერია ატეხეს საქართველოში ამერიკელ სამხედრო ექსპერტთა გამოჩენის გამო. ეს ადასტურებს, რომ პუტინი საღად აფასებს შექმნილ ვითარებას და ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს. პუტინმა, ბუნებრივია, იცის, რომ აშშ-ს სერიოზული გეგმები აქვს საქართველოს მიმართ და თუ ამერიკელებმა რაღაც საქმეს მოჰკიდეს ხელი, ბოლომდე მიიყვანენ. პუტინს სხვა გზა არა აქვს, გარდა კონსტრუქციული პოზიციის დაფიქსირებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს გაიმასხარავებენ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში. რუსებს უკვე საქმე აქვთ არა მხოლოდ საქართველოსთან, არამედ ერთდროულად საქართველოსთან და ამერიკასთან! ახლა რუსებმა დაინახეს, რომ თვისობრივად უნდა შეცვალონ პოზიცია საქართველოს მიმართ, თუ არ უნდათ, რომ საერთოდ გარიყულნი აღმოჩნდნენ აქ დაწყებული პროცესებისგან, რადგან საქართველოში ახალი და მძლავრი რეალური მოთამაშე გამოჩნდა აშშ-ის სახით. რუსები შეეცდებიან, არ დაკარგონ აქტიური მხარის პოზიცია და ალბათ, კონსტრუქციულ მოთამაშედაც მოგვევლინებიან. ყოველ შემთხვევაში, პუტინმა ამის შესახებ აშკარად მიანიშნა დსთ-ის სამიტზე.

— **პუტინ-შევარდნაძის შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთის კონფლიქტი რუსეთთან ერთად მოწესრიგდება და ეს პუტინმაც დაადასტურა, მაგრამ რის სანაცვლოდ?**

— სანამ აშშ ამ ნაბიჯს გადადგამდა საქართველოსთან მიმართებაში, აფხაზეთის დაბრუნების სანაცვლოდ მე პირადად დავთანხმდებოდი რუსეთთან კომპრომისს სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით, მაგრამ რადგან დღეს გამოჩნდა მძლავრი და დაინტერესებული პარტნიორი აშშ-ის სახით, მსგავს კომპრომისზე საერთოდ აღარ უნდა იყოს ლაპარაკი. ჩვენი მხრიდან სწორი პოზიცია იქნება, თუკი რუსეთის გონივრულ და ცივილიზებულ ნაბიჯებს წავახალისებთ... მოკლედ, ყაზახეთში გამართული დსთ-ის სამიტი შეიძლება ჩვენთვის წარმატებულად ჩაითვალოს სწორედ საქართველოში აშშ-ის პოლიტიკის გააქტიურებიდან გამომდინარე. პუტინმა, პრაქტიკულად, აღიარა საქართველო რუსეთის სერიოზულ პარტნიორად. მსოფლიო იცვლება, იწყება ახალი ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში. სიტუაცია არ არის უიმედო და ქართველებს გვეძლევა შანსი, გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა. აშშ-მა დაიწყო სერიოზული მუშაობა საქართველოს სახელმწიფოს გასაძლიერებლად.

— **რუსები უკიდურესად შეშფოთებულნი არიან იმით, რომ საქართველოში ამერიკელ ინსტრუქტორთა შემოსვლასთან ერთად ვაშინგტონმა განაცხადა — შეიძლება განსაკუთრებულ შემთხვევაში „შეიცვალოს ვითარება“, ანუ საქართველოში გავგზავნოთ ჯარიო.**

— დიახ, საუბარია იმაზე, რომ პენტაგონი ამჟამად არ განიხილავს საქართველოში ჯარის შემოყვანის საკითხს და სამხედრო კონტინგენტს გამოგზავნის იმ შემთხვევაში, თუკი „შეიცვლება ვითარება“. „ვითარების შეცვლა„ კი არის ის, რომ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ბრძანება გასცეს ჯარის შემოყვანისა. თუ საქართველო მივა დასკვნამდე, რომ მიუხედავად კონტრტერორისტული ქვედანაყოფების მომზადებისა, ან საკმარისად მაღალ დონეზე ვერ მომზადდა ეს ხალხი და საერთოდ ქვეყანას არ შეეძლება თვითონ გაუმკლავდეს პრობლემებს, შეიძლება საქართველოს პარლამენტმა მიმართოს აშშ-ს ჯარის შემოყვანის თხოვნით. ასეთ შემთხვევაში, ვფიქრობ, პრეზიდენტი ბუში გასცემს ამ ბრძანებას.

— **მაგრამ პარლამენტის ნაწილი, კერძოდ, რამდენიმე ფრაქცია რუსეთს ანიჭებს უპირატესობას...**

— ეს არის დამაფიქრებელი. ეს ძალები გვეუბნებიან, — რადგან არ დავუჩოქეთ რუსეთს და არ მივფორთხდით ხვეწნა-მუდარით, აბა რა გეგონათ, მართალია რუსეთი, როცა ასე აგრესიულად გვეპყრობაო. ამას ქადაგებენ ქართველი პოლიტიკოსები, თან ვითომ მიამიტურად სვამენ კითხვას — თუ რუსეთს ვუთხარით უარი საჯარისო კონტინგენტის შემოყვანაზე, ამერიკას რატომ არ ვეუბნებით უარსო? ვითომ „ვერ ხვდებიან“, რატომ მოვიქეცით ამგვარად. ასე აყრიან ნაცარს ხალხს თვალებში. მაგრამ უნდა იცოდეს ქართულმა საზოგადოებამ, რომ რუსეთის დუმის ნებისმიერ დემარშს, დემარშით ვუპასუხებთ.

— **ალბათ, პრეზიდენტი კვლავ აქცენტს გააკეთებს აჭარის ლიდერის მისიაზე, თუმცა ცოტა უცნაურად მოსჩანს, რომ დღემდე არაფერს ამბობენ აბაშიძე-ივანოვის შეხვედრის შედეგებზე.**

— აბაშიძე, მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, არც კი შეწუხებულა, რომ თუნდაც პარლამენტისთვის რაღაც ცნობა მიეწოდებინა. ჩემი ინფორმაციით, დღემდე არც პრეზიდენტმა იცის, რა მოხდა მოსკოვში...

— **საქართველოს აქვს კი იმის მყარი გარანტია, რომ აშშ ბოლომდე დაუდგება ჩვენს ქვეყანას გვერდით?**

— მადლობა ღმერთს, საქართველოს და აშშ-ის სტრატეგიული ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს. იმის გამო, რომ რუსეთს მინიმუმ 10-20 წელიწადი იმპერიული მენტალიტეტი კვლავ ექნება, მისი ამბიციების მოსათოკად საქართველოში საჭირო იქნება რეალური ძალის არსებობა აშშ-ის სახით. ვიმეორებ, ამ ეტაპზე ამერიკელთა მთავარი პრიორიტეტი საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებაა და არა არსებული მთავრობისა. როცა ეს საქმე გარანტირებული იქნება, სეპარატისტებიც დაინახავენ, რომ რუსეთი ვერაფრით დაეხმარება მათ. ეს უნდა იცოდნენ აფხაზებმაც და ოსებმაც. ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს. ანექსირებულია აფხაზეთის ტერიტორია და ეს განაცხადა ევროსაბჭომაც, ევროპარლამენტმაც, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმაც, როცა უვიზო რეჟიმი შემოიღო ამ რეგიონებთან რუსეთმა. უვიზო რეჟიმი გახლდათ ამ ანექსიის გაფორმება და ამაზე მეტი რაღა უნდა გაგვიკეთონ, მით უმეტეს, რომ ვერ შეიერთებენ იურიდიულად. დე ფაქტო კი შეერთებულნი არიან უკვე. დღეს მთავარი პრიორიტეტი ვაშინგტონისთვის საქართველოსთან მიმართებაში არის პანკისი, ხვალ იქნება აფხაზეთი, ზეგ — სამაჩაბლო. არ ვამბობ, რომ ვაშინგტონი ჯარს გაგზავნის აფხაზეთში, მაგრამ იმ დონეზე და ისე ძლიერ დაგვეხმარებიან, რომ თითოეულ ჩვენს წინადადებას, ქმედებას ეფექტი ჰქონდეს და ასე უმწეონი აღარ ვიყოთ.

**მამუკა არეშიძე:** — ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობა, თქვენი ინფორმაციით, ლოგიკას ექვემდებარება. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ საჯაიამ ალბათ მთელი სიმართლე არ იცოდა, რაც ასევე საეჭვოა. ხოლო ის, რომ რუსეთის ხელისუფლება წამოეგო ანკესზე, უდავოა. დიდ პოლიტიკაში ორმაგი თამაშის პრინციპი მუდამ არსებობს, ოღონდ გააჩნია, სწორად იმოქმედებ თუ არა შედეგის მისაღწევად. ამიტომ რამდენად კარგი შედეგია დღევანდელი სიტუაცია, ეს ხვალ-ზეგ გამოიკვეთება. არ გამიკვირდება, თუ შევარდნაძე ორ ფრონტზე თამაშობდა და როგორც ჩანს, წარმატებულად. რაც შეეხება იმას, იცოდა თუ არა საჯაიამ ბოლომდე, რა თამაში მიდიოდა, თუ დავუშვათ და, არ იცოდა, მაშინ ის გამოდის მსხვერპლი მოვლენათა განვითარებისა, ხოლო თუ იცოდა და მაინც წავიდა ამაზე, მაშინ აფერუმ მის ვაჟკაცობას... ცნობილია, რომ რუსები აპირებდნენ პანკისში ოპერაციის განხორციელებას და საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვდნენ თანხმობას. რომ იტყვიან, საკუთარი კანით გრძნობდნენ რუსები, თუ პანკისში დროულად არ შევიდოდნენ, ხეობას ამერიკელები მიხედავდნენ. რუსებს ეს ოპერაცია სჭირდებოდათ რეგიონში გავლენისა და ძალის დემონსტრირებისთვის, თორემ ბევრად მეტი ბოევიკი ჰყავთ ჩეჩნეთში და დიდი უბედურებაც სჭირთ ამით. უმჯობესი იქნებოდა, ჯერ იქ მოეგვარებინათ პრობლემა და მერე ეფიქრათ სხვაზე. ხოლო იმის შესახებ, რომ ГРУ-ს დაგეგმილი ჰქონდა კონკრეტული დრო პანკისში ოპერაციის დასაწყებად, ზუსტი ინფორმაცია არა მაქვს... რაც შეეხება პრეზიდენტ შევარდნაძის მოქმედებას, თუ თქვენს ლოგიკას გავყვებით, აბსოლუტურად სწორი და მომგებიანი ნაბიჯებია სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. ბევრ ცნობილ პოლიტიკოსს სახელი იმით მოუხვეჭავს, რომ სახელმწიფო საქმისთვის ბევრი რამ, მათ შორის, პირადიც გაუწირავს. დიდ პოლიტიკას თან სდევს მსგავსი ფაქტები, ანუ, პოლიტიკაში მსხვერპლთშეწირვის მომენტი.

თვალი მივადევნოთ ბოლო დროს განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს, გამგებლების გათავისუფლებას, ეს ერთგვარი შირმა იყო იმისა, რომ ვთქვათ, თანამდებობიდან უნდა გადამდგარიყო გიგლა ბარამიძე. აქვე ვიტყვი, რომ სამცხე-ჯავახეთის ყოფილ გუბერნატორს ხშირად ვაკრიტიკებდი ხოლმე გარკვეული ქმედებების გამო, მაგრამ გიგლა ბარამიძე იყო ერთ-ერთი სერიოზული ფიგურა, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ჯავახეთში და მას შეეძლო ხელში აეღო პროცესების მართვა. როგორც ჩანს, მას პროვოკაცია მოუწყვეს და იგი გადადგა. გუბერნატორად დაინიშნა ადამიანი, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ბარამიძის მსგავსი გავლენით არ გამოირჩევა. რომელიღაც კაბინეტებში ზუსტად დაიგეგმა საქართველოში განსახორციელებელი პროცესები, რაც მოხდა კიდეც. ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობაც ლოგიკურად ჯდება ამ კონტექსტში. ყველაფერს, ბუნებრივია, ვერ დაგეგმავდნენ და ბევრი რამ იმპროვიზებულად ხდებოდა. ამ ჯაჭვის ერთი რგოლია იმავე კაკუბავას გამოსვლები, მისი შეუთანხმებელი მოქმედება აჭარის ხელმძღვანელობასთან. როგორ, არ იცოდნენ, რას აბრალებდა ავთო იოსელიანს ხაჩიშვილი გუშინწინ და დღეს გაიგეს? ნონსენსია ეს და აშკარაა, რომ შეეცადნენ, პროვოკაციაზე წამოეგოთ თვითონ აჭარის ლიდერიც, მაგრამ „აღორძინების“ განცხადება, რომ ემიჯნებიან კაკუბავას, ჩანს, კარგად დაინახა ბატონმა ასლანმა, საითკენ უბერავდა ქარი.

რაც შეეხება თენგიზ კიტოვანს, საინტერესოა მისი „ფენომენის“ ჩართვა ამ ამბებში. ზუსტად ვიცი, შარშან, ახალ წელს საჯაია და კიტოვანი ერთად შეხვდნენ მოსკოვში რესტორანში. მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ვერ ვიტყვი, კიტოვანი კრემლში გამოიძახეს და აიძულეს, გინდა თუ არა ეს თქვიო; მაგრამ სიტუაციას ქმნიან ისეთს, რომ თუნდაც აბსურდულ ინფორმაციას აჟღერებ და ვერც ხვდები, რომ გიყენებენ... ამბობენ, რომ პროდასავლური ორიენტაციის იყო საჯაია და ამის გამო მიიყვანეს თვითმკვლელობამდე. მაგრამ მთავარი ამოცანა იყო ის, რომ ხელისუფლების გარკვეული რგოლები უნდა ამოვარდნილიყო დროის ამ ბოლო მონაკვეთში. ამას ჩვენზე ადრე, როგორც ჩანს, ოკეანის გაღმა მიხვდნენ და ამიტომ ჩაერივნენ აქტიურად პროცესში.

— **ამერიკელთა შემოსვლისა და მათი აქ დიდი ხნით დაფუძნების პერსპექტივის ფონზე რა პროცესები შეიძლება განვითარდეს მთლიანად კავკასიაში, უწინარესად კონფლიქტების მოგვარება-არმოგვარების თვალსაზრისით?**

— ძალიან სახიფათო განცხადებები გაისმა რუსეთის დუმის დეპუტატთაგან. გვემუქრებიან აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციაში ასოცირებულ წევრებად მიღების ან მათი დამოუკიდებლობის ცნობის საკითხის განხილვით. ეს არის აბსოლუტური კრეტინიზმი. კაკო ასათიანის განცხადება, რომ დუმის ამ შესაძლო დემარშის საპასუხოდ დასვამს საკითხს ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ, მით უმეტეს, ლიტვა, პოლონეთი და სხვა ქვეყნები დიდი ხანია მზად არიან, აღიარონ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობაო, გააზრებული ნაბიჯი გახლდათ. დარწმუნებული ვარ, კაკო ასათიანი ნამდვილად ასე ფიქრობს და ეს განცხადებაც დროულია, მით უმეტეს, რომ ასათიანის უკან სერიოზული ძალები იდგნენ, როგორც ქართული, ისე დასავლეთისა. მაგრამ ერთიც და მეორეც საქართველოსთვის მიუღებელია. აფხაზეთისა და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს გამოხტეს რუსეთ-ბელორუსის კავშირის აღმასრულებელი მდივანი ბოროდინი და რუსეთ-ბელორუსის კავშირში აფხაზეთის ასოცირებულ წევრად მიღების შესახებ გამოაცხადოს. ეს არის ამორფული კავშირი, რომელსაც პასუხს ვერავინ მოსთხოვს, რადგან არ არის საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. ბოროდინი ამაზე წამსვლელი კაცია ისევე, როგორც ლუკაშენკო. ამიტომ, თუნდაც ამ ამორფულ კავშირში აფხაზეთის გაწევრების საკითხის დასმა, გარკვეულ იმედს მისცემს სეპარატისტებს და ვთხოვ ქართველ პოლიტიკოსებს, ეს თემა არ გამორჩეთ მხედველობიდან.

— **რაც შეეხება ჯავახეთს, რამდენად არის მოსალოდნელი იქ ცენტრიდანული ძალების გააქტიურება.**

— ჩემი ინფორმაციით, აშშ-ში არსებულ სომხურ დიასპორაზე ძლიერი ზეწოლა ხორციელდება პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მხრიდან, რათა გონს მოიყვანონ ერევნელი პოლიტიკოსები. მნიშვნელოვნად მოქმედებს ერევნის ფაქტორი, საიდანაც მართლაც შეუძლიათ ჯავახეთში წყალი აამღვრიონ. თუმცა სომხებს იმდენი ჭკუა აქვთ, არ მოაქციონ ქვეყანა სრულ იზოლაციაში. მაგრამ არსებობენ სომხეთს გარეთ მოქმედი სომხური ორგანიზაციები, თუნდ ლიბანში არსებული სომხური ტერორისტული ორგანიზაცია „ასალა“, რომელიც ცდილობს წყალი აამღვრიოს ჯავახეთში. ასევე რუსეთში არსებული სომხური დიასპორის ნაწილიც შეიძლება იყოს რუსეთის სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ და შეიძლება შეეცადონ ჯავახეთში ვითარების დესტაბილიზაციას. ამის მცდელობები უეჭველად იქნება და ყველაფერი დამოკიდებულია საქართველოსა და სომხეთის მთავრობებზე. ერთადერთი, სადაც რუსეთი თავის კარტს ვერ გაათამაშებს, არის აჭარა, რადგან ასლან აბაშიძე დიდოსტატია „ოქროს კვეთის“ გამოძებნისა... თუმცა რუსები დღედაღამ გვლანძღავენ, უნდა მივხვდეთ, — ამით ისინი რუსულ საზოგადოებას ამზადებენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს დააფიქსირონ — საქართველოში ამერიკელები მოვიდნენ და ჩვენ იქიდან უნდა წამოვიდეთ! ამ ეტაპზე კი, რუსეთის წასვლა ჩვენთვის ნამდვილად არ იქნება მომგებიანი, რადგან იგი ასე იოლად არ წავა და გაცილებით მკაცრ სანქციებს მიმართავს, ვიდრე სავიზო რეჟიმია, აღარაფერს ვამბობ შესაძლო პროვოკაციაზე. რუსები მთლიანად ჩაკეტავენ საზღვარს, რაც ქართველი გლეხობისა და წვრილი მეწარმეების დაქცევის ტოლფასი იქნება. ამიტომ, მშვიდად უნდა მივყვეთ პროცესს. მით უმეტეს, რომ ჩვენი დიპლომატებიც და სპეცსამსახურებიც აშკარად გაიზარდნენ და კვალიფიციურად აკეთებენ სახელმწიფოებრივ საქმეს. დაძაბულობა უნდა მოიხსნას აუცილებლად...

*ზურაბ მჭედლიშვილი*



V ს-ში საქართველოს მართლმორწმუნე მეფეები განაგებდნენ და სახელმწიფო სარწმუნოება გადამწყვეტ როლს თამაშობდა როგორც შინა, ისე საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მიუხედავად ამისა, ცალკეულ რეგიონებში წარმართული სარწმუნოების მიმდევრები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ქრისტიანული თემების გაძლიერებას. სწორედ ამ ისტორიული ურთიერთობების საფუძველზე მოხდა ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა V ს-ში, მტკვრის სათავესთან, ისტორიულ ტაოში.

სოფელ კოლაში, სადაც ქრისტიანი და წარმართი ქართველები ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, რაოდენობრივად წარმართი მოსახლეობა სჭარბობდა.

უფროსებისგან განსხვავებით, ქრისტიანი და წარმართი ბავშვები ერთმანეთის გვერდით თამაშობდნენ და მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. მაგრამ, საღამოობით, როცა მწუხრის ლოცვების ზარი დარეკავდა, ქრისტიანი ბავშვები თამაშს თავს ანებებდნენ და სოფლის ეკლესიისკენ გარბოდნენ, მათ უკან წარმართი ბავშვებიც აედევნებოდნენ, მაგრამ, როგორც კი ტაძარში შესვლას დააპირებდნენ, წინ კარებს უხურავდნენ. იმხანად მკაცრი ქრისტიანული წესები არსებობდა, რომლის მიხედვითაც, მოუნათლავ ადამიანს ტაძარში შესვლა ეკრძალებოდა.

„თქუენ შვილნი ხართ მეკერპეთანი და არაჯერარს შემოსვლაი თქვენი სახლსა ღმრთისასა“ — პასუხობდნენ ქრისტიანები დაღონებულ ბავშვებს. ერთხელ ბავშვებმა ძალით სცადეს ტაძარში შეღწევა, მაშინ პასუხად ასეთი რამ გაიგონეს: თუკი ჩვენს ტაძარში შემოსვლა გინდათ, აღიარეთ იესო ქრისტე და მოინათლეთ. ბავშვები ამ სიტყვებს სიხარულით დათანხმდნენ.

კოლაელმა ქრისტიანებმა ყრმების გადაწყვეტილების შესახებ სოფლის მოძღვარს აუწყეს. ხუცესი მიხვდა, რომ ბავშვები, მცირეწლოვანი ასაკის მიუხედავად (ისინი 7-9 წლისანი იყვნენ), დარწმუნებულები იყვნენ თავიანთ არჩევანში. წარმართების გამო ხუცესს უფლება არ ჰქონდა დღისით ნათლობის ჩატარებისა, ამიტომ იძულებული იყო ბავშვები მტკვრის სათავესთან ღამით მოენათლა.

ისევე, როგორც მაცხოვრის, ბავშვების ნათლობაც სწორედ ზამთარში მოხდა. ნათლობის დროს ბავშვები სასწაულის მოწმენი გახდნენ; თეთრ სამოსში გამოწყობილმა ბავშვებმა, რომლებიც ღამის სიბნელეს სანთლების შუქით არღვევდნენ, ზეციური ნათელი იხილეს: წყალი გათბა და ნათლის ანგელოზები გამოჩნდნენ ზეცაზე, რომლებიც გალობით განამტკიცებდნენ მათ სარწმუნოებაში.

წარმართმა მშობლებმა ბავშვები ლანძღვაგინებით წაიყვანეს სახლებში. რამდენიმე დღის მანძილზე ვერც მოფერებამ და ვერც მუქარამ ვერ გადაათქმევინა ბავშვებს, უარი ეთქვათ ქრისტიანობაზე.

შვილების სიმტკიცით განრისხებულმა მშობლებმა მთავარს მიმართეს, წარმართმა მთავარმა სრული უფლება მისცა, რაც სურდათ, ის ეღონათ შვილების წინააღმდეგ. მშობლებმა მთავრისგან ბავშვების ქვით ჩაქოლვის ნებართვა ითხოვეს. მათ გადაწყვეტილებას ხელს ისიც უწყობდა, რომ წარმართული რელიგიური წარმოდგენის საფუძველზე, ნაყოფიერების ღვთაება რომ არ დაბერებულიყო და არ გარდაცვლილიყო, პერიოდულად მას ძალების განახლებისთვის მსხვერპლს სწირავდნენ. იმის შიშით, რომ შესაძლოა შვილების გაქრისტიანებისთვის ნაყოფიერების ღვთაებას მათი ფუძე მიეტოვებინა, წარმართმა მშობლებმა, მდინარე მტკვრის სათავესთან, იქ, სადაც მოინათლნენ ყრმები, დიდი ორმო ამოთხარეს და ბავშვები შიგ ჩაყარეს. პირველად უსჯულო მშობლებმა აიღეს ქვები ყრმების წინააღმდეგ, მათ სხვებმაც მიბაძეს და მცირე ხანში ორმო ქვებით ამოავსეს. წარმართებმა ხუცესიც სიკვდილის პირას მიიყვანეს და სოფლიდან გააძევეს.

მოგვიანებით, 7-9 წლის მოწამე ყრმები საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა მათი მოწამეობრივი ღვაწლის გამო. აღსანიშნავია, რომ მისი სახელი, ვინც ეს ამბავი შემოგვინახა, ისტორიას არ შემორჩა, მაგრამ ყველასთვის ცნობილია 9 კოლაელი ყრმის სახელი: ***გურამი, ადარნასე, ბაქარი, ვაჩე, ბარძიმი, დაჩი, ჯუანშერი, რამაზი და ფარსმანი.***

რამდენიმე წლის წინ თბილისის ვაზისუბნის დასახლებაში აშენდა ტაძარი, 9 კოლაელი ყრმის სახელზე, რომელთა ხსენებაც არის ახალი სტილით 7 მარტს.

***ანი ჩხეიძე***

1902 წლის 3 მარტს, დღის სამ საათზე, თბილისიდან 4-5 ვერსის (1 ვერსი — 1,668კმ) დაშორებით გამოჩნდა ავტომობილი, რომელშიც უცნობი სამხედრო პირები ისხდნენ. არავინ იცის, რა მოხდა — მძღოლმა მართვა არ იცოდა თუ სხვა მიზეზი იყო, მაგრამ ავარია კი შეემთხვა; ერთ-ერთ ქვეითად მოსიარულეს ისეთი ძალით დასჯახებია, რომ გონებადაკარგული კაცი გზის გადაღმა გადავარდნილა... ეს იყო პირველი ავარია თბილისში...

ავტომანქანა ჯერ კიდევ უცხო ხილი იყო. 1860 წლისთვის მსოფლიოში გამოშვებული ყოფილა სულ 11.000 სხვადასხვა ტიპის ავტომობილი. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ და ძვირად ღირებული სიამოვნებაც. ასეთი ფუფუნების უფლებას



**პანარ ლევასორი**

მხოლოდ მდიდრები და სამეფო ოჯახის წევრები აძლევდნენ თავს. რასაკვირველია, ტექნიკურ სიახლეს რუსეთმაც სწრაფად აუწყო ფეხი. 1901 წელს რუსეთის მიმოსვლის გზათა მინისტრის მ. ხილკოვის ინიციატივით და პირადი ხელმძღვანელობით, გადაწყდა საფრანგეთიდან გამოწერილი სამი ავტომობილის გამოცდა საქართველოს სამხედრო გზის რთული რელიეფის პირობებში. „დე დიონ-ბუტონის“ ფირმის ორი ავტომობილი ორადგილიანი იყო — 3,5 ცხ.ძ. სიმძლავრის, ხოლო მესამე — ოთხადგილიანი, 14 ცხ.ძ. სიმძლავრისა („პანარ ლევასორის“ ფირმისა); პირველ ორ მანქანას მართავდნენ თავად მინისტრი ხილკოვი და გრაფი ს. შულენბურგი, მესამეს კი — მარკიზი პასხანო. და აი, ავტომობილებისა და ცხენიანი ეკიპაჟების კოლონა 1901 წლის 19 სექტემბრის დილის 7 საათზე ქ. ვლადიკავკაზიდან თბილისის მიმართულებით დაიძრა. მეორე დღეს ისინი თბილისში შევიდნენ, რამაც, ბუნებრივია, აქაურთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სხვათა შორის, იმავე 1901 წელს ბორჯომის ხეობაშიც გამოჩნდა პირველი ავტომობილი.

1901 წლის გაზაფხულზე დიდ მთავარ ნიკოლოზ მიხეილის ძეს საფრანგეთში მოგზაურობის დროს შეუძენია „მორისის“ ფირმის 10 ცხ.ძ.-ის მქონე ოთხადგილიანი ავტომობილი, რომელიც ბათუმიდან რკინიგზით ჩაუტანიათ ბორჯომში (მძღოლ-მექანიკოსის ლეონ რენოლდის თანხლებით). დიდი მთავარი თითქმის ყოველდღე მოგზაურობდა ავტომობილით ბორჯომ-მიხაილოვის (ახლა ხაშური), ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმნის მიმართულებით. ავტომობილს ხშირად მოძრაობა ოღროჩოღრო გზებზე უხდებოდა, თანაც შემხვედრ ტრანსპორტს



**დე დიონ-ბუტონი**

ქვეითად მოსიარულენი, ცხენოსნები თუ მეურმეები არ ეპუებოდნენ თურმე და ესეც აძნელებდა სვლას. მიუხედავად ამისა, მაინც გაუვლია 1.200 ვერსი.

ამ მოგზაურობის დროს სერიოზული შემთხვევები არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ერთი ძაღლისა და ოთხი ქათმის გატანას და იმას, რომ „უცხენო ეკიპაჟს“ ადგილობრივი მცხოვრებნი გაოცებულნი და ზოგჯერ შემკრთალნიც კი აყოლებდნენ თურმე თვალს...

მთავარს განზრახული ჰქონდა ბორჯომიდან გოდერძის უღელტეხილით ბათუმში ჩასვლა. 1901 წლის 19 ივლისს, დილის 5 საათზე დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, მექანიკოსი ლეონ რენოლდი, აგრეთვე ორი მოწვეული სტუმარი გზას გაუდგნენ. იმავე დღეს 17 საათზე ბათუმელები უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ — თვითმავალ ტრანსპორტს მიჰყავდა ოთხი დამტვერილი მგზავრი, რაც მათ მიერ გავლილი მანძილის სიშორეზე მეტყველებდა. როგორც გაირკვა, ავტომობილის არც ერთი ნაწილი არ დაზიანებულა, არ გამოსულა მწყობრიდან არც ძრავა და არც საბურავები.

ამ მოვლენიდან სულ მალე თბილისში ჩამოდის დიდი მთავრის „მორისის“ ფირმის ავტომობილი... 1902 წლის გაზაფხულზე იგი ტექნიკური გაუმართაობის გამო თბილისის ამიერკავკასიის რკინიგზის სახელოსნოში გაიგზავნა შესაკეთებლად. 3 მარტს კი თბილისიდან 4-5 ვერსის დაშორებით მოხდა სწორედ ის ავტოავარია, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ.

დაზარალებული „მორისითვე“ მიუყვანიათ „თეთრ დუქანში“. ოფიცრებს გაურკვევიათ მისი ვინაობა და შემთხვევით იქვე მყოფი თანასოფლელებისთვის ჩაუბარებიათ. თვითონ კი ავტომობილით თბილისში დაბრუნებულან.

დაზარალებული აღმოჩნდა სოფელ დიღომში მცხოვრები 33 წლის ცნობილი ფალავანი თედო თეთრაშვილი. ვინაიდან თედოს მუშაობა აღარ შეეძლო, მის ძმას იორდანეს თედოს სახელით დახმარების ან პენსიის მისაღებად განცხადებითაც მიუმართავს დიდი მთავრისათვის, მაგრამ ამაოდ დამშვრალა...

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ძვირფასო მკითხველო, ერთ-ერთი პირველი ავტორალი საქართველოში გამართულა. საქართველოში პირველი ავტოსაგზაო შემთხვევა კი ავტომობილის რიგით მეორე გამოჩენას მოჰყოლია.

***გალაქტიონ ტაგანაშვილი***

## იაგუანა იაშკა „ხიპიშობს“...

თითქმის ნახევარი წელია, თბილისს „საკუთარი ჯუნგლები“ აქვს — ზოოპარკში შარშან, სექტემბერში გახსნილ ეგზოტარიუმს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ეს სახელი. რას არ ნახავთ აქ: ნილოსიდან ჩამობრძანებულ ნიანგ გენას, მოთმინებით რომ ელოდება მეზობელ ვოლიერში სატრფოს გაზრდას, პატარა ვაჟკაცს — იაგუანა იაშკას, თევზ-თუთიყუშებს, პითონებს, უამრავ ქვეწარმავალსა თუ თევზისებრთა ოჯახის წარმომადგენლებს, რომელთაც წუთითაც არ „ასვენებენ“ დამთვალიერებლები. ეგზოტარიუმის ბინადარნიც ისე შესჩვევიან ხალხმრავლობას, რომ არავითარი რეაქცია აღარ აქვთ და სითბოში გატრუნულები სქელი მინების მიღმა თვალებს ნებიერად ნაბავენ. აქ სტუმრობისას ჩემსავით ალბათ ბევრს გასჩენია კითხვა — ვინ უვლის ამ ეგზოტიკურ, თანაც ზოგიერთ მეტად საშიშ არსებასო? მათი „მომთვინიერებელი“ **დათო სადათელაშვილი** აღმოჩნდა, რომელიც სიამოვნებით დამთანხმდა ინტერვიუზე.

— *ბევრი სათოფეზეც არ ეკარება ქვეწარმავლებს. თქვენ რამ გიბიძგათ, ხელი მოგეკიდათ ამ არცთუ უხიფათო საქმისთვის?*

— ათი წლის წინ „შევხვდი“ ქვეწარმავლებს. გამოგიტყდებით და, პირველად მათთან მიკარება კი არა, სისინისაც კი შემეშინდა. მერე მივეჩვიე. პროფესიით ვეტექიმი ვარ, იმდენად მაინტერესებდა ამ უცნაურ არსებათა ბუნება, რომ გადავწყვიტე, მათ შესახებ ყველაფერი გამეგო... ეს კი შეუძლებელია, თუ უშუალოდ არ შეეხები, მათ ცხოვრებას არ ჩასწვდები...

— *იშვიათი ქვეწარმავლები თუ გყავთ?*

— ტეხასური ჩხრიალა იშვიათი, მეტად საშიში და შხამიანი გველია, თანაც ძალიან ლამაზია. „მას კომპიუტერს“ ეძახიან მეტსახელად. თუ სხვა გველმა მსხვერპლზე თავდასხმისას შეიძლება არასწორი ნახტომი გააკეთოს, ტეხასური ჩხრიალა სნაიპერივით ზუსტად არტყამს მიზანში.

— *ამ ქვეწარმავალთა შორის ყველაზე ორიგინალური რომელია?*

— ბაღის მახრჩობელა მხოლოდ ღამით ნადირობს, ახლა თაგვი რომ შეუსვა, პირს არ დააკარებს, მაგრამ საკმარისია შუქი ჩაუქრო, მყისვე ამოძრავდება...

— *უწყინარი გველი თუ არსებობს?*

— თუ არ გააღიზიანებ, უმეტესობა უწყინარია და ადამიანს არ ერჩის. მხოლოდ ორი სახეობაა, რომელთაც შეუმჩნევლად უნდა გაეცალო, თორემ მათ მომაკვდინებელ კბენას ვერ ასცდები. საერთოდ, გველს ადამიანის ეშინია და ზოგჯერ პათოლოგიური შიში აგრესიაში გადადის. მშვიდები არიან სამეფო გველებიც, რომლებიც აფრიკის ქვეყნებში მეფეებს კრიალოსანივით ეჭირათ ხელში. ორი კეთილი პითონიც გვყავს — ოჯახში ძაღლთან ერთად გაზრდილი.

— *ამბობენ, გველმა პატრონის შეყვარება იცისო.*

— ტყუილია. იგი მხოლოდ ეჩვევა პატრონის



სუნს. ერთი ჰერპეტოლოგი პითონს გამოჩეკის დღიდან ზრდიდა. უზარმაზარი გაზარდა. ერთხელ, კურდღელი მიართვა და გალიიდან ამოყვანა დაუპირა. პითონი ეძგერა პატრონის ხელს, რომელსაც კურდღლის სუნი ასდიოდა...

— *ალბათ დამთვალიერებელსაც თავისებური დამოკიდებულება აქვს ქვეწარმავალთა მიმართ.*

— ზოგს სძულს, ზოგს ეშინია, ზოგიც აღფრთოვანებული ვეღარ შორდება ვოლიერს, ათას რამეს მეკითხებიან. ერთმა მკითხა — კობრა ჰიპნოზს გამიკეთებსო? თავიდან მოსაშორებლად ვუპასუხე, კი-მეთქი. ერთი საათის შემდეგ ვხედავ, ის ბიჭი ისევ ვოლიერის წინ დგას და კობრას დაჟინებით მისჩერებია. რას აკეთებ-მეთქი, ვკითხე. მაინტერესებს, თუ დამაჰიპნოზებსო... საერთოდ, უამრავ ლეგენდას ჰყვებიან გველებზე, ვფიქრობ, ეს ფანტაზიის ნაყოფი უფროა...

— *აკვარიუმის წინ ნატვრის ასრულების მავედრებელნიც ხომ არ იკრიბებიან?*

— ერთხელ შევნიშნე, ოქროს თევზების აკვარიუმის წინ შეტყუპებული ხელისგულებით იდგნენ და რაღაცას ჩურჩულებდნენ. იქნებ ოცნების ასრულებას სთხოვდნენ თევზებს. სხვათა შორის, რამდენიმე სახეობის თევზს „ახლობლური“ დამოკიდებულება აქვს ჩემ მიმართ. რომელ მხარესაც წავალ, იმ მხარეს მოაწყდებიან ხოლმე. ხელს თუ ჩავყოფ აკვარიუმში, ზედ მეხვევიან.

— *იაგუანების მიმართ მგონი, განსაკუთრებით თბილი დამოკიდებულება გაქვს.*

— იაგუანები უწყინარი არსებები არიან და ცელქობა უყვართ. რომ ვაჭმევ, მეთამაშებიან. უნდა ნახო, რომ მოეფერები, თვალებს როგორ ნაბავენ. თუმცა ერთი მათგანი ვერაფრით მივიჩვიე, უცნაური ვინმეა. სულ მეჩხუბება, ჰგონია, ტერიტორიებს ვართმევ, პატარა იაგუანა იაშკაც „ბიჭობს“ უკვე. ისიც „მეხიპიშება“. ახლა გოგო-იაგუანა რომ შევუსვა, შეიძლება ცემით მოკლას.

***ეკა ლომიძე***



# შესაძლო ვარიანტები ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად...

## „კვირის პალიტრის" სამხედრო მიმომხილველის შესაძლო მოვლენათა ანალიზ



ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებამდე შინაგანი ჯარების პოსტებს დამატებითი გამაგრება ესაჭიროება

„კვირის პალიტრა" უბრალოდ, შეეცდება, იმ გამოცდილებათა ანალიზით რომელიც ამერიკელებმა 1991 წელს სპარსეთის ყურეში, მოგვიანებით კი, 1999-ში, ყოფილ იუგოსლავიაში და ახლახან, ავღანეთში მიიღეს, ივარაუდოს, პანკისის ხეობაში პენტაგონის დახმარებით როგორ შეიძლება დაიწყოს და განვითარდეს ე.წ. შეზღუდული ანტიტერორისტული ოპერაცია.

ჯერ დასადგენია, თუ ვის წინააღმდეგ უნდა ჩატარდეს ეს ოპერაცია. ხეობაში, ჩვენი აზრით, ორი დაჯგუფებაა — ერთი წმინდა კრიმინალური, მეორე კი — უფრო საბრძოლო.

კრიმინალურში თავმოყრილნი არიან როგორც იქაური ქისტები, ისე ძებნილები, მთელი საქართველოს მასშტაბით, ანუ ქართველი, რუსი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. მათ საერთო „საქმე" აკავშირებთ. ასეთ დანაშაულებრივ „საქმეებს" კი თავად პანკისის ხეობაში შექმნილი რეალური სიტუაცია უწყობს ხელს — იქ საქართველოს კანონმდებლობა ფაქტობრივად არ მოქმედებს. პანკისი ერთგვარი „თეთრი ლაქაა", სადაც კრიმინალურ ელემენტებს შეუძლიათ გადამალონ საქართველოს მთელი ტერიტორიიდან გატაცებული მძევლები, მანქანები თუ პირუტყვი. ეს ლეკიანობის ერთგვარი თანამედროვე სახეობაა.



მომავლისთვის არც საზღვაო მოდესანტეების გაწვრთნა გვაწყენდა...

ხეობის სოფლებში ასევე იმყოფება შეიარაღებულთა რამდენიმე დაჯგუფება, რომლებიც ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ებრძოდნენ რუსეთის ფედერალურ ძალებს და დღეს პანკისში ან თავს აფარებენ, ანდა ძალღონეს იკრებენ, რათა მაისისთვის, როცა მთებზე თოვლი დადნება, ბილიკებით ისევ ჩეჩნეთში გადავიდნენ საბრძოლველად.

რა საერთო აქვს ამ ორ, საქართველოსთვის უკანონო შეიარაღებულ დაჯგუფებას ერთმანეთთან?

არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავეებს ხანდახან ეხმარებოდნენ ის ჩეჩენი მეომრები, რომლებიც თავიანთ უმთავრეს მოვალეობად სამშობლოს — ჩეჩნეთის დაცვას მიიჩნევენ. ასევე, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თავის დროზე პანკისელი კრიმინალური ელემენტებიც იბრძოდნენ ჩეჩნეთში რუსეთის წინააღმდეგ.

გამოდის, რომ ანტიტერორისტული კამპანიის დაწყების შემთხვევაში მკვეთრად გამიჯვნა ძალზე ძნელი იქნება — ვინ გაარჩევს რომელია დამნაშავე და რომელი — თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჩეჩენი?

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ძალიან კარგი იქნება, თუკი ყველაფერი უსისხლოდ ჩაივლის (ნებისმიერი საბრძოლო ოპერაცია, რაც უნდა პატარა მასშტაბისა იყოს, არ არის დაზღვეული, რომ უსისხლოდ ჩაივლის), მაგრამ არც ის შეიძლება, რომ სისხლის დაღვრის შიშით საქართველომ კვლავ გადადოს პანკისის ხეობაში კანონიერების აღდგენა.

თუკი საქართველოში ჩამოსულმა ამერიკელმა სპეციალისტებმა თავიანთი გეგმის მიხედვით დაიწყეს 3-4 ქართული ბატალიონის მომზადება ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად, ეს პროცესი მაისის ბოლომდე არ დამთავრდება. ზაფხულისთვის კი პანკისის ხეობის ახლომახლო ტყეები უკვე შეფოთლილი იქნება და იქ შეფარებულ მცირერიცხოვან ჯგუფებს იოლად ვერავინ იპოვის. ანტიტერორისტული ოპერაციის დამგეგმავებმა ეს ფაქტორი აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ.

თავდაპირველად, ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა, ხეობაში არსებული შეიარაღებული ჯგუფებისთვის ხელისუფლებას გაეგზავნა ერთგვარი ულტიმატუმი იარაღისა და აღჭურვილობის ნებაყოფლობით ჩაბარების თაობაზე. ეს გარემოება შეამსუბუქებდა იმ პირთა შემდგომ ბედს, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ ჩადენილი საქართველოს ტერიტორიაზე; ხოლო ისინი, ვისაც ქართული კანონმდებლობის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღვით, ერთგვარ, ინტერნირებულთა ბანაკებში მოთავსდებოდნენ, სადაც გაირკვეოდა თითოეული მათგანის მომავალი.

მაგრამ, ვთქვათ, ზემოხსენებულიდან არაფერი გამოდის — ხეობაში მყოფნი იარაღის ჩაბარებას არ აპირებენ და ამაგრებენ თავდაცვით ზღუდეს. რას იზამს ოფიციალური თბილისი?

არ არის გამორიცხული, საქართველომ დაიწყოს იმ გამოცდილების გამოყენება, რასაც, იმედია, უახლოეს სამ თვეში ამერიკელების დახმარებით ქართველი სამხედრო სპეციალისტები შეისწავლიან.

თუკი შესაძლებელი ანტიტერორისტული ოპერაცია პანკისში ამერიკული სცენარით გათამაშდა — მაშინ არც ხეობის იმ ადგილების წერტილოვანი საჰაერო დაბომბვები უნდა გამოვრიცხოთ, სადაც თავს შეიარაღებული რაზმები აფარებენ. ასე იყო ნებისმიერი საბრძოლო ოპერაციის დაწყების წინ — ქუვეითში, კოსოვოსა თუ ავღანეთში. უბრალოდ, თეთრი სახლი თავისი ჯარისკაცების სიცოცხლეს უფრთხილდება და კარგი იქნება, თუ ამას ამერიკელი ინსტრუქტორები ქართულ გენერალიტეტსაც შთაუნერგავენ.

ანტიტერორისტული ოპერაციის დაგეგმვა პანკისის ხეობის სათანადო დაზვერვის გარეშე წარმოუდგენელია. თუკი პანკისის თავზე ფრენას მოუხშირებენ უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავები, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ცოტა ხანში რაღაც ოპერაცია დაიწყება.

(გაგრძელება იხ. გვ. 9)





P.S. პანკისში მყოფი ჩეჩნეთიდან ლტოლვილი ქალები და ბავშვები ანტიტერორისტულმა ოპერაციამ არ უნდა დააზარალოს

## გვასწავლიან ამერიკელი რეინჯერები „ხეზე ასვლას"?

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის უკვე სისტემატურად ქცეულმა საერთაშორისო დახმარებების პროგრამამ ყველასთვის მოულოდნელად, გასულ კვირას თითქმის საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია.

სიმართლე რომ ითქვას, უცხოურ სამხედრო დახმარებებს ჩვენი საზოგადოებაც ისე შეეჩვია, რომ კანონზომიერებად მიიჩნევს. უცბად კი მოსკოვმა საერთაშორისო ისტერიკა ატეხა — ქართველებმა ამერიკელ რეინჯერებს საშუალება მისცეს, ჩვენს საზღვართან გადმომსხდარიყვნენო.

სინამდვილეში საერთაშორისო თანამშრომლობა წინასწარ დაგეგმილი სცენარით მიმდინარეობს და ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ამ გაზაფხულზე ჩამოსვლა ჯერ კიდევ რამდენიმე თვით ადრე იყო ცნობილი, რაზეც „კვირის პალიტრა" თავის დროზე დაწვრილებით წერდა.

მაშინ აღვნიშნეთ, რომ შემოდგომაზე აქ მყოფმა ამერიკული სამხედრო უწყების შეფასების 26-კაციანმა ჯგუფმა, რომელსაც აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მრჩეველი საქართველოს საკითხებში ოთარ შალიკაშვილი ხელმძღვანელობდა, მოინახულა და შეისწავლა რამდენიმე ქართული ნაწილი დახმარების აღმოჩენის მიზნით.

მარტის შუა რიცხვებში სწორედ ამ სამხედრო ნაწილებში ჩამოვლენ ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები, რათა ანტიტერორისტული ოპერაციისთვის მოამზადონ ქართველი სპეცრაზმელები.

როგორც ჩანს, არჩევანი თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალებზე შეჩერდება. ამ ძალებში დღეისათვის სიით 860-ზე მეტი კაცი ირიცხება და იგი რამდენიმე დანაყოფისგან შედგება. სპეციალურ მომზადებას ამ ძალების „კომანდო"-ს ბატალიონის ნაწილი გაივლის. ამერიკელი ინსტრუქტორები შეიძლება ასევე გამოჩნდნენ ამ ძალების გომბორის ბაზაში და ეროვნული გვარდიის საჩხერის სამთო ბატალიონშიც. ცალკე პროგრამით მომზადდება „კომანდო"-ს ბატალიონის ერთი ასეულიც, რომელიც აითვისებს „იროკეზის" ტიპის შვეულმფრენებიდან ტაქტიკური საჰაერო დესანტის გადასხმის თავისებურებებს მთაგორიან და ტყიან რაიონებში.

გარდა წმინდა ფიზიკური, ტაქტიკური და საცეცხლე მომზადებისა, ამერიკელი შტაბის ოფიცრები ქართველ კოლეგებს ასწავლიან ანტიტერორისტული ოპერაციების დაგეგმვის ნიუანსებს. თავდაცვის მინისტრმა თევზაძემ ტყუილად არ გაუსვა ხაზი, რომ საბრძოლო ოპერაციის დაგეგმვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება — ჩვენს უახლეს ისტორიაში უხვადაა მწარე გაკვეთილები, როდესაც არასათანადოდ დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაციების გამო (თუნდაც აფხაზეთში შესვლა ან გალის მოვლენები) მარცხი ვიწვნიეთ.

საერთო ჯამში, ამერიკელი სამხედროები 3-4 ქართულ ბატალიონს მოამზადებენ შემდგომში ლოკალური ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად. მომზადების პროცესი ალბათ ზაფხულის დადგომისთვის დამთავრდება, რის შემდეგადაც იმედია, არანაკლებ 500-600 ქართველი სპეცრაზმელის მომზადების დონე მსოფლიოსას მიუახლოვდება. ამ დროისათვის შეიძლება პანკისის ხეობის პრობლემა პოლიტიკური გზითაც მოგვარდეს, თუმცა, იმდენი ტერიტორიული ხასიათის პრობლემა დაგვიგროვდა, რომ მომზადებული ქართული სპეცრაზმები უსაქმოდ ნამდვილად არ დარჩებიან.

პენტაგონიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ორიოდე კვირაში სავარაუდოდ გერმანიიდან (სადაც ევროპაში აშშ-ის ჯარების კონტინგენტის სარდლობაა განთავსებული) საქართველოში ჩამოვა ანტიტერორისტული ოპერაციების 50 ამერიკელი ინსტრუქტორი და 200-მდე ჯარისკაცი და სერჟანტი, რომლებსაც ამ პროგრამის ტექნიკური უზრუნველყოფის ფუნქცია დაეკისრებათ. ინსტრუქტორები ალბათ ორ ჯგუფში (თითოეული 125 კაცის შემადგენლობით) განმწესდებიან. ამერიკელი მაღალჩინოსანი სამხედროს განმარტებით, ჯერჯერობით მომზადების ამ პროგრამის ყველა ნიუანსი ბოლომდე არ არის დახვეწილი.

მომზადების პროგრამაში აუცილებლად იქნება ტაქტიკური დაზვერვის წარმოება მთაგორიან რელიეფზე, ასევე სნაიპერებისა და მართვადი იარაღის ოპერატორების მომზადება.

უზუსტესი, „წერტილოვანი" იარაღის გამოყენება ხშირად მოითხოვს იმ მზვერავთა გამოყენებას, რომლებიც გასანადგურებელი ობიექტის სიახლოვეს შეიპარებიან მოწინააღმდეგის ზურგში და ლაზერული მიზანმაჩვენებლით (ობიექტზე მიშვერილი ლაზერის სხივი აირეკლება ატმოსფეროში და საუკეთესო გეზის მაჩვენებელს წარმოადგენს ლაზერული დამიზნების მართვისსისტემიანი ბომბისთვის, რომელსაც თვითმფრინავი რამდენიმე ათეული კმ-ის დაშორებით აგდებს) ან რადიოგადამცემით მიუთითებენ პილოტს ზუსტ, დასაბომბ ადგილებს.

სნაიპერების მომზადებას ანტიტერორისტულ ოპერაციაში გამოსაყენებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მთელ მსოფლიოში. სპეცრაზმის სნაიპერმა არა მარტო ანტისნაიპერის ფუნქცია უნდა შეასრულოს (გააუვნებელყოს ტერორისტების სნაიპერები), არამედ წინასწარ მიცემული სადაზვერვო ინფორმაციისა და ზუსტი ფოტოსურათის დახმარებით შორი მანძილიდან მოსპოს ტერორისტების ხელმძღვანელები — უმეთაუროდ დარჩენილი შეიარაღებული რაზმი შედარებით ადვილი გასანადგურებელია.

ქართველ სპეცრაზმელებს ამერიკელი ინსტრუქტორები ალბათ სადივერსიო საქმესაც გააცნობენ. ტერორისტების ბანაკის სიახლოვეს უჩუმრად გადასხმული ანტიტერორისტული ჯგუფი მიმართული აფეთქების ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების (საბჭოთა МОН-50 ან МОН-90-ის მსგავსი) სწორედ დაყენებისა და დისტანციურად აფეთქების შემთხვევაში უკანდასახევ გზებს უჭრის ტერორისტებს.

ზემოჩამოთვლილ სპეციალობებში მომზადება აუცილებლად მოითხოვს სპეციარაღისა და აღჭურვილობის ჩამოტანას საქართველოში. ეს ამერიკული დახმარების ასევე ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი იქნება. განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭება ქართული სპეცრაზმების სნაიპერული შაშხანებით აღჭურვას, მათ შორის მსხვილკალიბრიანითაც. ბოლო დრომდე თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ძალების შეიარაღებაში ოთხიოდე 12,7 მმ კალიბრის ჩეხური სნაიპერული „ფალკონი" იყო. მისი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ძირითადად რუსული 7,62 მმ კალიბრის СВД-ებით აღჭურვილ ტერორისტებს სნაიპერული დუელი უფრო შორ მანძილზე შეიძლება მოუგო, თანაც ძლიერი, მსხვილკალიბრიანი ტყვია მოწინააღმდეგეს საფარშიც „აგნებს".

ქართველი სპეცრაზმელები ასევე უნდა ელოდნენ დაზვერვისა და დამიზნების თანამედროვე აპარატურის მიღებას პენტაგონიდან. მძლავრი ბინოკლების, ღამის ხედვის მოწყობილობების და სხვა სადაზვერვო საშუალებების გარეშე ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარება შეუძლებელია. ძალიან კარგი იქნება, ამერიკელებმა რამდენიმე უპილოტო სადაზვერვო თვითმფრინავი „პრედატორიც" რომ უფეშქაშონ ქართველ კოლეგებს — „პრედატორს" საჭიროების შემთხვევაში გინდ პანკისის თავზე ჩამოკიდებ 12-14 სთ-ით (მათი აფრენა ახმეტის აეროპორტიდანაც შეიძლება მისი გაწმენდის შემდეგ), ანდა სხვა კრიზისულ რაიონში გადაისვრი დროის რეალურ მასშტაბში სადაზვერვო ინფორმაციის მისაღებად.

ოცნება ყველაფერზე შეიძლება. თუმცა ვნახოთ, უახლოეს 3 თვეში როგორ განვითარდება მოვლენები. თუკი ყველაფერი წინასწარდასახული გეგმით წარიმართა, რჩება პატარა იმედი, რომ ადრე თუ გვიან საქართველო ტერიტორიულ მთლიანობას აღიდგენს.

**გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა**

# რისი მშინიათ და ვისგან იცავენ დეპუტატები თავს?!

„იმუნიტეტი“ ლექსიკოლოგიური განმარტების მიხედვით ხელშეუხებლობას ნიშნავს, თუმცა ქართველებმა ამ სიტყვას მამაპაპური და, რაღა თქმა უნდა, ზეპოლიტიკური შესატყვისი მოვუძებნეთ და ძლევამოსილებასთან გავაიგივეთ.

გაქვს იმუნიტეტი? — ე.ი. გაქვს ხელშეუხებლობის გარანტია და ძლევამოსილების მანტიამოსხმულს შეგიძლია ყველაფერი ჩაიდინო — ცილი დასწამო, იჩხუბო, იხულიგნო, დაჭრა, თუ „საჭიროა“, მოკლა კიდეც, დაგეგმო და განახორციელო ტერორისტული აქტები, იყო რუსეთის,



ამერიკის ან მოზამბიკის აგენტი და ა.შ.... ვერავინ ვერაფერს დაგაკლებს!

თუმცა, როგორც კი რომელიმე დეპუტატი რამეს დააშავებს, მაშინვე დღის წესრიგში იმუნიტეტის მოხსნა-არმოხსნის და, საერთოდ, მისი მიზანშეწონილობის საკითხი დგება ხოლმე. პარლამენტში აზრთა სხვადასხვაობაა. საეჭვოა, რომ იმუნიტეტგემოგასინჯულმა დეპუტატებმა ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიონ.

უნდა იცავდეს თუ არა დეპუტატს იმუნიტეტი? ამჯერად ეს თემა აქტუალური გახდა ბორის კაკუბავას მიერ გაკეთებული განცხადებების გამო. წინასწარ ძნელი სათქმელია, რომელი მხარის არგუმენტები გადაწონის. რეფორმატორ-ნაციონალისტები არათუ მხოლოდ იმუნიტეტის შეზღუდვის მომხრეები არიან, ამ საკითხზე ხელმოწერებსაც კი აგროვებენ. როგორც ერთ-ერთმა აქტივისტმა კობა დავითაშვილმა „კვირის პალიტრას“ განუცხადა, ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დეპუტატებს ამ პრივილეგიით სარგებლობის უფლება მოუსპონ.

***კობა დავითაშვილი:***

— რამდენი ხანია გავიძახით — დეპუტატს არ უნდა იცავდეს სისხლის სამართლებრივი იმუნიტეტი! სწორი არ არის, როცა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტის წევრი ასეთი იმუნიტეტით სარგებლობს. გამოდის, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო კრიმინალების თავშესაფარია? ჩვენ ვაცხადებთ — დეპუტატებს იმუნიტეტი უნდა შეეზღუდოთ. ეს არის აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ პარლამენტმა ნორმალურად იმუშაოს.

**— შეზღუდვაში კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— დღესდღეობით საქართველოს პარლამენტის წევრს იცავს სამი სახის იმუნიტეტი. პირველი გულისხმობს იმას, რომ დაუშვებელია დეპუტატის დაკავება, ჩხრეკა, დაპატიმრება, საქმის აღძვრა და ა.შ. თუკი ამაზე პარლამენტის თანხმობა არ იქნება. გამონაკლისს წარმოადგენს დანაშაულზე წასწრება,

თუმცა ამ შემთხვევაშიც პარლამენტის თანხმობაა აუცილებელი. თუ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ხმას არ მისცემს, დაკავებული დეპუტატი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. მეორე პუნქტის მიხედვით, პარლამენტის წევრი პასუხს არ აგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ გამონათქვამებზე პარლამენტში ან პარლამენტის გარეთ და მესამე — მას უფლება აქვს, არ გაამხილოს ინფორმაციის წყარო, თუ ეს ამომრჩეველია. ამ სამიდან ჩვენ მოვითხოვთ პირველი უფლების შეზღუდვას. მეორე და მესამე დარჩეს, ამის წინააღმდეგი არ ვართ.

**— ამ შეზღუდვით რა შეიცვლება პარლამენტში?**

— ძალიან ბევრი რამ. კერძოდ, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გაცილებით უფრო პატიოსანი ადამიანები იმუშავებენ. მოგეხსენებათ, ასეთი პრივილეგირებული ნორმის არსებობა ჩვენს პარლამენტში ძალიან ბევრ საეჭვო წარსულის მქონე პირს იზიდავს. პირდაპირ გეტყვით, ისინი აქ მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლებრივი იმუნიტეტისთვის მოდიან და არა საქმის გასაკეთებლად. ალბათ დამეთანხმებით, ასეთი არც დეპუტატები გვჭირდება და არც იმუნიტეტი.

**— ამ მოსაზრებას მთელი თქვენი ფრაქცია იზიარებს?**

— დიახ, სრული შემადგენლობით.

**— არ გეშინიათ, რომ ამას ერთ მშვენიერ დღეს თქვენს საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ?**

— არც ხელისუფლების რეპრესიების გვეშინია და არც მათ მიერ დადგმული პროვოკაციების. თუ დაგვიჭერენ, ეს მათთვის გაცილებით უარესი იქნება. ასე რომ, არა მგონია, გაბედონ.

**— ბატონო კობა, ეს საკითხი თითქმის ყოველთვის კონკრეტულ პიროვნებებთან მიმართებაში განიხილება ხოლმე. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მიზანი — ანგარიშსწორებაა.**

— არა, არა... ასე რატომ ფიქრობთ? ავიღოთ თუნდაც ლევან პირველის შემთხვევა. მის მიმართ სერიოზული ბრალდებები იყო წაყენებული, მაგრამ საქმე ვერ აღიძრა, ვინაიდან დეპუტატი გახლდათ და იმუნიტეტი იცავდა. კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით ლაპარაკია ზოგადად ყველა დეპუტატზე.

**— თუმცა ამჯერად ამ თემის გააქტიურება კაკუბავას განცხადებებს და საჯაიას თვითმკვლელობას „დაემთხვა“.**

— ჩემი აზრით, კაკუბავა არის აბსოლუტურად მიუღებელი, გაუმართლებელი მიმართულების პოლიტიკოსი და ამორალური კაცი, მაგრამ არა მგონია, მას დაუმტკიცონ ის მუხლი, რომელიც წაუყენეს („თვითმკვლელობამდე მიყვანა“). ძალიან მეეჭვება, რომ გამოძიებამ წარმატებას მიაღწიოს. აქ იმუნიტეტი არაფერ შუაშია. პროკურატურას ხომ უნდა გააჩნდეს შესაბამისი არგუმენტები? მაშინ გამოძიებამ უნდა დაამტკიცოს, რომ კაკუბავამ იცოდა, საჯაია თავს მოიკლავდა და სტატიები სწორედ ამ მიზნით გამოაქვეყნა.



*ნაციონალისტების მოსაზრებას არ იზიარებს თვით იმ კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც დეპუტატებისთვის იმუნიტეტის მოხსნა-არმოხსნის საკითხს არეგულირებს. როსტომ დოლიძეს მიაჩნია, რომ პარლამენტის წევრის ხარისხიანი მუშაობისთვის იმუნიტეტი აუცილებელია.*

***როსტომ დოლიძე:***

— ჯერ ერთი, იმუნიტეტი ქართველების მოგონილი არ გახლავთ. მეორეც, ის არავითარ შემთხვევაში არ ემსახურება იმას, რომ ვიღაც დაცვის ამ მექანიზმს ამოეფაროს და ბოროტად გამოიყენოს.

**— თუმცა, ჩვენი პარლამენტი ამისგან დაზღვეული არ არის.**



— გეთანხმებით, ასეთი ფაქტები არის, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ იმუნიტეტი საერთოდ გავაუქმოთ? იცით, რისთვის არის საჭირო დეპუტატის დაცვა? — იმიტომ, რომ შიშით გული არ უსკდებოდეს — ვაიმე, ახლა ამას რომ ვიტყვი, ან დამაპატიმრებენ, ან რამე პროვოკაციას მომიწყობენო. დეპუტატი დაზღვეული უნდა იყოს იმისგან, რომ არ შეაშინონ, არ აიძულონ და სახელმწიფოსთვის არსებითი პოზიციები არ დაათმობინონ. ერთეული შემთხვევების გამო იმუნიტეტის გაუქმება დაუშვებლად მიმაჩნია. ეს არის ძალიან დილეტანტური და პოპულისტური მიდგომა. საერთო ჯამში ისევ პარლამენტი დაზარალდება. დეპუტატებს დაცვა სჭირდებათ, ბატონო, რათა თავიანთი გასაკეთებელი საქმე გაბედულად აკეთონ.

დამერწმუნეთ, იმუნიტეტი რომ არ იყოს, ბევრ პარლამენტარს ციხეში უკრავდნენ თავს, მათ შორის, ალბათ მეც. განა იმიტომ, რომ დამნაშავე ან კრიმინალი ვარ? უბრალოდ... პროვოკაციის მოწყობას რა უნდა!

**— ბატონო როსტომ, იმუნიტეტის იმედით დეპუტატები ხშირად აკეთებენ უპასუხისმგებლო, ცილისმწამებლურ განცხადებებს. არც ამას უნდა დარეგულირება?**

— კონსტიტუციაში წერია — პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა მის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, მაგრამ თუკი ის გამიზნულად გაავრცელებს არასწორ, ინტრიგებზე აგებულ ინფორმაციებს, მას ეს მუხლი უკვე ვეღარ დაიცავს. ასე რომ, იმუნიტეტი აქ არაფერ შუაშია. თუ ჩვენს კომიტეტში პროკურატურიდან შემოვა დასაბუთებული და არგუმენტირებული მოთხოვნა რომელიმე დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე, ჩვენ ყველა კანონიერ ზომას მივიღებთ.

ამ საკითხზე საჭიროდ ჩავთვალეთ კომენტარი გვეთხოვა ერთხელ უკვე იმუნიტეტმოხსნილი დეპუტატის, ***ბორის კაკუბავასთვის***. ის ცალსახად მიიჩნევს, რომ პარლამენტის წევრს იმუნიტეტი აუცილებლად უნდა იცავდეს.

— მე ერთხელ უკვე მომიხსნეს იმუნიტეტი და ამით ჩემზე პოლიტიკური დევნა განახორციელეს. ორი წელი მორალური ტერორის ქვეშ სულ ტყუილად მამყოფეს მეც და ჩემი ოჯახიც. მეორედ იმუნიტეტის მოხსნა მე არ მემუქრება, ამას ვეღარ გააკეთებენ.

**— საჯაიას თვითმკვლელობასთან დაკავშირებით პრობლემები ხომ არ შეგექმნებათ?**

— გაიგეთ, ერთხელ და სამუდამოდ, არავითარი წვლილი და დანაშაული საჯაიას თვითმკვლელობაში მე არ მიმიძღვის. ე.ი. რა გამოდის, ქვეყანა უნდა დაინგრეს, დანაშაულიც უნდა ჩაიდინონ და თან არავინ არაფერი უნდა თქვას? ათი წელია ამ ხელისუფლებას ვლანძღავ და ვაგინებ, რატომ არ იკლავენ თავს? ამის გამო იმუნიტეტს ვერ მომიხსნიან, გამორიცხულია. მე დევნილთა ლიდერი ვარ, შესაძლებლობაც მაქვს და ავტორიტეტიც, რომ 100 ათასი დევნილი გამოვიყვანო და შევარდნაძის გადადგომა მოვათხოვნინო. ეს ძალიან კარგად იციან და სწორედ ამისთვის მებრძვიან. ჰგონიათ, ისევ გავიქცევი, მაგრამ არ გამოუვათ. არსად გაქცევას აღარ ვაპირებ.

**— იმუნიტეტი რომ არ გქონოდათ, ამ განცხადებებს მაინც გააკეთებდით?**

— ნებისმიერ შემთხვევაში გავაკეთებდი.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# მამებისადმი: ვისი გორისა ვართ?

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“-ო — მამების ნაფიქრია. ცოტაც, და საჯობნი აღარაფერი იქნება, ან მჯობნი აღარავინ დარჩება, ან კიდევ შვილებს მხოლოდ მამათა ვალების გადახდა და თავის მართლება მოუწევთ მომავლის წინაშე.

დღეს მამულს ის ურჩევნია, რომ ჯერ ისევ თქვენ დამსახურებულად, გვაჯობოთ შვილებს, რათა ერთად ვაჯობოთ საერთო ჭირსა და სატკივრებს; „ის ურჩევნია მამულსა“, რომ ყველა თაობა თავ-თავის ადგილზე გულით, გონებითა და მხრებით ბურჯად შეუდგეს მომავლისათვის უმჯობესისაკენ მიმართულ, წარსულიდან აწმყოზე გამავალ გამაერთიანებელ ხიდს, რომლის ასაშენებელი სულიერი მასალა, შრომითა და ბრძოლით, კაცურად, მზრუნველობით მოგვიმარაგეს ჩვენმა წინაპრებმა.

ამჟამინდელ, სულზე უარნათქვამი ხრწნადი ხორციელი ყოფის, გაუტანლობისა და უსინდისობის, გულგრილობის მატერიალურ ჭაობში ჩვენი თაობის წილი ბურჯი მყარად ვერ ჩაიდგმება, არაფერი არ გაიხარებს. ეს ჭაობი უნდა დაშრეს. დაშრობას საქმის მიზანმიმართული, შეგნებული კეთება ჭირდება — უსუსური „რა გვეშველება?“ „რა ხდება?“ ისმის მაშინ, როცა საკეთებელი ულევია და „კეთების“ უკმარისობაა, სიცარიელეა. ამ სიცარიელეს ჩვენი თაობა ვერ აავსებს. ეს თქვენი საკეთებელია.

„დაჭაობება“ გარდაუვალი და კანონზომიერი იყო. განახლებას მოწყურებულ უძველეს ერში რთული ცხოვრებით დაგროვილი ჭუჭყის გამომზეურება, ზედაპირზე ამოტივტივება, საკუთარი სულის სარკეში ჩვენი ყოფის მიჩქმალულ მანკიერებათა დანახვა და ამით შეძრწუნება აუცილებელი პროცესია. სისუფთავისაკენ სიღრმისეულმა ლტოლვამ ეს შეძრწუნება აუტანელი უნდა გახადოს და განწმენდის ერთიანი მცდელობის დაუოკებელ სურვილად, იმედად უნდა აქციოს. უღირსი ყოფით, უზომო ცხოველმოქმედებითა და უპრინციპობით დაგროვილ უკაცურობის „ნაგავში“ უსასრულო ფათური დაუშვებელია. დასუფთავების დროც მოდის.

უნიკალური ხვედრი გარგუნათ განგებამ: საქართველოს ჰყავს მთელი თაობა, რომელმაც, ყველაფერ ეროვნულისათვის ურთულეს პერიოდებში, შეძლო ეროვნულისათვის საჭირო საქმე მაინც ეკეთებინა, ენა, ტრადიცია, ურთიერთობათა ავ-კარგი, „წესის წესი“ და „საქმის წესი“ შემოენახა; თაობა, რომლის უმრავლეს წარმომადგენელს ერთად უშრომია, ერთმანეთი გამოუცდია; თაობა, რომლის შინაგან ენერგიას დღეს ძალუძს „ჭაობიდან“ ქვეყნის ამოწევა. ხვედრით გამორჩეულ თქვენს თაობას არ აკლია უღირსი და უვარგისი ისევე, როგორც ჩვენსას. უშეცდომო და უცოდველიც არც ერთი არ ვართ, მაგრამ ეს კიდევ უფრო ზრდის პასუხისმგებლობას თქვენს, როგორც თაობის, ნამოქმედარსა და საკეთებელზე. ეს პასუხისმგებლობა ჩვენს თაობასაც გენეტიკურ მემკვიდრეობად ერგო.

სწორედ თქვენმა თაობამ, ასეთი გამოცდილების, ბიოგრაფიისა და ბედის თაობამ, თუ მასში ჯანსაღმა შემართებამ და თავდავიწყების სულისკვეთებამ იმძლავრა, უნდა იტვირთოს მცდელობა საკუთარი თავის ამ მომაკვდინებელი არაკომპეტენტურობის, უსახელმწიფო, უქვეყნო, უერო ჭაობიდან ამოყვანისა, რაც ჭაობის დაშრობის საწინდარია — დღევანდელი ყოფა ხომ გარკვეულწილად თქვენი თაობის უმოქმედობისა, თუ თაობის წარმომადგენელთა („თაობელთა“) უვარგისი აქტიურობის ან, ზოგჯერ, უზნეობის შედეგია. თქვენმა თაობამ, რომელიც უკვე მართლა თაობაა და შეძლო ერთად ყოფნა მაშინ, როცა ეს ქვეყანას ბოლომდე არ შერგებია, ახლა საკუთრივ თავისი ქვეყნის სამსახურში უნდა შეძლოს თავმოყრა, ყველა იმ მტკივნეული კითხვის, რომელთა უპასუხობა ასე გვაწვალებს ყველას, მთავარ საერთო-საერო შეკითხვად ჩამოქნა და ამ შეკითხვაზე პასუხის ძიების ირგვლივ ჩვენი გაერთიანება. სანამ სახელმწიფოებრივი მოწყობის გვარობაზე დავიწყებდეთ დავას, იქნებ გავარკვიოთ ერმა და ბერმა: ვართ თუ არა ჯერ საერთოდ ქვეყანა, ვართ თუ არა ერი, რომელიც თვითონ არის თავისი თავის პატრონი, თავად მართავს ქვეყანას და ეს მართვაა სწორედ ჩვენი სახელმწიფო და ამიტომ ვართ დამოუკიდებელი; მოვემწიფდით თუ არა ერთიანი, ზრდასრული საზოგადოებრიობის ჩამოყალიბებისათვის, ვისწავლეთ თუ არა, არჩევა-ამორჩევა-არჩევნებთან ერთად გარჩევა; ვინ და რა არის საქართველო და როგორი საქართველო გვინდა? შეიძლება თუ არა იყო „კარგად“, როცა ქვეყანა არის „ავად“?

დღეს უამრავი შეკითხვა ისმის ირგვლივ, ადგილი აქვს ცალკეულ ძიებებს: ბევრი ჯგუფი, ძალა და ორგანიზაცია, პიროვნება ილვწის საზოგადოებრივი აზრის გამოსახატად — საზოგადოებრივი აზრი, მოქალაქის აზრი, ერის ხმა კი არ არსებობს, ძალა არა აქვს; ყველა ეძებს ცალცალკე, თუმცა ერთსა და იმავეს, თითოეულს ჰგონია, რომ მხოლოდ მისი ხედვაა ჭეშმარიტი; თითქოს ყველაფერი ვიცით ჩვენი ავ-კარგის შესახებ, ამ ცოდნას კი შედეგი არ მოაქვს; გაუწონასწორებელი ინფორმაციული ნიაღვრით ზომბირება მტყუან-მართლის აღრევას იწვევს. დღედამოსწრება ერთიანობას მივტირით, ერთობას გავიძახით, ერთიანობა კი არ გვაქვს — ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ არ გვქონდეს.

ქვეყანაზე, სახელმწიფოზე ამდენი ლაპარაკი თუ მართლა მამულის ყოფნა-არყოფნაზე ფიქრს, მის კეთილდღეობაზე წუხილს გულისხმობს (და არა მხოლოდ ინტერესთა ბანალურ ომსა და იაფფასიან პოპულიზმს), მაშინ ყველა შეკითხვის ერთად დასმა, პასუხების ერთად-ერად ძიება უნდა მოხერხდეს. სამსჯელოდ ერთად შეკრებას სჭირდება თქვენი თაობის ისეთი ძალისხმევა, რომელიც განაპირობებს ისტორიულ „განაჩენს“ — უსახელო, თუ სახელოვანი შევა ეს თაობა შთამომავალთა მეხსიერებაში. დრომ მოითხოვა დასაბუთება იმისა, თუ რა კეთდებოდა „მაშინ“ თაობის მიერ და როგორ, მართლა „ასე“ იყო, თუ „ისე“. პასუხს ამ ბედითი „შანსის“ გამოყენება გასცემს იმით, თუ რა გაკეთდება დღეს. როგორი იყო წარსული, რა იქნება მომავალში — უნდა გვითხრას აწმყომ, და მომავალი შეაფასებს აწმყოს.

აწმყო კი, ჯერჯერობით, მახინჯად და გულისმომკვლელად გახლეჩილია ორ ურთიერთგამომრიცხავ განცდად ქვეყნისადმი დამოკიდებულებისა და ქვეყანაში საკუთარი თავის აღქმის მიმართ: უსაშველო სიამაყისა და მწვავე სირცხვილის განცდებად, წრფელი სიყვარულისა და არმოწონების განცდებად. ულმობელი დრო ამ პოლუსებს შორის უმუხტო სიცარიელეში ჩანთქავს სიყვარულსა და სიამაყეს. დატოვებს მხოლოდ სირცხვილსა და არმოწონებას, რითაც დაკომპლექსებული, დაკოდილი ერი გადაგვარდება ან გადაშენდება. სიყვარულისა და სიამაყის გადარჩენა-გამარჯვებას, ჩვენში დაგროვილი, ეროვნული ორგანიზმისა და სუნთქვის მომწამვლელი სიბინძურისაგან გასუფთავებას გულწრფელი მონდომებისა და თავდადების ერთიანი სულისკვეთება „სჭირია“.

„ახალ“ დროშიც ყველაზე ქმედითუნარიანმა „ძველმა“ თაობამ მოგვეცით მაგალითი, რათა ჩვენც თაობად ჩამოვყალიბდეთ და გვერდით დაგიდგეთ. ჩვენ, უკვე მამები, მაგრამ, უპირველესად, თქვენი შვილები, დროზე ადრე წინ არ გაგასწრებთ, ნურც თქვენ გაგვიშვებთ, ნუ გაგვწირავთ, ნუ გაგვიმეტებთ. ნუ გადავაქცევთ თაობათა შორის კავშირს მექანიკურ და მოუმზადებელ გადაბარებად ესტაფეტისა. იქნებ, საყოველთაო აუცილებლობის გამო მაინც შევძლოთ „შეუძლებელი“, ვიფიქროთ ერთად, ვიშრომოთ ერთად, ვიბრძოლოთ ერთად, ვაშენოთ ერთად. ალბათ, ეს ურჩევნია მამულსა. შევძლებთ?

***კახაბერ შარტავა***

R

გენერალურმა პროკურატურამ ნუგზარ საჯაიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით „თვითმკვლელობამდე მიყვანის" მუხლით აღძრა საქმე. ძნელი სათქმელია, ვინ გადაჰყვება ამ საქმეს, მაგრამ ერთი კია, რომ ეს მუხლი ხუთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს და არ არის გამორიცხული, ვიღაც-ვიღაცებს ხუთი წელი მოუწიოთ ციხის კედლების ხეხვა. მოკლეს, თუ თავი მოიკლა, — დაახლოებით ასე გამოიყურება საზოგადოებაში ორად გაყოფილი აზრი. პრინციპში ის ვერსია, რომ უშიშროების საბჭოს მდივანს ვიღაც კაკუბავას და კიტოვანის განცხადებების გამო მოეკლა თავი, ცოტა არადამაჯერებლად გამოიყურება. მით უფრო, რომ ერთ-ერთი კულუარული ინფორმაციით, უშიშროების სამინისტრო მუშაობს იმ ვერსიაზეც, რომ მას კაბინეტში თვითმკვლელობამდე ტელეფონის ე.წ. „ვერტუშკაზე" დაურეკეს.

# „ბატონო ნუგზარ, თქვენი გულახდილობის შემეშინდა კიდეც..."

**მისი შეხვედრის მიზანი იყო, დავერწმუნებინე, რომ ჩემს წინააღმდეგ წამოსული ბინძური კამპანიის უკან ის კი არა, კახა თარგამაძე იდგა. და მე დავუჯერე. მაგრამ ნუგზარ საჯაიას შემთხვევაში მისი მორალი არ ჯდებოდა სხვათა მორალის ფარგლებში, იმიტომ, რომ მათ პრეზიდენტი, ჩემი აზრით, სჭირდებოდათ საკუთარი ინტერესებისათვის და ამაში საჯაია ხელს უშლიდა.**





საუბრის შემდეგ საჯაია მოსასვენებელ ოთახში გავიდა და თავი მოიკლა. თუ ეს ინფორმაცია, სიმართლეს შეესაბამება, მაშინ აშკარაა, რომ ნუგზარ საჯაია დიდ პოლიტიკურ თამაშს გადაჰყვა და საკუთარი ოჯახის უსაფრთხოების დასაცავად თავი გაწირა. საუბარია იმაზეც, რომ პრეზიდენტსა და მას შორის ბოლო ხანს დამოკიდებულება გაცივდა კანცელარიის ინტრიგებისა და ენატანიობის ფონზე. ცხადია, ამის მიზეზი ისევ და ისევ პრეზიდენტთან გარკვეული პიროვნებების მხრიდან „ნდობის მანდატის" მოპოვებაში უნდა ვეძიოთ. სხვათა შორის, ამაზე საუბრობს ელენე თევდორაძეც, რომელიც ჯერ კიდევ იანვრის თვეში შეხვდა მას და საჯაიას მხრიდან „სასახლის კარის" ინტრიგებზე ზედმეტად გულახდილი საუბრის შემდეგ შეშინებულსაც კი დაუტოვებია იქაურობა. მეორე მხრივ, საუბარი მიდის იმაზეც, რომ საჯაიას ჩამოცილებით, შევარდნაძის შესასუსტებლად ისევ და ისევ პრორუსული ძალა იყო დაინტერესებული. გარდა ამისა, ელენე თევდორაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ გოგიტიძე და კაკუბავა ინფორმაციას თემურ ხაჩიშვილისგან იღებდნენ. „კვირის პალიტრა" **ელენე თევდორაძესა** და **თემურ ხაჩიშვილს** ესაუბრა.

**— ქალბატონო ელენე, თქვენ განაცხადეთ, რომ ნუგზარ საჯაიას გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ტელეფონით ესაუბრეთ და საბედისწერო დღეს შეხვედრაც გქონდათ დაგეგმილი?**

— ბატონ ნუგზართან მისი თხოვნით, შეხვედრა მქონდა დაახლოებით თვე-ნახევრის წინ, რადგან მანამდე ერთ-ერთ ინტერვიუში განვაცხადე, რომ იმ ბინძური კამპანიის უკან, რომელიც ჩემს წინააღმდეგ დაიწყო, დგას ნუგზარ საჯაია. ბატონმა ნუგზარმა ძალზე შეწუხებულმა მითხრა: — ერთადერთი თერთმეტი წლის ბიჭი მყავს, იმას ვფიცავ, ეს ჩემგან არ მოდისო... იცით ეს, რატომ გითხარით? ძალზე მტკივნეულად აღიქვამდა იმას, რაც გაზეთებში უსამართლოდ იწერებოდა მის მიმართ. მე ისიც კი ვუთხარი, თქვენთან დაკავშირებით გაზეთებში ბევრი რამ იწერება, მაგრამ რატომ მიიღეთ ასე მტკივნეულად მაინცდამაინც ჩემგან-მეთქი. მიპასუხა — ხალხს თქვენი სჯერა და ამიტომ შევწუხდიო. შემდეგ კი, უკვე როცა კაკუბავამ გააკეთა განცხადებები, დავურეკე და თანადგომა გამოვუცხადე. მან მადლობის შემდეგ ბოდიშიც კი მომიხადა, — თქვენზე რომ იწერებოდა სისულელეები, მე თქვენთვის არ დამირეკავსო. გულახდილად გეტყვით — მხოლოდ თანადგომისთვის არ დამირეკავს. მე გავიაზრე, ვინ შეიძლებოდა მდგარიყო კაკუბავას უკან და ეს ბატონ ნუგზარს ვუთხარი კიდეც. ისიც ვუთხარი, რომ მას ამ ვერსიის გადამოწმება არ გაუჭირდებოდა.

**— რა უთხარით?**

— ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვერსიაა, მისი გადამოწმებაა საჭირო და შემდეგ შეიძლება თქმა.

**— გაჟღერდა, რომ კაკუბავა იქნება თუ კიტოვანი, მათ ვიღაც ალაპარაკებს. გასაგებია, რომ ისინი პრორუსული ორიენტაციის გამტარებლები არიან, მაგრამ მაინც, ვინ დგას მათ უკან? ხომ არ ფიქრობთ, რომ იგორ გიორგაძისგან იმართებიან?**

— მოდი, მე არ დავაკონკრეტებ პრესაში იმ ვერსიას, რაც უკვე მივაწოდე უშიშროების სამსახურს.

**— თქვენ ტელევიზიით ახსენეთ თემურ ხაჩიშვილის გვარი, შესაძლოა, „აღორძინების" ბლოკს სწორედ მან მიაწოდა ეს ინფორმაციები.**

— გეთანხმებით. შესაძლოა, რომ ეს მოდიოდეს ხაჩიშვილისგან, რადგან ამ მოვლენებს ხაჩიშვილის ინტერვიუ და შეხვედრები უსწრებდა წინ.

**— თვითონ ხაჩიშვილი ვისგან იმართება?**

— ეს უკვე უშიშროების სამინისტროს პრეროგატივაა, მე როგორც ვიცი, პრორუსული ძალაა და დღემდე იგორ გიორგაძის ერთგულია. თუმცა დღეს ის ციხეშია.

**— თქვენ თუ გჯერათ, რომ ბატონმა ნუგზარმა მართლაც პუბლიკაციების გამო მოიკლა თავი?**

— მართალი გითხრათ, არ წამიკითხავს, მაგრამ ტერაქტების დამგეგმავი ბატონი ნუგზარი ნამდვილად ვერ იქნებოდა. იმიტომ, რომ 1995 წელს იგი ჯერ კიდევ არ იყო პრეზიდენტთან ასე დაახლოებული. არშემდგარი ტერაქტის დროს, რა თქმა უნდა, იყო უკვე ბატონი ნუგზარი ამ თანამდებობაზე. მე მეტს გეტყვით. ალბათ, ამაზე ღიად ლაპარაკი უკვე შეიძლება, თუმცა აქამდე არ მითქვამს. როცა არშემდგარ ტერაქტთან დაკავშირებით უცებ დაიწყეს ხალხის აყვანა, პირველ დღეს აიყვანეს უშიშროებისა და პოლიციის ძალიან ბევრი ყოფილი თანამშრომელი. გვარი არ მახსოვს, ერთ-ერთის ოჯახის წევრმა დამირეკა ისტერიულად და დახმარება მთხოვა. აღარ მახსოვს, ვის დავუკავშირდი, მაგრამ ის კაცი გამოუშვეს, მოგვიანებით იგი მადლობის გადასახდელად შემხვდა და მითხრა, რომ მათი აყვანა მოხდა ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მასალებზე დაყრდნობით. ამ მასალების მიხედვით, ედუარდ შევარდნაძეზე მზადდებოდა ტერაქტი. როდესაც ეს მე გავაჟღერე პრესაში, ბატონმა ნუგზარმა დამირეკა და მითხრა: „ქ-ნო ელენე, ჩვენ მეგობრები გვეხმარებიან. შეიკავეთ თავი და ამაზე ხმამაღლა ნურაფერს იტყვით". ეს ჩემთვის საკმარისი იყო და არაფერი აღარ მითქვამს.

**— როგორ, ცსს-მ დაასახელა გვარებიც?**

— არა, ფაქტზე იყო ლაპარაკი და შეიძლება მინიშნებებიც იყო. ასე ღრმად არ ვიცი. ასე რომ, გამორიცხულია, მის კაბინეტში რაიმე ტერაქტის მოწყობაზე ყოფილიყო ლაპარაკი. რაც შეეხება პუბლიკაციებს, ინტერვიუს დასაწყისში მე უკვე გითხარით, რამდენად მტკივნეულად იღებდა თითოეულ სიტყვას. ასე მგონია, როცა არც ერთი სიტყვა მართალი არ არის, აფექტის მომენტში შეიძლება ადამიანმა რაღაც დაუშავოს თავს, მაგრამ მისგან მოვისმინე ისიც, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში კანცელარიაში მას ჰქონდა გართულებული ურთიერთობები.

**— პრეზიდენტთან?**

— არ ვიტყვი, იმიტომ, რომ ბატონმა ნუგზარმა მაშინვე მთხოვა, ამაზე არსად მელაპარაკა. მაგრამ იმდენად გულისტკივილით მიამბო და გულახდილად, როდესაც ვშორდებოდით, ისიც კი ვუთხარი: ბატონო ნუგზარ, თქვენი გულახდილობის შემეშინდა კიდეც-მეთქი. ასე რომ, ეს ინტრიგებიც ვიცი და გარდა ამისა, რამდენჯერმე გამიმეორა ერთი და იგივე ფრაზა: „ხომ გჯერათ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, მე პრეზიდენტის ერთგული ვარო".

**— გასაგებია, რომ გვარებს არ ასახელებთ, მაგრამ მაშინ ზოგადად მითხარით: ამ ინტრიგებით პრეზიდენტის მოღალატედ უნდა გამოჩენილიყო?**

— იყო ლაპარაკი იმაზე, რომ პრეზიდენტს მიაწოდეს ცრუ ინფორმაციები და მან იგრძნო გაცივებული ურთიერთობა პრეზიდენტისაგან. განიცდიდა, რომ ეს ტყუილები პრეზიდენტს დააჯერეს.

**— სხვათა შორის, თქვენ გეკუთვნით ფრაზა: „ვიღაცა ცდილობდა მათ შორის უფსკრულის გაჩენას". ეს ვიღაც იყო, თუ ვიღაცები?**

— მოდით ასე გეტყვით: ის ერთ გვარს მისახელებდა.

**— არსებობს ინფორმაცია, რომ ნოემბერში, სანამ ძალოვანი მინისტრები გადადგებოდნენ, უნდა მომხდარიყო ჟვანია-სააკაშვილის დაპატიმრება. მათ პარლამენტშიც კი გაუთენებიათ ღამე. ეს რუსული ძალების გაბატონებას ისახავდა მიზნად. თუმცა როგორც გავიგე, ყოველივე ამას ნუგზარ საჯაია წინ აღდგომია. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— არა მხოლოდ ორი გვარი, თხუთმეტი გვარი ფიგურირებდა. მათ შორის ვიყავი მეც, იყვნენ გიორგი ბარამიძეც, კობა დავითაშვილიც... ბატონმა ნუგზარმა ჩემთან საუბარში ეს უარყო. თუმცა რამდენიმე დღის წინ ჩემთან მოვიდა პროკურატურის თანამშრომელი, რომელმაც საპირისპირო რამ მითხრა. თურმე, ეს საქმე დღესაც დევს პროკურატურაში.

**— თუ საჯაია მართლაც წინ აღუდგა თარგამაძე-მეფარიშვილ-ქუთათელაძეს, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ისინი საპირისპირო მხარეს აღმოჩნდნენ?**

— ქუთათელაძე გამორიცხეთ... მე გვარების ხმამაღლა დასახელება მიჭირს. ის მიამბობდა, როგორ ცდილობდნენ გარკვეული პირები, პრეზიდენტს დაეკარგა მის მიმართ ნდობა. ის იყო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი, რასაც ვერ ვიტყვი იმათზე, ვინც ჩვენი პრეზიდენტის წინ ტრიალებდნენ და დღესაც ტრიალებენ.

**(გაგრძელება იხ. გვ 8)**



# უნდათ თუ არა აფხაზებსა და ოსებს, მაინც ქართული პასპორტის აღება მოუწევთ...

უშიშროების საბჭოს მდივნის თვითმკვლელობამ ათასი ჭორი და ვერსია შვა. ზოგმა ნუგზარ საჯაიას სიკვდილის მიღმა გეოპოლიტიკური მიზეზები დაინახა, ზოგმა კი უბრალოდ — თავმოყვარე კაცის საქციელი, რომელმაც შეურაცხყოფის ჩამორეცხვა საკუთარი სიცოცხლის ფასად სცადა. ერთნი საჯაიას კაბინეტში რუსეთის კვალს ეძებენ, მეორენი კი სკამისთვის მებრძოლი ჩინოვნიკების ინტრიგას. ისიც თქვეს, ალბათ პრეზიდენტმა აწყენინაო. ერთი-ორჯერ წერილი ახსენეს, რომელსაც თითქმის ყოველთვის ტოვებენ თვითმკვლელები და რაკიღა იდუმალებით მოცული გენერლის კაბინეტში ბარათი ვერ იპოვეს, ახალმა ვერსიამ იჩინა თავი — ნუგზარ საჯაია ქილერმა მოკლაო.

ბევრი რამ ითქვა და ბევრიც ალბათ კიდევ ითქმება, მაგრამ ბოლო ორი კვირის მოვლენებში ლოგიკური ჯაჭვისა და უცნაური დამთხვევების დანახვაც შეიძლება.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი, პარლამენტარი **გია ყარყარაშვილი:**

— ვინც ამ იდეოლოგიურ თუ სპეცოპერაციას ამზადებდა, ალბათ კაკუბავას განცხადებებითაც მანიპულირებდა და ქვეყანაში განვითარებული პროცესებითაც. არა მგონია, ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობა გლობალურ პოლიტიკას უკავშირდებოდეს. ეს ნაბიჯი ვფიქრობ, მან პირადი შეურაცხყოფის გამო უფრო გადადგა.

**— ე.ი. თქვენ არ იზიარებთ ვერსიას, რომ ნუგზარ საჯაია გეოპოლიტიკურ პროცესებს შეეწირა?**

— დიახ. არც ის მგონია, მისი სკამისთვის ყოფილიყო ბრძოლა, რადგან ამ თანამდებობის მნიშვნელობას თავად ნუგზარ საჯაია განაპირობებდა. შეიძლება ხვალ კადრების დანიშვნის პრეროგატივა პრეზიდენტმა სხვა თანამდებობის პირს გადასცეს. მით უმეტეს, იყო დრო, როცა კადრებს კანცელარიის აპარატის უფროსი განაგებდა. საჯაია პრეზიდენტის ნდობით აღჭურვილი პირი ბრძანდებოდა და სწორედ ამ ნდობის გამო მიანიჭა მას პრეზიდენტმა დიდი უფლებები.

ნუგზარ საჯაიას პოლიტიკური მოტივით მიაყენეს შეურაცხყოფა და ასეთ ქმედებას — მიზნის მისაღწევად ყველა საშუალების გამოყენებას, თუნდაც ოპონენტები სიმართლეს ამბობდნენ, ვერასოდეს დავუჭერ მხარს. ზოგისთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის ისევ, ზოგისთვის კიდევ დასავლეთიდან, მაგრამ არ შეიძლება შეხედულებების სხვადასხვაობის გამო ადამიანი თვითმკვლელობამდე მივიყვანოთ.

აფექტში მყოფი ადამიანისათვის ბუნებრივად მიმაჩნია ასეთი საქციელი.

**— კაკუბავას, გოგიტიძისა და კიტოვანის განცხადებების დროში თანხვედრაზე რას იტყვით?**

— არ მინდა ეს პიროვნებები ერთ სიმაღლეზე დავაყენო. საინტერესოა, რის საფუძველზე ითქვა — ტერორისტული აქტები საჯაიას კაბინეტში იგეგმებოდაო. ხომ ვიცით, სინამდვილეში ვინ იდგა ხსენებული ტერაქტების უკან. პირადად ჩემზე განხორციელებული ფიზიკური ტერორიც არ მგონია საჯაიას კაბინეტში დაეგეგმათ. კაკუბავას ბრალდებებში ბევრი უზუსტობაა. კაკუბავას „შეცდომა" წინასწარ განზრახული ბოროტება უფროა, ვიდრე უნებლიე უზუსტობა, ხოლო კიტოვანი უთუოდ ამჯერადაც დაუფიქრებლად ლაპარაკობს.

**— ამ ორ პიროვნებას, რომლებიც საჯაიას ბრალმდებლებად მოგვევლინნენ, საერთო შტრიხი აქვთ — პრორუსული ორიენტაცია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პროცესი რუსეთის ხელით იმართებოდა?**

— დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში მათ რუსული მხარე მართავდა. ხომ შეიძლება სწორედ ის ჟურნალისტი იყო რუსულ წრესთან დაკავშირებული, რომელმაც განგებ დაუსვა პროვოკაციული შეკითხვები კიტოვანს?

**— რას ფიქრობთ, ვინ შეიძლება იდგეს ამ პიროვნებების უკან?**

— როდესაც ტელევიზიით კაკუბავას და იგორ გიორგაძის საუბრის აუდიოჩანაწერი მოგვასმენინეს, შევძრწუნდი. საქართველოს პარლამენტის წევრს იგორ გიორგაძე ისე ელაპარაკებოდა, ისე აძლევდა დავალებას, როგორც რიგით აგენტს. ამიტომაც არა მგონია, ამჯერადაც კაკუბავა იგორ გიორგაძისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდეს. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების პოლიტიკური ასპექტი მაფიქრებინებს, იგორ გიორგაძის რეანიმაციასთან არ გვქონდეს საქმე.

**— თუ იცით, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ საჯაიას და იგორ გიორგაძეს?**

— ნუგზარ საჯაია გიორგაძის შემდეგ მოვიდა ამ თანამდებობაზე. მათ ერთად არ უმუშავიათ. ურთიერთობა როგორ ექნებოდათ? — საჯაია პრეზიდენტის სამსახურში იყო, გიორგაძე კი ნალმებს „უდებდა" პრეზიდენტს.

**— საჯაიას ბრალმდებლის უკან ასლან აბაშიძეც მოიაზრება...**

— გამორიცხულია... ყოველ შემთხვევაში, არ მინდა ამის დაჯერება. შესაძლოა აბაშიძე პრორუსული შეხედულებებისა იყოს, მაგრამ მჯერა, ასლან აბაშიძე თავისი ქვეყნის წინააღმდეგ არაფერს მოიმოქმედებს.

**— თავად იგორ გიორგაძე საჯაის თვითმკვლელობას გამორიცხავს. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ საჯაიას მკვლელობის ვერსია?**

— ჩემს თავს ვერ ვაკადრებ ასეთი ვერსიის დაჯერებას. ასეთი აზრები ისეთ გონებაში იბადება, რომელსაც რეალობა არ აკმაყოფილებს და სენსაციას ეძებს. უშიშროების საბჭოში ისე ვერ შეხვალ, ვინმემ არ დაგინახოს. საჯაია ალბათ ენდობოდა თავის თანამშრომლებს. როგორ შეიძლება, მკვლელი არავის დაენახა. ყოველ ადამიანს აქვს აფექტის მომენტი, ალბათ, ნუგზარ საჯაიასაც ეს მომენტი დაუდგა.

**— და რისთვის გასწირა თავი საჯაიამ?**

— საკუთარი სახელის გადასარჩენად...

**— რას იტყვით მოსაზრებაზე, თითქოს პანკისში ანტიტერორისტული ოპერაციის გატარების სანაცვლოდ რუსეთს ამერიკა სამაჩაბლოს და აფხაზეთს უთმობს.**

— ვის რად უნდა პანკისი? ეს საკითხი საქართველოზე გავლენის მოპოვებისთვის წამოჭრეს. მსოფლიო სეპარატისტულ გამოხდომებს არასოდეს დააკმაყოფილებს, საერთაშორისო პრინციპები არ ცნობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. უნდათ თუ არა აფხაზებს და ოსებს, მაინც ქართული პასპორტის აღება მოუწევთ.

ვის რად უნდა პანკისი? ეს საკითხი საქართველოზე გავლენის მოპოვებისთვის წამოჭრეს. მსოფლიო სეპარატისტულ გამოხდომებს არასოდეს დააკმაყოფილებს,საერთაშორისო პრინციპები არ ცნობს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. უნდათ თუ არა აფხაზებს და ოსებს, მაინც ქართული პასპორტის აღება მოუწევთ.

**იზო რიკაძე**

# „ამერიკელები განახორციელებენ ანტიტერორისტულ ოპერაციას, წავლენ თავიანთ ქვეყანაში, ჩვენ კი პრობლემები შეგვექმნება...“



გასულ კვირას განვითარებული მოვლენების ბოლო აკორდი ჩვენს ქვეყანაში ამერიკელი სამხედრო ექსპერტების ჩამოსვლა იყო. ეს ფაქტი ბევრმა საქართველოზე რუსული გავლენის დასასრულის დასაწყისად აღიქვა. ამერიკელების ჩამოსვლა გარკვეულწილად უშიშროების საბჭოს მდივნის თვითმკვლელობასაც დაუკავშირეს. ბოლოდროინდელ მოვლენებთან ყველაზე „ახლო“ და „უხერხული“ შეხება „აღორძინების“ ბლოკს ჰქონდა. თუმცა აბაშიძის ბანაკი თავს „დამნაშავედ“ ოდნავადაც არ მიიჩნევს. „აღორძინების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ვალერი გელბახიანმა ისიც განაცხადა, რადგან ნუგზარ საჯაიამ თავი კანცელარიაში მოიკლა, ამ ჟესტით შევარდნაძის მიმართ გამოხატა პროტესტიო.

გთავაზობთ ინტერვიუს **ვალერი გელბახიანთან.**

**— ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში, კერძოდ, საჯაიას თვითმკვლელობასა და ამერიკელი სამხედროების ჩამოსვლას შორის ლოგიკურ კავშირს ხედავენ...**

— ცხადია, საჯაიამ იცოდა, რომ ამერიკელები საქართველოში ჩამოდიოდნენ. და არა მარტო იცოდა, იგი უშუალოდ მონაწილეობდა ამ პროცესში. რამდენად მოახდინა გავლენა ამ მოვლენამ მის თვითმკვლელობაზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვები. ნუგზარ საჯაიას სურდა სამსახურიდან წასვლა. ამის მიზეზი შეიძლება ისიც ყოფილიყო, რომ საქართველო ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა. სახელისუფლებო სტრუქტურებში სუპერკრიზისული მდგომარეობაა. ეს კაცი ხედავდა, რომ პოლიტიკურმა პროცესებმა, რომელშიც თავად მონაწილეობდა, მარცხი განიცადა. ალბათ ის განიცდიდა ამას და პასუხისმგებლობასაც გრძნობდა. ბოლო დროს, როგორც ამბობდნენ, მას დეპრესიაც ჰქონდა. ამას ყველა ამჩნევდა, საუბარი ყოფილა მის შეცვლაზეც. ბ-ნი ნუგზარი გამოსავალს ეძებდა და ალბათ, მიიჩნია, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება თვითმკვლელობა იქნებოდა.

**— ანუ მან რაღაც პროცესებს დაასწრო?**

— როგორც ჩანს, სამსახურიდან მისი წასვლის შემდეგ ისეთი მოვლენები განვითარდებოდა, რაც მის პრესტიჟს შელახავდა, შესაძლოა, მისი საქმიანობისთვის კრიმინალური კუდებიც გამოებათ. ეს ყველაფერი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა თავად ბ-ნ ნუგზარს და მის გარშემო მყოფ ადამიანებს, მის გამოზრდილ კადრებს. როგორც ჩანს, ისინი ძალიან დიდ დარტყმას მიიღებენ.

**— მაინც რა ელით ე.წ. „საჯაიას ბიჭებს“?**

— ეს მალე გამოჩნდება... არ შეიძლება ყველაფერმა „ჩაილურის წყალი“ დალიოს. პანკისის ხეობის პრობლემა ხომ ხელოვნურად შექმნილი პრობლემაა.

**— და ეს საჯაიას უკავშირდება?**

— რა თქმა უნდა. ამ პროცესებში მას მონაწილეობა ექნებოდა. როცა ჩეჩენი ლტოლვილები საქართველოში შემოვიდნენ, ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ ეს დიდი შეცდომა იყო, რადგან ამ ნაბიჯით ჩვენ ომს ვუცხადებდით რუსეთს. როცა საქართველო ზურგს უმაგრებდა ჩეჩენი პარტიზანების მოქმედებებს, არა მგონია ეს მხოლოდ კეთილმეზობლური განწყობით ან საქართველოს ხელისუფლების ნებით კეთდებოდა. ვფიქრობ, მაშინაც ხორციელდებოდა ის გეგმა, რომლის შედეგებიც დღეს გამოჩნდა. საქართველო აღმოჩნდა რუსეთის საწინააღმდეგოდ მოქმედი ცენტრების მოსამზადებელი პოლიგონი. დღეს ცხადი გახდა ისიც, რომ საქართველო ხდება ამერიკის პლაცდარმი ანტიტერორისტული ოპერაციების განხორციელების საქმეში. ყველა ამ პროცესში მონაწილეობდნენ საჯაია და მის მიერ დაწინაურებული კადრები. მაგრამ საქმე ისაა, რამდენად გადამწყვეტი ხმა ჰქონდა ამ პროცესებში ნუგზარ საჯაიას.

**— ანუ მიგაჩნიათ, რომ საჯაიას თავისი სიტყვა ვერ გაჰქონდა და გადაწყვეტილებებს სხვა იღებდა?**

— მის გარდა იყო პრეზიდენტი, უშიშროების სამსახური, დაზვერვის დეპარტამენტი...

უცნაურია, რომ ამერიკელების გამოჩენით თბილისის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა აზრი — წელში გავიმართებითო, — და ამაყად ასწიეს თავი. თუ ეს ლოკალური ღონისძიებაა, კი ბატონო, მაგრამ თუ საქართველო ანტიტერორისტულ, ანტიმუსლიმანურ და ანტიფუნდამენტალისტურ ოპერაციებში ჩაერთვება, ეს უმძიმესი შეცდომა იქნება. ამერიკელები ამ ოპერაციას განახორციელებენ, წავლენ თავიანთ ქვეყანაში, ჩვენ კი შეგვექმნება დიდი პრობლემები, რომელსაც ვერ გადავჭრით. არ უნდა ჩავერიოთ ასეთ ავანტიურაში. არ არის ეს ჩვენი ქვეყნის საქმე.

მთელი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები ღაღადებენ, რომ პანკისის ოპერაციის შემდეგ სულ მცირე 1,5 თვეში იწყება ანტიერაყული აგრესია, რომელშიც გამოიყენებენ საქართველოს აეროდრომებს. როგორ ფიქრობთ, საქართველოში აღმოფხვრილია მუსლიმანური ფაქტორი და საშიშროება არ შეიქმნება? პანკისის გაწმენდა ბოევიკებისაგან, პირველ ყოვლისა, რუსეთის ინტერესებში შედის. ჩეჩნური პრობლემა მანამ ექნება რუსეთს, სანამ აქ ჩეჩენი ბოევიკები იქნებიან. და ეს პრობლემა შეუქმნა მას საქართველომ. პანკისი იქცა ბაზად ჩეჩნური ომის გასაგრძელებლად და ეს შედიოდა დასავლეთისა და ამერიკის ინტერესებში. მათი მიზანი სამხრეთკავკასიური ქვეყნების მიერ რუსეთის დასუსტება იყო, მაგრამ მიმდინარე მოვლენების ანალიზი მაფიქრებინებს, რომ საქმე უფრო რუსულ-ამერიკულ შეთანხმებასთან უნდა გვქონდეს, ვიდრე ქართულ-ამერიკულთან. ღმერთმა ქნას, არ გამართლდეს ჩემი პესიმიზმი, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების გაუკუღმართებული პოლიტიკა დღემდე მხოლოდ საქართველოს და ქართველი ხალხის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

უცნაურია, რომ ამერიკელების გამოჩენით თბილისის სხვადასხვა პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა აზრი — წელში გავიმართებითო, — და ამაყად ასწიეს თავი. თუ ეს ლოკალური ღონისძიებაა, კი ბატონო, მაგრამ თუ საქართველო ანტიტერორისტულ, ანტიმუსლიმანურ და ანტიფუნდამენტალისტურ ოპერაციებში ჩაერთვება, ეს უმძიმესი შეცდომა იქნება. ამერიკელები ამ ოპერაციას განახორციელებენ, წავლენ თავიანთ ქვეყანაში, ჩვენ კი შეგვექმნება დიდი პრობლემები, რომელსაც ვერ გადავჭრით. არ უნდა ჩავერიოთ ასეთ ავანტიურაში. არ არის ეს ჩვენი ქვეყნის საქმე.

დღეს ჩვენ ჩიხში ვართ, საქართველო იძულებულია, ყველაფერზე დათანხმდეს, ოღონდ გადარჩეს, მაგრამ გადარჩება თუ არა, ძნელი სათქმელია.

**— ბ-ნო ვალერი, როცა კულუარებში „აღორძინებისა“ და ავთანდილ იოსელიანის დაპირისპირების მიზეზებზე საუბრობდნენ, ითქვა, — აბაშიძე მიხვდა აფხაზეთის პრობლემას ვერ მოაგვარებდა და მასზე მოსალოდნელ ტერაქტზე აპელირებას უხერხული ვითარებიდან თავის დაძვრენის მიზნით მიმართაო.**

— ასლან აბაშიძეს მხოლოდ ერთი ვიზიტი ჰქონდა რუსეთში და როგორ შეიძლება პროგნოზების გაკეთება, გაართმევს თუ არა ის ამ საქმეს თავს. თუ რაიმე პრობლემა დაინახა მან რუსეთში, მაშინვე განაცხადებდა, — ამ საქმეს თავს ვერ გავართმევო და მოიხსნიდა უფლებამოსილებას. მით უმეტეს, შეეძლო საბაბად ენგურზე მიმდინარე აქციაც მოეყვანა.

**— ასლან აბაშიძე ვალდებულია პარლამენტის წინაშე წარდგეს მის მიერ აფხაზეთის საკითხზე გაწეული საქმიანობის ანგარიშით. როგორ ფიქრობთ, ჩამოვა ბ-ნი ასლანი თბილისში?**

— როცა ბ-ნი ასლანი საჭიროდ ჩათვლის საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლას, აუცილებლად გადადგამს ამ ნაბიჯს.

***იზო რიკაძე***

# „ბატონო ნუგზარ, თქვენი გულახდილობის შემეშინდა კიდეც...“

**(დასაწყისი იხ. გვ. 7)**

**— თქვენ განმიცხადეთ, რომ ცილისწამება თქვენს წინააღმდეგ მოდიოდა კახა თარგამაძის მხრიდან და იანვრის თვეშიც სწორედ მის შესახებ გქონდათ საუბარი საჯაიასთან...**

— პრინციპში კი. უბრალოდ, მისი შეხვედრის მიზანი იყო, დავერწმუნებინე, რომ ჩემს წინააღმდეგ წამოსული ბინძური კამპანიის უკან ის კი არა, კახა თარგამაძე იდგა. და მე დავუჯერე., ნუგზარ საჯაიას შემთხვევაში მისი მორალი არ ჯდებოდა სხვათა მორალის ფარგლებში, იმიტომ, რომ მათ პრეზიდენტი, ჩემი აზრით, სჭირდებოდათ საკუთარი ინტერესებისათვის და ამაში საჯაია ხელს უშლიდა.

ელენე თევდორაძისგან განსხვავებით, **თემურ ხაჩიშვილი** ამჯერად უფრო თავშეკავებული აღმოჩნდა და ყველანაირად შეეცადა, რომ მისი პოზიცია უფრო ზოგადი ყოფილიყო. როგორც ჩანს, კაკუბავასა და გოგიტიძის სკანდალური განცხადებების ირგვლივ მოვლენების განვითარების ფონზე შს ყოფილი მინისტრი ამჯერად უკვე ფრთხილობს და ისევ ბათუმში ეტაპირებას ელოდება. თუმცა მისი ინტერვიუდან ბევრი დეტალი მაინც ძალზედ საინტერესოა.

**— ბატონო თემურ, „კვირის პალიტრაში“ თქვენ მიერ მიცემული ინტერვიუს შემდეგ მოვლენები სკანდალურად განვითარდა. მეორე დღესვე ჯემალ გოგიტიძემ გინახულათ და კიდევ ერთხელ მოითხოვა თქვენი ბათუმში ეტაპირება. გარდა ამისა, მისი მხრიდან ავთანდილ იოსელიანის დანაშაულებრივ ქმედებებში დადანაშაულება და ბორის კაკუბავას მიერ საჯაიას წინააღმდეგ მიმართული განცხადებები ერთ პერიოდს დაემთხვა. გავრცელდა ასეთი აზრი, რომ კაკუბავას და გოგიტიძეს ეს ინფორმაციები თქვენ მიაწოდეთ. მართალია?**

— რაც შეეხება ზოგიერთი პოლიტიკოსის განცხადებას, რომ საჯაიასა და იოსელიანის წინააღმდეგ კამპანია ჩემგან დაიწყო, ეს არის პოლიტიკური პროსტიტუციის კლასიკური მაგალითი. მე არასოდეს მოვრიდებივარ თანამდებობის პირებს და ვახმოვანებდი იმას, რასაც საჭიროდ ვთვლიდი. შემიძლიათ გაგახსენოთ თქვენივე გაზეთიდან კვირაიას, ბაბილაშვილის, შევარდნაძის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები, ასევე პანკისიდან აფხაზეთში ჩეჩნებისა და არაბების ვოიაჟი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ასე რომ, თუ საჭიროდ ჩავთვლიდი საჯაიაზე რაიმე ინფორმაციის გახმოვანებას, ამას როგორმე მე თვითონ გავაკეთებდი. იგივე შემიძლია ვთქვა ავთანდილ იოსელიანზე. არაფერს რომ არ ვამბობ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იოსელიანის საქმიანობაზე ინფორმირებული არ ვარ.

**— თქვენ თვითონ როგორ აფასებთ გოგიტიძისა და კაკუბავას განცხადებებს? თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?**

— მე ამ შეკითხვაზე პასუხისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ.

**— დღეს უკვე ხმამაღლა აცხადებენ, რომ ე.წ. ბინძური კამპანია, რომელსაც ადგილი ჰქონდა საჯაიას წინააღმდეგ პრესაში, პრორუსული ძალებისგან იყო ორგანიზებული. მინიშნება იგორ გიორგაძეზეც გაკეთდა. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— მკითხაობისგან თავი რომ შევიკავო და არ დავემსგავსო პოლიტოლოგებს, კონკრეტული ფაქტებით დაგელაპარაკებით — ვისგან მოდიოდა, საიდან მოდიოდა და იყო თუ არა ეს თვითმკვლელობა კაკუბავასა და კიტოვანის განცხადებებით გამოწვეული ტრაგედია. კონკრეტული ფაქტები კი ასეთია: 19 თებერვალს კაკუბავა აკეთებს განცხადებას საჯაიასა და იოსელიანზე. 20 თებერვალს შევარდნაძემ საჯაია და იოსელიანი დაიცვა. ამავე დროს იოსელიანმა და საჯაიამ საჩივარი შეიტანეს გენერალურ პროკურატურაში, 22 თებერვალს კაკუბავამ პრესკონფერენციაზე კვლავ დაადასტურა ფაქტი საჯაიასა და იოსელიანზე. ასევე განაცხადა, რომ ის ითანამშრომლებს პროკურატურასთან, თუ საჯაია და იოსელიანი გადადგებიან. პირად და ინტიმურ საკითხებზე კაკუბავას არ უსაუბრია. რაც შეეხება კიტოვანს, ინტიმური, შეურაცხმყოფელი ფრაზები გაისმა პირველად 21 თებერვალს ერთ გაზეთში და შემდეგ მეორეში, დაახლოებით იგივე, თვითმკვლელობის დღეს. მაგრამ თუ ტრაგედია აფექტის შედეგია, ის მაშინ თავს მოიკლავდა 21 თებერვალს და არა 25 თებერვალს. მოდით, შევაფასოთ საჯაიას პიროვნება. ეს იყო კაცი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა შევარდნაძესთან სამართალდამცავი ორგანოების ფაქტობრივ კურატორად. 80-იან წლებში, მას იგივე თანამდებობა ეკავა ცეკაში. ასეთი პიროვნება კიტოვანის ორი ინტერვიუს გამო მოიკლავდა თავს?! ჩვენს ხელისუფლებას ძალიან ცუდი წარმოდგენა აქვს ჩვენს საზოგადოებაზე და ფიქრობს, რომ ქართველი ხალხი ბრიყვია და ამ ვერსიას დააჯერებს. მე არ ვამტკიცებ და არ ვიმკითხავებ, მოკლეს ის თუ თავი მოიკლა, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საჯაია კიტოვანის განცხადებების გამო არავითარ შემთხვევაში თავს არ მოიკლავდა.

**— ეს გასაგებია, მაგრამ მაშინ რა შეიძლებოდა გამხდარიყო მისი თვითმკვლელობის მიზეზი?**



— ვერსიებზე თავს შევიკავებ. ზემოთ რაც გითხარით, იმიტომ გითხარით, რომ საზოგადოებამ თვითონ გამოიტანოს დასკვნა.

შევარდნაძე თავის გარშემო პოლიტიკურ ფიგურებს არ აჩერებს. მას თავის გარშემო ჰყავს ელემენტარულად ყურმოჭრილი მონები, ფუნქციონერები, რომლებიც ასრულებენ მხოლოდ შევარდნაძის ნებას, ანუ საჯაია დამოუკიდებელი არ იყო.

**— არსებობს ინფორმაცია, რომ საჯაიასა და თარგამაძეს შორისაც არსებობდა დაპირისპირება...**

— იქ, სადაც არსებობს ტოტალური, პატრონყმური ურთიერთობა, ვეზირები ყოველთვის იბრძვიან ერთმანეთში უკეთესი ადგილის დასაკავებლად, რადგან ეს ხალხი იბრძვის საკუთარი კეთილდღეობისთვის. დამისახელეთ ისეთი პიროვნება, რომელიც თანამდებობიდან წასვლის შემდეგ რაიმეს წარმოადგენს. გინდა კვირაია, გინდა ბაბილაშვილი, ქუთათელაძე, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ეს ხალხი სკამის გარეშე არც ინტელექტით, არც გონებით არაფერს არ წარმოადგენენ. იმიტომ არ იძლევიან ინტერვიუებს, რომ სალაპარაკო არაფერი აქვთ. საქართველოში მხოლოდ ერთი ფიგურაა. ეს არის ედუარდ შევარდნაძე. დანარჩენ კონკრეტულ დეტალებზე საჯაიას შესახებ ვერაფერს გეტყვით დღევანდელ დღეს.

დამისახელეთ ისეთი პიროვნება, რომელიც თანამდებობიდან წასვლის შემდეგ რაიმეს წარმოადგენს. გინდა კვირაია, გინდა ბაბილაშვილი, ქუთათელაძე, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ეს ხალხი სკამის გარეშე არც ინტელექტით, არც გონებით არაფერს არ წარმოადგენენ. იმიტომ არ იძლევიან ინტერვიუებს, რომ სალაპარაკო არაფერი აქვთ. საქართველოში მხოლოდ ერთი ფიგურაა. ეს არის ედუარდ შევარდნაძე. დანარჩენ კონკრეტულ დეტალებზე საჯაიას შესახებ ვერაფერს გეტყვით დღევანდელ დღეს.

**— მოგეხსენებათ, საერთაშორისო მედია უკვე საუბრობს პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად ამერიკის ცოცხალი ძალის ეტაპირებაზე. რა კომენტარს გააკეთებთ?**

— ერთი თვეც გავა და ორიც. ნახავთ, რომ არც ერთი ამერიკელი სამხედრო პანკისში ფეხს არ დაადგამს და იქ თოფს არ გაისვრის. ეს არის საინფორმაციო აფეთქება, აინტერესებთ, რა რეაქციას მოახდენდა რუსეთზე. მოამზადებენ ქართველ მეომრებს, რომლებმაც მერე უნდა აღადგინონ პანკისის კონსტიტუციური წყობა. რეალურად მივიღებთ იმას, რომ საქართველოში გაჩნდება ამერიკის ბაზის ჩანასახი. მეორეს მხრივ, პანკისი იქნება მუდმივად დაკონსერვებული და არაფერი შეიცვლება. უბრალოდ, ჩვენი ხელისუფლება დაიწყებს მტკიცებას, რომ პანკისში არაფერი ხდება. არადა, გელაევი დღესაც იქ არის და სიტუაციას აკონტროლებენ ის და არაბი ბოევიკები, „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლები. ასეთ ფონზე აფხაზეთისა და ოსეთის დაბრუნებაზე ფიქრი ზღაპარია. მე პირადად არ ვარ საქართველოში ამერიკელების გამოჩენის წინააღმდეგი, მაგრამ შევარდნაძე დღესაც იმავეს აკეთებს, რასაც წლების განმავლობაში აკეთებდა საქართველოში: პოლიტიკა მიჰყავს იქით, რომ რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების ფონზე შეინარჩუნოს ხელისუფლება. ახლა დაიწყებენ საუბარს, რუსები გვებრძვიან — აფხაზეთს ვერ ვიბრუნებთო.

**— ინტერვიუში, რომელიც ცოტა ხნის წინ მომეცით, განაცხადეთ, რომ გია ჭანტურია კვირაიამ მოაკვლევინა, თუმცა დასძინეთ, რომ ჭანტურიასა და აბაშიძეზე დაგეგმილი ტერაქტით არ მთავრდება საქმე, დანარჩენების თქმას კი ბათუმში ეტაპირების შემდეგ აპირებდით. მე მგონი, თქვენი ეტაპირება ახლო მომავალში არ მოხდება და იქნებ სჯობდეს ახლა გვიამბოთ, რაც გაქვთ სათქმელი?**

— ვითომ, რატომ არ მოხდება?! თუ ეს სასამართლო დადგენილება არ შესრულდა, მაშინ მე პირდაპირ შემიძლია განვაცხადო, რომ იმ რაზმებს, რომლებსაც ამერიკელები მოამზადებენ, შევარდნაძე გამოიყენებს საკუთარი პოლიტიკური ოპონენტების გასანადგურებლად.

***მარინა მამისაშვილი***

# შესაძლო ვარიანტები ანტიტერორისტული ოპერაციის ჩასატარებლად...



პანკისის ხეობაში მშენებარე ხადორჰესზე ტერაქტებია მოსალოდნელი...

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

არ არის გამორიცხული, ერთი-ორი ამერიკული თანამგზავრის ფრენის ტრაექტორიას კორექცია გაუკეთოს პენტაგონმა და ჩეჩნეთის მაგივრად (დღეისათვის რამდენიმე ამერიკული თანამგზავრი ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებს კოსმოსიდან ზვერავს) პანკისის „თავზე“ გეოსტაციონარულ ორბიტაზე „ჩამოკიდოს“. გარდა ამისა, ბუნებრივია, უნდა ამუშავდეს საარმიო და ოპერატიული დაზვერვის დანაყოფებიც.

და ერთ მშვენიერ დღეს, სადაზვერვო მონაცემებით დაგეგმილი ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყება — უზუსტესი საჰაერო დარტყმებით (მართვადი ბომბებისა და და რაკეტების გამოყენებით) განადგურდება შეიარაღებულთა ბანაკები და მათი საწყობები, რასაც მოჰყვება ტაქტიკური საჰაერო დესანტის გადასხმა შვეულმფრენებიდან (მათ შორის ამერიკელებისა და თურქების ნაჩუქარი „იროკეზებიდან“) ხეობის სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაღლეებზე, ასევე ტბათანასთან და მდ. ალაზნის და მდ. სამყურას სათავეებისკენ მიმავალი გზების გადასაკეტად.

ყოველივე ამის პარალელურად, სამხრეთიდან ალაზნის ორივე სანაპიროს აყოლებით, პანკისის ხეობაში შედის მძიმე ჯავშანტექნიკით გაძლიერებული ქვეითთა დანაყოფები, რომლებიც დაიცავენ პოლიციის, შინაგანი ჯარებისა და სპეცსამსახურების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც ხეობის სოფლებში ერთგვარი „წმენდა“ უნდა ჩაატარონ — უკანონო იარაღის, ასაფეთქებელი მასალებისა თუ ნარკოტიკების ამოსაღებად.

ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებამდე აუცილებელია პანკისის ხეობის მიმდებარე შინაგანი ჯარების ოთხივე საგუშაგოზე დამატებითი თავდაცვითი ზღუდეების აგება და იქ მყოფი გუშაგების ჯავშანჟილეტებით აღჭურვა, რადგან უძრავად მდგომი საგუშაგოები საუკეთესო სამიზნეს წარმოადგენენ, რაზეც ჩეჩნეთის ომის ანალიზიც მეტყველებს.

თუკი საქმე აქამდე მაინც მივიდა, მაშინ ანტიტერორისტული ოპერაციის დამგეგმავებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ „ნაღმური ომის“ საშიშროებაც. ჩეჩნეთის ომგამოვლილები საკმაოდ პროფესიონალურად და, რაც მთავარია, ეშმაკურად აყენებენ როგორც ჩვეულებრივ ნაღმებს, ისე რადიომართვად ფუგასებს. აქ შეიძლება ამერიკელი სპეციალისტების რჩევები არც გამოგვადგეს, რადგან ისინი შედარებით ნაკლებად იცნობენ ამ რეალობას. სამაგიეროდ, ხეობაში შესულ ქართველ ჯარისკაცებს აუცილებლად დასჭირდებათ იმ რამდენიმე თანამემამულე პარტიზანის გამოცდილების გაზიარება, რომლებიც აფხაზ სეპარატისტებს თავად „მიართმევდნენ“ ასეთ „სიურპრიზებს“.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ხეობაში მყოფთ საკმაოდ გააჩნიათ ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები და კუმულატიური ჭურვები, რომელთა მასობრივად გამოყენებამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს რეგულარული დანაყოფების ჯავშანტექნიკას. გარდა ამისა, არსებობს კიდევ ათობით წმინდა სამხედრო სახის ნიუანსი, რომელიც აუცილებლად გასათვალისწინებელია პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციის დაგეგმვის სტადიაშივე, მათ შორის ოპერაციის რაიონის ეფექტური ბლოკირება და ყველა იმ ტერორისტული აქტის თავიდანვე აღკვეთა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის ან მსხვილი დასახლებული პუნქტების მიმართ შეიძლება დაგეგმონ ხეობაში თავშეფარებულებმა.

**გ**ასული ორშაბათის, 25 თებერვლის საბედისწერო გასროლას მარტო საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ნუგზარ საჯაიას სიცოცხლე როდი შეეწირა. დროებით (და თანაც პოლიტიკურად ასე მწვავე მომენტში) გაწყდა ის ძირითადი რგოლი, რომელიც კრიზისულ სიტუაციებში ქვეყნის ოპერატიულად მართვის სისტემაში შედიოდა.

ამ სტატიის მთავარი თემა არ გახლავთ თვითმკვლელობის სავარაუდო მიზეზების მოძიება, თუმცა უსათუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ნუგზარ საჯაია მაშინ წავიდა, როდესაც რეალურად დაიწყო განხორციელება თავისი მთავარი მიზნისა — ახალი კადრების (განსაკუთრებით ძალოვან სტრუქტურებში) დიდი პოლიტიკის ასპარეზზე გამოჩენა. ეტყობა, ამანაც შეუწყო ხელი იმ საინფორმაციო შეტევის დაწყებას, რომელიც ბოლო თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ნუგზარ საჯაიას წინააღმდეგ.

შეიძლებოდა თუ არა საჯაია გადარჩენილიყო, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი გამოძიების თანახმად, მან მიბრჯნით ისროლა თავში?

თქვენ წარმოიდგინეთ, შეიძლებოდა, რადგან სურდათ უბის ჯიბით თითქმის 1 კგ-იანი „მაკაროვის“ ან უზარმაზარი АПС — „სტეჩკინის“ თრევა.

მსოფლიოს კრიმინალისტიკაში უამრავია ფაქტი, როდესაც მცირეკალიბრიანი პისტოლეტით თვითმკვლელობის მცდელობა არალეტალური შედეგით დამთავრებულა და ადამიანიც გადარჩენილა.

საქვეყნოდაა ცნობილი მიხაილ მარგოლინის მაგალითი — მან მოინდომა 6,35 მმ კალიბრის პისტოლეტით მოეკლა თავი, მაგრამ გადარჩა და შემდეგში იარაღის უცნობილესი კონსტრუქტორი გახდა; თუმცა თვითმკვლელობის მცდელობის შედეგად დაბრმავდა და სპორტული პისტოლეტი „მარგოლინი“ თვალით უნახავად შექმნა.

ცეცხლსასროლი იარაღით თვითმკვლელობის მცდელობისას, როგორც წესი, ლულას თავის არეზე იბჯენენ. თავის ქალისა და თავის ტვინის ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობას კრიმინალისტები ოთხ სახეობად ყოფენ — შემხებითი, გამჭოლი, ბრმა და რიკოშირებული. როგორი დაუჯერებელიც არ უნდა ჩანდეს, უფრო მეტი შანსია შემხებითი და რიკოშირებული ცეცხლსასროლი დაზიანების შედეგად ადამიანი დაიღ-

# გასროლის შემდეგ საჯაიას გადარჩენის მცირე შანსი მაინც არსებობდა



პისტოლეტი ПСМ და მისი 5.45მ კალიბრის ვაზნა

თვითმკვლელობის იარაღად მცირეკალიბრიანი ПСМ ტიპის პისტოლეტი იყო გამოყენებული და არა 7,62 მმ კალიბრის ТТ ან 9მმ-იანი ПМ „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტი.

**ჩვენი დოსიე: „თვითდამტენი მცირეკალიბრიანი პისტოლეტი“ — ПСМ 5,45 მმ კალიბრის ტყვიებს ისვრის. მისი სიგრძე სულ 15,5 სმ-ია, აქედან 8,5 სმ ლულას უკავია. პისტოლეტის მასა, ვაზნების გარეშე, 480 გ-ს არ აღემატება, ხოლო სავაზნე კოლოფში ჩადის 8 ვაზნა.**

ПСМ ტიპის პისტოლეტი 30 წლის წინათ შეიქმნა. იგი ძალზე გავრცელებული არ ყოფილა, თავიდანვე ერთგვარ პრესტიჟულ იარაღად ითვლებოდა და ძირითადად რაიკომის მდივნები და გენერლები ატარებდნენ.

ПСМ-ის ასეთი პოპულარობა საბჭოთა სახელისუფლო სტრუქტურებში იმანაც განაპირობა, რომ მსოფლიოში ამ კლასის იარაღებს შორის იგი ყველაზე თხელი გახლდათ — მისი სისქე სულ 18 მმ-ია. ჩინოვნიკებს კი ბუნებრივია, არ უპოს, ვიდრე ბრმა და მით უმეტეს, თავის ქალის გამჭოლი ჭრილობის დროს. უშიშროების საბჭოს მდივანს სწორედ ბრმა ჭრილობა აღმოაჩნდა, მაგრამ ექიმების დიდი მცდელობის მიუხედავად, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა, რაც ტყვიის შედარებით დიდი ენერგიითაც იყო გამოწვეული.

ის რომ ყოფილიყო „ბრაუნინგის“ მცირეკალიბრიანი (6,35 მმ) ტყვია, რომლის საწყისი სიჩქარე (ლულიდან გამოსვლის მომენტში) 230 მ/წმ არ აღემატება, ხოლო ენერგია 86 ჯოულია, ალბათ შეიძლებოდა გადარჩენაზე ფიქრი. ПСМ-ის 2,6 გ მასის ტყვიის საწყისი სიჩქარე 315 მ/წმ-ია, ხოლო საწყისი კინეტიკური ენერგია — 129 ჯოული. ამასთან ПСМ-ის ტყვიის გარსის შიგნითა გულა რკინისა და ტყვიისაგან შედგება, რაც აძლიერებს დამაზიანებელ ეფექტს.

ПСМ-ის ტიპის პისტოლეტი ბოლო ხანს მეორედ გამოდის დიდ „ასპარეზზე“ — რამდენიმე წლის წინ თავისივე სახლში ПСМ-თი მოკლეს რუსეთის დუმის წევრი, ცნობილი გენერალი ლევ როხლინი.

არსენალი

# ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს!..

## მაყუჩები — სპეცრაზმელების უცილობელი ატრიბუტი

სწორედ მაყუჩები იქცა ცეცხლსასროლი იარაღის იმ დამატებად, რამაც პისტოლეტისა თუ ავტომატის უხმაუროდ გამოყენების საშუალება მისცა მებრძოლებს.

საუკუნის წინ გამოჩნდა პირველი პატენტები იმ მოწყობილობებისა, რომლებიც გასროლის ხმას ახშობდა და ცეცხლის კვალს ნიღბავდა. პირველი მასობრივად გამოყენებული მაყუჩების „მშობლებად“ უნდა მივიჩნიოთ მამა-შვილი მაქსიმები — საქვეყნოდ ცნობილი ტყვიამფრქვევის, „მაქსიმის“ კონსტრუქტორები. თავდაპირველად, ამერიკაში მაყუჩებს „გემო“ სამხედროებზე ადრე განგსტერებმა გაუგეს, რის გამოც თეთრი სახლი იძულებული გახდა, 1934 წელს მიღებული კანონით შეეზღუდა მაყუჩების თავისუფლად გაყიდვა. ვისაც ამერიკელი პოლიციელები მაყუჩს აღმოუჩენდნენ, მას ჯარიმად უნდა გადაეხადა ათი ათასი დოლარი (რაც იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა იყო და თვითმფრინავის ყიდვაც კი შეიძლებოდა) ან ათი წლით „ეხეხა“ ციხე.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მაყუჩები სხვადასხვა ქვეყნის დივერსიული ჯგუფების შეიარაღებაშიც აღმოჩნდა — გერმანელი დივერსანტები მაყუჩიან „პარაბელუმის“ პისტოლეტებს იყენებდნენ. დაახლოებით ამავე პერიოდში ლავრენტი ბერიას ხელქვეითი საბჭოთა დივერსიული ჯგუფების აღჭურვილობაშიც გამოჩნდა შაშხანებზე დასაყენებელი „ბრამიტის“ ტიპის მაყუჩები.



მაყუჩიანი „ვალტერის“ პისტოლეტი (მარცხნივ) და სპეცრაზმელების საყვარელი იარაღი — მაყუჩიანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი MP5 (მარჯვნივ)



რუსი მებრძოლი სნაიპერული „Винторез“-იდან ისვრის

ალბათ უნდა აღინიშნოს, რომ პირველი თაობის მაყუჩები დიდად ეფექტური არ იყო. გასული საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ახალი კონსტრუქციის მაყუჩები შევიდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების შეიარაღებაში.

ძალზე მარტივად რომ ავხსნათ, გასროლისას ხმა მაშინ ისმის, როდესაც ტყვია ლულას ტოვებს. ამ დროს ტყვიას ზებგერითი საწყისი სიჩქარე აქვს და გასროლის ხმაც ამ დროს წარმოიქმნება. ხმა დეციბელებით იზომება. ხმადაბალი საუბრის დროს 56 დეციბელი ხმაური გამოიყოფა, საბეჭდი მანქანა — 84 დეციბელამდე ხმაურობს, ადამიანს ყურის ტკივილი კი 141 დეციბელზე ეწყება, არადა MP5 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი გასროლისას 157 დეციბელის ხმაურს წარმოშობს, „კოლტის“ მსხვილკალიბრიანი პისტოლეტი — 162-ს, ამერიკული ავტომატური შაშხანა M16 — 165-ს, ხოლო 122 მმ-იანი კალიბრის საბჭოთა ჰაუბიცის Д-30-ის გასროლისას 183 დეციბელი ხმაური გამოიყოფა. 220 დეციბელს კი ადამიანის მოკვლა შეუძლია.

აქედან გამომდინარე, კონსტრუქტორები ყოველთვის ცდილობენ, მათი შექმნილი იარაღი გასროლისას რაც შეიძლება ნაკლებად ხმაურობდეს, რათა მოწინააღმდეგემ სწრაფად არ აღმოაჩინოს მსროლელი. ხმის შემცირება ძირითადად ორი საშუალებით შეიძლება — იარაღზე მაყუჩის დაყენებით და ტყვიის საწყისი სიჩქარის ბგერამდელ სიჩქარემდე შემცირებით (ატმოსფეროში ბგერის გავრცელების სიჩქარე დაახლოებით 1080 კმ/სთ-ს აღწევს, თუმცა ეს მაჩვენებელი მერყეობს ტემპერატურისა და წნევის ცვლილებისას).

ტყვიის საწყისი სიჩქარის შესამცირებლად მასრაში საჭიროზე ნაკლებ დენთს ყრიან, რათა გასროლისას წარმოქმნილმა აირის წნევამ ტყვიას ზებგერითი სიჩქარე არ მიანიჭოს.

ბევრად უფრო პრობლემურია მაყუჩის კონსტრუქციის დახვეწა. თავდაპირველად მაყუჩი ერთგვარ ცილინდრს წარმოადგენდა, რომელშიც ფართოვდებოდა გასროლისას წარმოქმნილი მაღალტემპერატურული აირის ნაკადი. ტყვია გადიოდა რამდენიმერეზინიან „კედელში“, რომლებიც, თავის მხრივ, აფერხებდნენ აირის სწრაფად გამოდინებას ლულის ბოლოდან. ამ მაყუჩებს უარყოფითი მხარეც ჰქონდათ — რეზინის „კედლები“ რამდენიმე ჯერის შემდეგ კარგავდა ელასტიკურობას და ნელ-ნელა გასროლის ხმაც იზრდებოდა. თანამედროვე მაყუჩები ინტეგრალური სქემითაა შექმნილი და გასროლისას ტყვიას რეზინის „კედლები“ აღარ ელობება. დენთის აფეთქებისას წარმოქმნილი აირის ნაკადი ფართოვდება მაყუჩის შიგთავსში, ცივდება და მაყუჩის კედლებში ჩატანებული წვრილი ხვრელებიდან უხმაუროდ გამოდის ატმოსფეროში.



მაყუჩები ბოლომდე, რა თქმა უნდა, ვერ ახშობენ გასროლის ხმას, თუმცა 30-50 დეციბელით მაინც ამცირებენ. კარგ მსროლელს კი შეუძლია 80-100 დეციბელის ხმა ისე „შეუხამოს“ გარემოს ბუნებრივ ხმას (ქალაქის ხმაურს თუ ზღვის ღელვას), რომ მოწინააღმდეგემ ვერ დაადგინოს, რომელი მიმართულებიდან მოხდა გასროლა.

ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს რუსული უხმაურო პისტოლეტი ПСС, რომელსაც მაყუჩი არ სჭირდება, რადგან 7,62 მმ კალიბრის სპეციალურ ტყვიებს ისვრის. ეს პისტოლეტი, ისევე როგორც სხვა საბჭოთა სპეციარაღი — უხმაურო ავტომატი Вал-ი, სნაიპერული შაშხანა Винторез-ი და სხვა — ჩვენი თანამემამულის, აწ განსვენებული ალექსანდრე ხინიკაძის უშუალო მონაწილეობითაა შექმნილი.

მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილ სპეცრაზმელს საშუალება ეძლევა, ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას უხმაუროდ „მოხსნას“ მოწინააღმდეგის გუშაგი და შეუმჩნევლად დაიკავოს ტაქტიკური თვალსაზრისით მომგებიანი პოზიცია. თუკი პანკისის ხეობაში მაინც დაიწყება ანტიტერორისტული ოპერაცია, მაშინ აუცილებლად იქნება გამოყენებული მაყუჩიანი, უხმაურო სპეციარაღი. არ არის გამორიცხული, ამერიკულმა მხარემ ქართულ სპეცრაზმებს ამ სახის იარაღიც გადასცეს. თუმცა თეთრი სახლი ყოველთვის ფრთხილობს, იგი შემდგომში დამნაშავეების ხელში არ აღმოჩნდეს — ის, რაც კარგია ანტიტერორისტის ხელში, ნამდვილი ტერორისტიც მშვენივრად გამოიყენებს.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# უცნობი დეტალები მენშევიკების მიერ გადარჩენილი განძის ისტორიიდან

## მონად გაყიდული მათხოვარი სამშობლოში უფლისწულად დაბრუნდა

დაახლოებით ასოცი წელი გვაშორებს იმ დღიდან: ერუშეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, მდინარე ფოცხოვის სანაპირო ჭალებში ტანსაცმელდაკონკილი რამდენიმე ბიჭი პირუტყვს აძოვებს. ათი წლის სიმონმა იცის — თუ ძროხას კარგად არ გააძღებს, თვითონაც მშიერი დარჩება, რადგან „ფოთოლას“ დაბრუნებას მისი შვიდი და-ძმაც ელოდება, თუ ძროხამ ქოთანი ვერ გაავსო რძით, სიმონმა მხოლოდ ცივი მჭადზე უნდა გადაატაროს ვახშმობა. ხოლო თუ ნაწველმა საწყაოს გადაამეტა, ნამატი მთლიანად მისია. ო, რა გემრიელად შეექცევა ცხელ რძეში ჩაფშვნილ მჭადს. ამაზე გემრიელი ვახშამი გაღმა სოფელში რომ მოლა ყმუის, იმასაც არ ექნება ამ საღამოს. თუმცა მარილი ბოლო ხანებში იშვიათად ჩანს ოჯახში. შიმშილი გოზალიშვილების ოჯახისათვის დიდი ხნის ნაცნობი ხილია და უნდა თუ არა, ყოველდღე ახსენებს თავს პატარა მათხოვარს, რომელიც კვირადღეობით სოფელ ვალეს ბაზრობაზე მოწყალების თხოვნასაც არ ერიდება და ამგვარად შეგროვილი გროშები ოჯახის ბიუჯეტში შეაქვს. კიდევ იმაზე ნაღვლობს ბიჭი, რატომ ჩადის თურქეთში ერუშეთის მთაზე, ანუ საქართველოში ამოსული მზე ან ეს მდინარე და მისი შენაკადი ღელეები. ნიავიც კი რატომღაც აქედან იქით უბერავს, რად ხდება ასე, რაც კარგია და ლამაზი თურქეთში მიდის, აქ კი? ფიქრებში გართული ისე მოსწყდა ბიჭებს, ვერც შეამჩნია. ასე ხშირად ემართებოდა მეოცნებე სიმონს და არც მისი მეგობრები ტეხდნენ განგაშს ამის გამო. სოფელში იცოდნენ, რომ სიმონი ყველაზე გვიან ბრუნდებოდა სახლში თავისი საქონლით, მაგრამ იმ დღეს საქონელი სიმონის გარეშე დაბრუნდა...

შებინდებისას მდინარისპირა ლელიანში ბოჩოლას გამოსადენად რომ შეაბიჯა ბიჭმა, ვიღაც უხილავმა უკნიდან მოსასხამი ისე წამში გადააფარა, ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. მერე უცნობმა პირში რაღაც ჩასჩარა, ხელები უკან გაუკრა და მდინარეს მისცა თავი. იქვე, გაღმა კი თურქეთი იყო, უცნობის იღლიაში ამოჩრილმა სიმონმა იცოდა, რომ მდინარის გაღმა საშიში იყო. მართალია, იქაც ქართველები ცხოვრობდნენ, მაგრამ აქაურთაგან იქით არავინ გადადიოდა. აი, იქიდან კი სტუმრობდნენ აქეთურებს, თუმცა როგორღაც უხმაუროდ, ქურდულად. სულ ეს იყო, რაც ამერ-იმერის შესახებ იცოდა სიმონმა და იქნებ ისე დაბერებულიყო, მეტი ვერაფერი შეეტყო ამ ქვეყნის ცოდვა-მადლის შესახებ, რომ არა ის საბედისწერო დღე, დღე, რომელმაც უფლისწულად აქცია მათხოვარი.

### მათხოვრად გაყიდული უფლისწული

მოგვიანებით შეიტყო სიმონმა, რომ მისი გამტაცებელი საქართველოდან თურქეთს გადახვეწილი მისივე ერის შვილი იყო. თუმცა მისი სახე ერთხელაც არ უნახავს. ამ კაცმა გამთენიამდე ვიწრო ბილიკებით ატარა წელზე გამობმული პატარა ბიჭი. რიჟრაჟზე ერთ მოზრდილ სახლს მიადგა, სადღაც სოფლის განაპირას და ვიღაც სახეჩამომჭკნარ თურქს ჩააბარა სიმონი. ამ კაცმა ლავაშის ხმელი ნატეხი ჩასჩარა ხელში, ვირის უნაგირზე მიაბა, თვითონ სახედარს გადააჯდა და ვიდრე ინათებდა, ბიჭიანად გაერიდა სოფელს. მეორე თუ მესამე დღეს ფეხებიდან სისხლდამდინარი, არაქათგამოცლილი ტყვე და მისი პატრონი სადღაც ზღვისპირა ბაზრობას მიადგნენ. როგორ გაიხარებდა სხვა დროს ამ საოცრების ნახვით, მაგრამ ახლა ისე იყო მისუსტებული, აღტაცების ნაცვლად მხოლოდ კითხვა გამოესახა გაყინულ თვალებში. ვერ წარმოედგინა, რომ აქ გასაყიდად ჩამოიყვანეს. მეზობელი კათოლიკე მღვდლის ბავშვებთან ისწავლა წიგნის კითხვა და იცოდა — სწორედ იმხანად რუსეთსა და საქართველოში ბატონყმობა გადავარდა. ყმის გაყიდვა ბარე სამი ათიოდე წლის აკრძალული იყო. მაგრამ როცა კბილები და კუნთები მოუსინჯეს, მიხვდა, რომ მის გასხვისებაზე იყო ლაპარაკი. ამის შემდეგ კიდევ ორჯერ გაიყიდა ბიჭი, მეორე მყიდველი პირველს იმით სჯობდა, რომ სიმონს წიგნის კითხვას არ უშლიდა. მან ხომ იქაც, ისევე როგორც საქართველოში, სკოლისა და მასწავლებლის გარეშე მალულად ისწავლა კითხვა. წინა ორი პატრონი მისგან მხოლოდ ფიზიკურ შრომას ითხოვდა, აი, მესამემ კი, ასლან ბეიმ, როცა დარწმუნდა, ბიჭი სწავლისათვისაა მოწოდებულიო, მასწავლებელიც დაუქირავა, სტამბოლის სასწავლებლებიც შემოატარა და პარიზის უნივერსიტეტიც დაამთავრებინა სიმონს. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მან სამეცნიერო ხარისხიც დაიცვა და პროფესორის ადგილზე გამოცხადებული კონკურსიც მოიგო. ორი წლის განმავლობაში უკითხავდა ფრანგებს ფრანგულ ენასა და ლიტერატურას ქართველი ჭაბუკი, მაგრამ ასლან ბეი მის სტამბოლში დაბრუნებას ითხოვდა. არც გაემტყუნებოდა უშვილო მოხუცს, მან მონა მეფედ აქცია და ახლა უნდოდა იმ ხის ჩრდილში დაესვენა, რომელიც თვითონ ახარა. სიმონმა ხათრი ველარ გაუტეხა გამზრდელს და მისი რჩევით სტამბოლის სულთნის აკადემიის ფრანგული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგის ადგილის მოსაპოვებელ კონკურსში მიიღო მონაწილეობა. იმედი ჰქონდა, კონკურსში ვერ გავიმარჯვებ და მამობილი ისევ პარიზს დამაბრუნებს, ან ჩემთან ერთად წამოვა საფრანგეთში საცხოვრებლადო, მაგრამ კონკურსი მოიგო და თანაც იმგვარი წარმატებით, რომ თვითონ სულთანმა მიულოცა გამარჯვება. ოცდაოთხი წლის სიმონ გოზალიშვილი იმ აკადემიის კათედრის გამგე გახდა, სადაც იმ დროს სულთნისა და მისი კარისკაცების შვილები სწავლობდნენ. გაიხარა ასლან ბეიმ და შვილობილს რომ ახალ გარემოში თავი გარიყულად არ ეგრძნო, ყოველმხრივ ცდილობდა სტამბოლში მცხოვრებ ტიტულოვან ქართველებთან დაეახლოებინა იგი.



სიმონ გოზალიშვილი ცოლ-შვილთან ერთად

### დეზერტირი ქართველები

ასე გაიცნო სიმონმა მეფის არმიის ორი ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი — რაჟდენ წერეთელი და სერგო ლაბაძე, რომლებიც დებზე, ზესტაფონელი იაკობ გველესიანის ულამაზეს ასულებზე — ნინასა და ჟენიაზე იყვნენ დაქორწინებულები. უფრო სწორად, ორმა მეგობარმა ვაჟმა ორი ლამაზი და გაიტაცა და სტამბოლს შეაფარეს თავი. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ორივენი დეზერტირებად გამოაცხადეს სამშობლოში. რაჟდენმა და ნინამ ისე შეიყვარეს მათი თანამემამულე ახალგაზრდა მეცნიერი, რომ ორიდან ერთი გოგონა სიმონს, კათოლიკე ქართველს მოანათვლინეს.

ოთხი წელი გაგრძელდა სიმონისა და ქართველი ოფიცრების მეგობრობა. სიმონს ხშირად იწვევდნენ პარიზის, მადრიდის, ლონდონის, ბერლინის უნივერსიტეტები, სადაც ის ლექციებს კითხულობდა. ამ მოგზაურობებში ქართველი მეგობრები თან დაჰყვებოდნენ. ნინამ და ჟენიამ საუცხოოდ იცოდნენ ფრანგული და ინგლისური ენები. სტამბოლში თურქულიც და ბერძნულიც ისწავლეს. არანაკლები წარმატებები ჰქონდათ მათ მეუღლეებსაც. თუმცა მთლად ია-ვარდითაც არ ყოფილა მოფენილი მათთვის გზები. შემორჩენილია ნინა გველესიანი-წერეთლის ნაამბობი იმის შესახებ, რომ იქაც კი, თურქეთის დედაქალაქში, ვიღაც ფარულისაგან დევნის განცდა არ შორდებოდათ. განსაკუთრებით ეს რაჟდენსა და სერგოს ეხებოდათ. „ერთხელ, როცა სახლის აივანზე გამოვედი, ქუჩიდან ვიღაც ბოშა ქალმა ამომხედა და თავზარდამცემად შემომკივლა — შე უბედურო, სასწრაფოდ შეატყობინე ქმარს: ხმელეთით ივლის, მოკლავენ, ზღვით წამოვა, მაინც მოკლავენო.“ ნინამ მაშინვე დეპეშა აფრინა ათენში ქმართან. ორიოდე დღის შემდეგ, როცა რაჟდენი საბერძნეთიდან ჩამოასვენეს, მისი პიჯაკის გულის ჯიბეში უნახავთ ნინას გაგზავნილი დეპეშა, რომელმაც სამწუხაროდ, ვერ უშველა ვერც მას, ვერც სერგოს, რომელიც ამის შემდეგ ველარც მკვდარი იპოვეს და ველარც ცოცხალი.



ნინა გველესიანი

მალე ნინას ორივე გოგონა დაეღუპა. დარჩა სტამბოლში ორი ახალგაზრდა ქვრივი. ჟენიას იმედად ერთი გოგონა, ქეთი დარჩა.

ასეთ ვითარებაში დებისა და პატარა ქეთის საქართველოში დაბრუნება მათი ოჯახების ერთადერთმა ერთგულმა მეგობარმა, პროფესორმა სიმონ გოზალიშვილმა ითავა. გემი მშვიდობიანად მიადგა საქართველოს ნაპირს. „დეზერტირების“ ქვრივებმა ზესტაფონში, საკუთარ სახლში დაბრუნება სახიფათოდ მიიჩნიეს. ორივენი სოფელ შროშაში, რაჟდენ წერეთლის მარტოხელა დედას მიადგნენ, რომელმაც ამ დროისათვის არც შვილის, არც შვილიშვილების დაღუპვის ამბავი იცოდა და არც ის, რომ მისი სტუმრებიდან ერთ-ერთი მისი რძალი, რაჟდენის ქვრივი იყო. საკუთარი შვილებივით მიიღო ისინი გაუბედურებულმა დედამ...

გამიჭირდება იმის აღწერა, რაც შეიძლებოდა ვალეში მომხდარიყო ოცდაათი წლის წინ უგზო-უკვლოდ დაკარგული სიმონის გამოჩენის გამო. მით უმეტეს, ამ ხნის მანძილზე სიმონის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილ არც ერთ წერილს არ მიუღწევია. საქართველოს დასალიერში გადაკარგულ ამ სოფელში კარგა ხანს დარჩა. სტამბოლში დაბრუნებამდე, ვიდრე თავისიანებს ეთხოვებოდა, საქართველოში ბოლშევიკებმა იმძლავრეს და სიმონმა ძლივს მიუსწრო ბათუმიდან გამავალ მენშევიკების ბოლო გემს, რომელსაც მთავრობასთან ერთად საქართველოს განძიც უნდა გაერიდებინა რუსული არმიისათვის. ის იყო, გემი უნდა დაძრულიყო, რომ უეცრად ვიღაცამ იყვირა — ჩემოდანი, განძით სავსე ერთი ჩემოდანი დაგვრჩაო. ვიღაცას უნდა გაერისკა და ეს ვიღაც პროფესორი სიმონ გოზალიშვილი აღმოჩნდა. იგი ამ დროს ტრაპთან ახლოს იდგა. არც დაფიქრებულა, ისე დაეშვა კიბეზე სირბილით, მიაღწია ჩემოდნამდე, სახელურს დასწვდა. დაითრია, მაგრამ... მიხვდა, რომ ერთი კაცი ამსიმძიმე ტვირთს ვერ მოერეოდა. გამვლელებს დახმარება სთხოვა, მაგრამ ბოლშევიკების მოახლოების გამო ნავსადგური ისეთ პანიკას მოეცვა, ყურიც არავინ ათხოვა. ამასობაში კი გემსა და ნაპირს შორის სიცარიელე ყოველწამს იზრდებოდა, სიმონი მიხვდა, ამ გემზე ამსვლელი აღარ იყო. განძისთვის უნდა მიეხედა. სადღაც მახლობლად, ვიღაც მგზავრის მიერ დატოვებული ურიკა დალანდა. განძით სავსე ჩემოდანი შემნახველ საკანს ჩააბარა საქართველოს მთავრობის სახელზე და შეფარული დეპეშით თავისიანებს ისიც აცნობა, შეატყობინეთ იმდღევანდელი რეისის მგზავრებს, რომ ნავსადგურში დარჩენილი ტვირთი იქვე ინახებაო. ამ დეპეშის ასლი წერილის ავტორს, არაერთგზის, საკუთარი თვალით აქვს გადაკითხული დიდი ხნის წინ ქუთაისში, ნინოშვილის ოთხ ნომერში, სადაც ზემონახსენები ჩემოდნის გამო საბოლოოდ დარჩა პროფესორი. ჩემოდანმა კი, უნდა ვივარაუდოთ, რომ მაინც ჩააღწია პარიზში.



ტარასი ეზიაშვილი

1918 წლის თებერვალი იდგა საქართველოში.

### გზები წამებისანი

ახლა თხრობაში ახალ სახელებს შემოვიტან, მაგრამ ისინი უკვე მოხსენებულთა ცხოვრების ნაწილნი გახდებიან. ქორეთელი დიაკვნის, საჩინო ეზიაშვილის ვაჟმა ტარასიმ სამხედრო სასწავლებელში მოისურვა სწავლა, მაგრამ საამისოდ კიევში ან პეტერბურგში უნდა ჩასულიყო, რასაც ფული სჭირდებოდა. ამ დროისათვის დიაკვანი უკვე გარდაცვლილი იყო. მისი უფროსი ვაჟი ივლიანე იმხანად დაქვრივდა და ოთხი მცირეწლოვანი ობოლი მოსავლელი დარჩა. ოცდათექვსმეტი წლის კაცმა დაიფიცა, ობლებს დედინაცვლის ხელში არ ჩავყრიო და ამ ფიცის ერთგული დარჩა. გული იმაზეც უკვდებოდა, უმცროსი ძმა რომ ეჩაგრებოდა. მოახერხა, ფული ისესხა და ტარასი სასწავლებელში გაუშვა. იმასაც დაჰპირდა — თუ იყოჩაღებ, სწავლის ბოლომდე მოგაწვდი საზრდოსო. ტარასიმ იყოჩაღა კი არა, წარჩინებით დაამთავრა კიევის იუნკერთა სასწავლებელი და კაპიტნის ეპოლეტებიც გაიკრა. მაგრამ...

რევოლუციის აკვანი ხომ პეტროგრადში დაირწა პირველად. უმალ რუსთაველი გაახსენდა კაპიტანს, — საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო და თავის დენშჩიკთან ერთად გამოემგზავრა საქართველოსკენ. როგორც იქნა, სახლამდე ჩამოაღწიეს. ოთხი თვე დაბორიალობდნენ მენშევიკი კაპიტანი და მისი ბოლშევიკი დენშჩიკი რუსეთის სტეპებში. მენშევიკების ტერიტორიაზე კაპიტან ეზიაშვილს გაჰყავდა რიგითი გორელოვი, ბოლშევიკების ზონაში კი ეს უკანასკნელი ყოჩაღობდა. ერთი სიტყვით, ბოლოს და ბოლოს, საქართველოში ჩამოაღწიეს.

ამ დროს ნინა წერეთელი კვლავაც დედამთილის ოჯახში ცხოვრობს. საქართველოში ისევ მენშევიკების მმართველობაა. სიმონ გოზალიშვილი ქუთაისშია. შროშის სკოლაში, სადაც ნინა უცხო ენებს ასწავლიდა, ახალი გამგე ინიშნება, მენშევიკური ორიენტაციის, მეფის არმიის ყოფილი ოფიცერი, ყოველმხრივ სრულყოფილი ვაჟკაცი ტარასი ეზიაშვილი. ტარასი დედანში კითხულობს ჰომეროსს, შესანიშნავად იცნობს მეცხრამეტე საუკუნის ფრანგულ და რუსულ ლიტერატურას, ბრწყინვალედ ფლობს არისტოკრატულ მანერებს, რამაც არ შეიძლება არ მოხიბლოს ქალი და ისინი შეუღლდნენ. ერთი წლის შემდეგ კი ორივენი ტარასის მშობლიურ სოფელ ქორეთში გადასახლდნენ, საჩხერის მახლობლად. რევოლუცია კი ისევ ბობოქრობს საქართველოში. ერთ დღეს რომ ქართველი მენშევიკები ჩაიქროლებენ, მეორე დღეს ოსები მიაწყდებიან და საჩხერეს აწიოკებენ. ბოლშევიკების გამოჩენასაც ელოდებიან. ისეთი დროა, ძაღლი პატრონს რომ ველარ იცნობს. შიგადაშიგ ფრანგებისა და ინგლისელების საჯარისო ბრიგადები ამყარებდნენ „წესრიგს“. ერთხელ, დილით, უცხო ენაზე მოლაპარაკე სამხედროებმა კაპიტანი ტარასი ეზიაშვილი სახლიდან გამოიყვანეს და იქვე, ტყეში მუხაზე მიაბეს — შენ მენშევიკების მოღალატე, დეზერტირი ხარ და უნდა დაგხვრიტოთო. ნინას ვიღაცამ შეატყობინა, ცუდადაა ტარასის საქმეო. ის-ისაა, რაზმის მეთაურმა ბრძანება უნდა გასცეს, ესროლეთო, გიჟივით შემოიჭრა ნინა. რაზმის უფროსს ბრძანება ყელში გაეჩხირა ულამაზესი ქალის დანახვაზე, ხოლო, როცა ქალმა ჯერ ესპანურ, მერე ინგლისურ ენებზე, ბოლოს კი სუფთა, უაქცენტო ფრანგულით ჰკითხა — მითხარით, რომელი ქვეყნის წარმომადგენლები ხართო, მეთაური მუხლებზე დავარდა და პირჯვარი გადაიწერა. ბრძანების გარეშე იგივე გაიმეორეს მისმა ხელქვეითებმაც. გაოგნებულმა ფრანგებმა, როცა გამოერკვნენ, აღიარეს, რომ აქ, ამ ველურების ქვეყანაში, მით უმეტეს, ტყეში, რომელიც უფრო ჯუნგლებს წააგავს, ვიდრე პარიზულ ბულონს, ამ საოცრების ხილვას, რა თქმა უნდა, ვერ წარმოიდგენდნენ. ხოლო, როცა საღამოს, „გილიოტინიდან“ თავდახსნილი ტარასისა და ნინას სახლში სუფრა გაიშალა „სტუმრების“ პატივსაცემად, სადაც გიტარის აკომპანემენტზე უმალვე გამოჩნდა, რომ ამ ველურებმა მართლაც ბევრად უფრო სრულყოფილად იციან სიმღერა-მოლხენა, სტენდალი, მოცარტი და ბეთჰოვენი, ერთხმად განაცხადეს, დღეის შემდეგ სამოთხე სწორედ ასე წარმოგვიდგენიაო.

### ეპილოგი

საქართველოში უსახლკაროდ და უსახსროდ ჩარჩენილი „ფრანგი პროფესორი“, სიმონ გოზალიშვილი, ქუთაისელმა მრეწველმა და დიდად განათლებულმა კაცმა თედო გაგუამ შეიფარა — ჩემს ერთადერთ ვაჟს კარგი ფრანგული ასწავლე და აქვე ჩემს სახლში იცხოვრე, შენი არაფერი მინდაო. მერე სიმონი ქუთაისის გიმნაზიაშიც მიიწვიეს მასწავლებლად და როგორც ლევან სანიკიძე აღნიშნავდა, გიმნაზიიდან სახლამდე მოწაფეებს ხშირად ხელში აყვანილი დაჰყავდათ რჩეულთაგანაც ბევრი რამით გამორჩეული მასწავლებელი. მოგვიანებით, როცა ქორეთში თავის ნათლიდედას ესტუმრა, სიმონს ტარასის და, ნინას მული, ვარვარა ჩაუვარდა გულში და მიუხედავად მათ შორის მნიშვნელოვანი ასაკობრივი სხვაობისა, მალე შეუღლდნენ. ცოლქმარს ვაჟი შეეძინა, რომელსაც სიმონმა მარსელი დაარქვა საფრანგეთის სიყვარულით. სიმონი 1930 წელს გარდაიცვალა. იმ დღეს საავადმყოფოდან გამოუწერიათ, სადაც ფილტვების ანთების გამო მკურნალობდნენ. ის და მისი ახალგაზრდა მეუღლე ბარგს ალაგებდნენ და შინ წასასვლელად ემზადებოდნენ. ქუჩაში სამგლოვიარო პროცესიას ჩაუვლია — თურმე სიმონის მოწაფე გარდაცვლილიყო. როცა სიმონს თავისი მოწაფის გვარი და სახელი გაუგონია, ესღა აღმოუთქვამს — ეს როგორ, მე ცოცხალი ვარ, ჩემი სხეულის ნაწილი კი მიწაში უნდა დამარხონო და იქვე გახეთქია გული. უცნაური სიკვდილია... ასე მხოლოდ დიდ ადამიანებს შეუძლიათ მოკვდნენ.

„ოცდაათიანი წლების დასაწყისში თურქეთში დიდი მიწისძვრა მომხდარა, მახსოვს, დედაჩემს სახეზე თავშალი წამოეხურა და მწარედ მოთქვამდა — შვილებო, ჩემო შვილებოო. მაშინ პატარა ვიყავი და არაფერი ვიცოდი, მოგვიანებით კი გავიგე, რომ დედაჩემი, ნინა გველესიანი სტამბოლში დაღუპული შვილების დანგრეულ საფლავებს დასტიროდა. იქნებ ამანაც დააჩქარა დედაჩემის სიკვდილი და ჩვენც, სამი პატარა ბიძია ივლიანეს მოსავლელი გავხდით, რომელიც თავის ოთხ ობოლსაც უდედოდ ინახავდა“, — იგონებს ნინას და ტარასის უმცროსი ქალიშვილი თინა ეზიაშვილი.

*ვაჟა გავაშელი*



ამ ანგარებიან სამყაროში ადამიანის ერთადერთი უანგარო და ერთგული მეგობარი, რომელიც არასდროს მიგატოვებს, არც გიღალატებს და არც არასდროს არ იქნება უმადური, ძაღლია... „როდესაც მთელი სიმდიდრე შემოგეფანტება და ყველაფერი დაინგრევა შენს ირგვლივ, მაშინაც კი მისი სიყვარული ისეთივე მარადიული იქნება, როგორც მზე ცის კამარაზე“, — ჯერ კიდევ 1870 წელს წერდა სენატორი ჯორჯ ვესტი. ეტყობა, სენატორის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები კარგად იციან ჩვენმა მაღალჩინოსნებმა.

# ძაღლი რომ გიყვარდეს, არ არის აუცილებელი, მილიონერი იყო...

## ბადრი ბიწაძის ძაღლი ქალაქში ყველაზე განსწავლულია

*როგორც შევიტყვეთ, თბილისში სპეციალისტთან ძაღლის გაწვრთნა თვეში (კვირაში სამჯერ — საათის ან საათ-ნახევრის განმავლობაში) დაახლოებით 50 ლარამდე ღირს. გვესაუბრება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოსამსახურეო კინოლოგიის ცენტრალური კლუბის „კინოლოგის“ თავმჯდომარე* **მიხეილ მოდებაძე**.

— შეიძლება ითქვას, უკვე სტაჟიანი კინოლოგი ვარ — 25 წელია, რაც კინოლოგიაში ვმუშაობ და ამ ხნის მანძილზე ვინ აღარ მინახავს აქ მოსული — უბრალო დამლაგებლიდან დაწყებული პარლამენტარებით დამთავრებული. სხვათა შორის, ჩვენს კლუბში სტალინის შვილი სვეტლანა ალილუევაც ხშირად მოდიოდა ხოლმე თავის ქალიშვილთან ერთად. ძალიან უყვარდა ძაღლები. ერთხელ თურმე ვაკის პარკში დაასეირნებდა თავის ძაღლს. უცნობ ქალს უთქვამს თავისი ბავშვისთვის — ნეტავ, რას დაატარებენ ამ ძაღლებს ქუჩაში, აქეთ გამოდი, შვილო, არ გიკბინოსო... სვეტლანა ისე გაბრაზებულა, რომ ქალი კარგად გაულანძღავს და უთქვამს: ეს ძაღლი კი არა, შენ თვითონ იკბინებიო. მახსოვს, ფრანგული ბულდოგი ჰყავდათ და ის ძაღლი მოჰყავდა ხოლმე ჩვენთან. ეზოში კი ყოველთვის „კაგებეს“ მანქანა ელოდებოდა — ეტყობა, ყველგან თან დაჰყვებოდნენ...

**— ბატონო მიხეილ, როგორც ვიცი, თქვენ მიერ ორგანიზებულ პირველ ჩემპიონატში, რომელიც 1988 წელს ძაღლების მრავალქიდში ჩატარდა, ჩემპიონი სწორედ ერთ-ერთი პარლამენტარის ძაღლი გახდა?**

— სხვათა შორის, არაჩვეულებრივი სანახაობა იყო. პირველობისთვის ძაღლებს სამ სახეობაში მოუწიათ ასპარეზობა. პირველი იყო წვრთნის საერთო კურსი — ანუ ქულების მოგროვება უფრო მეტად ძაღლების „ერუდიციაზე“ იყო დამოკიდებული. მეორე სახეობა იყო აჯილიტი (წინაღობების გადალახვა), მესამე სახეობამ კი — დამნაშავის დაკავებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია თვითონ ძაღლებშიც და მათ პატრონებშიც. „დამნაშავის“ დაკავებით გამოწვეულ სიხარულს ძაღლები ხმის გაწვრილებამდე ყეფით გამოხატავდნენ, მათი პატრონები კი მხიარული ყიჟინით და ძაღლების სახელთა შეძახილებით. შეჯიბრის ეს სახეობა ყველაზე მეტად აზარტული გამოდგა და მაყურებელი კიდევ უფრო გახალისდა, როდესაც „დამნაშავეს“ ზოგიერთმა ძაღლმა დაკავებისას „თამაშიც“ კი დაუწყო... აჯილიტში 17 ძაღლი მონაწილეობდა, პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება კი პარლამენტარ ზაზა სიორიძის გერმანულ ნაგაზს „ელტო-ბობის“ ერგო. „ელტო-ბობი“ მაშინ 1 წლის და 3 თვის იყო. დამნაშავის დაკავებაში კი პირველ ადგილზე გვარდიული კინოლოგიური სკოლის დასავლეთევროპული ნაგაზი, 1 წლის და 7 თვის „არჩიმურა“ გავიდა. სხვათა შორის, ზაზა სიორიძის ძაღლი საქართველოში ერთადერთი მამალი საჯიშე ნაგაზია, რომელიც 4 წლის წინ ჩვენთან კლუბში შეიძინა.

**— ბევრ ოჯახში გაუწვრთნელი ძაღლები ჰყავთ. როგორც პროფესიონალი კინოლოგი, რას იტყვით — ძაღლი აუცილებლად გაწვრთნილი უნდა იყოს?**

— გაწვრთნა არ სჭირდებათ მხოლოდ იმ ძაღლებს, რომელთაც მშობლები და ბებია-ბაბუები „ნასწავლები“ — ჯიშიანები ჰყავდათ. გაუწვრთნელი ძაღლისგან საფრთხე ყოველთვის არსებობს. ზოგი იტყვის ხოლმე: რა საჭიროა ძაღლის გაწვრთნა, ისედაც მშვენივრად ესმით ყველაფერიო. ასე არ არის... ვთქვათ, ქუჩაში ძაღლთან ერთად მიდიხართ და უცებ თქვენმა „უსწავლელმა“ მეგობარმა ყეფით გამვლელი დააფრთხო, თვითონ კი გაგექცათ. ქუჩაში, რა თქმა უნდა, ვერ დაიჭერთ. რომც დაუძახოთ და უბრძანოთ, თქვენთან მოვიდეს, არ დაგემორჩილებათ. ამიტომ ძაღლმა უნდა იცოდეს ქუჩაში მოქცევის წესები და უნდა ემორჩილებოდეს ისეთ ელემენტარულ ბრძანებებს, როგორიცაა: „გვერდზე“, „დაჯექი“, „სდექ“, „ადგილზე“, „მოდი ჩემთან“ და ა.შ. ეს ყველაფერი კი მწვრთნელმა უნდა ასწავლოს. წვრთნის კურსების გავლის შემდეგ ჩვენს კლუბში აღრიცხული ძაღლები ყოველ ექვს თვეში ერთხელ გამოცდებს აბარებენ. გარდა ამისა, კლუბში ძაღლებს დაბადების მოწმობასაც ვაძლევთ და პასპორტებსაც, რასაც არც ერთ სხვა კლუბში არ აკეთებენ.

**— ეს როგორ? ძაღლებიც პოლიციის განყოფილებაში ხომ არ მიგყავთ ხოლმე პასპორტის ასაღებად?**

— *(იცინის)*, არა, იქ მისაყვანად როგორ გავიმეტებ ძაღლებს?! სამწუხაროდ, ბევრ კლუბში არასწორად მიდის ძაღლების შეჯვარება. საერთოდ, სუფთა ჯიშის ძაღლი სუფთასთან უნდა შეჯვარდეს.



წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლი ბინძურდება და ასეთი ძაღლი აღარაფრად აღარ ვარგა, თან ფსიქიკაც არეული აქვს. არასწორი შეჯვარება ძალიან სახიფათოა, არადა ამით დღესდღეობით საქართველოში ფულს აკეთებენ. ახლახან ახალგაზრდა კაცმა ლეკვი მოიყვანა: დობერმან-პინჩერიაო. თურმე ძაღლების ბაზრობაზე იყიდა, იაფად. ხომ არ დავუმალავდი? ვუთხარი: ეგ დობერმანის ლეკვი არ არის-მეთქი... ძალიან შეწუხდა: რამდენი ხანია, ამის ყიდვაზე ვოცნებობდიო... მოკლედ, მყიდველი რომ არ მოტყუვდეს, თითოეულ ლეკვს ამიტომ ვუვსებთ დაბადების მოწმობას, რომელშიც აღნიშნულია ლეკვის ჯიში, სახელი, შეფერილობა, სქესი და მისი მშობლების ვინაობა. პასპორტშიც იგივე ანკეტური მონაცემები იწერება. გარდა ამისა, მივანიშნებთ, ძაღლის მფლობელის ვინაობას, პასპორტის ბოლო ფურცელზე კი ძაღლის შენახვის წესებია მითითებული.

**— მაინც რა ღირს ჯიშიანი ლეკვები?**

— გააჩნია, ჯიშს — ფასები 50 დოლარიდან 200 დოლარამდე მერყეობს.

**— სახელებს ვინ ურჩევს ხოლმე ლეკვებს, ვიდრე მათ პატრონები გამოუჩნდებიან?**

— სახელებს თვითონ ვურჩევთ.

**— გამოცდებს რაღაში აბარებენ ძაღლები?**

— წვრთნის საერთო კურსში. საუბარში უკვე ვახსენე რამდენიმე ბრძანება, რომელსაც ძაღლი უნდა ემორჩილებოდეს. გარდა ამისა, ძაღლმა ხოხვით უნდა გაიაროს მანძილი 10 მეტრის ოდენობით. ძაღლის პატრონმა აპორტირებული საგანი შორს უნდა გადააგდოს. 10 წამის შემდეგ კი მსაჯის განკარგულებით ძაღლს საგნის მოსატანად გაუშვებენ. ძაღლმა უნდა გადალახოს ყველა წინაღობა, ასევე — საკუთარი ნივთი სხვა საგნებიდან უნდა ამოარჩიოს. და კიდევ, გამოცდა დამნაშავის დაკავებაში აუცილებელი პროგრამაა, თან — ძალიან საინტერესო, ძაღლის პატრონი გამოდის სტარტის ხაზზე და ძაღლი უჭირავს საყელურით. მსაჯის სიგნალის შემდეგ ხაზზე გამოდის „დამნაშავე“ და გარბის ძაღლისკენ. გარკვეული მანძილით რომ მიუახლოვდება, იარაღს ისვრის, შემოტრიალდება და უკან გამორბის. პატრონი ძაღლს უშვებს, რომ „დამნაშავე“ დააკავოს. დაკავების დროს კი „დამნაშავე“ ერთხელ კიდევ ისვრის იარაღს, რის შემდეგაც ძაღლი წინააღმდეგობას წყვეტს და მიწაზე წვება. ამ „საგნებში“ ძაღლმა 100 ქულა თუ ვერ მოაგროვა, გამოცდას ვერ ჩააბარებს.

**— ყველაზე ადვილად გაწვრთნას რომელი ჯიშის ძაღლები ემორჩილებიან?**

— გერმანული ნაგაზი და ბოქსიორი — ორივეს „ნასწავლი“ წინაპრები ჰყავდა და ამიტომ.

**— თავდაცვის სამინისტროსაც თქვენ უწვრთნით ძაღლებს?**

— ადრე კი, მაგრამ ახლა უკვე თვითონ წვრთ-

> ვახტანგ რჩეულიშვილს კავკასიური ნაგაზი ჰყავს, არჩილ გოგელიამ აჩუქა. ადრე საწვრთნელ მოედანზე თვითონ დაჰყავდა ხოლმე, ახლა ჩვენი მწვრთნელი ავარჯიშებს მის ძაღლს. ბადრი ბიწაძეს ორი ძაღლი ჰყავს – კავკასიური ნაგაზი და პუდელი. მგონი, ბატონი ბადრი პირველი ქართველია, რომლის კავკასიურ ნაგაზსაც მაქსიმალური ცოდნა აქვს. ნუგზარ გაბრიჩიძესაც ძალიან კარგი ჯიშის გერმანული ნაგაზი ჰყავს. ქალაქის მერის ვანო ზოდელავას კავკასიურ ნაგაზსაც „ბომბორას“ ჩვენი კლუბის მწვრთნელი ავარჯიშებს... საკმარისი არ არის?!

ნიან თავიანთ ძაღლებს. მართალია, ისევ თავდაცვის სამინისტროს კუთვნილებად ვითვლებით, მაგრამ დიდი ხანია, რაც თვითდაფინანსებაზე ვართ.

**— ბატონო მიხეილ, როგორც გავიგე, არაერთი მაღალჩინოსანი თვალისჩინივით უვლის თავის ოთხფეხა მეგობარს და სპეციალურად წვრთნის კიდეც, რომ შემდეგ, კონკურსებზე ძაღლებმა თავიანთი პატრონები კიდევ უფრო ასახელონ...**

— იცით, სიმართლე რომ გითხრათ, ცუდს ვერაფერს ვხედავ, პოლიტიკოსები კარგი ჯიშის ძაღლებს რომ ყიდულობენ და წვრთნიან — ე.ი. კარგად იციან ძაღლის ფასი! თან, ძაღლები რომ გიყვარდეს, ამისთვის აუცილებელი არ არის, მილიონერი იყო. ჩვენი კლუბის წევრები ხშირად გვეუბნებიან ხოლმე: ბევრჯერ საჭმელი თვითონ არ გვქონია, მაგრამ ძაღლისთვის გვიყიდია, მშიერი არ დაგვიტოვებიაო. ასე რომ, ვინმე თუ ძვირად ღირებულ ძაღლს იყიდის და გაწვრთნის, ამაში მგონი საგანგაშო არაფერია! ცნობილია, რომ ასლან აბაშიძეს ძალიან უყვარს ძაღლები — მას 70-მდე ძაღლი ჰყავს. მათ შორის რამდენიმე ისეთი ჯიშისაა, როგორიც საქართველოში სხვას არავის ჰყავს, თან ბატონი ასლანის ძაღლები არაჩვეულებრივად კარგად არიან მოვლილები და გამოფენებსა თუ კონკურსებზე აჭარიდან ყოველთვის ჩამოჰყავთ ხოლმე. თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა, გვინდა, გაზაფხულზე ჩემპიონატი ბათუმში ჩავატაროთ. ვახტანგ რჩეულიშვილს კავკასიური ნაგაზი ჰყავს, არჩილ გოგელიამ აჩუქა. ადრე საწვრთნელ მოედანზე თვითონ დაჰყავდა ხოლმე, ახლა ჩვენი მწვრთნელი ავარჯიშებს მის ძაღლს. ბადრი ბიწაძეს ორი ძაღლი ჰყავს — კავკასიური ნაგაზი და პუდელი. მგონი, ბატონი ბადრი პირველი ქართველია, რომლის კავკასიურ ნაგაზსაც მაქსიმალური ცოდნა აქვს. ნუგზარ გაბრიჩიძესაც ძალიან კარგი ჯიშის გერმანული ნაგაზი ჰყავს. ქალაქის მერის ვანო ზოდელავას კავკასიურ ნაგაზსაც „ბომბორას“ ჩვენი კლუბის მწვრთნელი ავარჯიშებს... საკმარისი არ არის?!

**— კარგით, ახლა ის მითხარით, რატომ დაინტერესდით კინოლოგიით და თქვენ თვითონ რა ჯიშის ძაღლი გყავთ?**

— ცხოველები ბავშვობიდანვე მიყვარდა. ოჯახში ყოველთვის გვყავდა ხოლმე ძაღლი. ის ადამიანები, ვისაც საკუთარი ხელით უჭმევია ცხოველებისთვის და მოუვლია მათთვის, სულ სხვანაირები არიან... სავალდებულო სამხედრო სამსახური ახალციხეში მოვიხადე. ჯარში რომ მივდიოდი, გერმანული „ავჩარკა“ ვიყიდე და თან წავიყვანე. ახალციხეში კინოლოგის სკოლა იყო. იქ ჩავაბარე და როგორც ხედავთ, დღემდე კინოლოგიაში ვარ. ძაღლების სიყვარული ჩემმა შვილებმაც შეითვისეს. ამჟამადაც გერმანული ნაგაზი მყავს, 5 წლისაა და სხვათა შორის, საქართველოს თასის კონკურსის ორგზის გამარჯვებულია!..

**ნინო ჯავახიშვილი**







*მამულისადმი ნოსტალგია და „მიწის ყივილი“ ქართველს უცხოეთის ცის ქვეშ დიდხანს დარჩენის საშუალებას არ აძლევდა, ამიტომაც იშვიათობა იყო ქართული კოლონიები და სათვისტომოები ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მიღმა, ქართველი ხომ ძირითადად საკუთარ სამშობლოს ახმარდა მთელ შემოქმედებით ენერგიასა და ნიჭს, მაგრამ ხდებოდა საპირისპიროდაც.*
*ჩვენი ზეობისა და განსაკუთრებული აღმასვლის პერიოდში ქართველები უცხოეთშიც აგებდნენ ტაძრებსა და სამონასტრო კომპლექსებს, ყიდულობდნენ მამულებს და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ სხვა ერების კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ გამონაკლისი არც დადიანები იყვნენ.*

# სამეგრელოს სამთავრო ოჯახი უცხოეთის ცის ქვეშ

## დადიანების სასახლის ადგილას დღეს რუსეთის ФСБ-ს შენობა დგას

საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური საგვარეულოს — დადიანების საყოველთაო აღიარებამ და საზოგადოებრივმა წინსვლამ ზენიტს XX საუკუნის 40-იან წლებში მიაღწია, როცა სამეგრელოს სამთავრო ოჯახის სათავეში დავით და ეკატერინე დადიანები მოვიდნენ. 1857 წელს სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ დადიანებმა მაინც შეძლეს შეენარჩუნებინათ ძირითადი ქონება, რომლის უდიდეს ნაწილს შეადგენდა ლენტეხის, ლეჩხუმის, შავიზღვისპირა ზოლის, ზემო და ქვემო ოდიშის მამულები. უკანასკნელი მთავარი ნიკო დადიანი მთელ კავკასიაში უმსხვილესი მემამულე იყო. უბრწყინვალეს თავადს თავისი მამულები სტავროპოლისა და როსტოვის გუბერნიებშიც ჰქონდა. როგორც ჩვენ მიერ მიკვლეული ახალი საარქივო მასალებიდან ირკვევა, დადიანებმა საკუთარი სენიორიები ჯერ კიდევ XV საუკუნეში შექმნეს სამშობლოს საზღვრებს მიღმა.

აღნიშნული საუკუნის დასაწყისში, რუსული ისტორიული წყაროების ცნობით, მოსკოვში ლუბიანკას მოედანი ქალაქის არისტოკრატიისათვის ფრიად მიმზიდველი გამხდარა. მაშინ აქ ცნობილი საგვარეულოების წარმომადგენლები დასახლებულან: დოლგორუკები, ვოლკონსკები, ხოვანსკები, პოჟარსკები, რასტოპჩინები და სხვა. მათ მიერ აშენებულ ნაგებობათა შორის სიმშვენიერითა და სივრცე-სიდიდით ყველაზე მეტად დადიანების კუთვნილი ქვის სახლი და სასახლე გამოირჩეოდა. მოგვიანებით, კერძოდ 1812 წელს, ეს სასახლე და მიწის ნაკვეთი დადიანებს კრიგსშტალმეისტერ თეოდორ მოსოლოვისათვის მიუყიდიათ. აღსანიშნავია ერთი საინტერესო დეტალიც, დადიანების სასახლე მდგარა სწორედ იქ, სადაც ამჟამად რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის შენობაა აღმართული.


დადიანის აგებული ქალთა გიმნაზია კიშინიოვში

რუსეთის იმპერიაში დადიანების ესეოდენ მნიშვნელოვანი ქონების დაგროვება სამეგრელოს მთავრის, ლევან V დადიანის შვილის, გიორგის (1683-1765 — იგი ხშირად იწოდებოდა როგორც ეგორი ან იური) სახელთანაა დაკავშირებული. იგი 1700 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა, იყო რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი და პეტერბურგში საიმპერატორო კარზე მთარგმნელის მოვალეობასაც ასრულებდა. მისივე საშუალებით მიმდინარეობდა მიმოწერა რუსეთისა და საქართველოს უმაღლეს წრეებს შორის. გიორგი, როგორც ჩანს, ძალიან ახლოს იყო საიმპერატორო კართან, რადგან მამის სიკვდილის შემდეგ იმპერატორმა პეტრე -მა 1713 წელს მას ნიჟეგოროდის სასახლეთა თემებიდან საჩუქრად დიდი მამულები გადასცა.


გიორგი დადიანის მიერ განახლებული სუხარევის კოშკი

გიორგის უშუალო მონაწილეობა მიუღია მოსკოვის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე სუხარევის კოშკის განახლებასა და გამშვენიერებაში, თავადის სახსრებით რუს არქიტექტორებს კოშკი გაუფართოებიათ და მისთვის ეკვდერები მიუშენებიათ.

XX საუკუნის დასასრულამდე უფლისწულ გიორგი დადიანის შთამომავლები რუსეთის იმპერიაში უმსხვილეს მემამულეებად რჩებოდნენ. მაგალითად, შვილიშვილი ალექსანდრე პეტრეს ძე (1753-1811) იყო პოდოლსკის უეზდის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, არტილერიის კაპიტანი. მას სასახლეები აუშენებია მოსკოვსა და ქალაქ ტროიცკასთან, 1786-1795 წლებში კი სოფელ კრასნოეში იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ლამაზი ტაძარი აღუმართავს. დადიანს ასევე 1900 ჰექტარი მიწა ეკუთვნოდა სტავროპოლში.

ნიჟნი ნოვგოროდში უზარმაზარი მამულები ჰქონია თავად ალექსანდრე ლეონის ძე დადიანს (1800—1865) მასვე ყმები ჰყოლია ზვენიგოროდის მამულებში. თავადი ალექსანდრე რუსეთში დაიბადა, მსახურობდა პრეობრაჟენსკის პოლკში. თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ გამართულ ომებში გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდა უმაღლესი ხარისხის ორდენებით, ხოლო 1829 წელს იმპერატორ ნიკოლოზ -ის ფლიგელ-ადიუტანტიც გახდა. მოგვიანებით იგი ხელმწიფემ სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის სასტიკად დასაჯა და შორეულ ციმბირში გადაასახლა, თუმცა იმპერატორმა ალექსანდრე -მ მამამისის მიერ შერისხული თავადი შეიწყალა, ძველ პატივში აღადგინა და მამულებიც უკლებლივ დაუბრუნა.

შთამბეჭდავი მამულები ჰქონია უკრაინაში დავით და ეკატერინე დადიანების უმცროს ვაჟს, პირველ ქართველ მოჭადრაკეს ანდრიას. ზუგდიდის დადიანების სასახლეში დაცულია ანდრიას კიევის სასახლის გრაფიკული ნახატი და ინტერიერის მრავალი ფოტო. თავადს თავისი რეზიდენცია ქალაქიდან მოშორებით, მთების ძირას გაუშენებია. ამ სამსართულიან, ვარდისფერი ქვით მოპირკეთებულ საოცრად ნატიფ შენობას ბრწყინვალე თავადის საგვარეულო გერბი აგვირგვინებდა, შიგნით კი იატაკი ჭადრაკის დაფის მსგავსად იყო დაგებული. 60 წლის დადიანმა სული ამ სასახლეში, 1910 წლის 13 ივნისს დალია. დამ, პრინცესა სალომე მიურატმა, როგორც ჩანს, უმემკვიდრო ძმის საქართველოში გადმოსვენების შემდეგ სასახლე გაყიდა.


„სიმბირის ნეკროპოლი“ — დადიანთა საგვარეულო სასაფლაო უცხოეთში

სამეგრელოს სამთავრო ოჯახის წარმომადგენლები, საზღვარგარეთ მამულების შეგროვების გარდა, იმპერიაში საქველმოქმედო მოღვაწეობასაც ეწეოდნენ: მოლდავეთში, კიშინიოვის ცენტრში აღმართულია სამსართულიანი უზარმაზარი შენობა (თანამედროვე მოლდავეთის ხელოვნების მუზეუმი), რომელიც 1900 წელს იმ დროის სახელმოხვეჭილ არქიტექტორს ბერნარდაცის აუგია. შენობა ადრეული იტალიური რენესანსისა და გოთიკის სტილშია შესრულებული, მაგრამ ყველაზე საყურადღებოა ის, რომ გასულ საუკუნეში ნაგებობას დადიანის ქალთა გიმნაზია ეწოდებოდა. როგორც გრაფინია კანტაკუზინოს მოგონებიდან ირკვევა, იგი სამეგრელოს სამთავარო ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენლის ბრძანებით აუშენებიათ ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის. გიმნაზიისათვის საჭირო მიწა და სამშენებლო მასალა დადიანს საკუთარი სახსრებით შეუძენია. სამწუხაროდ, ისტორიული წყაროები ამ მშენებლობის შესახებ საკმაოდ მწირია და ჯერჯერობით შეუძლებელია ამ ქველმოქმედი ქართველი თავადის ვინაობის დადგენა.

სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს, უბრწყინვალეს თავად ნიკო დადიანს დიდი წვლილი მიუძღვის თათრეთის კულტურის განვითარებაში. როგორც ყაზანის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, ქართველი უფლისწულის პირადი სახსრებითა და ინიციატივით ყაზანში ადგილობრივი მოსახლეობისათვის შეგროვდა უნიკალური ბიბლიოთეკა, ნუმიზმატიკური და სამხატვრო კოლექცია. მადლიერების ნიშნად ეს ფაქტი აღნუსხულია თათრეთის სახელმწიფო მუზეუმის ოფიციალურ ვებ-გვერდზეც.

ზემოხსენებული გიორგი დადიანის ოჯახში კი აღიზარდა ცნობილი რუსი არქიტექტორი, ეროვნებით ჩუვაში პეტრე ეგოროვი (1728—1789). ეგოროვმა პირველდაწყებითი განათლება დადიანის ოჯახში მიიღო, შემდეგ კი გიორგი უფლისწულის უშუალო მონაწილეობით პეტერბურგში არქიტექტურის სკოლაში მიაბარეს. ქართველი თავადის მიერ აღზრდილმა პეტრე ეგოროვმა რუსეთის იმპერიაში მალე გაითქვა სახელი. მისი ხელმძღვანელობით აშენდა სმოლნის მონასტერი, ზამთრის სასახლის ნაწილი, მარმარილოს სასახლე, საზაფხულო პარკი და მრავალი სხვა.

ერთ-ერთი უკანასკნელი დადიანი, ვისაც მსხვილი მამულები ჰქონდა რუსეთში და საიმპერატორო კარზე მაღალი პატივით სარგებლობდა, კონსტანტინე და მაია დადიანის ნაბოლარა ვაჟი უჩა დადიანი იყო. როგორც გრიგორი რასპუტინის პირადი მდივნის მოგონებებიდან ირკვევა, უჩა ხელმწიფის კარზე უშუალოდ იმპერატორის ინიციატივით მოხვდა. ნიკოლოზ -ის გარემოცვასა და მისი დედის იმპერატრიცა მარია ალექსანდროვნას კარს შორის დაძაბული ურთიერთობის გამო იმპერატორს თურმე შეთქმულების ეშინოდა და ამიტომ პირად ბადრაგებსაც არ ენდობოდა. ერთადერთნი, ვისიც იმედიც ნიკოლოზ -ს მუდამ ჰქონდა, ქართველები და თათრები იყვნენ, ამიტომაც ხელმწიფის პირად გვარდიაში ძირითადად კავკასიელები მსახურობდნენ, მათ შორის კი ხელმწიფის განსაკუთრებული სიყვარულით უჩა დადიანი სარგებლობდა. მირონცხებული ხელმწიფე უჩას ყველანაირ მოთხოვნასა და პრეტენზიას ასრულებდა. რასპუტინის მდივნისვე მოგონებით, ნიკოლოზ თურმე ხშირად იხდიდა უჩას ბანქოში წაგებულ ვალებს. ერთხელ კი შეზარხოშებული უჩა იმდენად გათამამებულა, რომ იმპერატორთან გამოცხადებულა და განუცხადებია, — მორიგ წაგებულ თამაშში ვალის გადახდის გარანტად საკუთარი ეპოლეტები და პატიოსანი სიტყვა ჩავდეო... გულკეთილ ხელმწიფეს ღიმილით გაუცია ბრძანება უჩა დადიანის ვალის გადახდის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმული დადიანების უცხოეთში მოღვაწეობის ხანგრძლივი ისტორიის მხოლოდ ნაწილია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მიუწვდომელი და შეუსწავლელია მათი ევროპის ქვეყნებში საქმიანობის პერიოდი.

***გიორგი კალანდია***
***ისტორიკოსი, „დადიანების სასახლეთა დაცვის კავშირის“ თავმჯდომარე.***

***ლილი ბერაია***
***ისტორიკოსი, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი.***



# რას გვეტყვი, მამაო?

**— შეიძლება თუ არა ცოლად მოვიყვანო ჩემზე 11 წლით უმცროსი ქალიშვილი და რაიმე ეკლესიური წინააღმდეგობა ხომ არ შემიშლის ხელს?**

— თქვენ შეგიძლიათ 11 წლით უმცროსი ქალის ცოლად მოყვანა და სარწმუნოებრივ-მართლმადიდებლური დოგმატური წეს-ჩვეულებანი ხელს არ შეგიშლით, თუ სხვა რაიმე — ყოფითი მიზეზები არ გზღუდავთ.

**— შეიძლება თუ არა, რომ შეყვარებულები ერთად შევიდნენ ტაძარში მოსალოცად? ამბობენ, რომ ჯვრისწერამდე შეყვარებულების ტაძარში ერთად შესვლა არ შეიძლებაო. ცრურწმენაა თუ არა ეს?**

— ცხადია, ცრურწმენაა. შეყვარებულების ტაძარში ერთად ყოფნა, პირიქით, რწმენის თანაზიარობას განამტკიცებს და ჯვრისწერის დროისთვის სულიერი ერთობისათვის განამზადებს ქალ-ვაჟს.

**— 10 წლის წინ გარდამეცვალა 60 წელს გადაცილებული მეუღლე, რომელსაც დიდ პატივს ვცემდი. მისი სიკვდილის შემდეგ ყოველ კვირას დავდივარ სასაფლაოზე და ვარდებით ვამკობ მის საფლავს. ახლობლები, ნათესავები და მეგობრები, ყველანი მამტყუნებენ და მიკიჟინებენ, რომ მსგავსი საქციელით მე ვაწვალებ მის სულს. გთხოვთ, მიპასუხოთ, რამდენად ქრისტიანულია ჩემი საქციელი?**

— თქვენ შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ახლობლების აზრი, ასეთი სახის გლოვა არ არის მიღებული ქრისტიანისათვის. ეკლესიურად მიღებულია ლოცვა გარდაცვლილის სულისათვის, პანაშვიდის გადახდა, წმინდა ლიტურგიის დროს სეფისკვერების შეგზავნა, მოწყალების გაცემა მის სახელზე...

**— ეთვლება თუ არა ცოდვად ფეხმძიმე ქალს, რომ არ შეინახოს მარხვა ოთხშაბათ-პარასკევის გარდა?**

— ამ საკითხს ქალი არკვევს მოძღვართან და მისი თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია.

**— შეიძლება თუ არა, რომ ერთი ქორწილის მეჯვარეები დაქორწინდნენ ერთმანეთზე?**

— თუ მათ საერთო ნათლული არა ჰყავთ, მაშინ შესაძლებელია.

**— გთხოვთ, გვიპასუხოთ, ცოდვას ხომ არ ჩავდივართ, შაბათ-კვირას ხელსაქმეს (საკერავს და საქსოვს) რომ ვკიდებთ ხელს?**

— თუ გადაუდებელი აუცილებლობა არ არის, უმჯობესია მსგავსი საქმიანობით სადაგ დღეებში იყოთ დაკავებული. თუმცა, ყოფითი პირობებიდან გამომდინარე, ხდება ხოლმე, რომ მხოლოდ ეს დღეები აქვს თავისუფალი დიასახლისს — მაშინაც კი უნდა ეცადოთ, რომ შაბათ საღამოსა და კვირა დილას — ეკლესიაში ლოცვისა და წირვის მიმდინარეობისას მან ლოცვისათვის მოიცალოს.

**— ითვლება თუ არა ცოდვად ოჯახის შექმნა მშობლების დაუკითხავად, მათი სურვილების გაუთვალისწინებლად და მათი კურთხევის გარეშე — ღმერთი ხომ მშობლების პატივისცემას გვიქადაგებს?**

— თქვენივე კითხვა უკვე თავის თავში შეიცავს პასუხს. მშობლის თანხმობის გარეშე ოჯახის შექმნით ახალშეუღლებულნი მათი კურთხევის მადლს მოაკლდებიან. რუის-ურბნისის კრების განჩინებით მოზარდს არ ჰქონდა მშობლების დაუკითხავად შეუღლების უფლება.

**— ჩვენ გარდა კიდევ რომელ ქვეყანაში აღინიშნება შობა-ახალი წელი ორჯერ — საერო და საეკლესიო კალენდრების მიხედვით?**

— ორგზის აღნიშვნა საეკლესიო დღესასწაულებისა არ ხდება — თქვენ ალბათ გულისხმობთ გრიგორიანული კალენდრისგან განსხვავებული კალენდრის საეკლესიო თარიღების აღნიშვნას. ეს ხდება იულიანური კალენდრით და ჩვენს გარდა მას ერთგულობენ კიდევ მართლმადიდებელ სერბეთში, რუსეთში, იერუსალიმში და ათონის წმინდა მთაზე.

**— რამდენად მიზანშეწონილია ღამით, ძილის წინ ლოგინში ლოცვა?**

— თუ უძლურება არ გაწუხებთ და ლოგინიდან წამოდგომა შეგიძლიათ, გირჩევთ ფეხზე მდგომმა იკითხოთ ლოცვები.

**— გამიგონია, რომ სარკის გადაგდება არ ვარგა. სად წავიღო სარკეები, რომლებიც არ მჭირდება?**

— სარკეს უნდა მოეპყრათ, როგორც ჩვეულებრივ ნივთს, ცრურწმენის გარეშე. საეკლესიო წესებითა და კანონებით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს — გნებავთ შეინახავთ და გნებავთ — გაასხვისებთ.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***

# ბაზრის ყასბების ყველაზე უწყინარი ტყუილი...

შარშან ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა სტატიების სერიალმა, რომელშიც მხილებულნი იყვნენ სხვადასხვა საქონლის ფალსიფიკატორები, და მათ მიერ დამზადებული საეჭვო ხარისხის პროდუქცია, ბევრი მოქალაქე მძიმე მოწამვლას გადაარჩინა, რასაც მკითხველთა სამადლობელი წერილები და მათი სატელეფონო ზარებიც ადასტურებს. თავის ქებად თუ არ ჩაგვითვლით, სწორედ „კვირის პალიტრის“ მამხილებელი წერილების შემდეგ თბილისის მერიამ, რესპუბლიკის ვეტდეპარტამენტმა და დედაქალაქის სანიტარული ინსპექციის ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული კონტროლი დააწესა თბილისის ცენტრალური სუპერმარკეტის, იმავე „დეზერტირის“ ბაზრის ვეტლაბორატორიის მუშაობაზე, რის შედეგადაც ბაზრის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ვეტლაბორატორიის კომპეტენციაში არ ჩარეულიყო, რამაც დედაქალაქის უდიდეს ბაზარში შეუმოწმებელი ხორცის დახლებზე მოხვედრა მინიმუმამდე დაიყვანა. მანამდე კი „დეზერტირის“ ბაზრის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ღამის საათებში, ბაზარში ხშირად ვეტერინარული კონტროლის გვერდის ავლით შეტანილი ხორცი იყიდებოდა. როგორც აგვიხსნეს, ამჟამად ბაზარში ვეტლაბორატორია 24 საათის განმავლობაში მუშაობს და თუ მისი თანამშრომლების ნათქვამს ვირწმუნებთ, თითქმის გამორიცხულია დაავადებული, საეჭვო ხარისხის ხორცის გასაყიდად გატანა.

ნათქვამია, გაგონილს საკუთარი თვალით ნანახი გერჩივნოსო და „დეზერტირის“ ბაზრის ხორცის საბითუმო სექციას, რომელიც თბილისის მოსახლეობის ახალ ხორცზე მოთხოვნილების დაახლოებით 70%-ზე მეტს აკმაყოფილებს, ღამის 3 საათზე ვეწვიეთ. თვალში უპირველესად სექციაში მოტრიალე ვეტლაბორატორიის თეთრხალათიანი მორიგე თანამშრომლები მოგვხვდნენ. იქნებ არც დაიჯეროთ და, ბაზარში ჩვენი სტუმრობით ორი საათის მანძილზე ტრიქინელოზით დაავადებული 598 კილოგრამი ღორის ხორცი აღმოაჩინეს. ექიმების ეჭვი ლაბორატორიულმა გამოკვლევებმაც დაადასტურა და მეპატრონეს ხორცის ჩამორთმევა დაუპირეს. რა თქმა უნდა, ხორცი განადგურდებოდა. რომ გაიგო, რასაც უპირებდნენ ხორცს, მისმა პატრონმა ისე, რომ ჩვენც, ჟურნალისტებსაც არ მოგვრიდებია, ვეტექიმების მოსყიდვა სცადა. მაგრამ ვერაფერი გააწყო და გამწარებულმა ხორცის დაბრუნება მოითხოვა: ოღონდ ჩემი ხორცი დამიბრუნეთ და კაცურ სიტყვას გაძლევთ, თქვენი ბაზრის სიახლოვეს არ გავყი-



დი, სხვაგან, ან თუნდაც უკან წავიღებო, უთხრა ვეტექიმებს. უარი რომ მიიღო, მასა და ვეტლაბორატორიის თანამშრომლებს შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა, თანაც მამაპაპური გინების თანხლებით. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ღორის ხორცი მაინც ჩამოართვეს და გაანადგურეს. ბაზრის ვეტლაბორატორიის ღამის მორიგეების განცხადებით: „დღე არ გავა, რომ დაავადებული ან იძულებით დაკლული პირუტყვის ხორცის შემოტანის ოთხი-ხუთი მცდელობა მაინც არ იყოს. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს გახშირდა ტრიქინელოზით დაავადებული ღორის ხორცის შემოტანის შემთხვევები. უნდა ითქვას, რომ ტრიქინელოზის ჭიები ადამიანის ჯანმრთელობისთვის მეტად საშიშია. კერძოდ, ამ ხორცის მირთმევის შემდეგ, სულ ერთია რა სახით იქნება კერძი მომზადებული, ტრიქინელოზის მიკრობი იბუდებს ადამიანის კუნთოვან ქსოვილში, სადაც 21 დღის შემდეგ გეომეტრიული პროგრესიით მრავლდება და ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე კუნთების აუტანელი ტკივილი ტანჯავს, ფაქტობრივად, აინვალიდებს. მედიცინა ამ დაავადების წინააღმდეგ უძლურია. რადგან ეს დაავადება თვითონ ღორს არ ვნებს, პატრონი პირუტყვის სამკურნალოდ ვეტექიმს არ მიმართავს. დაავადების გამომწვევი მიზეზი ის გახლავთ, რომ ღორებს თბილისის გარშემო მდებარე ნაგავსაყრელებზე კვებავენ (ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ წერდა. - ზ.ჩ.). გარდა ამისა, მარტში მიწიდან ნორჩი ბალახი ამოყოფს თავს. განსაკუთრებული სიფრთხილე კი სწორედ ამ დროს გვმართებს, რადგან ციმბირის წყლულის წყარო სწორედ ნიადაგშია. ამიტომ გირჩევთ, მოერიდოთ აპრილ-მაისში რაიონებში ნაყიდ ხორცს“.

სამწუხაროდ, თუ „დეზერტირის“ ბაზარში მდგომარეობა შეძლებისდაგვარად გამოსწორდა, იმავეს ვერ ვიტყვით ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ხორცით გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობს. ანტისანიტარიულ პირობებში იყიდება შეუმოწმებელი ხორცის დიდი პარტიები, რომელთა დიდი ნაწილი რესტორან-სასადილოებში ხვდება. იქვე, აბასთუმნის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის უკან განლაგებულ ავტოფარეხებში კი მეტად საეჭვო ხარისხის ხორცით ვაჭრობენ. მათი კლიენტები, ძირითადად, თბილისში მოქმედი საძეხვე საამქროების მეპატრონეები არიან. როგორც შევიტყვეთ, ზემონახსენები ღორის ხორცის პატრონი სწორედ იქ აპირებდა თურმე თავისი საქონლის მიტანას... არალეგალური ხორცით მოვაჭრე ობიექტების არსებობა არავისთვის, მათ შორის ეკოპოლიციისთვისაც არ ყოფილა საიდუმლო. „პრობლემა მოგვარებადია“ და ისინიც უშიშრად მუშაობენ. და ერთიც: ბაზარში ხშირად იყიდება კამეჩის ხორცი. რა თქმა უნდა, კამეჩის ხორცი ერთი შეხედვით თითქმის არაფრით განსხვავდება ძროხისგან, ზოგიერთს, პირიქით, კამეჩის ხორცი ურჩევნია. მაგრამ რატომღაც არც ერთი ყასაბი არ გაგიმხელს, რომ კამეჩის ხორცით ვაჭრობს და მას ძროხის ხორცად ასაღებს. კარგად იციან, რომ ამ უკანასკნელს მეტი მომხმარებელი ჰყავს. ისე, ალბათ ეს ყველაზე უწყინარი ტყუილი გახლავთ ბაზარში, რომელსაც ყასბებისგან გაიგონებთ.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# მარტყოფის ბავშვთა სახლს იაპონიის საელჩო ეხმარება

ამ ათი წლის წინათ მარტყოფის უდედმამო ბავშვთა სახლში წყალ-კანალიზაციის სისტემა მოიშალა. საქართველოს ყველაზე დიდი სოფლის მცხოვრებთ უწყლობა თვითონაც აწუხებდათ და პატარებმა მათთან ერთად ბავშვთა სახლიდან 1500-2000 მეტრით დაშორებულ სოფლის წყაროდან დაიწყეს წყლის ზიდვა. მაგრამ რამდენი წყალი უნდა მიეტანათ, რომ 50-60 ბავშვს ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესანარჩუნებლად ყოფნოდათ.





ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ 1998 წელს ასოციაცია „საფეხურების“ მოხალისეები არ ჩავიდნენ მარტყოფში. მათი ხელი მალე დაეტყო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს და მათ საცხოვრებელსაც. 2000 წლიდან „საფეხურებმა“ ბავშვთა სახლის საცხოვრებელ კორპუსში წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემათა მოწესრიგებაზე დაიწყო ზრუნვა. გაკეთდა პროექტი, გამოინახა პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური და ორიგინალური გზა — ჭაბურღილი და სოლარული გათბობის ბატარეიები. სახსრების მოძიების მიზნით შედგა პროექტი. მოეწყო ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა ნახატების ორი საქველმოქმედო გამოფენა. ამ აქციების შედეგად მცირეოდენი თანხა შეგროვდა. დონორი ორგანიზაციის მოძიება აუცილებელი იყო. საქართველოში იაპონიის საელჩო დაინტერესდა პროექტით და თანამშრომელთა ხელფასების დაკავებით პროექტისთვის გამოიყო საჭირო თანხები... სამ თვეში შესაძლო გახდა პროექტით გათვალისწინებული ყველა სახის სამუშაოს განხორციელება. ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობები შედარებით მოწესრიგდა. ასოციაცია „საფეხურებმა“ საქართველოში იაპონიის საელჩოს დაფინანსებით განხორციელებული პროექტის პრეზენტაცია მოაწყო.

მარტყოფის უდედმამო ბავშვთა სახლის სამომავლო გეგმები ამით არ ამოიწურება. ურთიერთობა გაგრძელდება.

ჰკითხეთ მარტყოფის უდედმამო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს, ისინი ყველაფერს მოგიყვებიან.

R




# ფლუდიტეკი

ჩვილებისა და ბავშვებისთვის 2%
მოზრდილთათვის 5%

სიროფი

ორმაგი მოქმედების პრეპარატი ფლუდიტეკი - ბრონქიალური მუკოლიტიკი და მუკორეგულატორი, უზრუნველყოფს:

- ნახველის გათხიერებასა და გამოდევნას
- აქვს ადგილობრივი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება
- აძლიერებს ანტიბიოტიკების მოქმედებას




სერტიფიცირებულია

**ფლუდიტეკი** ეფექტური საშუალება პროდუქტიული (სველი) ხველისა და სასუნთქი გზების ანთებითი დაავადებების დროს.

მიზანშეწონილია მთელი ოჯახისათვის.

ისუნთქეთ თავისუფლად!

ლაბორატორია ინოთექ ინტერნაციონალი — საფრანგეთი
ტელ.: 38 50 40, 93 33 30, 95 18 00

# ამერიკელი სამხედროების ყოფნა საქართველოში რუსეთს აღიზიანებს

## The Washington Post, Le Monde

### ბოროტებასთან ბრძოლა საქართველოში




აშშ-ის გეგმამ, ხელი შეუწყოს ქართველ სამხედროთა მომზადებასა და აღჭურვას ტერორისტებთან საბრძოლველად, დიდი აურზაური გამოიწვია კრემლში; მას არაფრით არ უნდა თავისი ყოფილი ტერიტორიების ამერიკისათვის დათმობა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა განაცხადა, — ამერიკელი ჯარისკაცები „უფრო დაძაბავენ ისედაც რთულ სიტუაციას“ საქართველოში — ქვეყანაში, რომელიც ებრძვის სუსტ ხელისუფლებას, სილატაკეს და ძლიერ სეპარატისტულ ძალებსო.

პენტაგონმა დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის საბრძოლო შვეულმფრენების მიწოდება, მალე კი რამდენიმე ქართულ ბატალიონს მოამზადებს პანკისში დაბანაკებული ტერორისტების გასანადგურებლად. კარგა ხანია, რუსეთი ხან ემუქრება საქართველოს ოფიციალურ პირებს, ხან მოლაპარაკებებს აწარმოებს მათთან და კატეგორიულად მოითხოვს პანკისის პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ამერიკის ჩარევის შესაძლებლობაც კი, აღიზიანებს. ივანოვმა კვლავ შესთავაზა საქართველოს — ერთად მოვსპოთ ამბოხებულებიო, მაგრამ ამჯერად უარი მიიღო. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ამ საკითხზე ჯერჯერობით ყურადღებას არ ამახვილებს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ბრძანა, — საქართველოს სამხედრო ძალებისადმი ამერიკელთა თანადგომა მხოლოდ მათ მომზადებასა და აღჭურვილობაში გამოიხატებაო. ერთ-ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა კი განაცხადა, — ვაშინგტონი ამჯობინებს, ისე მოამზადოს ქართული ჯარი, რომ მან თვითონ შეძლოს ტერორისტებთან გამკლავებაო.

ამერიკისა და საქართველოს პრეზიდენტების ვარაუდით, „ალ-ქაიდას“ და ჩეჩნეთის ექსტრემისტები მთებში იმალებიან. „ჰერალდ ტრიბუნის“ ცნობით, თეთრი სახლი ედუარდ შევარდნაძეს, ჯერ კიდევ შარშან, ოქტომბერში, ვაშინგტონში ვიზიტისას დაჰპირდა დახმარებას. პენტაგონი ხაზგასმით აცხადებს, რომ ამერიკის ჯარის ნაწილები ბრძოლებში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუ უშუალოდ მათ შეუტევენ.

საქართველოს საქმეებში ამერიკის ჩარევას რუსეთის პარადოქსული რეაქცია მოჰყვა. ერთი მხრივ, მას „ეშინია“,ვაითუ ამერიკელები კავკასიაში დაფუძნდნენო, მეორე მხრივ, კმაყოფილია იმით, რომ აშშ-მა ბოლოს და ბოლოს, აღიარა, ჩეჩენ, ქართველ და საერთაშორისო ტერორისტებს შორის კავშირი.

სხვა ოფიციალურ პირთაგან განსხვავებით, ბ-ნი პუტინი უფრო შორსმჭვრეტელია და შეუძლია ამერიკის ქმედებაში რუსეთისათვის მომგებიანი რამეც დაინახოს.

„ჩვენ დავეხმარებით ყველა ქვეყანას, სადაც ფესვი გაიდგა „ალ-ქაიდამ“. ამოვძირკვავთ ბოროტებას და ბოევიკებს პასუხს მოვთხოვთ“.

*ჯორჯ ბუში, აშშ-ის პრეზიდენტი*

„გეოპოლიტიკურ „პრიზს“ საქართველოს სახით, ვაშინგტონი და მოსკოვი დიდი ხანია ერთმანეთს ეცილებიან.
ტერორიზმთან ომმა, შეიძლება ამერიკას მოაგებინოს ეს „პრიზი“.

*თაიმი*

„მესამე ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყო არა იემენში ან სომალიში, არამედ საქართველოში“

*იზვესტია*

„საქართველოს მეზობლები ამერიკელები კი არა, რუსები არიან. რუსეთში ათასობით ქართველი მოქალაქე მუშაობს, შევარდნაძე ყოვლად უაზრო პოლიტიკას ატარებს, როცა ორიენტაციას აშშ-ზე იღებს“.

*ბორის ნემცოვი*

# პუტინი და შევარდნაძე პანკისის ხეობის, აფხაზეთის ამერიკელების და ბანდიტების შესახებ

დსთ-ის სახელმწიფოთა არაფორმალურ სამიტზე, რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს ლიდერთან შეხვედრის შემდეგ, იმედი გამოთქვა, — საქართველოში ტერორიზმთან საბრძოლველი სპეცქვედანაყოფის შექმნა „სულაც არ ნიშნავს“, რომ მას აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად გამოიყენებენო. შევარდნაძემ დაუდასტურა — არასოდეს მითქვამს, აფხაზეთის პრობლემას სამხედრო, ძალისმიერი საშუალებით მოვაგვარებო და ხაზგასმით აღნიშნა, „აფხაზებმა ბოლოს და ბოლოს, უნდა შეიგნონ, რომ არავითარი აფხაზეთის სახელმწიფო არ არსებობს. რუსეთი არასოდეს გადადგამს უგუნურ ნაბიჯს — თავის შემადგენლობაში აფხაზეთს არ შეიყვანს“. იგი დარწმუნებულია, რომ ერთობლივი ძალით გადაწყვეტენ ამ პრობლემას. შევარდნაძემ დაბეჯითებით განაცხადა, რომ საქართველოში არასოდეს დაფუძნდებიან უცხოელი სამხედროები, „რადგან თავად ამერიკელებს არ უნდათ ეს“.

**რუსეთი იმ „ერთიანი საქართველოს“ მომხრეა**, რომელიც ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტერესებს იცავს. რუსეთი „ერთიან საქართველოს“ უჭერს მხარს და ეს ჩვენი პრინციპული პოზიციაა, — განაცხადა ვლადიმირ პუტინმა. თანაც დასძინა, რომ რუსეთი მხარს უჭერს გაეროს შესაბამის რეზოლუციას აფხაზეთში სიტუაციის დარეგულირების საკითხში, აპირებს ამ მიმართებით „მუშაობის გაგრძელებას“ და პრობლემების მოგვარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტერესი.

**საით გაიქცევიან ხეობიდან განდევნილი ბანდიტები?** პანკისის ხეობაში ის ბან-



დიტები და ტერორისტები იმყოფებიან, რომლებმაც რუსეთის ტერიტორიაზე სისხლიანი კვალი დატოვეს და ახალი ბოროტმოქმედებების ჩასადენად ემზადებიან, — განაცხადა ვლადიმირ პუტინმა. მისი აზრით, რუსეთისთვის სულერთი არ არის, რა მოუვათ ტერორისტებს, როგორ შეცვლიან გეგმებს საქართველოში უცხო ქვეყნის ჯარის გამოჩენის შემდეგ. ხომ არ მივიღებთ ახალ აფეთქებებს? — აი, ეს აღელვებს რუსეთის საზოგადოებას. სწორედ ამით აიხსნება მასმედიის მწვავე რეაქცია საქართველოში ამერიკელი სამხედროების ჩამოსვლის გამო.

„რუსეთი მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძალისხმევას ტერორიზმთან ბრძოლაში და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მოაგვარებს მდგომარეობას პანკისში — ჩვენი ამერიკელი პარტნიორები, ევროპელი თუ ქართველი კოლეგები“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა დსთ-ის სახელმწიფოთა სამიტზე.

*გაზეტა რუ*

# რამ გააცოფა რუსეთი



რუსეთმა ამერიკას ტერორიზმთან ბრძოლაში თანადგომა გამოუცხადა. ჯილდოდ კი ელოდა ჩეჩნეთთან საკუთარ ომში ამერიკის დახმარებას და აშშ-ის გეოპოლიტიკური პარტნიორის სტატუსს. ამიტომაც განსაკუთრებული სიმძაფრით აღიქვა საქართველოში ამერიკის სამხედრო მრჩევლებისა და შვეულმფრენების გამოჩენამ. მისთვის ეს გახლდათ სილის გაწვნა. ამერიკელების სამხედრო ძალების ჩამოსვლამ რეგიონში, რომელიც მეფის დროიდან მოყოლებული რუსეთის გავლენის სფეროს წარმოადგენდა, რასაკვირველია, შეაშფოთა იგი. ვაშინგტონისა და მოსკოვისათვის საქართველო სტრატეგიულად გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე „ალ-ქაიდას“ საწინააღმდეგო კამპანია ან ომი ჩეჩნეთში — საქართველო რუსეთის სამხრეთი საზღვრების დაცვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ელემენტია. გარდა ამისა, იგი ნავთობსადენის მარშრუტის განუყოფელი ნაწილია, რომელსაც აშშ მფარველობს. ათი წელია, რუსეთის გეოპოლიტიკური მანევრების ობიექტად არის ქცეული სწორედ კასპიის ნავთობის გადაქაჩვის მარშრუტი. მოსკოვი ამ ხნის მანძილზე ამაოდ ცდილობდა აეძულებინა საქართველოს პრეზიდენტი, დაქვემდებარებოდა მოსკოვის ინტერესებს. თბილისის ხელისუფლების დასასუსტებლად მან საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფასაც შეუწყო ხელი.

ვლადიმირ პუტინმა გათვალა, რომ რუსეთის ჩართვა ტერიტორიზმთან ბრძოლაში, კავკასიაში სტრატეგიულ უპირატესობას მიანიჭებდა, ამის მაგივრად, როგორც ეტყობა, შევარდნაძემ „გააცურა“ და „ალ-ქაიდას“ საწინააღმდეგო კამპანია საქართველოში ამერიკელების მოსაწვევად გამოიყენა. იქ ამერიკელი სამხედროების ფეხის მოკიდება რუსეთის გეოპოლიტიკური განდევნის ტოლფასად აღიქმება. საქართველოს მხრიდან მზაკვრული ნაბიჯი იქნება, რუსეთის თანამშრომლობა პრეზიდენტ ბუშთან, მოსკოვისაგან სამუდამოდ განთავისუფლების საბაბად გამოიყენოს.

ბუშისა და პუტინის პირადი ურთიერთობა შეიძლება თბილი და ხავერდოვანი იყოს, მაგრამ გეოპოლიტიკა სხვა საქმეა.

*თაიმი*

# შევარდნაძის სუსტი სახელმწიფო

საქართველო, რომელიც ოდესღაც სსრკ-ის ედემის ბაღად ითვლებოდა, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ყველაზე არასტაბილურ სახელმწიფოდ იქცა. იქცა ქვეყნად, რომელმაც ვერ შეძლო უნარიანი პოლიტიკური სტუქტურების შექმნა. დასავლელი პოლიტიკოსები საქართველოს მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის ხათრით ინდობენ. დასავლეთი მადლიერია ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრისა, რომლის დამსახურება მარტო ბერლინის კედლის დანგრევა როდია, მაგრამ პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკური წარმატება სულაც არ შეესაბამება მის შინაპოლიტიკურ საქმიანობას. ქართული დემოკრატია სუსტია.

შევარდნაძე ოცდაათი წელია საქართველოს ხელმძღვანელობს, 1992 წლამდე იგი მოსკოვის RU-ს ქართული ფილიალის თავმჯდომარე იყო. მოსკოვი განსაკუთრებული სიმწვავით განიცდის საქართველოს დაკარგვას და არაფერს იშურებს ამ ქვეყანაში დესტაბილიზაციის შესაქმნელად. 1992 წლამდე მოსკოვის რეაქციული ძალები ხელს უწყობდნენ სამხრეთ ოსეთს რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო ოსეთს შეერთებოდა. სისხლიანი კონფლიქტი სამ წელიწადს გაგრძელდა. აფხაზეთის 1992 წლის ომში ადვილი დასანახი იყო რუსეთის სამხედრო ჩინოსანთა კულისებს მიღმა მოქმედებები. ოდესღაც აყვავებული შავი ზღვისპირა ტურისტული რეგიონიდან 600 000 ქართველი განიდევნა.

ერთადერთი მიზეზი, რაც აფერხებს დასავლეთს, საქართველოსთან მჭიდრო კავშირი დაამყაროს, არის არასტაბილურობა. ამერიკელთა საქართველოში ყოფნამ შეიძლება გარკვეული ხნით განამტკიცოს ედუარდ შევარდნაძის პოზიციები, ხოლო სამომავლოდ — კარგა ხნით დაეხმაროს ქვეყანას შინაპოლიტიკურ კონსოლიდაციაში.

*დი თაგესცაითუნგი*

# როგოზინის იდეა აფხაზეთს ვერ უშველის

რუსეთის სათვისტომოების კონგრესის ლიდერს დმიტრი როგოზინს პოსტსაბჭოური სივრცის რუსულენოვანი მოსახლეობა თავის დროზე დიდ პატივს სცემდა, მაგრამ ბოლო დროს მისი რეიტინგი დაეცა. ამიტომაც გადაწყვიტა თავისი პოპულარობის აღდგენა. სწორედ ამ დროს „გამოხტა“ ქართულ-რუსული „საქმის გარჩევები“ პანკისის ხეობაში ამერიკელ სამხედროთა შესაძლო ჩარევის გამო. საქართველოს ამბოხებული ავტონომიების ქალაქებში — სოხუმსა და ცხინვალში შეშფოთდნენ: აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა, რომელიც მძიმე ავადმყოფ არძინბას ცვლის, სასწრაფოდ დაუკავშირდა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ ედუარდ კოკოევს, მაგრამ ეტყობა, ერთობლივ ადეკვატურ პასუხს ყოფილი მეტროპოლიის აქტივიზაციაზე არ აპირებენ. ეს გასაგებიცაა — საჭიროების შემთხვევაში აფხაზები და ოსები ვერ გაუმკლავდებიან ამერიკის სამხედრო ძალას. სავარაუდოა, რომ სოხუმსა და ცხინვალს მოსკოვის იმედი აქვთ. აფხაზეთის ხელმძღვანელები კვლავ ალაპარაკდნენ რფ-ის ასოცირებულ წევრობაზე. ამით ისარგებლა როგოზინმა და გამოაცხადა, — 5 მარტს, დუმის რიგგარეშე სხდომაზე, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხს დავაყენებთო. აქვე აპირებს სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის განხილვასაც. როგოზინმა თათბირზე გენშტაბის, СВР-ის, ФПС-ის და საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებიც მოიწვია იმის გასარკვევად, იცოდა თუ არა რუსულმა მხარემ ქართულ-ამერიკული მოლაპარაკებების შესახებ. მაგრამ, სანამ როგოზინი ამას გაარკვევდა, დსთ-ის სახელმწიფოთა არაფორმალურ სამიტზე ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, აშშ-თან თანამშრომლობა არასოდეს დამიმალავს და არც სამხედრო სფეროში ურთიერთობა ყოფილა გასაიდუმლოებული. არც რუსეთისგან მალულად გაგვიკეთებია რაიმე — ამის თაობაზე საქართველოში რუსეთის ელჩმაც იცოდა და რუსეთის მთავრობამაცო. გამოდის, რომ ელჩმა იცოდა და დუმდა, ხოლო აშშ-ის წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიაწოდეს კრემლს ან საგარეო საქმეთა სამინისტროს. თუმცა, როგორც ჩანს ეს ინფორმაცია მათ მოგვიანებით მიეწოდათ, ამიტომაც თქვა პუტინმა სამიტზე: მთავარი ამერიკელების საქართველოში ჩასვლა კი არ არის, არამედ ის, თუ რატომ არ იცოდა ამის შესახებ რუსეთმაო. ახლა, როდესაც ყველამ ყველაფერი იცის, ქართულმა მხარემ გულახდილად აღნიშნა, — პანკისის ხეობაში ტერორისტული ორგანიზაციების უმართავი ანკლავია და საქართველო ვერ გაუმკლავდა მას, ამიტომაც მოვიწვიეთ უცხოელი ექსპერტებიო.

პრეზიდენტ შევარდნაძეს არ მოსწონს აფხაზეთის, ოსეთის და რუსეთის სახელმწიფო დუმის რეაქცია. ისე, მას შესაშფოთებელი არაფერი აქვს, კომიტეტმა რომც განიხილოს როგოზინის წინადადება, ქვედა პალატის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვა არ მოხდება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო დუმის დეპუტატებმა შეიძლება ვერ მიიღონ (დამკვირვებლების სტატუსით) მონაწილეობა აფხაზეთის საპარლამენტო არჩევნებში, რადგან აფხაზეთიდან მოწვევა არ მიუღიათ. დსთ-ის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ტიხონოვი აღნიშნავს, რომ ახლანდელი საპარლამენტო არჩევნები აფხაზეთში ოპოზიციის გააქტიურებით გამოირჩევა. ეწყობა მიტინგები ანრი ჯერგენიას პოლიტიკის წინააღმდეგ. მომიტინგეები მოსკოვთან მჭიდრო კონტაქტს ითხოვენ. მეორე მხრივ, აფხაზეთის მთავრობაზე თბილისი ახდენს ზეწოლას. საქართველოს პარლამენტმა მიიღო მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, სადაც აღნიშნავს, რომ აფხაზეთში არჩევნების ჩატარების ფარსი სხვა არაფერია, თუ არა გარეშე ძალების შორს მიმავალი გეგმები — აფხაზეთის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ადამიანებით და იარაღით ვაჭრობის, ნარკობიზნესისა და ტერორიზმის, ავტორიტარული მართვის ოაზისის შექმნა.

*გაზეტა რუ*

# საქართველოს სამხედრო გზის ამერიკელი მომწესრიგებლები



ავღანეთისა და ფილიპინების შემდეგ აშშ-მა ტერორიზმთან ბრძოლის მესამე ფრონტის გახსნა საქართველოში გადაწყვიტა, — იტყობინება თეთრი სახლი.

ამერიკის გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაცია STRATFOR-ის პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ამერიკელ სამხედროთა „დესანტირება“ ზუსტად იმავე სქემით მიმდინარეობდა, როგორითაც შუა აზიის ქვეყნებში, ოღონდ ამჯერად მოსკოვის დაუკითხავად. როითერის სააგენტო იმოწმებს ამერიკელი მაღალჩინოსნის გამონათქვამს, რომ ვაშინგტონის ანტიტერორისტული სტრატეგია „არ ითვალისწინებს რუსეთის დახმარებას პანკისის ხეობაში ისლამისტ ბოევიკებთან ბრძოლაში“.

STRATFOR-ის პოლიტოლოგების ვარაუდით, ამერიკის ჩრდილო კავკასიაში შესვლა მის „დიდ სტრატეგიულ გამარჯვებას“ ნიშნავს. ამით ვაშინგტონს შეუძლია რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხის გადაჭრა:

— მიუახლოოს ამერიკის სამხედრო პოტენციალი რფ-ის ევროპული ნაწილის სამხრეთ საზღვრებს;

— მოიპოვოს ერაყის წინააღმდეგ სავარაუდო ოპერაციისას დამატებითი პლაცდარმი;

— უზრუნველყოს აზერბაიჯანიდან თურქეთში მიმავალი ნავთობსადენის ფიზიკური დაცვა;

— დაითანხმოს რეგიონის სხვა სახელმწიფოები მინერალური ნედლეულის დამუშავებაში აშშ-ის მონაწილეობაზე.

*კომსომოლსკაია პრავდა №37*

CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**5 წლის გიორგი თურძაძე** დედას ბაღიდან მოჰყავს. ბიჭუნა ეკითხება:

— დედიკო, მე რომ გიორგობას დავიბადე (დაბადებულია 23 ნოემბერს) და გიორგი მქვია, მაკო მაკოობას დაიბადა?

***

**პატარა თამთა თუჯიშვილს** მამა ეფერება, თამთას ლოყები დაუსუსხა მამიკოს წვერმა და უთხრა:

— მამა, როცა დაბერდები, ხომ აღარ გექნება ასეთი „ეკლიანი“ წვერები?

***

**პატარა ანი გაჩეჩილაძეს** ეკითხებიან:

— ანი, ჩიტი რას შვრება?
— დაფრინავს.
— რითი?
— ფრთებით.
— ადამიანი რას შვრება?
— დადის.
— რითი?
— ჩუსტებით.

***

**2 წლის ეკა კახიძეს** დედამ მულტფილმის „აბა, დამაცადე“-ს ყურების დროს უთხრა, — თუ არ შეჭამ, ტელევიზორში შეგსვამ მგელთანო.

მეორე დღეს ეკამ ჭამის დროს გახარებულმა წამოიძახა: — შული (შუქი) ალ ალის და ახლა ლალას მიზამ, ლომ ალ შევჭამო?!

***

**4 წლის ნინო დოგრაშვილი** დედამ სოფელში წაიყვანა. ეტყობა, არ მოეწონა იქაურობა და დედას უთხრა, — მერე ისევ თბილისში უნდა გადმოვცხოვრდეთ?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ ზოლში მიიღებ შემდეგი ანდაზიდან გამოტოვებულ სიტყვას: ... რო გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო.

III



## იპოვე 15 განსხვავება



## გამოიცანი, რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა





ზღაპრების თითოეულ გმირს მოუძებნე მეწყვილე და დააკავშირე ისინი ხაზებით

მიიყვანე ლუკა ნათიასთან






II გამოიცანი, ვინ დაკარგა ჩრდილი



წერტილების ადგილას ჩახატე გამოტოვებული ფიგურები



გამორიცხე „ზედმეტი“ საგანი

## I რებუსი





## ჭიაკოხლი



ზედა რიგი: ძვირის ანტონიმი | დილის ვარსკვლავი | ნახევრად ძვირფასი შავი ქვა | ფუტკარი, სანთელი ... | სამშობლო ანუ ...

ქვედა რიგი: პატარა ყვავილი | ...მწამს, ბოლო მაკვირვებსო (ანდ) | ფუტკრის სახლი | მწკრივი ანუ... | პოლიციის უფროსი აშშ-ში | „სმა-... დიდად შესარგი“ | ქმრის და

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „საწერელის" წერას აცდენილი...



წყალტუბოში ცხოვრობს ერთი ჩვენი კოლორიტული ძმაკაცი — გოჩა. ერთხელაც, გოჩას თითი ასტკივდა. თავიდან ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ტკივილმა რომ უმატა და თითიც შეუსივდა, შეშინდა და ექიმთან მივიდა. ექიმმა პანარიციუმის დიაგნოზი დაუსვა (პანარიციუმს იმერეთში საწერელს ვეძახით). შეშინდა გოჩა — საწერელის წერა არ გავხდეო, მაგრამ ექიმმა (მშვენიერი ახალგაზრდა ქალი იყო) დაამშვიდა, — არაფერია, ნუ შიშობთ, სამი დღე მანგანუმის ხსნარის ხუთწუთიანი აბაზანები მიიღეთ და გიშველით, ოღონდ წყალი რაც შეიძლება ცხელი უნდა იყოსო. ჰოდა, რადგან გოჩას თავი ძალიან უყვარს, სახლში მისვლისთანავე, აავსო აბაზანა ლამის ადუღებამდე მისული წყლით, ჩაასხა შიგ კარგა ბლომად „მარგანცოვკა" და ჩაწვა ნახევარი საათით, ხუთი წუთი რას მეყოფა, თანაც უფრო მალე მოვრჩებიო... თან თითი, რომელიც ტკიოდა, ზემოთ ამოყო — არ დამისველდესო. სამჯერ ჩაიტარა ეს „პროცედურა", მაგრამ სამი დღის შემდეგ პანარიციუმს ვიღა ჩიოდა! ამხელა კაცმა მთელ სხეულზე საკმაოდ სერიოზული დამწვრობა მიიღო და თანაც ისეთი... (ყველაფერს ხომ ვერ იტყვი კაცი!), რომ მთელი სამი თვე მოუწია თურმანიძის მალამოთი მკურნალობა...

***გოჩას მეგობრები***

## „მოხაჭაპურებული" დიეტა

ერთხელ ჩემი მეზობელი, ენაკვიმატი გოგი, კუსტარულად დამზადებული ძეხვით მოიწამლა. ექიმმა მკურნალობის ერთკვირიანი კურსი და მკაცრი დიეტა დაუნიშნა: უმარილო ყველი და პურის ქერქი ჩაისთან. გოგის არ მოეწონა ექიმის დანიშნულება და უკმაყოფილოდ ჰკითხა:

— ექიმო, ეს პური და ყველი „მოხაჭაპურებული" არ შეიძლება?

***დათო, გალი***



## ახე ვხწავლობთ ინგლიხურხ...



ეს ამბავი ქვიშხეთის საშუალო სკოლაში ინგლისურის გაკვეთილზე მოხდა:

X კლასელებს ინგლისურ ენაში საშინაო დავალებად უნდა დაგვეწერა ჩვენი მომავალი პროფესიების შესახებ.

ჩემმა კლასელმა ბიჭებმა მთხოვეს, მათთვისაც დამეწერა დავალება. მეც დავთანხმდი, მათი დოყლაპიობით და ინგლისურის არცოდნით ვისარგებლე და კარგადაც ვიეშმაკე. ლამაზად ჩამოვუწიკწიკე ძმაკაცებს დავალება და მოუთმენლად ველოდი გაკვეთილის დაწყებას.

მალე ზარიც დაირეკა. მასწავლებელმა დავალების შემოწმება დაიწყო. იმ ბიჭთაგან ერთ-ერთმა წაიკითხა: „...მე მინდა გამოვიდე დიასახლისი, რადგან ძალიან მომწონს ეს პროფესია"... (რა თქმა უნდა, ინგლისურად), ხოლო მეორემ: „..მე გადავწყვიტე გამოვიდე პროფესიით მქსოველი და ვქსოვო სიმღერით"...

***თამარ კიკნაძე, ქვიშხეთი***

## მკითხველის —— —— საყვარელი ანეკდოტი

სვანს შუა უდაბნოში მანქანა გაუფუჭდა. კარი მოხსნა, ხელში დაიჭირა და ფეხით გააგრძელა სიარული, თუ ძალიან დამცხა მინას ჩამოვწევო.

***ლიკა ნანობაშვილი, თბილისი***





გაქუთაისელებული ვანია პოლიკლინიკაში მივიდა:

— ექიმო, კუჩი მტკივა.

— ადეკოლონს ხომ არ სვამთ?

— კი, მარა არ მშველის...

***ვოვა ჩისტოპრუდოვი, ქუთაისი***



რაჭველი თვითმფრინავით მიემგზავრება მოსკოვში, შემოვიდა სტიუარდესა სალონში და თქვა, პირველი ძრავა გამოირთო და ერთი საათით გვიან ჩავფრინდებითო. შემოვიდა მეორედ და თქვა, ახლა მეორეც გამოირთო — 2 საათით დავაგვიანებთო. მესამედ რომ შემოვიდა და თქვა, ბოლო მე-3 ძრავაც გამოირთოო, რაჭველს გაეცინა, — გვიფრენია, ბოშო, აბა მთელი დღე და ის არისო...

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## ცერა თითის ამბავი



სონია ნეფარიძეს ერთი შვილი ჰყავდა და ისიც გადაკარგულში, ასე ეძახდა იგი ქალაქ ირკუტსკს შორეულ ციმბირში, სადაც მისი გივი სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ დაოჯახდა და დასახლდა.

ერთხელაც, (ის პერიოდია, როცა გორბაჩოვმა „მშრალი კანონი" შემოიღო საბჭოთა კავშირში) დედამ შვილის მონახულება გადაწყვიტა და შორეულ ირკუტსკში გაემგზავრა. გივიმ ვერ მოახერხა დროზე მისვლა რკინიგზის სადგურში დასახვედრად და ქალი რამდენიმე უზარმაზარი ჩანთით შვილის მისამართის ამარა შერჩა უცხო ქალაქს...

მეტი რა გზა იყო, ტაქსის დაუწყო ლოდინი. ტაქსი კი არა და არ გამოჩნდა. ლოდინით გადაღლილმა ახლა კერძო მანქანის გაჩერება სცადა, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა... მისდა უნებურად შეამჩნია, რომ შორიახლოს მდგომნი მანქანებს ცერა თითის გაშვერით სრულიად იოლად აჩერებდნენ. იფიქრა, აქაური წესიაო და ისიც ასევე მოიქცა.

რამდენიმე წუთში „ჟიგულმაც" დაამუხრუჭა და ვიდრე სონია მისამართს ეტყოდა, მძღოლმა არაყი მოითხოვა... ალბათ მგზავრობის საფასურად ითხოვსო, გაიფიქრა და ღმერთს მადლობა შესწირა ორნახადი ჭაჭა რომ ბლომად გამოიყოლა...

ახალგაზრდა კაცმა სასმელი შეათვალიერა, მშვიდად მიაწოდა რუსული სამმანეთიანი და... თავის გზას ეწია.

მეორედაც იგივე განმეორდა, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად მძღოლმა ორი ბოთლი მოითხოვა. მესამე მანქანის პატრონმაც რომ არაყი მოიკითხა, გაოგნებული ქალი ჩანთებზე მიესვენა: — ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, საიდან გაიგო ამ უცხო ხალხმა მისი ორნახადის ამბავი... უარესი კი მაშინ მოხდა, ახმახი რუსი პოლიციელი რომ მის ბარგს დაეჯაჯგურა და განყოფილებაში წაყოლა მოსთხოვა, როგორც სპეკულანტს...

ამ ყოფაში გივიც წამოადგათ თავს. დედა რომ ასეთ „კრიტიკულ სიტუაციაში" ნახა, ჯერ პოლიციელს მივარდა, მერე კი შეშინებულ ქალს, რომელმაც ცრემლების წმენდით ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა...

ცერა თითის ხსენებაზე გივის სიცილი წასკდა, მალე, „თავისი წილი პოლიტრის" მიღების შემდეგ პოლიციელიც ახარხარდა — თურმე ცერა თითით მანიპულირება ერთგვარი პაროლი ყოფილა ამ ქალაქში კუსტარული წესით დამზადებული სასმლით მოვაჭრეთა და მყიდველთა შორის...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## ხუთი ლარიც ვერ გიშველის!..

დოდოს ისეთი ხუმარა ბებია ჰყავდა, თანაც ისეთი გამასპინძლება იცოდა, რომ ხშირად მივდიოდით მასთან ყვარელში. ერთხელ, კატო ბებოს თონის პურები რომ მოგვენატრა, გოგონები კახეთის გზას დავადექით, საჭესთან ჩვენი მეგობარი რეზო იჯდა. უჯარმასთან, გზისპირას, ლოდზე დასკუპული დედაბერი შევნიშნეთ. რომელმაც, მანქანას რომ მოჰკრა თვალი, წამოდგა და ხელი დაგვიქნია. რეზომ — ნახეთ, კატო ბებოს როგორა ჰგავსო და მანქანა გააჩერა. მე უკან გადმოვჯექი და მოხუცი რეზოს ლოცვა-კურთხევით მიუჯდა გვერდით. მან ღიმილით გახედა და ჰკითხა:



— ბებო, სად ყოფილხარ?

— კბილი ექიმთანა, შვილო... — მიუგო მოხუცმა.

— გენძრეოდა?

— ჰო, შვილო!

— ახლა აღარ გენძრევა?

— არა, შვილო, ამამიღო ექიმმა!..

ამასობაში უჯარმაშიც შევედით. ბებომ — აქ დააყე, შვილოო, — უთხრა რეზოს. მანქანიდან გადავიდა, კაბის კალთა აიწია, ჯიბეს ქინძისთავი მოხსნა, ცხვირსახოცში გამოკრული ორლარიანი ამოაძვრინა და რეზოს გაუწოდა.

— არ მინდა, ბებო, მეორე კბილი რომ დაგენძრევა, კბილის ექიმისთვის დაგჭირდება, — ხელები ასწია რეზომ.

მოხუცმა მეჩხრად გაუღიმა:

— მადლობა, შვილო! ღმერთმა ჩემოდონა მოგყაროს. ჩემი ტოლი რო გახდები, ისე დაგენძრევა, ორი კი არა ხუთი ლარიც ვერ გიშველის!..

***ეკატერინე მჭედლიშვილი, ყვარელი***

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტებანი

კასკადიორი — ორი კაშხალი
კურკური — მოსწიე მტკვარი (სიგარეტი)
კარტინგი — ინგას კარტები
კასკადიორი — კრისტიან დიორის ჩაფხუტი
კრისტინა — თინა დეიდას ვირთხები
კარკასი — სეიფის კარები
კარიაული — აულის, სოფლის შესასვლელი კარი
კაშალოტი — ლოთი ქობალიას ფაფა
კასაბლანკა — მარია ბლანკას სეიფი
კულაში — ლაშიჭალის კუ
კაიშაური — ძველი 5-კაპიკიანი
კანდიდი — სქელქერქიანი, ანუ სვანი
კასკასი — სეიფთა სეიფი
კოზლიკი — ლიკას თხები
კუზინა — ზინას კუ



**პასუხი ბატონ მახარე წიკლაურს (ჩემს დუელანტს)**

*კვლავ რომ მიწვევ, მახარე,*
*ძალიან გამახარე,*
*მეც ხომ მთების კაცი ვარ,*
*ძლიერ მიყვარს მაგ მხარე.*

*ნეტავ გზაი ვიცოდე,*
*ან ბილიკი შენამდი,*
*თარგმანში კი, იცოდე —*
*ვერ მომწვდები წელამდი.*

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K



ნინო ბერძენიშვილი და მირზა გელოვანი

# (2002 წლის 2 მარტი — მირზა გელოვანს 85 წელი შეუსრულდებოდა)

## მას არ არგუნა ბედმა ჭარმაგს ეხილა სამყარო... კომეტასავით ჩაიქროლა და წავიდა. უკვე 85 წლის მირზა გელოვანი დარჩა 27 წლის ჭაბუკად და მარადისობად...

### ფოთოლი

„მსუბუქი ტანი გაქვს, სურვილს აყოლილი,
ნეტა შენ...
არ ვგავართ ერთმანეთს მე და შენ.
ქარს გინდა რომ აჰყვე და სივრცეს სულ ევლო?
დედიკოს რომ მოსწყდე, დასჭკნები,
სულელო“.

ეს სტრიქონები თხუთმეტი წლისამ შეთხზა.... მაშინ თვითონაც არ იცოდა, რომ გამხელილი ნატვრა ცხოვრების სინამდვილედ ექცეოდა. მოკლე სავალზე ია-იებად დაფერავდა სულის სინაზეს, ორთაჭალაში აყვავებული ნუშის სურნელს მოაფრქვევდა ყინვიან დღეებს, ქარსა და ქარიშხალს აყოლილი უკიდეგანო სივრცეებში ჩაინთქმებოდა და არდაბრუნების პატიებას შესთხოვდა მკითხველს...

„მირზა გელოვანი მოვიდა სულ სხვა გზით, სხვა პოეტური ემოციებითა და შებინდების გარდუვალობის სევდით. არა აღტაცებითა და ხმაურით, არამედ ჩუმი ჟინიანობით, გარემოს მგრძნობელობითა და სამყაროსვე მეგობრობით. ის თითქოს მდინარეებთან, ხეებთან და ბალახებთან ერთად, ვითარცა დიდებული მოციქული, ამოიზარდა მიწიდან. მას ესმოდა ქარისა და ქარიშხლისა, სიოს რწევისა და შეეძლო ტყეთა შეულამაზებლად დანახვა, სწორედ ისეთის, როგორც იგი ხვდება ყველა ჩვენგანს ცხოვრებაში და მათ გადმოსაცემად არ გვყოფნის ოსტატობა. მან იცოდა თავისი გასარბენი გზა და ადრე გაირბენდა თუ გვიან, ამას მნიშვნელობას არ ანიჭებდა. ის თითქოს თავიდანვე გრძნობდა ჩასაფრებულ სიკვდილს. მან ეს იცოდა და სადაც შეჩერდებოდა, ყველგან ტოვებდა დიდი გულის ნაკვალევსა და სითბოს“. წერდა პოეტი სილოვან ნარიმანიძე მირზას 60 წლის იუბილეზე. თუმცა იგი არც სამოცი წლის უნახავს ვინმეს, არც ოცდაათის... მას არ არგუნა ბედმა ჭარმაგს ეხილა სამყარო. კომეტასავით ჩაიქროლა და წავიდა. მის კერაზე შემორჩენილი სურათებიდან გვიმზერს „ახალგაზრდა და ხალისიანი“, — უკვე ოთხმოცდახუთი წლის მირზა გელოვანი და ვერასოდეს წარმოიდგენ, რომ აქამდე მასაც თმაში ჭაღარა შეეპარებოდა, წელთა სიმრავლე ჩამუხლავდა, უპეებს დაუღარავდა. დარჩა იგი ოცდაშვიდი წლის ჭაბუკად, უკვდავ სახედ და მარადისობად. მისი ხალასი სული ლირიკულ სტრიქონებად დაიღვარა და მკითხველი პირველყოფილ სიწმინდეებს აზიარა. უყვარდა, ულხინდა და წერდა. უწვიმდა, უთოვდა და მაინც ჯიუტად წერდა: „ვეძებ წამებას, რომელიც მე არ განმეცადოს, და ამ ძებნაში დაილალნენ ჩემი მუხლები“, — უნდა ეყვირა ასეც, რადგან ია-ვარდით არ იყო მოფენილი მისი პოეტური გზა.



მირზას მიერ დასურათებული საკუთარი ლექსები



ამ გზას ის თავად წმენდდა და ალამაზებდა..

„მე ყველა ხალხთან მქონია საქმე. უკანასკნელ ხანებში მწერლებთან მიხდებოდა ყოფნა. ეს თითქმის ყველაზე კეთილშობილური ჯგუფი ხალხის თვალში, მე მამლევდა ბოროტებისა და ზიზღის გაკვეთილებს. ახლაც ვიხედები წარსულში და მე ვერ მიპოვია ვერც ერთი სახე, რომელიც შეედრებოდეს ჩემი ბავშვობის მეგობრების კეთილ სახეებს“ .

„მოსკოვი არის ადგილი, სადაც წვანან საქართველოს ხელმოცარული დიპლომატები, დონდაცლილი რაინდები და მწერლები. ო, რამდენი იყვნენ კონსტანტინოპოლსა და პარიზში, საბერძნეთსა და სპარსეთში. ძველ ბიზანტიასა და ვინ იცის, სად აღარ?! და დედაჩემო, როცა წავაწყდები ქართველთა სახელებს სხვათა წარსულში, გულნატკენი ვფიქრობ გაქსუებულ რაინდებზე და იმაზე, რასაც საქართველო ჰქვია. ვფიქრობ იმაზე, რამაც მათი ცხოვრება სხვა გზაზე დააყენა და გააყოლა სხვათა გზას. მეცოდებიან ისინი და მაინც მინდა გავიდე მათთან და სანთელი დავუნთო!“ — ეს იყო მირზას სულის რეჟიმი.

რომ არ შემორჩენილიყო მისი არც ერთი ლექსი და მხოლოდ მიმოწერებს გავცნობოდით, საკმარისი იქნებოდა გვეთქვა, რომ მის ავტორს ხალასი შემოქმედებითი ნიჭი და ბრწყინვალე გონება ჰქონდა.

„დაო, რუსუდან! მახსოვს გვიანი შემოდგომის საღამო, ჩვენი ოჯახი. ბნელოდა, გარეთ წვიმდა. ჩვენ, მთელი ოჯახი სახლში ვიყავით. გუგუნებდა ბუხარი. მამაჩემი, დინჯი და მუდამ აუჩქარებელი, სავარძელში იჯდა. დედაჩემი ტახტზე მოკეცილიყო და ქსოვდა. როენა გიტარაზე მღეროდა ძველ, სევდიან სიმღერას. შენ შალმოხვეული, თავჩაღუნული ფიქრებში იყავ წასული. თემოც დუმდა და მეც. და ყველანი ერთად როენას სიმღერასა და გიტარის ხმებთან შეერთებული ვისმენდით ღამის ცეცხლისა და ქარის მუსიკას. რა ბედნიერები ვიყავით, არა?“. ამაზე უკეთეს ავტობიოგრაფიას მირზა ვერ დაწერდა...

### „ოი, ბავშვობის დღეები“

მისი წინაპრები სვანეთიდან ჯერ თელავში გადმოსულან, მერე თიანეთში. გედეონ გელოვანმა აქაური ქალი — ევა მაჩურიშვილი შეირთო ცოლად და აქვე დამკვიდრდა. მირზაც აქ დაიბადა — თიანეთში: „ჩემს მშობლებს მეშვიდე შვილი შეეძინათ, რეზო დავარქვით. მირზა მისი პოეტური ფსევდონიმია. თიანეთი, იორი, ქუსნო, ხაწირი, ცხრაკარა და იხინჭა იყო მირზას ბავშვობის აკვანი. ჯანსუსტი ბავშვი იყო და ცხრა წლისას მშობლებმა სანადირო თოფი უყიდეს — სხეული ნადირობაში გაუმაგრდებაო. ბიძაჩვენი — შაქრო გელოვანი ცნობილი მონადირე იყო და ძმისწულის გაწვრთნა მან ითავა. როცა წამოიზარდა, გამოცდილ მონადირეებს დათვებზე დაჰყავდათ“, — იგონებს მირზას უფროსი და როენა.

ძალზე დაუდგრომელი, ხიფათისა და თავგადასავლების მაძებარი ჭაბუკი ყოფილა. თანატოლებში ყველაფერში პირველი და ყოველგვარი განზრახვის წამომწყები. თიანეთში დღესაც ლეგენდად დადის, როგორ ჩამოაყალიბა მირზამ „არსენას რაზმი“, როგორ ჩაუკეტა ცარიელი კლასი შიგნიდან მათემატიკის ერთ აბეზარ მასწავლებელს, რისთვისაც „სამი ხულიგანი მუშკეტერი“ — ვახტანგ ბეწუკელი, მირზა და იოსებ ბურდული პედაგოგიური სასწავლებლიდან გარიცხეს და განათლების კომისარიატის ჩარევამდე უკან აღარ დაუბრუნებიათ...

მირზას თანაკურსელი მარიამ შავერდაშვილი იხსენებს: „რეზო არა მარტო ლამაზი, საოცრად თბილი და გიჟმაჟი ბიჭი იყო. ყველას ბავშვებივით გვეფერებოდა, ყველას სიყვარულს იტევდა. ერთხელ ლექციების შემდეგ გუნდ-გუნდად გამოვიშალეთ. მირზას თეთრი სამოსი ეცვა და მთის ქათქათა ნაკადულივით მოარღვევდა ქუჩას. უცებ ჩოჩქოლი ატყდა. გოგო-ბიჭები მიიფანტ-მოიფანტნენ. თიანეთის ცენტრში რადიორეპროდუქტორის უეცარ შეძახილზე ვიღაცას ცხენი დაფრთხობოდა და დაფეთებული მოგელავდა. რეზომ წიგნები ვახტანგ ბეწუკელს მიაჩეჩა, ცხენს უყელა, ფაფარში ჩააფრინდა და აეთრევინა. ცხენი უფრო დაფეთდა. რეზომ მარწუხივით შემოაჭდო კისერზე ხელები და თანდათან დაიოკა კიდეც. რამდენიმე წუთში მოთვინიერებულ ულაყზე ამხედრებული მიგვიძღოდა ღიმილით“.

ასეთი იყო მირზას ბავშვობის სამყარო: აყვავებული ალუჩები, მტირალა ტირიფები, სიახლოვისა და განშორების მთრთოლვარე დღეები. მაგალითად „თეთრი მიწაც“ კმარა, რომლის ადრესატის წერილი სამოცდაშვიდი წელია მირზას სახლში ინახება. იმ პაწაწინა ხალიანმა გოგომ, უხელთათმნო ხელით რომ ეგუნდავებოდა მირზას, ალბათ ბევრი ღამე გაათია ფიქრსა და ოცნებაში. ვერ კი შებედა გრძნობის გამხელა. სა-



მირზა გელოვანი ოჯახთან ერთად

მაგიეროდ მიწერილ ბარათს წაუმძღვარა საგულისხმო ეპიგრაფი: „ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, მდუმარების ცრემლებით და დავტოვეთ ნახევრად დამსხვრეული გულები“.

**სარა ხაიაური:** „მალე უკან დარჩა „თიანეთი და სწორები“. მირზა თბილისელმა ლამაზმანებმა გაიტაცეს და არაერთი მათგანი გახდა მისი პოეტური შთაგონების წყარო.“

### „თქვენ დარჩით შორი, ცაზედაც შორი“...

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მირზა გელოვანის ეზოს კარი თმადათოვლილმა, სიმპათიურმა ქალბატონმა შეაღო. შინაურივით მოიარა ოთახები, საოცარი კდემით მიეფერა თითოეულ ნივთს, მერე აივანზე გამოვიდა და დიდხანს შესცქეროდა სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მირზას უზარმაზარ სურათს: „ჩემო მირზა ლამაზო“ (ასე გეძახდით), შენმა სულმა გაიგოს, რომ მე მოვედი შენს ოჯახში, შენს მიდამოში. იცოდე, შენ დავიწყება ჩვენგან არ გიწერია, სანამ შენი თაობა ცოცხალი ვართ, 82 წლის ასაკში ვართ — ნ. ბერძენიშვილი, ლენა გოგოლაშვილი, თ. მაქსიმელაშვილი, ნელი ამაშუკელი და კიდევ სხვები. 2000 წ. 5 აგვისტო“, — ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში და წავიდა. ვინ იყო უცნობი ქალბატონი, არავინ იცის. იქნებ თინა? ნინო? ნელი? ტურფა? ეგებ არც ერთი მათგანი, მაგრამ მთავარია, იყო ის, ვინც ყველას მაგივრად თქვა სათქმელი ანუ ვისაც უძღვნიდა მირზა თავის გულს, სითბოს, სინაზეს, რომელთა შესახებ წერდა: „ჩემი ლექსები, როგორც მილოცვა, მათ, ვინც არასდროს არ მივიწყებენ“. ისინი მარტოოდენ ლამაზმანები როდი იყვნენ...

1935 წლიდან მირზა თბილისშია. ცხოვრობდა მელიქიშვილის ქუჩაზე ერთ პაწია ოთახში, იქ, სადაც ახლა სასტუმრო „საქართველოა“. ეს იყო იმდროინდელი თაობის სულის შესაკრებელი. აქ ყოველდღე თავს იყრიდნენ გაბრიელ ჯაბუშანური, შოთა რევიშვილი, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, ვახტანგ ჭელიძე, გიორგი კალანდაძე, ლადო ავალიანი, ალეკო შენგელია და სხვები.

მირზა ერთხანს გამომცემლობა „ფედერაციაში“ მუშაობდა, შემდეგ „აფხაზეთის“ რედაქციაში. იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. თავისუფალ მსმენელად დაიარებოდა უნივერსიტეტში. მისი ლექსებისა და ბალადების ხელნაწერები უნივერსიტეტში ხელიდან ხელში გადადიოდა, თითქმის ზეპირად იცოდნენ. ამ დროს გამოქვეყნდა მისი „აონი“, „შავლეგო“, „შავნაბადა“, „ცხრაკარა“, „ფანდური“, „ჩემი მუქარა“, „თორღვა“, „ბალადა ვარძიის მშვენებლობისა“, „საუბარი იორთან“ და მრავალი სხვა.

1939 წელს მწერალთა კავშირის წევრი გახდა. მხოლოდ ერთ წელს მოუწია წევრის სტატუსით მწერალთა შორის ყოფნა და მაინც მოასწრო მისი ტრიბუნიდან გამოეთქვა განსხვავებული აზრი:

„დღევანდელ ქართულ პოეზიაში გამეფებულია აღწერითი, ხატვითი პოეზია. იმის მაგიერ, რომ პოეზია იყოს სულის მოძრაობა. დღევანდელი პოეზია იწყება ხატვით და მთავრდება სალოზუნგო ხოტბით. ჩვენი კრიტიკოსები კი ან ათჯერ ნათქვამის ვინიციას აკეთებენ, ან არა და რომელიმე პოეტს ისე ხელაღებით აქებენ, რომ მკითხველი იძულებული ხდება, ეს წერილები არ წაიკითხოს“.

ეს სტრიქონები 22 წლის მირზას ეკუთვნის. მას შემდეგ ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა. უკან დარჩა წარსული, როგორც მისი ხანმოკლე ბავშვობა...



მირზა გელოვანის ავტოგრაფი და ნახატი

### „მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი...“

1941 წელს შინ გამოგზავნილ წერილში წერდა: „ომი დაიწყო. ვიცოდი რომ დაიწყებოდა იგი. გჯეროდეთ ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, მალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დაე, ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ“...

„დაო, რუსუდან! აქ შევიცან ნამდვილი ადამიანი და ცხოვრება მთელი თავისი სიღრმით, სირთულითა და სილამაზით. აქ ვისწავლე რა ძვირი ღირს მოსიყვარულე გული და როგორ არ ვაფასებთ მას... აქ ყველაზე ნათელია ცხოვრებისეული ჭეშმარიტება — უწიგნოდ, უპროფესოროდ... ჩემი ლოდინი მოსწყინდებათ საქართველოში. მე გრძნობები დამიავადდნენ, დაო“.

„არ არის ტყვია, რომელიც მე მომკლავს, რადგან ჩემი ფესვები იმ ქვეყანაშია, რომელსაც კლავდნენ და არ კვდებოდა“. ასეთი რწმენით გაუძლო ქარს და ურაგანს. 1944 წლის 30 აპრილს კი თითქოს დადუმდა არე. ჩრდილი ჩამოწვა თიანეთის მთებზე. დედამ გულში ჩაიკლა ტკივილი, მხრებში მოიხარა. რუსუდანსაც შეეყინა პირზე ღიმილი. საქართველოში თითქმის დაავიწყდათ მისი სახელი... და აი, 1963 წლის 13 ივნისს ბელორუსიიდან წერილი მოვიდა. რჟავკელი მოსწავლეები თურმე სათუთად უვლიან ძმათა სასაფლაოს, სადაც გმირულად დაეცა კაპიტანი მირზა გელოვანი.

...გახსნილი ჭრილობიდან ღვარად წამოვიდა ცრემლი და სისხლი. მირზას მეგობარმა ვახტანგ ბეწუკელმა საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით მთაწმინდიდან წაღებული მიწა მოაბნია მის საფლავს. ბელორუსიიდანაც ეწვივნენ მის ფუძეს. მალე მირზას ლირიკა წიგნად აიკინძა. მას ოსტროვსკის, შემდეგ კი კომკავშირისა და რუსთაველის პრემიებიც მოჰყვა.

### „ო, მაპატიეთ“ —

„ახლა მენატრება ზღვა. ცოცხალი და მფშვინვარა. სადაც ცა არ არის. არის მხოლოდ ზღვა და მზეთუნახავი მელოდება ზღვაზე. მენატრება მთები, ცა საქართველოსი, ხეები, ჩრდილები, ბალახი... წუხელ მეზმანა: ჩემი ლექსების წიგნი გამოეცათ ჩემს გაუგებრად. მაკვირვებდა მისი სიდიდე და შავი ყდა“.

დასავლეთის დვინასთან დაასრულა ეს მონატრება. იგი დარჩა „იქ, სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ, სისხლის წვიმაში, ტყვიების ჩქერში“. ამხანაგს აცდენილი ტყვია მის გულში გაცივდა და ფარაჯიანი პოეტი მზესავით ჩაესვენა ცივ მდუმარებაში. მაშინ ალბათ წამიერად იგრძნო ტკივილი. იმ ტკივილს კი ვერაფერი აყუჩებს, მსახვრალმა ხელმა რომ დაცხრილა და იავარჰყო ჟიული შარტავას ინიციატივით შავნაბადაზე ძეგლად აღმართული მისი ამაყი ტანი.



მირზა გელოვანის ძეგლი (მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია) დაცხრილვამდე იდგა „ბორის ძნელაძეში“



მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი თიანეთში

**ეთერ თარიმანი**

# ყველაზე მუსიკალური „მემანქანე"



*მსოფლიოში ყველაზე მუსიკალური „მემანქანე"* ***გია გაჩეჩილაძე*** *სულ მალე რუსულ მატარებელსაც „გააქროლებს", ორიოდე დღის წინ „უცნობი" გრანდიოზული პროექტის შესახებ პირველად „კვირის პალიტრას" ესაუბრა.*

— თბილისში სტუმრად ჩამოსული რუსები იმდენად აღფრთოვანდნენ „ქართული მატარებლით", რომ ვიდეოკასეტა და დისკი წაიღეს და ცოტა ხანში მე და ვანიკო თარხნიშვილი მოსკოვში მიგვიწვიეს. იმ შეხვედრებზე გაჩნდა იდეა, რომ „რუსული მატარებელი" გადაგვეღო. სასიამოვნო ფაქტია, რომ უამრავ ადამიანს სურს კლიპში გადაღება. ელდარ რიაზანოვმა პატივად ჩათვალა, როცა კლიპში მონაწილეობა შევთავაზეთ. დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონ რეზო ჩხეიძეს, რომელმაც ელდარ რიაზანოვთან ჩვენი შეხვედრის ორგანიზება არ დაიზარა.

**— პოპულარული რუსებიდან კიდევ ვის ვიხილავთ შენს კლიპში?**

— ალა პუგაჩოვას, კალიაგინს, კოსტია რაიკინს და სხვებს. მათთან შეხვედრისას ვიგრძენი, როგორ ენატრებათ ქართველებთან ურთიერთობა. ამიტომაც ვეთანხმები აზრს, რომ არსებობს ორი რუსეთი. ერთი — პოლიტიკოსების რუსეთი, რომელიც საქართველოს უამრავ პრობლემას ახვევს თავზე და მეორე — ინტელიგენციის, რომელსაც ქართველებთან კეთილი დამოკიდებულება აკავშირებს და ყველაფერი ქართული ენატრება.

**— პოლიტიკოსებს თუ შეხვდი და რომელიმე მათგანს თუ იწვევ კლიპში?**

— პირადად არავის შევხვედრივარ, მაგრამ ამ საქმის რუსი ინიციატორები მუშაობენ ამ საკითხზე. კლიპში მონაწილეობას მიიღებენ ირინა ჰაკამადა, ჟირინოვსკი და ლუჟკოვი. ასევე მოსკოვში მოღვაწე ქართველები: გიორგი დანელია, არჩილ გომიაშვილი, თამრიკო გვერდწითელი, სოსო პავლიაშვილი, ვალერი მელაძე... მატარებელში იხილავთ იმ ხალხს, ვისაც ერთმანეთი ენატრება.

**— ალბათ სხვა ტექსტზე იქნება სიმღერა.**

— რა თქმა უნდა. ტექსტს პოლიტიკური დატვირთვა აქვს. მგონი რაღაც გამოგვივა, ანუ ერთად „გავაკეთებთ რამეს".

**— როგორ ფიქრობ, რუსული და ქართული ლიანდაგების სასიკეთოდ შეერთება მოხერხდება?**

— ეს უნდა მოხერხდეს. ამჯერად დაფინანსების საკითხი ცოტა გაჭიანურებულია. რუსები 30%-ს აფინანსებენ. 50%-ზეც თანახმა იყვნენ, მაგრამ მე აღარ მექნებოდა თავისუფლად მოქმედების უფლება. ეს კი „არ მაწყობდა". იცი რა ხდება? შეფერხებები მაწუხებს იმდენად, რამდენადაც ამ კლიპს საკუთარი პოპულარობისთვის არ ვაკეთებ და წინა პლანზე მოგების ინტერესი არა მაქვს. მინდა, კლიპმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ორი ურთიერთობაგართულებული ქვეყნის ცხოვრებაში. ამიტომაც საქმე რომ ჭიანურდება და თანაც ქართველი დამფინანსებლების გამო, გული მწყდება.

**— გია, შენს მობილურ ტელეფონზე ზუმერის ნაცვლად შენივე კლიპის მელოდიაა ჩაწერილი. ეს იმას ნიშნავს, რომ „მატარებელი მიქრის" შენი უსაყვარლესი ნაწარმოებია?**

— ერთ-ერთი საყვარელი ნაწარმოებია, რომელმაც დიდი სულიერი სიამოვნება მომიტანა. დიდი ზემოქმედება მოახდინა ჩემზე კლიპის ნახვის შემდეგ ბოლო კადრმა, გია ყარყარაშვილის თვალის ჩაკვრამ, რაც ჩემი აზრით იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად იქნება და თუ დღეს არ ვიცით, სად მივდივართ, ხვალ ვიგრძნობთ, რომ ცხოვრების მატარებლის ლიანდაგს სინათლისკენ მივყავართ.

**— შენს ქართულ მატარებელში ყველა პროფესიის წარმომადგენელი ვიხილეთ, გარდა ჟურნალისტებისა. რა მოხდა, გამოგრჩა ჩვენი არსებობა თუ?**

— ნიკა ტაბატაძე უნდა გადაგვეღო მეუღლითურთ, მაგრამ ბოლო მომენტში მოულოდნელი პრობლემის გამო გადაღებაზე ვერ მოვიდნენ.

**— ლევანს თუ ვიხილავთ ახალ კლიპში და საერთოდ ახალი სიმღერის ჩაწერას ხომ არ აპირებთ ერთად?**

— ჩემი ძმა ასეთ დათმობაზე დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ წამოვიდა. მინდოდა ერთობლივად ჩაგვეწერა სიმღერა, რომელიც ჩემს კასეტაზე დარჩებოდა. ანი მაგისგან სიმღერის ჩაწერის იმედი აღარ მაქვს.

**— შენთან რომ მოვდიოდი, სადარბაზო შემეშალა და ერთ სართულზე დაგდებული შპრიცები ვნახე, როგორც ჩანს, ნარკომანია შენს მეზობლადაც მძვინვარებს. ხომ არ გიფიქრია ამ პრობლემაზეც დაწერო სიმღერა?**

— აუცილებლად. ეს ძალიან მტკივნეული თემაა და იცით, რა მაშფოთებს? პატარა გოგონებში საშინელი აზროვნებაა გამეფებული. ნარკომანი ბიჭები მოსწონთ, არადა ამ ბიჭებს რომ დასცინოდნენ და ზედაც არ შეხედონ, ნარკომანიის პრობლემა საქართველოში აღარ იარსებებს.

**— ფიქრობ, რომ ქართველი გოგონები „ვეფხისტყაოსანზე" აღარ იზრდებიან და ამიტომაც დაკარგეს ვაჟკაცობის დაფასების უნარი?**

— დიახ. ქალს საქართველოში ყოველთვის გადამრჩენის ფუნქცია ეკისრა. ეს კი გამომდინარეობდა მათი აღზრდის ფორმიდან. ახლა სკოლაში ნასწავლ და განათლებულ ბავშვებს დასცინიან და ვისაც უზნეობისკენ აქვს მიდრეკილება, იმას კაი ტიპად თვლიან. ეს არის პირველ რიგში მოსავლელი პრობლემა.

*ეკა ლომიძე*


English with computer
ინგლისური ენის კომპიუტერული ცენტრი
გთავაზობთ
ყველას, ვინც სერიოზულად ფიქრობს კარიერაზე
ინგლისური ენის საფუძვლიანი შესწავლის უმოკლეს გზასა და სრულიად ახალ ფორმას უნიკალური კომპიუტერული ინტერაქტიული პროგრამების მეშვეობით

- ყველა მსურველისათვის 14 წლის ასაკიდან;
- ინგლისური ენის პროფესიულ დონეზე შესწავლა;
- Elementary, pre-intermediate, intermediate, upper-intermediate;
- ინგლისური ბიზნესისათვის BUSINESS ENGLISH;
- აუდიო და ვიდეო გაკვეთილები, კომპიუტერული შემეცნებითი თამაშები off/on line რეჟიმებში;
- ყოველდღიური ტესტირება;
- უმაღლესი კვალიფიკაციის მასწავლებლები;
- დამატებითი მეცადინეობა;
- სწავლების კომფორტული გარემო;
- სწავლის დაწყება ნებისმიერ დღეს და საათს;
- ინტერნეტით სარგებლობა;
- დიაგნოსტიკა-ტესტირება უფასო
- გაცდენილი გაკვეთილების აღდგენა უფასო
- მინიმალური კომპიუტერული მომზადება უფასო
- თითოეული კურსის ხანგრძლივობა 1-დან 5 თვემდე

გახსოვდეთ, თქვენ ჩვენთან იხდით მხოლოდ ცოდნისთვის
თბილისი, გიორგი წერეთლის 3, VIII სართული
ტელ/ფაქსი: 23 38 75 e-mail: megasoft@gol.ge




## მოქმედება პირველი
## სოდერბერგი, რობერთსი, პიტი

— სტივენ, რატომ ხდება, რომ ლას-ვეგასზე გადაღებულ ფილმებში ავტორები აუცილებლად მასხრად იგდებენ გმირებს, თანაც ერთობ ცინიკურად?

**სოდერბერგი:** საიდან მოიტანე?

— იქიდან, რომ თავად ვცხოვრობ ვეგასში.

**სოდერბერგი:** კარგი, ჩემი ფილმიც დამცინავია?

— შენი — არა და ამაშია მთელი სიურპრიზი.

**სოდერბერგი:** მე სპეციალურად ლას-ვეგასზე არ მიფიქრია. მე ამბავმა დამაინტერესა. ლას-ვეგასში გამგზავრება კი მაინცდამაინც არ მიზიდავდა. მაგრამ, უნდა გითხრა, რომ მშვენიერი დრო გავატარე, თუმცა როგორც თაფლის კასრში ყოველთვის შეიძლება მოხვდეს ერთი კოვზი კუპრი, ასევე ჩვენს კამპანიასაც აუცილებლად სჭირდებოდა ერთი უჟმური.

— და ვინ იყო ეს უჟმური?

**სოდერბერგი:** უჟმური იყო...

**ბრედ პიტი:** მე.

— მართალია, რომ ქლუნი სულ გაპამპულებდა? ის ხომ ამის ოსტატია.

**პიტი:** მრავალწლიანი სტაჟით.

**რობერთსი:** მაგრამ მის საქციელს ჩვენ არავის ვუამბობთ.

**პიტი:** თუმცა ის მეტისმეტად საძაგელია.

**სოდერბერგი:** მოვყვებით, მოვყვებით. იცით რას სჩადიოდა? ჯერი ვაინტრაუბის, ჩვენი პროდიუსერის ხმის იმიტაციას ახდენდა. ჰოდა, ერთი-ორჯერ ქლუნიმ სასტუმროს მორიგეებს დაურეკა და ჯერის ხმით დაავალა, გაეღვიძებინა გადამღები ჯგუფი დილის 6 საათზე.

**რობერთსი:** თანაც ღამის ცვლის შემდეგ.

**სოდერბერგი:** საბრალო ჯერი, უდანაშაულო დამნაშავე, ყურმილში ღრიალებდა: „რატომ მაღვიძებთ დილაადრიან?" საწყალი გოგონა კი პასუხად ლუღლუღებდა: „მაგრამ, მისტერ ვაინტრაუბ, თქვენ ხომ თავად გამაფრთხილეთ გუშინ"... ეს სულ ქლუნის ოინები იყო.

## შეკითხვა ქლუნის

— შენ ისევ დათანხმდი გეთამაშა სოდერბერგთან. ასეთი განსაკუთრებული რა ნახე მასში?

**ქლუნი:** თავგანწირული ადამიანია, იწვის მუშაობისას, თავს არ ინდობს. ხელმარჯვნივ დაუცხრომელი ჯულია რობერთსი უდგას, ხელმარცხნივ — უქნობი ბრედ პიტი. ჩემი სამუშაო კი მოკრძალებულია — დავეხმარო მსოფლიოში საუკეთესო რეჟისორს მძიმე შრომაში. ცხადია, ვხუმრობ.

— თავისუფალ დროს რას აკეთებდით? კაზინოში ხომ არ ერთობოდით?

**ქლუნი:** აზარტული არა ვარ. ფულზე, როგორც წესი, არ ვთამაშობ, მაგრამ მე ხომ ფსიქოლოგიური სკოლის სერიოზული მსახიობი ვარ, მე მჭირდება როლში შესვლა. ვცდილობდი კიდეც: ვსვამდი, გოგონებს ვაბამდი.

## იგივენი, აქცენტი ჯულიაზე

— ჯულია, ერთხელ თქვი, სოდერბერგის გულისთვის ყველაფერზე წავალო.

**რობერთსი:** კი, წამომცდა ერთხელ და აი, სანამდე მივედი.

— რითი მოგხიბლა?

**რობერთსი:** შესანიშნავად ერკვევა კინოში, მას შეუძლია გასაგებად აგიხსნას, რა უნდა შენგან, თანაც შეუძლია შენიღბოს თავისი მსახიობების ნაკლოვანი მხარეები...

*მაგაზინ*


ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
სტვაზეთი და ოფსეტური
ყველაზე იაფად
ადგილზე მიწოდებით
ტელ: 71-04-14; 877-43-28-62

# ამბავი «სახე-კეკლუცი» — უბედური გიორგი რუსისა...



„... ვკურნებდით ბაბილონს და არა ინკურნებოდა“

**გიორგი III-ის მტკიცე ხელი;**
**თამარის გამეფება;**
**„დარბაზის“ უფლებები ფართოვდება;**
**აბულასანი თამარის ღირსად რუს უფლისწულს ცნობს;**
**გიორგი რუსის მშვენიერმა აღნაგობამ ერი და ბერი მოხიბლა;**
**„თვინიერ ნებისა თამარისა ყვეს ქორწილი“;**
**„... ვკურნებდით ბაბილონს და არა ინკურნებოდა“;**
**მანკიერი გიორგი რუსი გააძევეს;**
**თამარი ღირსეულ დავით სოსლანზე იწერს ჯვარს;**
**გიორგი რუსი ლიხთიქითა საქართველოდან „უტევს“ თამარის კარს;**
**უკუქცეული რუსი კიდევ ერთხელ „ცდის ბედს“;**
**1193 წლის მიწურულიდან გიორგი რუსის კვალი ქრება;**
**როცა მავანთა ფანტაზიას „სამანი“ არა აქვს...**



## იყო წელიწადი მშვიდიც და შფოთიანიც...

1166 წელი დამდგარიყო. სახელოვანი პაპის, სულმნათი დავით აღმაშენებლის ღირსეულმა შვილიშვილმა გიორგი III-მ არათუ შეინარჩუნა გმირი წინაპრის განვრცობილი სახელმწიფო მიჯნები, სამანთა გადაწევასაც მიჰყო ხელი. შინაურმა მოქიშპეებმაც იგრძნეს მეფე გიორგის მტკიცე ხელი და დაჰყვნენ მის ნებას. სწორედ ეს წელი იყო გამორჩეული იმით, რომ დროებითი სიმშვიდისა და გართობა-ნადირობის შემდეგ, ქართულმა ჯარმა სამხრეთითაც და აღმოსავლეთითაც აგრძნობინა მაჰმადიანურ ქვეყნებს ქართული იარაღის ძალა და კარგა ხნით დაუკარგა საქართველოზე გამოლაშქრების სურვილი. ასე რომ, იყო წელიწადი მშვიდიც და შფოთიანიც.

სწორედ ამ წელს გიორგი მესამესა და მის ულამაზეს მეუღლეს, ოვსთა მეფის ასულ ბურდუხანს, რომლისა მსგავსი რძალი „არა ეხილა ქართლის თემსა“, შეეძინათ პირველი შვილი, ასული თამარი. მაშინ ალბათ არც უფიქრიათ იმაზე, რომ განგება ბედნიერ წყვილს უფლისწულს არ მოუვლენდა და სწორედ თამარი გახდებოდა წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფოს საჭეთმპყრობელი.

თამარის გამეფებამდე კი იყო გიორგი III-ის მტკიცე ხელისუფლებით უკმაყოფილო დიდებულთა ამბოხი — ამირსპასალარ იოანე ორბელის თაოსნობით, რომლის სურვილიც იყო მისივე სიძის, მეფის ძმისშვილის დემნა ბატონიშვილის გამეფება. მეფე გიორგიმ შეძლო ამ აჯანყების ჩახშობა და ამბოხების მონაწილეთ „შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“, დემნა უფლისწული სასჯელს გადაჰყვა.

უძეო სამეფო სახლმა, მიუხედავად იმისა, რომ თამარს ყველანაირად ერგებოდა ტახტი, მაინც დაიჭირა თადარიგი და 1178 წელს მამამ უფროსი ქალიშვილი (მეფეს ჰყავდა მეორე ასული რუსუდანი) თანამესაყდრედ გამოაცხადა და საზეიმოდ აკურთხა მეფედ. ის ექვსი წელი თანაზეობისა, გამოცდილებისა და დაბრძენების ექვს წლად იქცა სხივმოსილი თამარისთვის. ამიტომ იყო, რომ მეფე-მამის გარდაცვალების შემდეგ „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე გაჭენებული“ უძლიერესი სახელმწიფო 18 წლის ასაკოვნების და მდედრობის მიუხედავად, საიმედო ხელში აღმოჩნდა.

თითქოს ყველა მოსალოდნელი ბარიერი გაითვალისწინა თამარის მეფობის პირველი წლებისა მეფე გიორგიმ, მაგრამ ყველაფრის თავიდან აცილება შეუძლებელი აღმოჩნდა. ჯერ იყო და იმისთვის, რომ თავიანთი პრივილეგიები და როლი დაეფიქსირებინათ დიდებულებს — თამარს ხელახლა „შეაბეს მახვილი“ — ხელახლა აკურთხეს მეფედ ხელმწიფის კარის ყველა ცერემონიის გათვალისწინებით. მერე იყო და აიძულეს შელეოდა მამის საყვარელ და ერთგულ მოხელეებს — მანდატურთუხუცესსა და ამირსპასალარს ყივჩაღყოფილ ყუასარს და „აზნაურის ნაყმევს“, მსახურთუხუცესობამდე აღზევებულ აფრიდონს, რომელთაც იგივე დიდებულები ჯიშსა და წარმომავლობას უწუნებდნენ.

ეს კიდევ არაფერი. ქვეყნის შინაპოლიტიკურმა ცხოვრებამ ახალი მოულოდნელობა შესთავაზა ახალგაზრდა სხივმოსილ თამარს.

## ყუთლუ არსლანის დასი, ანუ „ისნის კარავი“

დიახ, ეს იყო გიორგი III-ის მიერ პოლიტიკურად, ხოლო შემდეგ „სიმდიდრითაც გალაღებული“ ყუთლუ არსლანის პოლიტიკური ამბიციების ერთგვარ პოლიტიკურ დოქტრინად წარმოდგენა და მისი პრაქტიკაში განხორციელების კატეგორიული მოთხოვნა. ყუთლუ არსლანი მარტო არ მოქმედებდა, მას თანამოაზრეთა დასი ედგა მხარში. მათი მოთხოვნა იყო ისანში, სამეფო სასახლის მახლობლად შექმნილიყო სრულიად ახალი დაწესებულება, სადაც შეიკრიბებოდნენ თანამოაზრენი, დასელები ანუ კარავისელები და ამ „კარავს“ ფაქტობრივად უნდა გამოეცა კანონები, რომლითაც ქვეყანა უნდა ემართათ. ეს იყო იმ დროისათვის გაუგონარი „განსაკვირველი“ მოთხოვნა, რამაც თავდაპირველად სამეფო სახლს ემოციური გადაწყვეტილებისკენ უბიძგა. თამარის ბრძანებით ყუთლუ არსლანი შეიპყრეს და დილეგში ჩაამწყვდიეს. საპასუხოდ კარავისელთა ბანაკიდან „იარაღის ჟღარუნი“ მოისმა და აი, აქ თამარმა მიიღო ორიგინალური და ჭეშმარიტად ფსიქოლოგიურად უნაკლოდ გათვლილი გადაწყვეტილება: შუამდგომლებად წარგზავნა ორი „დიოფალი“, კეთილშობილი მანდილოსანი ხუაშაქ ცოქალი, ქართლის ერისთავთ-ერისთავის რატის დედა და კრავაი ჯაყელი. ამ ნაბიჯმა უტყუარად გაჭრა. კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს. მოჯანყეებმა თაყვანისცემა გამოხატეს, ხოლო თამარმა სამეფო „დარბაზის“ უფლებები გააფართოვა.

## თამარს საქორწინო გვირგვინს ადგამენ

თამარს, როგორც ტახტის მემკვიდრეს, ბავშვობიდანვე ამზადებდნენ მეფობისთვის. აქ იგულისხმება მრავალმხრივი და ღრმა განათლება, ეკლესიურობა, გულმოწყალება და იმის შეგნება, რომ თავისი სიცოცხლე მხოლოდ მას კი არა, ქვეყანას ეკუთვნოდა და საჭირო შემთხვევაში პირადი ცხოვრება ქვეყნის ინტერესებისთვის უნდა მიეძღვნა ზვარაკად.

სწორედ ასეთი უმთავრესი საკითხი იყო თამარის დაქორწინება. ჯერ ერთი, ყველა მონარქიულ სახელმწიფოში უმნიშვნელოვანესია ტახტის მემკვიდრის საკითხი. უფლისწულ დემნას დაღუპვის შემდეგ აღარ არსებობდა ბაგრატოვანთა გვერდითი შტო, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეფე სარდლის საკითხი. ცხადია, საქართველოს უმაღლესი სამხედრო იერარქია გამოჩენილი სარდლებისა და სპასალართა ნაკლებობას (ამირსპასალარით სათავეში) ნამდვილად არ უჩიოდა, მაგრამ დიდ და გადამწყვეტ ბრძოლებში ამირსპასალარი მეფე-სარდალს ვერ შეცვლიდა.

სასიძოთა ნაკლებობა ნამდვილად არ იყო. თამარის პირველი ისტორიკოსი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ გვაუწყებს, რომ „მოსულ იყვნენ ოსთა მეფეთა შვილნი, მშვენიერნი და სახე კეთილნი მოყმენი“, აგრეთვე „ბერძენთა მეფის ძმისწული ალექსი“ და მრავალი უფლისწულნი მაჰმადიანური სასულთნოებიდან, რომელნიც მზად იყვნენ შესდგომოდნენ ქრისტეს რჯულს, თუ ბედი გაუღიმებდათ. საქმროს შერჩევა დიდხანს გაგრძელდა.

ბოლოს ეს საკითხი დარბაზმა გადაწყვიტა. შეიკრიბნენ დიდებულნი და დარბაისელნი. წამოდგა აბულასანი, ამირა ქართლისა და თბილისისა, რომელმაც თამარის ღირსად ცნო რუსი უფლისწული, ვლადიმირ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი იური, ნოვგოროდიდან ბიძის, ვსევოლოდ დიდბუდის მიერ გამოძევებული და ჩრდილოეთ კავკასიაში, ყივჩაღებში, ქალაქ სუნჯას შეფარებული.

მართლმადიდებელი რუსეთის, ვრცელი სახელმწიფოს ავტორიტეტი მაშინაც დიდი ყოფილა საქართველოში: „მე ვიცი შვილი ხელმწიფისა ანდრია დიდისა რუსთ მთავრისა, რომელსა მონებენ სამასნი მთავარნი რუსთანი...“ დარბაზმაც ერთნებაობით გადაწყვიტა: მოეწვიათ იური, ანუ გიორგი რუსი. სამოციქულოდ თბილელი დიდვაჭარი ზანქან ზორაბაბელი შეარჩიეს და განაზრახი ელვისუსწრაფესად განახორციელეს — „მსწრაფლ მისრულმან ცვალებითა ჰუნეთათა წამოიყვანა იური და მოიყვანა უწინარე პაემნითა“ — გზადაგზა ცხენებს იცვლიდა, რათა სწრაფად ჩასულიყო და უფრო სწრაფადვე ჩამოსულიყო, ვიდრე მოელოდნენ.

შესახედავად გიორგი რუსი რიურიკთა გვარისა მშვენიერი აღნაგობისა ყოფილა. ერი და ბერიც მოხიბლულა. ამას თამარის ორივე ისტორიკოსი ერთხმად აღიარებს. მოვიდა სასიძო: „...მოყმე სახე-კეკლუცი, სრული აღნაგებითა და მჭურეტთაგან საჩენი გუარისშვილად“.

მეფე თამარი ალბათ ხვდებოდა, რომ მრავალ პრეტენდენტთაგან კანდიდატურა უკვე შერჩეული იყო. გაიმარჯვა სამეფო კარზე რუსი უფლისწულის მომხრეთა დასმა, რომელიც თამარის სურვილის გათვალისწინებით მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა და საქმის მოგვარებას მისი გამზრდელი მამიდის რუსუდანის დაყოლიებით ცდილობდა. დედ-მამაგარდაცვლილი თამარისთვის ახლა ყველაზე ახლობელი და შინაური სწორედ რუსუდანი იყო. თვით რუსუდანი ერთ დროს ერაყის სასულთნოს რძალი — სულეიმან შაჰის ქვრივი ქმრის დაღუპვის შემდეგ, 1161 წლიდან საქართველოში დაბრუნდა.

ერთი სიტყვით, კულუარებში ყველაფერი „მოაგვარეს“ და „პატრიარქმან, დიდებულთა, ვაზირთა და სპათა, — მოახსენეს თამარს და მათგან ნებადაურთავი განამზადეს ქორწილი“. ერთი პირობა თამარი გაოგნდა და აღშფოთდა კიდეც ასეთი თავნებობით, მაგრამ საბოლოოდ კატეგორიულ უარს ვერ ამბობს და რუსი უფლისწულის გასაცნობად დროს მოითხოვს. იგი ფრთხილობს და საკითხს ასე აყენებს: როგორ შეიძლება საქმის ასე გადაწყვეტა? — „არა ვიცით კაცისა ამისა უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა“...

ბოლოს და ბოლოს, დაჰყვა თამარი მოვალეობას, ბედისწერას, დარბაზის ერთნებაობას, მამიდის რჩევას და „თვინიერ ნებისა თამარისა ყვეს ქორწილი“.

## მეხი... საყოველთაო ზეობის ჟამს

... უკვე აქ მემატიანენი ფრთხილად ეკიდებიან და ფრთხილადვე ეჭვს გამოთქვამენ ამ ქორწინების სვებედნიერებაზე.

როგორც მხედარს, გიორგი რუსს მაინცდამაინც არაფერი გაუფუჭებია. მისი მეთაურობით ქორწინებიდან მეორე წელსვე, 1186 წლიდან პატარ-პატარა ბრძოლებში ქართველთა ჯარმა ორი წლის განმავლობაში წარმატებებსაც მიაღწია — კარის, კარნიფორის, გელაქუნის, შამელთა წინააღმდეგ...

და აი, უეცრად, მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა... საყოველთაო ზეობის ჟამს მეფე-დედოფლის ბუდუარიდან გამოაღწია რუსის მანკიერების ამბავმა. ორწლინახევრის მანძილზე ითმენდა გაუმხელელად თამარი „ვითარცა გურდემლი“, „...იძია მრავალი ღონე განკურნებისა მისისა“ და როგორც თამარის მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი დასძენს — „ვკურნებდით ბაბილონს და არა იკურნებოდა“.

თამარის ორივე ისტორიკოსი აღწერს გიორგი რუსის მანკიერებებს. მათ შორის ლოთობას: „სიმთვრალეთა შინა იწყო მრავალთა საძაგელთა და უშუერთა საქმეთა ქმნად“, რომლის თქმაც კი უხერხულიაო. ერთი სიტყვით, განუზომლად სვამდა და აგრერიგად გაურიგოებული ბილწსიტყვაობდა, ყველას დასანახად ეტორღიალებოდა ქალებს, იგინებოდა და ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიოდა...

მიუჩინეს მკურნალი, მაგრამ ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა. გიორგი რუსი არავის იკარებდა, პირიქით, მკურნალებს და ჭკუის მარიგებლებს ლანძღავდა და სცემდა — „... შერაცხმნილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა ამოგდებითა ტანჯნა“.

საერთოდ, ლოთობა და მემთვრალეობა დიდ უზნეობად და სირცხვილად ითვლებოდა ისტორიულად ჩვენს, ვაზისა და ღვინის ქვეყანაში, მოსახლეობის ყველა ფენაში, მით უფრო დიდგვაროვნებში, რომელნიც ყოფაში სიდარბაისლისა და ზნეობის ნორმებს განუხრელად იცავდნენ.

მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო სრული ჩამონათვალი იმ მანკიერებისა, რომელიც გამოავლინა ჩრდილოელმა უფლისწულმა. უფრო საშინელი ზნეც შეიტყო ერმა და ბერმა — მამრისადმი, თავისი სქესისადმი ლტოლვაც — „უბოროტესთა პირველისათა სოდომურიცა მოიპოვა ქცევა“...

> მატიანეში გიორგი რუსის განპატიჟებასთან დაკავშირებით შემორჩენილია თამარის სიტყვები, რომელიც მეფური ღირსების, ქალური კდემამოსილებისა და ღრმად განსწავლულობის გასაოცარი ნიმუშია: „არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღმრთისა. მე არ მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ“.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. როცა ეს ყველაფერი ცნობილი გახდა და უკვე „უგრძნეს ვაზირთა და დიდებულთა“, ყველას ამოეწურა მოთმინების ფიალა. თვით მისი მომხრეები, ვისაც წვლილი მიუძღოდა სასიძოდ მისი კანდიდატურის შერჩევაში, ვერაფერს, ვერც ერთ გასამართლებელ საქმეს ვერ გამოჰყოფდნენ. სამეფო კარს კი ყველაფერთან ერთად კვლავ უმემკვიდრეობა ემუქრებოდა.

## განპატიჟებული უღირსი უფლისწული

შეიკრიბა კვლავაც დარბაზი. მატიანეში გიორგი რუსის განპატიჟებასთან დაკავშირებით შემორჩენილია თამარის სიტყვები, რომელიც მეფური ღირსების, ქალური კდემამოსილებისა და ღრმად განსწავლულობის გასაოცარი ნიმუშია: „არა ჯერ არს მის თანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღმრთისა. მე არ მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ“.

... და გააძევეს უბედურ რუსად შერაცხული — „წარიყვანეს ექსორიაქმნად (განსაძევებლად).

ამის შემდეგ მიაცილეს გიორგი რუსი ზღვამდე, ჩასვეს ხომალდში, გაატანეს „აურაცხელი ლარი, სიმდიდრე და საჭურჭლე“ და გაუყენეს საბერძნეთის გზას...

კვლავ დაიძრა საქართველოსკენ სასიძოთა დიდი არმია, მაგრამ ამჯერად უკვე ფრთხილობდნენ და დაკვირვებით მოქმედებდნენ საქართველოს მესვეურნი. დიდი განსჯა-ფიქრის შემდეგ არჩევანი ღირსეულ პიროვნებაზე — დავით სოსლანზე შეჩერდა. და იქმნა ჯვრისწერა და ქორწილი დიდუბეში — 1189 წელს.

... მაგრამ ამით არ დამთავრებულა უბედური გიორგი რუსის „ეპოპეა“. მოწყვეტილი რუსეთისგან, მოწყვეტილი საქართველოსგან ოპოზიციონერ ქართველ დიდებულთა ხელში სათამაშო ტიკინად გადაიქცა. პირველად გიორგი რუსი 1191 წელს შემოვიდა ტაო-კლარჯეთთან და შავშეთთან. გაძევებულ „სიძეს“ მიემხრო ამ მხარის პატრონი გუზანი, სამცხის სპასალარი ბოცო, ვარდან დადიანი ლიხთიქითა საქართველოდან: სერიოზული ძალა შეიკრიბა — მთელი დასავლეთი და სამხრეთი საქართველო. გასაკვირველი იყო თამარისთვის ეს ამბავი. ბევრს ეცადა არ დაეღვარა მოძმეთა სისხლი და მშვიდობიანად მოეგვარებინა ურთულესი პრობლემა, მაგრამ მეამბოხეებმა ამოღებული ხმალი ქარქაშში არ ჩააგეს, პირიქით, ლიხთაქეთაც გადმოიჭრნენ და გორი-ნაჭარმაგევამდე სოფლები მოარბიეს, მეორე ნაწილმა მხედრობისამ სამცხეში გააჩაღა ცეცხლი. მშვიდობა აღარ გამოვიდა. თამარის მხედრობამ დაიცვა სამეფო ტახტი... მაგრამ კვლავ იჩინა თავი მეფექალის ლმობიერებამ და ჰუმანურობამ — თამარმა ყველას შეუნდო, ქმარყოფილი გიორგი რუსიც გაათავისუფლა, რომელიც „მისსა სვეუბედურსა გზასა გაემართა“.

## ავადმოსაგონარი „ეპოპეის“ დასასრული

... მაგრამ არ მოასვენა გამჩენმა უბედური რუსი. ეტყობა, ისე ბედნიერად ახსოვდა საქართველოში ზეობის ორიოდე წელი, რომ მშვიდობა ვერ მოიპოვა მისმა სულმა, „აფრააწყვეტილი ნავივით ბორიალობდა“... 1193 წელს კვლავ გამოემართა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. ამჯერად რანის ათაბაგის ჯარებით კამბეჩოვანში (ქიზიყში) შემოჭრილა, მაგრამ ხორნაბუჯის პატრონმა სალირ მახატელის ძემ თავის სამ ძესთან ერთად მცირე ლაშქრით ისე დაამარცხა წერას ატანილი რუსი, რომ მეფე თამარისთვის მაშველი ძალაც არ უთხოვია...

1193 წლის მიწურული იყო.

... თამარის დევნილი ნაქმარევი კვლავ გადაიხვეწა, უკვე საბოლოოდ... ასე დასრულდა დაუდგრომელი უბედური რუსის უბედური ეპოპეა.

**P.S**. თამარის შესახებ ცნობებს ძირითადად მისი ორი ისტორიკოსის საშუალებით ვეცნობით. თამარის პირველი ისტორიკოსის (რომლის ვინაობა უცნობია) თხზულებაა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ანუ ისტორია და ქება სხივმოსილისა, ხოლო მეორე ისტორიკოსისა „ცხოვრება მეფეთმეფე თამარისი“. მეცნიერთა მოსაზრებით მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი უნდა ყოფილიყო. ორივე ისტორიკოსი გიორგი რუსის შესახებ მეტად ძუნწად საუბრობს, „ჭირმა თავი არ დამალას“ პოზიციიდან. უღირსი სიძის ავ საქმეთაგან მხოლოდ ისაა თქმული, რაც ჩვენს სტატიაშია მოცემული. სხვა ისტორიულ მასალებში ასევე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ გაძევებული უცხოტომელის უგვანო საქციელს. გვიანი პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებშიც კი ისე აღწერენ წმინდანად შერაცხული მეფეთმეფე თამარის ცხოვრების ამ ორ-ნახევარ წელიწადს, რომ თამარის სახელს ოდნავი ჩრდილიც არ მიადგეს...

რაც შეეხება ფანტაზიამოძალებულთა წარმოსახვებს გიორგი რუსის ფარშავანგებითა და კრუხებით „გატაცების“ გამო, რას ვიზამთ, ადამიანის გონებას მართლა არ ჰქონია „სამანი“...

***მეფეთმეფე თამარის ისტორიკოსებთან ერთად***
***ნოდარ შოშიტაშვილი***

კრიმინალი
CRIME NEWS
გამოდის ყოველ ხუთშაბათს
სპეციალური გამოშვება
SPECIAL EDITION
ფასი 50 თეთრი
გაზეთ „კრიმინალის“ 7 მარტის სპეციალურ გამოშვებაში თქვენ იხილავთ შემდეგ მასალებს:
• წელიწადში საშუალოდ 50 ქართველ პოლიციელს კლავენ;
• ეჭვმიტანილს დაკითხვაზე 4 კბილი ამოუღეს, შემდეგ კი ცოცხლად დამარხეს;
• სად და როდის დაიგეგმა ხაბეიშვილის, ჭანტურიასა და გულუას მკვლელობები;
• რატომ ვერ გაამართლეს გამოცდაგავლილმა მოსამართლეებმა;
• რა ხდება ლილოს ტერმინალში;
• როგორ რყვნიან ქართველ გოგონებს საზღვარგარეთ;
• ლინჩის სასამართლო ქართულად: გააფთრებულმა ბრბომ მესაფლავე დაასამარა.

## სიყვარულის ბარათი კონკრეტულ ადრესატს...

*ედაქციაში კვლავ მამაკაცი გვეწვია. ვატყობდი, ბატონ გოდერძის უჭირდა ლაპარაკი. შევაგულიანე: პირველი არ ხართ, ვინც აქ მოვიდა და გული გადამიშალა-მეთქი.*

*ჯერ გაზეთის ამ რუბრიკაზე ვისაუბრეთ. გამახსენა რამდენიმე ნომრის წინ დაბეჭდილი ინტერვიუ (ინკოგნიტო მამაკაცთან, რომელმაც ოჯახის მიტოვება გადაწყვიტა საყვარელი ქალის გამო): იმ კაცისგან განსხვავებით ოჯახის დატოვებას არ ვაპირებ, რადგან მეუღლე მიყვარს, მაგრამ რა ვქნა, პირველი სიყვარული ვერ დავივიწყეო.*



*მაშ, რამ მოგიყვანათ-მეთქი...*

— ჩემი მიზანი უბრალოა, წმინდა და ალბათ გულუბრყვილოც. მინდა „მან“ წაიკითხოს ეს წერილი და მიხვდეს, რომ ისევ ჭაბუკური გატაცებით ვეთაყვანები, თუმცა მას ორი შვილი ჰყავს, მეც ცოლ-შვილის პატრონი ვარ. სასწაული რომ მოხდეს და ჩემმა პირველმა სიყვარულმა შემომთავაზოს — ერთად ვიცხოვროთო, ამას არაფრის დიდებით არ გავაკეთებ!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ გარდა მოვალეობისა, ჩემი მეუღლეც მიყვარს და ვერ ვუღალატებ... თანაც მსურს ახალგაზრდებმაც ყურად იღონ ჩემი ნაამბობი... არ შეიძლება წუთიერ გატაცებას ანაცვალო დიდი სიყვარული. მწარედ დავისაჯე. ვნანობ, მაგრამ რაღა დროს?

**— და მაინც, რა მოხდა ასეთი?**

— ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, როცა მუშაობა დავიწყე ქსნის ხეობაში. იურისტი ვარ. სამსახურში შემთხვევით თვალი მოვკარი შველივით გოგოს და მაშინვე შემიყვარდა. თუ ვინმემ გითხრათ, რომ არ არსებობს ერთი ნახვით შეყვარებაო, არ დაუჯეროთ, გამიხსენეთ მე — ამის ცოცხალი მაგალითი. ჩემმა ნაცნობ-მეგობრებმა გამაფრთხილეს: მაგ გოგოს ისეთი მამა ჰყავს, მთელ ამ კუთხეს აზანზარებს და ქალიშვილის გათხოვებაზე სიტყვას ვერავინ უბედავსო. იმდენი გავაკეთე, რომ ერთ სალხინო სუფრასთან მამამისის გვერდით მოვხვდი. ჩემი სადღეგრძელოს დროს შეზარხოშებულს ხუმრობით შეაპარეს — შენი სიძეობა სურსო. მეხის გავარდნას მოველოდი, მაგრამ ეტყობა, კარგ თვალზე შემხედა და თქვა: ამ ბიჭს დასაწუნი არაფერი აქვსო.

იმ პერიოდში რაღაც ეშმაკი შემიჩნდა. საოცნებო ქალიშვილი ჩემად რომ დავიგულე, შემთხვევით გაცნობილი ქალის კაბის კალთას გამოვეკიდე და რამდენიმე თვით იმ არემარიდან გავქრი. როცა მოვბრუნდი, ჯერ სასიმამროს მოვუბოდიშე და კაცურად ავუხსენი ყველაფერი. გამიგო და შემინდო. გოგონამ კი აღარ გამიკარა. სანამ ეს შემთხვევა მოხდებოდა, იგი უარზე არ იყო, მერე კი ცივი „არა“ მომახალა და ამით დასრულდა ჩვენი ურთიერთობა. რამდენიმე წელი მის კვალს ლანდივით დავდევდი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, მეგობრულად მირჩია: დროს ტყუილად ნუ დაკარგავ, მე შენნაირები არ მომწონს, ცოლად არ გამოგყვებიო. ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ვერ მაპატია... ძალიან ამაყი გოგო იყო! მოტაცება მირჩიეს, მაგრამ ძალით წაყვანა ვერ გავუბედე, რადგან უსაზღვროდ მიყვარდა.

ბოლოს, შევირთე ცოლი. ცუდი ოჯახი არ შემიქმნია, პირიქით, ბევრი შემოგვნატროდა, მაგრამ დღემდე არავინ იცის, რა ცეცხლი მიტრიალებდა გულში. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო. არ ყოფილა ეგ მართალი. ამ რამდენიმე წლის წინ დავურეკე, დაბადების დღე მივულოცე და ვთხოვე — შენს სამსახურში მოვალ, ცოტა ხნით შემხვდი და დამელაპარაკე-მეთქი. მე ხომ მისი ნახვა და ხმის გაგონება მწყუროდა! ტელეფონში ზრდილობიანად მითხრა, — ნუ შეწუხდებიო. ვიგრძენი, რომ ჩემგან ყურადღება ამჯერად მაინც ესიამოვნებოდა (მე სხვა ქალაქში ვცხოვრობ). ვიყიდე ყვავილების ლამაზი თაიგული, ძვირფასი სუნამო და გამოვემგზავრე თბილისისკენ. ალბათ ღმერთს არც მაშინ უნდოდა ჩვენი შეხვედრა. მცხეთას გამოვცდი თუ არა, მანქანა გამიფუჭდა. ვერაფერი გავუგე. წვალებ-წვალებაში რამდენიმე საათი გავიდა. გაწბილებული დავრჩი და გადავიფიქრე მისი ნახვა. როგორც კი შემოვაბრუნე მანქანა უკან წამოსასვლელად, დღემდე არ ვიცი, რა მოხდა, დაუბრკოლებლად ვიარე ქუთაისამდე.

გოეთეს უთქვამს: „თუ ვინმე გიყვარს, ადამიანი ხარ, თუ ვინმეს უყვარხარ — ღმერთიო“. მე მისგან სიყვარული არ მეღირსა, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა — ერთი დღეც არ მიცხოვრია მასზე ფიქრისა და ოცნების გარეშე. მარტი ძალიან მიყვარს, რადგან ამ თვეში იგი დაიბადა — ჩემი ოცნების ქალიშვილი. თუ ნებას მომცემთ, 34 წლის წინ მასზე დაწერილ ლექსს წაგიკითხავთ. თუნდაც ორიოდე სტრიქონი რომ დაბეჭდოთ, მადლობელი დაგრჩებით. ჩემს სათაყვანებელ არსებას ამ სიტყვებით მინდა მივულოცო დაბადების დღე.

*...ვკითხულობ ლექსს, სადაც ავტორი ჭაბუკური გატაცებით საუბრობს სიყვარულზე. არ შემიძლია უარი ვუთხრა დღემდე ერთგულ მიჯნურს და მისი ლექსიდან პატარა ნაწყვეტს გთავაზობთ:*

„ნატვრა ხარ ჩემი, ფიქრის ზღვა ხარ,
ძლიერ მიყვარხარ!
ვეამბორები, გოგოვ, შენს თვალებს!
ხეობის თვალო, საფიცარო,
ჩემს ღმერთად მწამხარ,
შენი გაცნობით იანვარი გამიმაისე“.

*ლექსი 1968 წლის 2 მარტს არის დაწერილი. გამახსენდა ჩვენი რედაქციის წამოწყებული საქმე — წერილები მომავალში. მაშინ რომ ეს იდეა განხორციელებულიყო, ალბათ ჩემი რესპონდენტის მარადიული სატრფო დასტა-დასტა მიიღებდა სამიჯნურო ბარათებს, თუმცა ეს წერილი-ინტერვიუც გამოდგება იმისათვის, რომ ადრესატმა წაიკითხოს და გაიგოს გულიდან ამოსული სიტყვები. ამით არაფერი აღარ შეიცვლება, მაგრამ სულს ხომ ეამება?!*

***მარინა ბაბუნაშვილი***

## გაუფრთხილდეთ თითებს



მართალია, ფრჩხილების მოვლის ძალიან ბევრი კოსმეტიკური საშუალება არსებობს, სპეციალური კრემები, ლაქები და ა.შ. მაგრამ ფრჩხილები რომ ყოველთვის ლამაზად და ჯანმრთელად გამოიყურებოდეს, თურმე აუცილებელია კვების რაციონში ჩართოთ A ვიტამინის შემცველი პროდუქტები: ხაჭო, რძე, ღვიძლი, კვერცხი, თევზი, კაკალი, ისპანახი, გოგრა, შტოშისა და მოცხარის წვენის ჟელე და ა.შ.

გარდა ამისა, არსებობს თითების მოვლის ძალზე მარტივი და იაფი საშუალებები, როგორიცაა:

— მარილიანი აბაზანა — 1ჩ/ჭ თბილ წყალში გახსენით 1ს/კ მარილი და 15-20 წუთით ჩაყავით შიგ თითები.

— კვირაში 1-2-ჯერ ჩადეთ თითები თბილ მცენარეულ ზეთში, რომელსაც დამატებული აქვს A ვიტამინი, სამი წვეთი იოდი და 5 წვეთი ლიმონის წვენი;

— კვირაში ერთხელ გაიკეთეთ 10-წუთიანი მცენარეული ზეთისა და ვაშლის ძმრის (1X1) აბაზანა;

— ნებისმიერ დროს, როგორც კი საშუალება მოგეცემათ, ფრჩხილებსა და მის ირგვლივ შეიზილეთ ლიმონის, შტოშის, წითელი ან შავი მოცხარის წვენი;

— თუ ხელის კანი დაგისკდათ და გაგიუხეშდათ — 10 წუთით ჩაალბეთ ხელები სელის თესლის ნახარშში, შეიმშრალეთ და წაისვით მკვებავი კრემი, ჩაიცვით ბამბის ხელთათმანები და 1 საათი მაინც არ გაიხადოთ.

## შეგიძლიათ ენაც გამოყოთ...

თვალებისა და პირის გარშემო, შუბლზე, ლოყებზე, ყელსა და ნიკაპზე რომ შევაჩეროთ ნაოჭის გაჩენა, კოსმეტოლოგები გვირჩევენ, რეგულარულად „ვამუშაოთ“ ისინი: დავმანჭოთ სახე, მოვღუშოთ წარბები, გავბეროთ ლოყები და ზოგჯერ ენაც კი გამოვყოთ. თურმე ეს სახის არაჩვეულებრივი ვარჯიშია, უმჯობესდება სახის კანში სისხლის მოძრაობა, ნივთიერებათა ცვლის პროცესი, მაღლდება ტონუსი, ეს კი სახის კანს უნარჩუნებს სიმკვრივეს და ბუნებრივ ფერს.



ექიმები იმასაც ამტკიცებენ, რომ ასეთი ვარჯიში აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, რაც თავისთავად არანაკლებ მნიშვნელოვანია.

## ტესტი
## როგორი დედა ხართ?

**ამის დასადგენად უპასუხეთ ტესტს. ყოველი დადებითი პასუხი შეაფასეთ 1 ქულით, უარყოფითი — 0 ქულით.**



1) თქვენს შვილს ხომ არ აშინებთ „ბუათი“?

2) ხომ არ ემუქრებით მამით, ბაბუით ან ოჯახის რომელიმე სხვა წევრით?

3) ცელქობის ან ჯიუტობის დროს გაშვილებას ან გადაგდებას ხომ არ ჰპირდებით?

4) ცუდი ნიშნების მიღებისას ხომ არ სჯით?

5) ძილის წინ თუ წინააღმდეგობას გიწევთ, ზღაპრების რომელიმე გმირით ხომ არ აშინებთ?

6) მიგაჩნიათ, რომ ბავშვს თქვენი ან თქვენი მეუღლის უნდა ეშინოდეს?

7) ხომ არ ხართ ეჭვიანი შვილის მიმართ?

8) ხშირად აძლევთ ბავშვს რჩევებს?

9) მუდმივად შენიშვნებს ხომ არ აძლევთ?

10) ფიზიკურად დაგისჯიათ თუ არა?

**6–10 ქულა:** ნუ ცდილობთ ბავშვს შიში ჩაუნერგოთ, ეს მას სიკეთეს არ მოუტანს. მხარში ამოუდექით შვილს, სირთულეების დაძლევაში დაეხმარეთ. მის სურვილებს ჩაუფიქრდით.

**3–5 ქულა:** თქვენი ყურადღების მიუხედავად, ხანდახან ბავშვს უმიზეზოდ სჯით. მეტი მოთმინება და საკუთარი საქციელის კონტროლი გმართებთ.

**0–2 ქულა:** ძალიან მომთმენი ხართ. შვილს ყველა სიტუაციაში მხარში უდგახართ და შიშის დაძლევაშიც ეხმარებით. თქვენ კარგი დედა ხართ.

## საგაზაფხულო ნიღაბი

გაზაფხული კარს მოგვადგა, ზამთარში გამომშრალ კანს გამოცოცხლება სჭირდება, ამისათვის კი აუცილებელია C ვიტამინის დიდი რაოდენობით მიღება, თანაც არა მარტო დალევა, არამედ ამ ვიტამინით სავსე ციტრუსების ნიღბის გაკეთება.

თუ კანი მოგიდუნდათ, გაფერმკრთალდა და „მობერდა“, ასეთი ნიღაბი სცადეთ:

ცედრიანად გახეხეთ ლიმონი და ფორთოხალი, აურიეთ ერთმანეთში და დაამატეთ 125 მლ სპირტი. გააჩერეთ 5-7 დღე. შემდეგ გაწურეთ, დაუმატეთ 1ს/კ წყალი და 1ჩ/კ გლიცერინი. მიღებული ნაზავი დაიდეთ სახესა და ყელზე კვირაში 1-2-ჯერ. 15 წთ-ის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით. ასეთი ნიღაბი იდეალურია, როგორც შემჭკნარი, ასევე ცხიმიანი კანისთვის.



## მიირთვით... შეგერგებათ...

გასუფთავებულ ქათმის ბარკლებს წაუსვით მარილი და წიწაკა, ამოავლეთ ფქვილში და შეწვით ორივე მხრიდან. ზეთში მოშუშეთ 200 გ ხახვი, 0,5 კგ სოკო, 1 კგ თესლ და კანგაცლილი პომიდორი, 1 ცალი ტკბილი წიწაკა, დაუმატეთ ქინძი, კამა, რეჰანი, დაფნის ფოთოლი. ადუღეთ 10 წუთი. დააწყვეთ ზემოდან შემწვარი ბარკლები, დაასხით 1 ჩ/ჭ თეთრი ღვინო, შედგით ცხელ ღუმელში და 30 წუთის შემდეგ მზად იქნება.

### იუმორი

**ცოლი ქმარს ეუბნება:**

**— ერთი აფრიკული ტომის მამაკაცები ცოლებს ყიდიან, ჩვენ რომ იქ ვცხოვრობდეთ, გამყიდიდი?**

**— არა, გაგაჩუქებდი.**

* * *

**— ამბობენ, შავგვრემანები ქერა ქალებზე სექსუალურები არიანო.**

**— რა ვიცი, ჩემი ცოლი ხან ისე იღებება, ხან ასე — სხვაობა კი — არავითარი.**

## სილამაზე ცქერით როდი გაცვდება...

### მატრონა ქუთათელაძე



მატრონა ქუთათელაძემ თავისი გარეგნობით მოხიბლა ზიჩი. იგი დაბადებით ქვარიანი იყო. ზიჩისეული „ცოცხალი სურათების“ წარმოდგენებში რომ მიიწვიეს, მაშინვე გადაწყდა, რომ მატრონა იქნებოდა თინათინის პროტოტიპი. მართლაც, მის გარეგნობაში შერწყმულია ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი კდემამოსილება და დიდებულება, სინატიფე და ჰაეროვნება.

### ანა ერისთავი – ამილახვარი



ანა უფლისციხელი მემამულის ცოლი გახლდათ. იგი ფრიად განსწავლული და ქველმოქმედებით განთქმული ქალბატონი იყო. ჰყავდა ორი შვილი: ნიკოლოზი და ნინო. ქალიშვილი უდროოდ, 28 წლის ასაკში გარდაიცვალა. დედამ ვერ აიტანა ამხელა დარდი და ისიც მალე გაუყვა შვილის კვალს.

დედაც და შვილიც დასაფლავებულები არიან ქაშუეთის ეკლესიაში.

### მარიამ მიქელაძე



პირმშვენიერი და ინტელიგენტი მარიამის მეუღლე დგებუაძე გახლდათ. თავდაპირველად, იგი ცხოვრობდა ქუთაისში, შემდეგ კი თბილისში. 1937 წელს მეუღლე დაუხვრიტეს.

რა სამწუხაროა, რომ მარიამისდარ ბევრ ულამაზეს ქალბატონს ბედისწერამ მრავალი ცრემლი და ტკივილი არგუნა...

30-იანი წლების რეპრესიებმა ხომ ათასობით მშვენიერთა თვალები დაალამა და დაასამარა.

***ფოტოები მოგვაწოდა ქალბატონმა დამანა მდივნიშვილმა***



## „ცხოვრება გავლილი წლები როდია, არამედ წუთები, რომელიც გვახსოვს“...

ნიჭიერად უთქვამს პოეტს. „სახსოვარი“ კი, რომელზეც უნდა გიამბოთ, ძალიან ბევრისთვის დარჩება დაუვიწყარ მოგონებად. უსაზღვრო ემოციას, აღტაცების სიხარულს, სიყვარულს, გულწრფელ ცრემლს გაეთბო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი.



**ლეილა აბაშიძე,** რომ ჭეშმარიტად სახალხო არტისტია, ამაში მისმა ესოდენ დაგვიანებულმა ბენეფისმაც დაგვარწმუნა. თაყვანისმცემლებით გადაჭედილი დარბაზი მხურვალე ტაშით შეეგება ვარსკვლავს და ამით არა მარტო მისადმი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა, არამედ მონატრებაც დაუდასტურა.

დავიწყოთ იმით, რომ ამ ბენეფისის გამართვა არც სამთავრობო დონეზე გადაწყვეტილა და არც ოფიციალური წრეების მეშვეობით. ამ შეხვედრის (ასევე ბევრი სასიკეთო საქმის) ინიციატორების ნანა კელაპტრიშვილისა და სოსო აბზიანიძის წამოწყებას, სინქრონულად დაემთხვა ხალხის სიყვარული, ენთუზიაზმი და მხარდაჭერა. შეხვედრის წამყვანი რეჟისორი გახლდათ მსახიობი გოგი ქავთარაძე.

შეიძლება მისტიკაა, მაგრამ უფლებას ვიტოვებ ჩემს განცდაზეც გითხრათ: ლოცვით დაწყებული და ლოცვით დამთავრებული ეს საღამო, გაზავებული შავ-თეთრი და ფერადი უამრავი კადრით სხვადასხვა ფილმიდან, ზოგი კომიკური და ზოგიც ტრაგიკული, ერთნაირად კაშკაშა და დაუვიწყარი, თავად ლეილა აბაშიძის იღბალსა ჰგავდა (კალამი გამექცა, დავუბრუნდეთ ფაქტებს).



სოსო აბზიანიძესთან ერთად

ტაშის გრიალით პირველად მაშინ წამოუდგა ფეხზე დარბაზი ლეილა აბაშიძეს, როცა ჩაბნელებულ ეკრანზე გამოჩნდა 7 წლის კატო („ქაჯანა“), წმინდა გიორგის რომ ევედრება, — მე დამამუნჯე, ოღონდ ჩემს ძმას აადგმევინე ენაო. არადა გადაღებიდან 60 წელი გასულა და აი, სცენაზე დგას, თავის ერთადერთ შვილიშვილზე — გიორგი დანელიაზე მზრუნველი და მლოცველი ბებია, ლეილა აბაშიძე, რომლისთვისაც წლებს თავისი ხიბლი უბოძებია და კიდევ, კარჩაკეტილობას და ხალხისგან გარიდებას ალალი და სუფთა ღიმილი შეუნარჩუნებია.

ცოტა მოგვიანებით იმავე ეკრანზე, მისი ოჯახური ალბომიდან, 5 წლის ლეილა აბაშიძის ფოტო გამოჩნდება, 1937 წლის რეპრესიებს შეწირული მშობლების გარეშე, ბედის ამარა დარჩენილი ამომავალი ვარსკვლავი ობოლი ბავშვის სევდიანი თვალებით გვიმზერს გაცრეცილი ფოტოდან. ვერ გეტყვით, როდის გამოცხვა ობლის კვერი და თუ გამოცხვა, ეს მხოლოდ და მხოლოდ, მისი უბადლო ნიჭიერების წყალობით მოხდა..

თაყვანისმცემლებით გადაჭედილი დარბაზი ტაშის გრიალით ფეხზე მეორედ მაშინ წამოუდგა იუბილარს, როდესაც რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ დამსწრეთ აუწყა — დროა, ფილარმონიის წინ, ნინო რამიშვილის, ლიანა ისაკაძისა და ნანი ბრეგვაძის გვერდით ლეილა აბაშიძის ვარსკვლავი გაიხსნასო. საიუბილეოდ გამიზნულ მოკლე და სხარტ გამოსვლებში მაინც გამოჩნდა ისეთი უცნობი შტრიხები, რაც რიგითი მაყურებლისათვის აღმოჩენა იყო. მიუხედავად დიდი პოპულარობისა და ნიჭიერებისა, ლეილა აბაშიძეს არასოდეს მიუცია თავისთვის უფლება, წუთით მაინც დაეგვიანებინა ან გაეცდინა სამუშაო დღე. ერთი საინტერესო დეტალიც გაიხსენა რეზო ჩხეიძემ: „მაია წყნეთელის“ გადაღებები თელავში, ერეკლეს სასახლეში, ცივი ნოემბრის დღეებში მიმდინარეობდა. კადრები კოკისპირული წვიმის ფონზე უნდა გადაეღოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ლეილა აბაშიძეს არც ცხენით ჯირითში, არც ცეკვასა და ბრძოლაში დუბლიორი არ ჰყოლია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ასხმული თოფ-იარაღი 12 კილოგრამს იწონიდა. იმ დღეს ლეილას 40 გრადუსი სიცხე ჰქონია. რეზო ჩხეიძეს შეუთავაზებია, გადაღება მეორე დღისათვის გადაედოთ, თუმცა სახანძრო რაზმები მზად იყო წყლის ჭავლის მისასხმელად. ლეილა აბაშიძეს კატეგორიული უარი განუცხადებია სამუშაოს გადადებაზე, ცხენს მოხტომია და გადაღებაც დაწყებულა. წარმოიდგინეთ სიცხიანი მსახიობი, ნოემბერი და ცივი წყლის ჭავლი. უკვე ცნობილ ვარსკვლავს ვერ წარმოედგინა, რომ მისი მიზეზით თუნდაც ერთი გადაღება ჩავარდნილიყო.

ცხადია, ამ შეხვედრაზე ბევრი რამ ითქვა ლეილა აბაშიძის ფენომენზე და არაფერი თქმულა იმაზე, თუ რატომ აღმოჩნდა ჩრდილში 20 წლის მანძილზე კატოს, ნაზიბროლას, ძიძიას, მზევინარის, ჭრიჭინას, აბეზარას და სხვა მრავალი როლის უბადლო შემსრულე-



ბებიას სიცოცხლე

ბელი; რა იყო მიზეზი, რომ თავისი ბიოგრაფიის ყველაზე ნაყოფიერ წლებში უმუშევრად ქცეულიყო... დღეს კი — 14 ლარის ანაბარა. რომ არა, ერთადერთი ვაჟიშვილი, შესანიშნავი მუსიკოსი რამაზ დანელია და მისი მეუღლე, ასევე შესანიშნავი მომღერალი ქეთევანი, ჩვენს მრავალ სირცხვილს ერთი სირცხვილიც დაემატებოდა: ქართველი კინოვარსკვლავი, რომლის სახელითა და გვარით იწყება მსოფლიო კინოენციკლოპედია, მიუსაფარი გვეყოლებოდა.

ამ ბენეფისზე ორი ოფიციალური წერილი წაიკითხეს. ერთს ქვეყნის პრეზიდენტი და მისი მეუღლე აწერდნენ ხელს, მეორეს — ცნობილი პოეტი და დრამატურგი მარიკა ბარათაშვილი. სცენაზე აჰქონდათ ცოცხალი ყვავილებით სავსე კალათები ლიანა ისაკაძის, თამაზ ჩაჩავას სახელით, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველების სახელით. ერთი უზარმაზარი საიუბილეო ტორტიც შემოიტანეს — ეს თბილისელი ემიგრანტის დალი ჩაჩხიანის ძღვენი გახლდათ.

საღამოზე სიტყვა წარმოსთქვა ქართული კინოს პატრიარქმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა.

სცენა, დარბაზი, ეკრანი, მისალმებები, მოგონებები... სიმღერა, ცეკვა, იუმორი, ცრემლი... მსახიობები, რეჟისორები, თაყვანისმცემლები — ყველა ერთნაირად იყო დამუხტული. და უკვე ძნელი წარმოსადგენი აღარ იყო, თუ რა ფინალი უნდა ჰქონოდა ამ შეხვედრას, რომელიც თითქოს დროისა და სივრცის მიღმა მიმდინარეობდა..

და აი, ისევ ჩაბნელებული ეკრანი... კადრი ფილმიდან „ქაჯანა“, კატო წმინდა გიორგის ევედრება... სცენაზე მას უკვე ლეილა აბაშიძე ახმოვანებს — დედოფალივით ლამაზი და მშვენიერი ევედრება თეთრ გიორგის: „დაიფარე ჩემი ქვეყანა განსაცდელისაგან“... ტაშის გრიალში გადაჭედილი დარბაზი უკვე მესამედ წამოუდგა ფეხზე სათაყვანებელ კინოვარსკვლავს.

— მოგვენატრებიხარ, მათე ბიჭო, მოგვენატრებიხარ!...

***დოდო იორდანიშვილი***

# დაბადების დღე აზდაკის როლში

## ანუ სპექტაკლი, რომელსაც კონიაკის თვისებები აქვს...

თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა არტისტმა **რამაზ ჩხიკვაძემ**, კიდევ ერთი თეატრალური ფეიერვერკი მოგვიძღვნა თბილისელებს.

28 თებერვალს მსახიობს დაბადების 74 წელი შეუსრულდა, სასცენო დებიუტიდან საიუბილეო, 50 წელი რუსთაველის თეატრში აღინიშნა — სამწლიანი პაუზის შემდეგ 27-28 თებერვალს კვლავ დაიდგა ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“.

შეუძლებელია იმ განწყობისა და ატმოსფეროს ასახვა, რაც სუფევდა დარბაზში — მაყურებელსა თუ კულისებში — მსახიობებთან. ყველა განსაკუთრებული მოწიწებით ელოდა დიდი მეტრის გამოჩენას და აი, რამაზ ჩხიკვაძე სცენაზეა — აზდაკის ტრადიციულ კოსტიუმში „გამოწყობილი“, სიარულის მხოლოდ მისეული მანერა, პირველი რეპლიკა და სულ მალე ხანში შესული აზდაკის ბრწყინვალე ვოკალურ შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით — „ლა, სოლ, ფა, რე, დო“ — მღერის ბატონი რამაზი ყოველგვარი დაძაბვის გარეშე საკმაოდ რთულ არიას და ... ოვაციების ზღვა...

მაყურებელი თითქმის აფექტის მდგომარეობაშია. აზდაკმა იცის, რა სურთ მისგან და წარმოუდგენელი პლასტიკურობით ფლობს სცენის მთელ პერსპექტივას, თითქოს არც ფეხის მწვავე ტკივილი აწუხებდეს და არც ასაკის სიმძიმე აწვეს მხრებზე.

განსაკუთრებით მოწადინებულები არიან მისი პარტნიორებიც. გურამ საღარაძე ამ სპექტაკლში სამ როლს ასრულებს — ყაზბეგის, ეფრეიტორის და ბერის. ბერის ანაფორით იგი ასეთ ფრაზას ამბობს — „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!!!“ და თითქოს დარბაზიც ჩურჩულით იმავეს იმეორებს, ვინაიდან ამ აუდიტორიამ მშვენივრად იცის ომის და ომის შემდგომი შიშის გემო. გურამ საღარაძეს „კავკასიური ცარცის წრე“ 600-ჯერ აქვს ნათამაშები, მხოლოდ ერთხელ, როცა ბატონი გურამი ავარიაში მოყვა, იგი შეცვალა ვანო გოგიტიძემ.

ვანო გოგიტიძე ორ როლს — ეფრეიტორის თანაშემწეს — „რეგვენს“ და გრუშე ვაჩნაძის, თათული დოლიძის მეუღლეს — იოსებს განასახიერებს. განსაკუთრებით განვიცადეთ ბანაობის სცენა, როდესაც იოსები მეუღლეს სთხოვს დაბანოს. ამ დროს იგი ტანზევით სრულიად შიშველი რკინის აბაზანაში ზის. მართალია, თეატრში გათბობა იყო, მაგრამ ხალხი მაინც ქურთუკებს ვერ ელეოდა. იოსები ჯერ გრუშე ვაჩნაძემ საგულდაგულოდ „გასაპნა“, ხოლო როცა იოსებს დედამ რკინის ტოლჩიდან რამდენჯერმე წყალიც დაასხა, დარბაზს გააკანკალა. შემდეგ როგორც გაირკვა, წყალი საკმაოდ თბილი ყოფილა, მაგრამ... იოსების სცენა თხუთმეტი წუთი გრძელდება!

სპექტაკლი ბრწყინვალედ განხორციელდა. ყველას გაცნობიერებული ჰქონდა ის უდიდესი დატვირთვა, რაც რამაზ ჩხიკვაძის პარტნიორობას, მისი იუბილესა და დაბადების დღის თანხვედრას უკავშირდებოდა. ბატონ რამაზს აზდაკის ტანსაცმლიდან განთავისუფლებაც არ აცალეს და საგრიმიოროში ერთი მაისურით შემოსილს უკვე თაყვანისმცემლები ულოცავდნენ... მიღებული სიამოვნებისათვის უდიდეს მადლიერებას გამოხატავდნენ.



ინტერვიუ საგრიმიოროში

**გივი ბერიკაშვილი:** ხშირად გამიგია ასეთი სიტყვები, რომ დიდი მსახიობები არ უნდა ბერდებოდნენ... მე დღეს დარბაზიდან ვადევნებდი თვალს სპექტაკლს და... რამაზ ჩხიკვაძისათვის ბუნებამ თავის კონსტიტუციაში მართლაც შესწორება უნდა შეიტანოს, მისი დაბერება არ შეიძლება! გეფიცებით ჩემს ორ შვილიშვილს, რომ ხალხს ვუყურებდი დარბაზში და... ვტიროდი! რამაზი არის ძნელად „შესაბმელი“ კაცი (ძველებურად რომ ვთქვათ), ნერვიულობს ასაკის გამო, ერთი ხელის კვრა უნდა და... თუ შევიდა სცენაზე, თუ დადგა კამერის წინ, მერე კარგი ბიჭი ხარ — დაუდექი გვერდზე. ფიზიკური ფორმა და სპექტაკლიც მისი მეუღლის ნატაშას დამსახურებაა. მე მინდა, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით ყველას მივმართო და თავად რამაზსაც, რომ ეს „ერთი ხელის კვრა“ ყოველთვის ჰქონდეს ხალხის მხრიდან. თვითონ განიცდის ზედმეტად, თორემ დღეს ვნახეთ, როგორ პატარა ბიჭივით იყო სცენაზე!!!

როდესაც აზდაკმა მილოცვებისაგან ოდნავ სული მოითქვა, ჟურნალისტებმაც მისკენ გადავინაცვლეთ:

— **რას გვეტყვით დღევანდელ დღეზე?**

— დიდი ხანია არ გვითამაშია, ცოტა მომენატრა კიდეც, განვაახლეთ და მე მგონი კარგად ვითამაშეთ. მთავარია, რომ ხალხი ამბობს, ვისიამოვნეთო. ამ გაჭირვებულ ჟამს ვინმეს თუ სიამოვნებას მიანიჭებ, არტისტისათვის ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია. ღმერთმა ქნას, შეგვძლებოდეს კიდევ მრავალჯერ გაგვეხარებინოს ხალხი.

— **როგორი იყო აზდაკი თქვენთვის პირველად და რა განწყობით ითამაშეთ ახლა?**

— პირველად ახალგაზრდა ვიყავი (48



წლის), ენერგია მომყვებოდა, ახლა შედარებით ფილოსოფიური კუთხით ვასრულებ. ამ სპექტაკლმა, როგორც იცით, ბევრი იმოგზაურა საზღვარგარეთ. „კავკასიური ცარცის წრე“ საქართველოს რეკვიზიტი გახლდათ. მან გარკვეულწილად თავისი კვალი დაამჩნია საქართველოს ხელოვნების ცხოვრებას. საერთოდ, ეს სპექტაკლი კონიაკივითაა — რაც ძველდება, უფრო კარგი არომატი აქვს...

— **შეიძლება ითქვას, რომ აზდაკი თქვენი უსაყვარლესი როლია...**

— დიახ, თუმცა ასე არ გამოვყოფდი, კირილე მიმინოშვილი, ქოსიკო, რიჩარდ III, ყვარყვარე... ყველა დიდი სიყვარულით შევასრულე.

— **იუბილესა და დაბადების დღეზე რას გვეტყვით?**

— კარგით რა, არაფერი იუბილე არ მაქვს, 74 წელი კიდევ რა არის, ახლა შემთხვევით დაემთხვა სპექტაკლის დღეს, დაბადების დღეზე ვისაუბროთ, 80 წლის რომ გავხდები, მაშინ...

— **რას უსურვებს თბილისელებს რამაზ ჩხიკვაძე აზდაკის სტილში?**

— აზდაკისთანა მოსამართლეები ჰყოლოდეს ყველას, ალალი და კეთილმოსურნე ხალხისთვის და, რა ვიცი, ხალხს ისე ეცხოვროს,



რომ მოსამართლე არ დასჭირვებოდეს. ღმერთმა გაახაროს ჩვენი ხალხი, ჩვენი სახელმწიფო წელში გასწორებულიყოს და ადამიანები ნორმალური ცხოვრების მომსწრენი ყოფილიყვნენ!!!

**მიღებულია სადღეგრძელო, ბატონო რამაზ!**

***ალექსანდრე ბერიძე***

## კიშინიოვში კომუნისტების გადადგომას ითხოვენ

მოლდავეთში პოლიტიკურმა ვნებათაღელვამ უმაღლეს წერტილს მიაღწია — ქრისტიან-დემოკრატთა სახალხო პარტიის მიერ ორგანიზებულ მიტინგებს ათასობით ადამიანი ესწრებოდა. ორგანიზატორები ცდილობდნენ, ექსცესები აეცილებინათ თავიდან და აქციისათვის მიენიჭებინათ უფრო ანტიკომუნისტური ხასიათი, ვიდრე ანტირუსული. ეს მაინცდამაინც წარმატებულად ვერ მოხერხდა, შეკრებილებმა ცემატყეპა არ დააკლეს მიტინგზე რუსულ ენაზე გამოსულ რამდენიმე ადამიანს.

მოლდავეთის პრეზიდენტმა არაერთგზის მოუწოდა ხალხს — არ მიეღოთ მონაწილეობა მიტინგებში, მაგრამ კომპარტიას არაფერი გამოუვიდა.

კომუნისტთა უძლურება განსაკუთრებით მაშინ გამოვლინდა, როცა რამდენიმე ათასი სტუდენტი პარლამენტის შენობაში შესვლას შეეცადა. ძალოვნებმა სტუდენტებთან შეჯახებას თავი აარიდეს, ვესტიბიულში შეჭრილი მომიტინგეების დანახვით შეშინებული კომუნისტი დეპუტატები კი თავგზააბნეულები დარბოდნენ. სიტუაცია დააშოშმინა მიტინგების ორგანიზატორი პარტიის თავკაცმა იური როშკამ. მან ახალგაზრდებს მოუწოდა — ჩვენ აუცილებლად შევალთ პარლამენტში, მაგრამ არა დღეს... ახლა სჯობს, დაიშალოთო... მომიტინგეებმა დაუჯერეს. ქრისტიან-დემოკრატთა სახალხო პარტიის ლიდერმა კი თვალნათლივ აჩვენა, რომ იგი მოლდავეთის პარლამენტის ყველაზე გავლენიანი ფიგურაა. ამავე დროს ისიც დაადასტურა, რომ კომპარტია უკვე ველარაფერს აკონტროლებს.

***ნოვაია გაზეტა №8***

## თათრეთი რუსეთს ნებდება

ამ ქვეყნის კონსტიტუციას ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ. მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ კანონის 122 მუხლში 325 შესწორება იქნება შეტანილი. მათ რიცხვშია იმ მუხლების შესწორებები, რომლებიც განსაკუთრებით აღიზიანებდა რუსეთს.



მაგალითად, ის, რომელშიც თათრეთს რუსეთის ფედერაციის სუბიექტს კი არ უწოდებენ, არამედ სუვერენულ სახელმწიფოს. შესწორება მას შემდეგ დაიწყეს, რაც რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ თათრეთის კონსტიტუციის რიგი მუხლებისა არალეგიტიმურად ცნო და ქვეყნის ხელმძღვანელობას შესთავაზა, იგი ფედერალურ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოეყვანა.

***იტოგი №7***

## ჟონას სავიმბი მკვდარია, მაგრამ მისი საქმე ცოცხლობს

ანგოლის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ მთავრობის ჯარებთან შეტაკების დროს დაიღუპა უნიტას თავკაცი, 67 წლის ჟონას სავიმბი. იგი 1966 წლიდან მეთაურობდა ანგოლის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ გაერთიანებას (უნიტა).

1992 წელს ხელისუფლებამ უნიტასთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო. სავიმბიმ მონაწილეობა მიიღო ანგოლის ისტორიაში პირველად ჩატარებულ არჩევნებში, მაგრამ ვერ გაიმარჯვა და ისევ დაიწყო ბრძოლა ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. თითქმის 30-წლიანი სამოქალაქო ომის მანძილზე ანგოლაში 500 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ასობით ათასი კი იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა.

ბოლო ხანებში ანგოლის ხელისუფლებამ არაერთხელ გამოაცხადა, — ამბოხებულთა ლიდერი ალყაში მოვაქციეთო. ამჯერად დანამდვილებით გახდა ცნობილი, რომ დაიღუპა 67 წლის ჟონას სავიმბი, მასთან ერთად — 20-ზე მეტი მებრძოლი. უნიტას რამდენიმე ხელმძღვანელი დაპატიმრებულია. ქვეყნის ხელისუფლებამ ჟონას სავიმბის ცხედარი ტელევიზიით აჩვენა და უნიტას შერიგება შესთავაზა. პარტიზანთა ლიდერებმაც აღიარეს ბელადის დაღუპვა, მაგრამ ბი-ბი-სი-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადეს, — მთავრობის წინააღმდეგ ომს მაინც გავაგრძელებთო, თუმცა უნიტას ლისაბონის წარმომადგენლობაში ჟურნალისტებს შეატყობინეს — მზად ვართ ცეცხლის შესაწყვეტად და მოლაპარაკებების დასაწყებადო...

ანგოლის ხელისუფლებამ ჟონას სავიმბის სიკვდილთან დაკავშირებით სპეციალური კომუნიკე გამოუშვა და ქვეყანაში სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესზე ოფიციალურ დამკვირვებელ სახელმწიფოებს — რუსეთს, აშშ-სა და პორტუგალიას აცნობა — ანგოლაში მშვიდობიანი ცხოვრება იწყებაო.

***შტერნი***

## აშშ ნავთობის მოპოვებას აფართოებს



აშშ-ის კონგრესმა განიხილა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული ენერგეტიკული სტრატეგიის გეგმა. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა რადიომიმართვაში განაცხადა, — ყველაფერს ვიღონებთ, რომ ამერიკელი მომხმარებელი ნავთობის ფასების რყევისგან დავიხსნათო. პრეზიდენტის თქმით, ამერიკაში უახლოესი 20 წლის მანძილზე ენერგომოხმარება 45%-ით გაიზრდება. ქვეყნის ეკონომიკას საფრთხეს უქმნის ის, რომ იგი დამოკიდებულია ნავთობის უცხოელ მიმწოდებლებზე. მათგან თავის დასახსნელად ჯორჯ ბუშმა ამერიკელებს 5 პუნქტისაგან შემდგარი გეგმა შესთავაზა. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ აუცილებელია ნავთობის მოპოვება ალასკაზე.

საინტერესოა, რატომ ითხოვს ბუში ნავთობის რეწვის გადიდებას, თუ ნავთობი მსოფლიო ბაზარზე ისედაც იაფია?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელები საკუთარ ტერიტორიაზე ნავთობის მოპოვებას თანდათანობით ამცირებდნენ, 70-იანი წლების მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისის მერე კი სახელმწიფო რეზერვი 544 მლნ ბარელამდე გაზარდეს. ამჟამად ბუში ერთდროულად რამდენიმე მიზანს ისახავს. უპირველეს ყოვლისა, ერაყში საერთაშორისო ტერორისტებთან საბრძოლველად ემზადება და უკვე გარანტიას აძლევს ამერიკელებს, რომ თუ ომი ოპეკ-ში შემავალ სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში გაგრძელდება, მაშინ დაბალი ფასი ნავთობზე შენარჩუნებულ იქნება.

***კომერსანტი №35***

## მილოშევიჩი: „მსხვერპლი თუ დამნაშავე“

დღეს დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, რითი დამთავრდება ჰააგაში სლობოდან მილოშევიჩის სასამართლო. იუგოსლავიის 67 წლის ექსპრეზიდენტი 2001 წლის შემოდგომაზე დააპატიმრეს და კარლა დელ პონტეს გადასცეს. ჩვენ იუგოსლავიური კონფლიქტის ახალ ისტორიას დავწერთ, — განაცხადა მრისხანე კარლა დელ პონტემ და ამით ტრიბუნალის საიდუმლო არსი გაამხილა — ერთ ადამიანს უნდა დაბრალდეს ყველაფერი, ახლებურად უნდა დაიწეროს იუგოსლავიის წინააღმდეგ აშშ-ისა და ნატოს აგრესიის ისტორია.

სასამართლო გაფაციცებით ეძებს სამხილს, მაგრამ კოსოვოში გენოციდის მოწყობის დამადასტურებელი საბუთები არ არსებობს.

იუგოსლავიაში მიაჩნიათ, რომ ევროპელებმა ორჯერ „გადააგდეს“ ბელგრადი. ერთხელ, როცა ალბანელ ნაციონალისტებს და მუსლიმან ბოევიკებს ამოუდგნენ მხარში, მეორედ — როცა იუგოსლავიას ფინანსურ დახმარებას — 1,5 მლრდ დოლარს დაჰპირდნენ მილოშევიჩის საფასურად.

სად არის ფული? — კითხულობს დღეს სერბეთის პრემიერი ზორან ჯინჯიჩი, რომელიც ერთ-ერთი მათგანია, ვინც ჰააგის ტრიბუნალს გადასცა მილოშევიჩი.

ასეთ ფონზე გაქნილი პოლიტიკოსი მილოშევიჩი მოხერხებულად ჩადგა ბრალმდებლის პოზაში. ბორის ელცინის მსგავსად, არც ის ტოვებდა ავტოგრაფებს დელიკატური ხასიათის ბრძანებულებებზე. ახლა კი მშვენივრად სარგებლობს ამით და სასამართლოზე აცხადებს, — თქვენ არ გაგაჩნიათ ჩემი ბრალეულობის დამამტკიცებელი არც ერთი საბუთიო. მაგრამ უშველის კი ეს ტაქტიკა? ბელგრადის ციხეში ზის სერბეთის უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი რადე მარკოვიჩი. მან ბევრი იცის, მაგრამ ჯერჯერობით დუმს.ეგებ ისიც გადასცენ ჰააგის ტრიბუნალს?

ერთი რამ აშკარაა, თუ ტრიბუნალმა მილოშევიჩი გაამართლა, მაშინ დამნაშავედ ცნობენ აშშ-სა და ნატოს, რომლებმაც განახორციელეს აგრესია იუგოსლავიის წინააღმდეგ. ეს კი მათ ცხადია, ხელს არ აძლევთ.



***არგუმენტი ი ფაკტი №9***

## ახალ ზელანდიაში ინგლისის მონარქია დაასამარეს

ინგლისის დედოფალმა ელისაბედ -მ ტახტზე ასვლის 50 წლისთავთან დაკავშირებით ქვეშევრდომი ქვეყნების მონახულება გადაწყვიტა. ახალ ზელანდიაში ჩასულ დედოფალს უსიამოვნება ელოდა — ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჰელენ კლარკმა დემონსტრაციულად არ ისურვა მასთან შეხვედრა და სტოკჰოლმში საერთაშორისო სამიტზე გაფრინდა, ხოლო იქიდან — ლონდონს გაეშურა.

— ინგლისის დედოფალმა როგორ უნდა მართოს ახალი ზელანდია, რომელიც მისგან 20 ათასი კილომეტრითაა დაშორებული. ახალი ზელანდია აუცილებლად უნდა გახდეს რესპუბლიკა, უბრალოდ, ეს დროის ამბავია, — განაცხადა ჰელენ კლარკმა.

ამ განცხადებისთანავე ახალი ზელანდიის მთავარი გაზეთის The New Zealand Herald-ის პოლიტიკურმა მიმომხილველმა ბრაიან რუდმანმა დედოფალს „კონსტიტუციური სანტა-კლაუსი“ უწოდა.

ელისაბედ -ის ტურნეს პროგრამაში არის იამაიკა და ავსტრალიაც. საზოგადოებრივი გამოკითხვის თანახმად, ამ ორი სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობა რესპუბლიკის მომხრეა. ისე რომ, ბრიტანეთის იმპერია, რომელიც უკვე კარგა ხანია მხოლოდ სიმბოლურად არსებობს, საბოლოოდ იშლება.

***კომსომოლსკაია პრავდა №37***

## ახლო აღმოსავლეთში მშვიდობას პრინცი დაამყარებს

პალესტინისა და ისრაელის მთავრობებმა სამშვიდობო მოლაპარაკებების აღდგენა გადაწყვიტეს. გარკვეული დროის განმავლობაში ისრაელ-პალესტინის შეხვედრები უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით რეგულარული იყო, თუმცა, წინა კვირას პალესტინელთა მიზეზით ჩაიშალა — ავტონომიის ხელისუფალნი უკმაყოფილონი იყვნენ, რადგან მათ ლიდერს იასირ არაფატს ბოლომდე არ მოუხსნეს ბლოკადა (იგი რამალაში, საკუთარ რეზიდენციაში ჰყავთ გამოკეტილი). თათბირის წინა დღეს იერუსალიმის გარეუბანში პალესტინელმა ექსტრემისტმა ავტობუსის გაჩერებაზე ისრაელელები დახოცა.

ვიდრე ისრაელის ხელისუფლება მსჯელობდა, ამასთან დაკავშირებით როგორ მოქცეულიყო, იასირ არაფატმა დრო იხელთა და განაცხადა, — ჩვენი მეგობრის ხავიერ სოლანას თხოვნით, მზად ვართ მოლაპარაკებების გასაახლებლადო...

როგორც მოგვიანებით გაირკვა, დაპირისპირებული მხარეები იწონებენ საუდის არაბეთის პრინცის — აბდალას მიერ შეთავაზებულ გეგმას, რომლის თანახმად, ისრაელი ყველა არაბულმა ქვეყანამ უნდა ცნოს. საპასუხოდ ისრაელმა უნდა გაათავისუფლოს 1967 წელს არაბეთ-ისრაელის ომის დროს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორია.

ცხადია, ეს გეგმა პალესტინელებს უფრო აძლევთ ხელს, მაგრამ როცა პრინცის ინიციატივას მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისრაელი იძულებული გახდა, მკაფიოდ გამოეთქვა თავისი აზრი. პრემიერმა არიელ შარონმა განაცხადა, — ვიფიქრებთ შემოთავაზებულ გეგმაზეო. ისრაელის თავდაცვის მინისტრმა კი დასძინა, — ამ გეგმაში პრინციპულად ახალი ელემენტებია შეტანილი და მისი ხელაღებით უარყოფა გაუმართლებელიაო.

პრინცისეული გეგმა მარტის შუა რიცხვებში ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის ვიზიტის მერე განიხილება.

***კომერსანტი №34***

## მოკლედ

**ინდოეთის** შტატ გუჯარათში მუსლიმებისა და ინდუსების ურთიერთშეტაკებისას 300 ადამიანი დაიღუპა. პოლიციამ ადგილზე დაცხრილა არეულობის 5 თავკაცი. ეს მას მერე მოხდა, რაც ინდუსებმა ცოცხლად დაწვეს 27 მუსლიმი. ეროვნებათა შორის ასეთი სერიოზული შეტაკება 10 წელია ინდოეთში არ მომხდარა.

**ბრიტანელმა** პოლიტიკოსებმა ამ დღეებში საშიში ამანათები მიიღეს. პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს კონვერტი მიართვეს, რომელშიც იდო პატარა ბოთლი. ეტიკეტის თანახმად, მასში ევკალიპტის ზეთი უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში კი ესხა მომწამლავი ნივთიერება, რომლის ერთი წვეთიც კი დაუკარგავდა მხედველობას. პოლიციელთა თქმით, მათთან დარეკა უცნობმა, — მე შოტლანდიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი არმიის წევრი ვარ და ეს ამანათები ჩემი გამოგზავნილიაო.

**ამერიკის** ნარკოტიკებთან ბრძოლის სააგენტომ აღმოაჩინა 400 მ სიგრძის გვირაბი, რომელიც გათხრილია მექსიკა-აშშ-ის საზღვრის ქვეშ, 6 მ სიღრმეზე. წლების განმავლობაში მექსიკიდან ამ გვირაბით გაჰქონდათ მილიარდობით დოლარის ნარკოტიკები. ძიება ვარაუდობს, რომ გვირაბი ეკუთვნოდა ძმები ფელიქსების ცნობილ ნარკოკარტელს.

## დაკანონებული კორუფციის ქვეყანა

იტალიის პარლამენტმა დაიწყო უნიკალური კანონპროექტის განხილვა, რომელსაც ალბათ მალე მიიღებენ. ამ კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურეებთან, პოლიტიკოსებსა და პარლამენტარებთან დაკავშირებით აღარ იარსებებს ისეთი ცნება, როგორიცაა „ინტერესთა კონფლიქტი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბიზნესმენებს აღარ მოუწევთ თავიანთ ბიზნესზე უარის თქმა პარლამენტარად ან მთავრობის წევრად გახდომის შემთხვევაში. ის კი არა, მაშინაც კი, როცა პოლიტიკოს-ბიზნესმენს ამხელენ სამსახურებრივი მდგომარეობის საკუთარი ბიზნესის სასარგებლოდ გამოყენების ფაქტში (სწორედ ამას უწოდებენ ინტერესთა კონფლიქტს), მის მიმართ არანაირი სანქცია არ იქნება მიღებული.

იტალიის მთავრობას, რომელმაც კანონპროექტი შეიტანა, მილიარდერი სილვიო ბერლუსკონი ხელმძღვანელობს და ცხადია, მონდომებულია, რომ პარლამენტის თანხმობა მიიღოს, რადგან იძულებული იყო, უარი ეთქვა კუთვნილი კორპორაციების დიდი ნაწილის თავკაცობაზე.

***ვლასტი №7***

## „თავისუფლება“ არავის მოსწონს

რადიო „თავისუფლების“ გადაცემები სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხელისუფალთა შორის. ჯერ იყო და, რუსეთის მთავრობამ არ მოიწონა ჩრდილოეთ კავკასიაში რადიოსადგურის მაუწყებლობის დაწყება (მით უმეტეს კავკასიურ ენებზე). თავის მართლება დასჭირდათ ჩეხებსაც („თავისუფალი ევროპის“ შტაბბინა პრაღაშია). ახლა ბელორუსიის ხელმძღვანელობამ გამოთქვა უკმაყოფილება რუსეთის ხელმძღვანელობის მიმართ „თავისუფლების“ პროგრამის გამო, რადგან ბელორუსიის ტერიტორიაზე მაუწყებლობა რუსეთიდან ხორციელდება. „როგორ უნდა შევაფასოთ ის ფაქტი, რომ ერთი ქვეყნის ტერიტორიიდან მეორისაზე მოდის ინფორმაციის ნაკადი, რომელიც ბელორუსებს საკუთარი ხელისუფლების მიმართ დაუმორჩილებლობას მოუწოდებს“, — განაცხადა ბელორუსიის პარლამენტის დეპუტატმა ნ. ჩერგინეცმა. ჯერჯერობით ჩერგინეცს რუსეთის ხელისუფლება არ გამოხმაურებია, მაგრამ „თავისუფალი ევროპის“ რუს ოპონენტებს სერიოზული არგუმენტი გაუჩნდათ, მოითხოვონ „თავისუფლებისთვის“ აკრედიტაციის გაუქმება, რადგან მისი მოღვაწეობა ბელორუსიასთან შესაძლო ომის საფრთხეს ქმნის.

***ნოვაია გაზეტა №8***

## ბინ ლადენის მეგობარი

ავღანეთში სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე, 50 წლის ქჰალიდ კავაჯა ხშირად სტუმრობდა თავის უახლოეს მეგობარს, უსამა ბინ ლადენს. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. კავაჯა პაკისტანის საჰაერო ძალებისა და დაზვერვის ოფიცერია. ის დღეს ბინ ლადენზე, ისლამსა და ამერიკა-პაკისტანის ურთიერთობებზე გვესაუბრება: „პაკისტანი ამერიკის მონად არის ქცეული. მუშარაფი მშიშარა არ გახლავთ, თალიბებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ ამერიკელებმა პირში უთხრეს, — თუ ჩვენს ნებას არ დაჰყვებით, თქვენს ქვეყანას ქვის ხანაში მოვისვრითო. საინტერესოა, რომ ადრე მუშარაფი ერთი მანქანით დადიოდა, დღეს კი ორი შეჯავშნული და ოცამდე





დაცვის მანქანა ემსახურება. სწორედ მაშინ ხარ ყველაზე უმწეო, როცა ამგვარი დაცვა გჭირდება. ამერიკელები მწარედ ცდებიან, როცა ფიქრობენ, ავღანელთა გული მოვიგეთო. ამას მარტო ფინანსური დახმარებითა და საკვები პაკეტების ჩამოყრით ვერ მიაღწევენ. ისლამი ხომ ერთ უდანაშაულო ადამიანის მკვლელს მთელი კაცობრიობის მკვლელად მიიჩნევს. ამბობენ, ბინ ლადენი დამნაშავეაო. თანშეზრდილ ღვიძლ ძმაზე ვინც არ უნდა გიმტკიცოს, ავაზაკიაო, დაუჯერებთ? რა თქმა უნდა, არა. უსამა ძალზე კაცთმოყვარე ადამიანია. ის ვერ დაგეგმავდა 11 სექტემბრის მსგავს ამბებს. თუკი ვინმე ერთხელ მაინც შეხვედრია მას, დარწმუნდებოდა, რომ ბინ ლადენი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანია დედამიწაზე, ვისაც სიკეთის კეთება თავის უპირველეს დანიშნულებად მიაჩნია. სწორედ ამიტომ სწყალობს მას ალაჰი, ამიტომ არის დღემდე უვნებელი და ცოცხალი“.

***ნიუზუიქი***

# შხამა სოკო ტვინს შეეჩვია



ბრიტანეთიდან კატასტროფული სისწრაფით ვრცელდება ახალი დაავადება. საქმე ეხება შხამა სოკოს, რომელიც ხის ქერქზე იზრდება. იგი უკვე მოედო თითქმის მთელ ევროპას. ბრიტანელი ექსპერტი სოკოების დარგში ვონ ფლემინგი იკვლევს ამ საკმაოდ ჩვეულებრივ შხამა სოკოს. ფლემინგი გვაფრთხილებს, რომ შხამა სოკო ტრანსფორმირდა პოტენციურ მკვლელად. თუ ადამიანი ჩაისუნთქავს მის სპორებს, ის დაშლის ფილტვებსა და ტვინს. ამ მომაკვდინებელი სოკოს ბაცილები უკვე აღმოჩენილია ევროპის მოსახლეობის ფილტვებსა და ზურგის ტვინში.

— ტვინში შეჭრის შემდეგ, სოკოს სპორა იწვევს აბსცესს. ამ შემთხვევაში საჭიროა მომენტალური ოპერაცია — წარმატების შანსი 50/50-ზეა — ამბობს ფლემინგი.

ინგლისში უკვე იყო შემთხვევა, როცა საავადმყოფოში მოიყვანეს ადამიანი ცხვირის ნესტოში ამოსული შხამა სოკოთი. პაციენტმა იგი ჩრდილო ინგლისში ხის მჭრელად მუშაობისას „აიკიდა“. მუშაობის სამი კვირის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ ცხვირში რაღაც ეზრდებოდა...

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იაპონელმა მეცნიერებმა შხამა სოკოში სასიკეთო თვისებებიც აღმოაჩინეს. მათი აზრით, ეს სოკო კიბოს საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებაა. ავთვისებიან სიმსივნეში ჩანერგვის შემდეგ, სოკო იწყებს დაავადებული უჯრედების აქტიურ შთანთქმას.

***ჯენტი***

# ბოსტნეულის დიეტა

ძალიან გინდათ მომხიბლავად გამოიყურებოდეთ და ატაროთ მოდური ტანსაცმელი, მაგრამ ამის საშუალებას არ გაძლევთ ზედმეტი წონა. ე.ი. გჭირდებათ დიეტა. თუ დღეში 1000-1300 კკალ-ს მიიღებთ, შეიძლება, დაახლოებით ერთ კვირაში 1 კგ-ით დაიკლოთ. მაშ ასე, შეადგინეთ ერთი კვირის ახალი მენიუ, რომელიც უნდა იყოს მრავალფეროვანი და შეიცავდეს ყველა აუცილებელ კომპონენტს. უპირველეს ყოვლისა, არ დაგავიწყდეთ მცენარეული პროდუქტები და თევზი, მჭლე ხორცი, რძე, პარკოსანი კულტურები და კაკალი. მენიუში უნდა გაითვალისწინოთ ხილი, ბოსტნეული და მარცვლეული, მცენარეული ზეთები.

ოღონდ არც ის დაგავიწყდეთ, რომ ჯანმრთელობისთვის სასურველი არ არის მკაცრი დიეტა, რადგან შესაძლებელია, ხანგრძლივად საკვების არასაკმარისად მიღებამ გამოიწვიოს ორგანიზმის დასუსტება. ამიტომ, უპირატესობა მიანიჭეთ ზომიერ დიეტას.

***ოტდოხნი! №8***

# შეკითხვა ექიმს



**ჩემს მამამთილს აღმოაჩნდა ტუბერკულოზი. იგი ამჟამად მკურნალობს საავადმყოფოში. ალბათ მალე გამოწერენ. მყავს ორი პატარა ბავშვი და ძალიან ვნერვიულობ, რომ მათაც არ გადაედოთ ეს დაავადება. რამდენად საშიში იქნება ავადმყოფთან ჩემი შვილების კონტაქტი?**

***მკითხველი***

ტუბერკულოზით დაავადებულებს სამკურნალო დაწესებულებიდან უშვებენ მხოლოდ მაშინ, როცა მისი სენი გადამდები არ არის. თუ ავადმყოფს ნახველში არ აქვს მიკრობაქტერიები (ტუბერკულოზის გამომწვევი ჩხირები), დაავადება აქტიური არ არის და საშიში აღარაა გარშემომყოფთათვის, ამიტომ არ არის აუცილებელი ავადმყოფის იზოლაცია. საკმარისია, მიიღოს დანიშნული წამლები და რეგულარულად მიაკითხოს ექიმს. მაგრამ დაუშვებელია მკურნალობის დროზე ადრე შეწყვეტა, რადგან შეიძლება დაავადება ისევ გააქტიურდეს.

**მაქვს პოდაგრა. ვიმკურნალე, თითქოს უკეთ ვიყავი, მაგრამ პერიოდულად ისევ შემახსენებს თავს. ძალიან მიყვარს ხორცი. მის გარეშე ერთ დღესაც ვერ ვძლებ. არადა ჩემთვის საზიანო ყოფილა. კიდევ რა პროდუქტი არ მეჭმება და როგორი უნდა იყოს ჩემი რაციონი?**

***მარიამ ბურდული***

პოდაგრის განვითარების მიზეზი პურინული ცვლის დარღვევაა, რის შედეგადაც სისხლში შარდმჟავას დონე მატულობს, ხოლო მისი მარილების კრისტალები ლაგდება ხრტილებში, სასახსრე ჩანთებში, მყესებში, თირკმლებში. ამიტომ თქვენს რაციონში უნდა შეზღუდოთ პურინებით მდიდარი პროდუქტები: ხორცი, თევზი, ღვიძლი, თირკმლები, მჟაუნა, ისპანახი, ბოლოკი, ლობიო, შაშხი, შოკოლადი, ყავა. არ შეიძლება ალკოჰოლის მიღება, რადგან იგი აფერხებს თირკმლით შარდმჟავას გამოყოფას. თქვენთვის საკვებად კარგია რძე, რძის პროდუქტები, კვერცხი, ფაფები, მოხარშული ბოსტნეული, სტაფილო, ხილი, ბრინჯი, შაქარი, თეთრი პური. უნდა მიიღოთ დიდი რაოდენობით (არანაკლებ 2 ლ დღეში) სითხე, მინერალური წყლები. საკმაოდ ეფექტურია შარდმჟავას მარილების ორგანიზმიდან გამოსატანად სხვადასხვა მცენარის ნაყენის მიღება (კერძოდ, შავი მოცხარის ფოთლების, თირკმლის ჩაის, დიდგულას, ტყის მარწყვის ფოთლების ნაყენი).

**მყავს 4 წლის ბიჭი. ძალიან მოუსვენარი და მგრძნობიარე ბავშვია. ამ ბოლო ხანებში ძილში დაიწყო ლაპარაკი და სიცილი. შევშინდი, რადგან ადრე მას დილამდე მშვიდად ეძინა. ამიხსენით, რა არის ამის მიზეზი და მირჩიეთ, რა ვქნა?**

***დ. ლ.***

თავად ამბობთ, რომ ბავშვი ძალიან მგრძნობიარეა. ალბათ, მის ცხოვრებაში ხდება რაღაც ისეთი, რასაც სტრესამდე მიჰყავს. საერთოდ, ბავშვის ნერვულ სისტემაზე დიდ ზეგავლენას ახდენს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ემოციები, სანახაობანი და ა.შ. შეეცადეთ, არ გადატვირთოთ ბავშვი შთაბეჭდილებებით, გარკვეული დროის მანძილზე უარი თქვით ცირკზე და სხვა სანახაობებზე (განსაკუთრებით ძილის წინ), რომელშიც ბავშვს არ შეუძლია მონაწილეობა და დაგროვილი შინაგანი ენერგიის დახარჯვა, რაც შემდგომში გაღიზიანებით გამოიხატება. თამაშები უნდა იყოს მშვიდი, მინიმუმამდე შეზღუდეთ ტელეგადაცემების ყურება. დამამშვიდებლად მოქმედებს ძილის წინ სუფთა ჰაერზე გასეირნება, თბილი აბაზანა; დაბოლოს, კეთილი, მშვიდი ოჯახური გარემო — დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვის ხასიათსა და ძილზე.

***თამარ მამაცაშვილი***

# ბუნება — მკურნალია



ბევრი უპირატესობას ბალახებით მკურნალობას ანიჭებს, და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან მცენარეებზე დამზადებული აბები, მიქსტურები და ეთეროვანი ზეთები ბევრად უკეთესად მოქმედებს, ვიდრე სინთეტიკური პრეპარატები. თუმცა, სამკურნალო მცენარეებით მკურნალობა ექიმ-ფიტოთერაპევტის კონსულტაციით უნდა დაიწყოთ. განსაკუთრებით საჭიროა ამგვარი კონსულტაცია ალერგიული, ქრონიკული დაავადებებით სნეულთათვის. მეტი სიფრთხილეა საჭირო ნატურალური წამლებით ბავშვების მკურნალობისას. დაბოლოს, ყოველთვის გვახსოვდეს — მცენარეებით მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია წამლის დოზაზე.

ფიტოთერაპიას ბრწყინვალედ ემორჩილება გაციება, სახელდობრ: სურდო, ხველება, ყელის ტკივილი და სიმშრალე, მაღალი ტემპერატურა.

**სურდოს** შველის სალბისა და ბალის პიტნის ინჰალაცია, გაღიზიანებულ ნესტოებში კი ჩაიწვეთეთ 1-2 წვეთი გვირილის ყვავილის ან ფიჭვის წიწვის ნაყენი, რაც გაგიადვილებთ სუნთქვას, ჩააქრობს ანთებას.

**ყელის ტკივილს** შველის გვირილისა და ვარდის ყვავილის, მრავალძარღვას, მოცვის ნაყენის, გულყვითელას ნახარშის გამოვლება.

**მშრალი ხველების დროს** სასურველია მიიღოთ ტუხტის ვაჟინი ან ნაყენი, ხოლო ვირისტერფასა და მრავალძარღვას ნახარში შეგიმსუბუქებთ ხველებას და გაგათავისუფლებთ ნახველისაგან. ძირტკბილას ფესვების ნაყენი არბილებს ლორწოს და სწრაფად ასუფთავებს ბრონქებს, მსგავსი ეფექტი აქვს ანისულისა და კვლიავის თესლის ჩაის.

**სველი ხველებისას** სასურველია ევკალიპტის, პიტნის და დიდი კამის ეთეროვანი ზეთების ინჰალაცია. ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, რომელთაც ძალზე ფაქიზი ლორწოვანი გარსი აქვთ, ასეთი ინჰალაცია არ შეიძლება.

ყველა ზემოთ აღნიშნულ მცენარეს ახასიათებს ანტიბაქტერიული თვისებები, მათი მეშვეობით შეიძლება თავი დააღწიოთ გაციების გართულებას, ბრონქიტსა და პნევმონიას.

**მაღალი ტემპერატურის** დროს უნდა მიირთვათ ცაცხვისა და გვირილის ყვავილის, ჟოლოს ფოთლისა და ნაყოფის, შტოშის, დიდგულას ჩაი. გვახსოვდეთ — დღეში 2 ლ-მდე ჩაი უნდა მიიღოთ. ტემპერატურის დასაწევად ასევე კარგია ტირიფის ქერქის ნაყენი, რომელიც ბუნებრივ ასპირინს შეიცავს.

ასე რომ, თუ ბალახებს სწორად მივიღებთ და ვირწმუნებთ მათ სამკურნალო თვისებებს — გამოჯანმრთელება გარანტირებულია. ჩვენ ხომ თვით დედაბუნება გვმკურნალობს.

***ლიზა №7***


# მე ჯანმრთელი ვარ — მე სრულფასოვანი ქალი ვარ!

**სამკურნალო მოქმედების ფართო სპექტრი**

მკურნალი ექიმისთვის საშოსმიერი ინფექციები წარმოადგენს ყოველდღიურ პრობლემას.

დაავადების ეტიოლოგია სხვადასხვაა: ბაქტერიები და სოკოები. შესაძლებელია შერეული ინფექციები (მაგ: სოკო + პიოგენური ფლორა).

**პაციენტი ქალის ცხოვრებიდან:**

„დამღალა ცხოვრებამ, ირგვლივ ამდენი მოუგვარებელი პრობლემაა და ახლა ეს ავადმყოფობაც. დიდი ხანია თავი სრულყოფილ ქალად აღარ მიგვრძნია, მეუღლეც მებუზღუნება. არ გიყვარვარო—მსაყვედურობს. არადა სად მაქვს მაგდენის თავი, ამდენი ქალური პრობლემა მაწუხებს. დავიღალე, გადავწყვიტე თავს მივხედო. . . !“

**რას გვირჩევს ლაბორატორია “ინოტექ ინტერნასიონალი” (საფრანგეთი)**

პრეპარატი **“პოლიჟინაქსი“** — გინეკოლოგიური კაფსულების სახით, საშოს ინფექციებზე ადგილობრივი მკურნალობისას.

**“პოლიჟინაქსის“** შემადგენელ ნაწილებს გააჩნიათ სპეციფიური აქტივობა.

ნეომიცინი და პოლიმიქსინ B ძლიერ მოქმედი ანტიბაქტერიული (პათოგენურ გრამ დადებით და გრამ უარყოფით ბაქტერიებზე) საშუალებებია. მათი ადგილობრივი მოქმედება არის სტაბილური და არ იწვევს საშოს ლორწოვანი გარსის დაზიანებას (ტოქსიკურობა გამორიცხულია).

**ნისტატინი:** სოკოვანი დაავადების სამკურნალო ეფექტური საშუალებაა.

**დიმეთილოპოლისილოქსანის გელი** — მისი საშუალებით აქტიური ელემენტები ვრცელდება საშოს ღრუში და დამამშვიდებლად მოქმედებს საშოს ლორწოვანზე.

**“პოლიჟინაქსის“ კაფსულის გამოყენება მარტივია** — მისი ზედაპირი გლუვია, თვითონ რბილია და არ აღიზიანებს ლორწოვანს (გამოყენების წინ არ საჭიროებს დასველებას).

**რეკომენდებული დოზირება:** თითო კაფსულა საშოში ყოველდღე ძილის წინ 12 დღის მანძილზე.

**“პოლიჟინაქსი“** ახდენს სამკურნალო და პროფილაქტიკურ მოქმედებას თეთრად შლაზე, საშვილოსნოს ყელისა და საშოს ინფექციებზე ქალის <u>სქესობრივი ცხოვრების ნებისმიერ პერიოდში.</u> **“პოლიჟინაქსი“**, განსხვავებით თავისივე მსგავსი მრავალრიცხოვანი პრეპარატისგან, გამოიყენება <u>ორსულებისათვის,</u> როგორც სამკურნალოდ, ასევე პროფილაქტიკის მიზნით.



**პოლიჟინაქსის გამოყენების ჩვენებები:**

- ყველა ინფექცია, რომელიც აზიანებს საშვილოსნოს ყელს, საშოს პიოგენური ფლორისა და რძიანას არსებობისას.
- ვაგინიტი, ვულვო - ვაგინიტი, ცერვიციტი და ცერვიკოვაგინიტი.
- საშვილოსნოს ყელიდან ინფექციური გამონადენი.
- ინფექციები, რომელიც გამოწვეულია საშვილოსნოს ყელის დაავადებებით.

**პროფილაქტიკა:**

- გინეკოლოგიაში ყველა სახის ქირურგიული ჩარევის წინ.
- საშვილოსნოს ყელის ელექტროკოაგულაციის წინ და შემდეგ.
- საშვილოსნოს შიდა გამოკვლევების წინ: ჰისტეროგრაფია.
- სამშობიარო გზების სანაცია მშობიარობამდე.

პრეპარატ **“პოლიჟინაქსს“** აწარმოებს ლაბორატორია <u>**„ინოტექ ინტერნასიონალი“ (საფრანგეთი).**</u> პოლიჟინაქსი წარმოადგენს თანამედროვე, კლინიკური შედეგებით დამტკიცებულ ეფექტურ სამკურნალო პროფილაქტიკურ საშუალებას საშოს ინფექციების დროს.

**პაციენტი ქალის ცხოვრებიდან:**

„ცხოვრება, ადრინდელ კარგ ხანას დაუბრუნდა. პრობლემები აღარ მაწუხებს. მე ვიზრუნე მათ მოგვარებაზე. მთავარი ის არის, რომ ავადმყოფობას მოვერიე. რეალობამ გამაოცა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მეუღლეც აღნიშნავს, ძველებურად მხიარული ხარო და მეუბნება:

— საყვარელო, ისევ მოციმციმე თვალები გაქვს!“

იზრუნეთ საკუთარ თავზე, მინიმალური პრობლემაც კი შეიძლება ჯანმრთელობის დარღვევის დასაწყისი აღმოჩნდეს.




**გახსოვდეთ! როდესაც ჯანმრთელი ხართ — თქვენ სრულფასოვანი ქალი ხართ!**

ლაბორატორია “ინოტექ ინტერნასიონალი”

ტელ.: 38 50 40; 93 33 30; 95 18 00

სერტიფიცირებულია

# იკურნება თუ არა ვერტიგო



მედიცინაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სიმპტომად მიჩნეულია „რეტი“. სტატისტიკური მონაცემებით, თავბრუს უჩივის 2-დან 5%-მდე ავადმყოფი. მათი თქმით, ტკივილს შეიძლება მიეჩვიო, თავბრუს — ვერასოდეს!

თავბრუსხვევისას ადამიანს თვალები უჭრელდება, წონასწორობას კარგავს, ბარბაცებს, ფეხქვეშ მიწა ეცლება, გონება ებინდება, აქვს გულის რევის შეგრძნება, ეწყება ღებინება, ოფლიანობა.

## რატომ გვეხვევა თავბრუ?

გარემოში ადამიანის ორიენტაცია დამოკიდებულია მხედველობაზე, ვესტიბულარულ აპარატსა და ე.წ. კუნთ-სახსრების შეგრძნებაზე. მათი წყალობით ცენტრალური ნერვული სისტემა იღებს ინფორმაციას სხეულის მდგომარეობაზე სივრცეში. ყველაზე მნიშვნელოვანია ვესტიბულარული აპარატი, რომელიც შიგა ყურის ნაწილია და მოიცავს აპკოვანი ლაბირინთის პარკებს.

ვესტიბულარული რეცეპტორები განლაგებულია ლაბირინთის კედლის მხოლოდ გარკვეულ უბნებზე. ლაბირინთის ღრუს სითხეში კიროვანი კრისტალები ან ლაბისებრი გროვებია, რომლებიც თავის ან მთელი სხეულის მდებარეობის შეცვლისას ეხებიან და აღიზიანებენ რეცეპტორული უჯრედების ბეწვებს. წარმოქმნილი იმპულსი, სმენისა და წონასწორობის ნერვის ვესტიბულარული ტოტით გადაეცემა მოგრძო ტვინის ვესტიბულარულ ბირთვებს, რომელიც დაკავშირებულია ტვინის სხვა ნაწილებთან. ვესტიბულარული ფუნქციის უმაღლესი ქერქული ცენტრები თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების საფეთქლის წილებშია. ვესტიბულარული აპარატის რეცეპტორების გაღიზიანების პასუხად იცვლება ჩონჩხის კუნთების ტონუსი და სხეული წონასწორობას ინარჩუნებს; მაგრამ საკმარისია დაირღვეს იმპულსების შეგრძნება, რომ იწყება თავბრუსხვევა.

## რას მიანიშნებს ვერტიგო?

ხშირად ვერტიგო მიანიშნებს გულ-სისხლძარღვოვან და ენდოკრინულ, ფსიქიკურ და ნერვულ, ხერხემლისა და თავის ტვინის დაავადებებს. ზოგჯერ თავბრუ გამოწვეულია არასწორი კვებით ან მოწამვლით, ვესტიბულარული აპარატის ბაქტერიებით ან ვირუსული დაავადებით, სისხლძარღვების პათოლოგიით. თუ ტვინის ის უბნები, სადაც განლაგებულია სივრცეში ორიენტაციის მომწესრიგებელი ცენტრები, სისხლით არასწორად მარაგდება, ამას მოსდევს წონასწორობის დაკარგვა. თავის ტვინს სისხლს აწვდის ორი არტერია — ლურჯი (რომელზეც პულსი ისინჯება) და ხერხემლის, რომელიც ყველაზე სუსტი ადგილია. ხერხემლის დეგენერატიულ-დისტროფიკული პროცესების არსებობისას ხერხემლის არტერია განიცდის ზეწოლას და თავის ტვინსაც სისხლი არასწორად მიეწოდება. ამ შემთხვევაში ადამიანს ეწყება ხანგრძლივი თავბრუსხვევა, რასაც თან სდევს მხედველობის გაორება, ხელ-ფეხის სისუსტე, კოორდინაციის დარღვევა, ზოგჯერ — ხანმოკლე გულის წასვლა.

## ვის მივმართოთ?

უნდა მიმართოთ ნევროპათოლოგს, შემდეგ კი ოტოლარინგოლოგს, რათა დადგინდეს — შიგა ყური ხომ არ არის დაავადების მიზეზი. თავბრუს პრობლემას უკეთ გაარკვევს ოტოლარინგოლოგი, რომელიც მუშაობს ნევროლოგიისა და ოტოლარინგოლოგიის შეპირისპირებაზე. დაავადების მიზეზის დადგენის შემდეგ ავადმყოფს ენიშნება მკურნალობა — ეს შეიძლება იყოს თერაპია, ფსიქოთერაპია, მრავალფაქტორიანი ფიზიოთერაპია და კინეზიოთერაპია — ვესტიბულარული აპარატის სხვადასხვა ვარჯიში.

***ლიზა №8***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**





**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**

სერტიფიცირებულია

კომპლექტი 95ლ

შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.

შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4

☎ 35-44-05; 899-19-60-55



ჰომეოპათიური მკურნალობა

ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი

თორნიკე ალაშვილი

აწარმოებს მიღებას წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)

ალ. ჭავჭავაძის ქ.№2

№13 პოლიკლინიკა

სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65



Frenkiel Diagnostics

ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.

მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა

☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე**


**ყ**ველაზე მნიშვნელოვანი 5 თვის პატარისთვის დამატებითი კვებაა. იგი 4,5 თვის ასაკიდან იწყება.

თუკი ბავშვი ხელოვნურ ან შერეულ კვებაზეა, ანემიის (ჰემოგლობინის შემცირება) ან რაქიტის ნიშნები აღმოაჩნდა, მაშინ დამატებით კვებაზე გადასვლა 4 თვის ასაკისთვისაა რეკომენდებული, მაგრამ ძუძუთი ნაკვებ ჯანმრთელ პატარას, ჯობს, 5 თვიდან მივცეთ. მეტი დაყოვნება არაა მიზანშეწონილი, რადგანაც დედის რძე, მიუხედავად მისი უამრავი სასარგებლო თვისებისა, მოზარდი ორგანიზმის მოთხოვნებს უკვე ვეღარ დააკმაყოფილებს.

# რა უნდა ვიცოდეთ 5 თვის პატარის შესახებ...



დამატებითი კვების პირველი კერძი, როგორც წესი, ბოსტნეულის პიურეა. ფაფების მიღების შემდეგ, რომელიც შაქრის დამატებას საჭიროებს, შესაძლოა ბავშვმა ბოსტნეულის პიურეს მიღებაზე უარი განაცხადოს. ამიტომაც არის მიზანშეწონილი ბავშვისთვის ჯერ ბოსტნეულის პიურეს მიწოდება.

პიურე სხვადასხვა ბოსტნეულისაგან მზადდება — კარტოფილი, სტაფილო, კომბოსტო (მათ შორის ყვავილოვანი), ჭარხალი. დასაწყისისათვის ყველა მათგანის ერთად გამოყენებას არ გირჩევთ. პირველად კარტოფილის, სტაფილოს (თუკი ბავშვს არა აქვს ექსუდაციური დიათეზი), კომბოსტოს გამოყენებაა მიზანშეწონილი.

ბოსტნეული მცირე რაოდენობის წყალში უნდა მოიხარშოს, შემდეგ დავაყაროთ ცოტა მარილი და ცხელ რძეში აირიოს. ერთ მთლიან ულუფაზე (180-200 გ) განსაზღვრულია 5 გ (1 ჩ/კ) ცხიმი, მათ შორის მცენარეულიც.

თუ ბავშვი გამხდარია, ხშირად არის აღგზნებული და აბოყინებს, მაშინ დასაწყისისათვის მანანის ფაფა უნდა მისცეთ.

ბოსტნეულის გამოყენებისას არ დაივიწყოთ მათი შესაძლო მავნებლობაც. განსაკუთრებით საყურადღებოა ნიტრატების შემცველობა. მოერიდეთ სავაჭრო ადგილებში ადრეულად შემოსული ბოსტნეულის მოხმარებას. კარტოფილი კარგად უნდა გაიწმინდოს, კომბოსტოს ფურცლებს მოაცილეთ შუა ნაწილთან დაკავშირებული მხარე, გამოიყენეთ სტაფილოს გული.

დამატებითი საკვები უნდა მისცეთ დასაწყისში 1-2 ჩაის კოვზი, ძუძუთა კვებამდე ან რძიანი ნარევის წინ, დღის პირველ ნახევარში და თანდათანობით 7-10 დღის განმავლობაში მთლიან ულუფამდე გაზარდოთ, რასაც საბოლოოდ მთლიანი კვების ჩანაცვლება უნდა მოჰყვეს.

ამ პერიოდის შემდეგ ბავშვი უკვე 6-ჯერ კი არ უნდა კვებოთ, არამედ 5-ჯერ, ყოველი 4 საათის შემდეგ.

კვლავ განვაგრძოთ ხილის წვენების, ხაჭოს და კვერცხის გულის მიცემაც. კარგად მოხარშულ და გასრესილ კვერცხის გულს თუ ბოსტნეულის პიურეში შეურევთ, ამით ბავშვის ულუფა უფრო გემრიელი გახდება. იშვიათად (7-10 დღეში ერთხელ) შეგიძლიათ ახალი კენკროვანების კისელიც მოამზადოთ, რომელსაც ახალგამოწურული წვენი უნდა დაემატოს, მაგრამ ეს არ არის რეკომენდებული მსუქანი ბავშვებისათვის. ნუ მისცემთ დიათეზიან და შეკრულობისაკენ მიდრეკილ ბავშვებს.

როგორც ხედავთ, ბავშვთა კვება ინდივიდუალურია ისევე, როგორც თავად ბავშვი. ზოგი არც ერთი წუთით არ რჩება სველი და ყვირილით გიხმობს, მშიერი კი აქტიურად მოძრაობს, ხოლო ზარმაცი და ფლეგმატური პატარა მოთმინებით იტანს ამ უსიამოვნებებს.

თუკი თქვენს პატარას მანეჟში მარტოც შეუძლია თამაში, მაინც არ დატოვოთ იგი დიდხანს უყურადღებოდ. ძუძუთა ბავშვებს უფრო მეტად სჭირდებათ დიდი ყურადღება. აჩვენეთ მას სათამაშოები, ეთამაშეთ დამალობანა, ხან დაიფარეთ ხელებით სახე, ხანაც პირიქით. ეს პატარებში დადებით ემოციებს, სიცილს აღძრავს.

5 თვის ბოლოს ზოგიერთ ბავშვს შეუძლია ზურგიდან მუცელზე გადმობრუნება, თანაც ერთ მხარეს უფრო კარგად. მუცელზე წოლისას მაღლა სწევენ თავსა და მხარს, ეყრდნობიან მხოლოდ ხელისგულებს და არ იშველიებენ იდაყვებს.

ასევე უნდა გაგრძელდეს ვარჯიში და მასაჟი. ბავშვი დააწვინეთ ზურგზე, მორიგეობით ნელა მოუხარეთ ფეხები ისე, რომ ტერფი ოდნავ შეეხოს დუნდულა კუნთს.

კიდევ ერთი ვარჯიში: ხელისგულები ბავშვის გულმკერდის და მუცლის ქვემოთ მოათავსეთ, ისე, რომ გვერდებზე ცერა თითები მოხვდეს, რამდენიმე წამით (1-2) წამოსწიეთ პატარა. ამ მდგომარეობაში ბავშვი თავისუფლად სწევს თავს და ზურგს. თუკი ეს მას გამოსდის, ე.ი. ვარჯიშს სწორად ასრულებთ.

ბავშვთან თამაშის დროს დაიჭირეთ ის იღლიებით ისე, რომ ტერფები მყარ ზედაპირს შეეხოს: ის ხალისიანად დაიწყებს ფეხების გაშლას და მოხრას. ასეთი ვარჯიში არა მარტო ახალისებს პატარას, არამედ სარგებლობის მომტანიც არის, აძლიერებს კუნთებს, აქტიურებს ორგანიზმის ფიზიოლოგიურ ფუნქციებს — ეხმარება ბავშვს თავიდან აიცილოს შეკრულობა.

დგება მზიანი დღეები, ამიტომაც უმჯობესია, თუკი ბავშვის სეირნობას დღეში 4-5 საათამდე გაზრდით: რაქიტის პროფილაქტიკისათვის სავსებით საკმარისია გაფანტული მზის სხივებიც.

5 თვის ბოლოს ბავშვის სხეულის წონამ დაახლოებით 700-650 გ-ით უნდა მოიმატოს, სიგრძემ კი — 2 სმ-ზე მეტი. უმეტეს შემთხვევაში, 4 თვის ასაკისათვის გულმკერდის გარშემოწერილობა თავის გარშემოწერილობის ტოლია, 5 თვისთვის კი იწყება მისი გადამეტება დაახლოებით 1 სმ-ით. მაგრამ ეს ურთიერთშეფარდება ისევე, როგორც ყიფლიბანდის ზომა, შეიძლება ვარირებდეს სრულიად ჯანმრთელ ბავშვებშიც.

საშუალოდ 5 თვის ბავშვის ყიფლიბანდი 1,5X1,5 სმ-ია. თუკი ის ბევრად მცირეა ან მეტი, ექიმს ამაზე მიუთითეთ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყიფლიბანდის ნაადრევი „დახურვა“, რაც ძლიერ აშფოთებთ მშობლებს, სულაც არ არის საშიში, თუკი თავი თავისთავად ნორმალურად დიდდება — 1-1,5 სმ-ით თვეში.

არ დაგავიწყდეთ — 4,5 თვის ასაკისათვის მიზანშეწონილია ვაქცინაციის ჩატარებაც, თუკი არ არსებობს ამის საწინააღმდეგო ჩვენება!

***მაია მუხიგული***

# თურმე ალკოჰოლიც მკურნალია...

**კონიაკი** უნიკალური ანტისეპტიკური საშუალებაა. თუ კონიაკს წაისვამთ, გამონაყარი უფრო სწრაფად გაქრება, ვიდრე ლოსიონის წასმით. ინსულინის აღმოჩენამდე სისხლში შაქრის დასაწევად კონიაკს იყენებდნენ. დღემდე მიჩნეულია, რომ ყავა კონიაკით ტვინის მსუბუქი „დოპინგი“ და ბრწყინვალე ოფლმდენი საშუალებაა. კონიაკი ეხმარება ორგანიზმს C ვიტამინის ათვისებაში.

**უმაღლესი ხარისხის არაყი** წარმოადგენს ბრწყინვალე ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას. თუ სადილობის შემდეგ მუცლის ღრუში გაწუხებთ უსიამოვნო შეგრძნება, დალიეთ 30-50 გ არაყი და ყველაფერი გაგივლით. ერთი სირჩა არაყი აფართოებს სისხლძარღვებს და აუმჯობესებს გუნებაგანწყობილებას.

**ლუდი** ყველაზე სასარგებლოა, განსაკუთრებით მათ უნდა მიიღონ, ვინც ანემიით არიან დაავადებულნი. გარდა ამისა ლუდი აუმჯობესებს ფარისებრი ჯირკვლების ფუნქციას. ღია ფერის ლუდი სასარგებლოა მათთვის, ვისაც თირკმელებში კენჭი აქვს. ლუდი რეკომენდებულია ფეხმძიმობის ბოლო თვეებში.

კვირაში 2-ჯერ ჭიქა **ვისკი** არა მხოლოდ ასუფთავებს ტვინსა და სისხლძარღვებს, არამედ გამოდევნის ორგანიზმიდან თავისუფალ რადიკალებს.

შესუსტებული გულის ცემის დროს სასურველია მიიღოთ **მშრალი და ნახევრად მშრალი თეთრი ღვინო ან შამპანური.**

კუჭის აშლილობის დროს მიიღეთ **„საფერავი“.**

ანემიის დროს რეკომენდებულია **სუფრის წითელი ღვინოები,** დღეში 2 ჭიქა, ჭამის პროცესში.

ათეროსკლეროზის დროს კარგია მინერალურ წყალში **გახსნილი 0,5 თეთრი ღვინო.**

ავიტამინოზის დროს შეიძლება **ნახევრად ტკბილი ღვინო.**

გრიპს, ბრონქიტს, ფილტვების ანთებას კურნავს **გლინტვეინი** (ცხელი წითელი ღვინო შაქრით და სანელებლებით შეზავებული).

პირღებინებას აჩერებს ძალიან **ცივი შამპანური.**

***კომსომოლსკაია პრავდა №16***




MEDI მედი

უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

ჭარბთმიანობისაგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება

ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია

კონტურული მაკიაჟი

თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე

ალ. ყაზბეგის გამზ. №1 25-02-02 37-88-02

# საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის
# მ ი მ ა რ თ ვ ა
## სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი

სნსკ




„აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის" ორივე პროექტი – „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენი" და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენის სისტემა" („შახდენიზის გაზსადენი") ინტენსიური განვითარების ფაზაში შევიდა. აღნიშნული სატრანზიტო მაგისტრალების ამოქმედება მყარ საფუძველს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, მის თავისუფალ,დემოკრატიულ, უსაფრთხო განვითარებასა და სწრაფ ინტეგრაციას ევროპის ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს,როგორც ამ სტრატეგიული ჯაჭვის ერთ-ერთი ძირითადი რგოლის, გეოპოლიტიკურ ფუნქციას, დააჩქარებს მის დამკვიდრებას ევროატლანტიკურ სივრცეში.

ენერგეტიკული დერეფნის განვითარების მთელ პროცესში ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა არის ნავთობისა და გაზის მილსადენების პროექტების მაქსიმალურად ღიად და გამჭვირვალედ განხორციელების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მიერ, არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოსთან ერთად ხელი მოეწერა ერთობლივ მემორანდუმს აღნიშნულ პროექტებში არასამთავრობო ორგანიზაციების ფართო მონაწილეობის შესახებ. ასეთივე მემორანდუმით იქნება განსაზღვრული და უზრუნველყოფილი მასმედიის მიერ ამ პროექტების განვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცესის მაქსიმალური გაშუქება და საზოგადოებრიობის ოპერატიული და სრული ინფორმირება.

ამასთანავე, ნავთობისა და გაზის მილსადენების პროექტების საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის, ასევე საქართველოს ინტერესების მაქსიმალური დაცვის მიზნით, თანახმად ამ პროექტებში ჩართული უცხოური კომპანიებისა და საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურების მოთხოვნებისა და რეკომენდაციებისა, აუცილებელია განხორციელდეს თვით საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის სტრუქტურის თვისებრივი შეცვლა, რაც გულისხმობს კორპორაციის არსებული მუდმივი საშტატო განრიგის გაუქმებას და ამის ნაცვლად „აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის" პროექტების განვითარების მთელი პროცესის საექსპერტო შეფასების სისტემაზე გადაყვანას,რაც,თავის მხრივ, შექმნის ქართველი და უცხოელი ექსპერტების მაქსიმალური გამოყენების წინაპირობას და ამის საფუძველზე უზრუნველყოფს საქართველოს ვალდებულებათა უცილობელ შესრულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 1 აპრილიდან დაიწყება საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ახალი სტრუქტურის ფორმირების პროცესი.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ აღნიშნული მილსადენების პროექტების განხორციელების პროცესს, ისევე როგორც საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის საქმიანობას, პირადად უწევს კოორდინაციას საქართველოს პრეზიდენტი, კორპორაციის სტრუქტურული რეორგანიზაციის ძირითადი პრინციპები განისაზღვრება უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო ბრძანებულებით.

საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე მილსადენების პროექტების განვითარებაში ჩართული უცხოური კომპანიების მონაწილეობითა და მხარდაჭერით, ღია ტენდერის საფუძველზე მოხდება იმ საერთაშორისო სამენეჯმენტო და საკონსულტაციო კომპანიის შერჩევა,რომელსაც გააჩნია ასეთი მასშტაბის ტრანსნაციონალური პროექტების განვითარების უზრუნველყოფისა და მართვის სათანადო გამოცდილება. შერჩეული საკონსულტაციო კომპანია მოახდენს კორპორაციის სტრუქტურის ახალი მოდელისა და კადრების შერჩევის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების დანერგვას.

აღნიშნული საკონსულტაციო კომპანია შეისწავლის ნავთობსადენისა და გაზსადენის საერთაშორისო ხელშეკრულებებით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და შეიმუშავებს წინადადებებს მათი უპირობო შესრულებისათვის, რის საფუძველზეც, ა.წ. 1 სექტემბრამდე განსაზღვრავს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ოპტიმალურ სტრუქტურასა და საშტატო განრიგს, აგრეთვე კორპორაციის თანამშრომელთა შერჩევის კრიტერიუმებსა და საკონკურსო პირობებს, რომელიც მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს გამოქვეყნდება პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით. საკონსულტაციო კომპანიის მიერ გამოცხადდება ღია კონკურსები საშტატო ვაკანსიების შესავსებად და სხვადასხვა პროფილის ექსპერტების შესარჩევად, რის შემდეგაც, სპეციალური ტესტირების ეტაპების გავლის შედეგად ღია ტენდერის წესით შერჩეულ კანდიდატურებს საკონსულტაციო კომპანია რეკომენდაციას გაუწევს საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის უცხოელი ექსპერტების წინაშე, რომლებიც მოახდენენ შერჩეულ კანდიდატებთან შემაჯამებელ გასაუბრებას.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესის მონიტორინგისა და კოორდინაციის მიზნით საგანგებოდ შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ მეცნიერების, არასამთავრობო ორგანიზაციათა, მასმედიის, საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია მასმედიის მეშვეობით სრულ ინფორმაციას მიაწვდის ჩვენს საზოგადოებრიობას ზემოთ აღნიშნული პროცესის ყველა ეტაპის შესახებ.

# დღეს უცხოელ ინვესტორებს საქართველოში მხოლოდ ნავთობი, ოქრო და მანგანუმი აინტერესებთ

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მინერალური რესურსების ბაზარი ფასის ინდექსით, ანუ მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგით ფასდება. დღეს საქართველოს სანედლეულო ბაზარი 90 მილიარდ აშშ დოლარად არის შეფასებული. გამოთვლილია ისიც, რომ საბადოების ძებნა-ძიების საქმეში ჩადებული 600 მილიონი აშშ დოლარი 10 მლრდ დოლარის დამატებით ეფექტს იძლევა. ციფრები საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა, ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების დამოკიდებულება მინერალების გამოყენების თვალსაზრისით. უკვე რამდენიმე წელია, რაც ბაზარი, ფაქტობრივად, სტიქიურად ვითარდება და იგი ხშირად უცხოელი ინვესტორებისა თუ ადგილობრივი ჩინოვნიკების „კაპრიზებზეა“ დამოკიდებული. არადა, ეს ხდება მაშინ, როცა მინერალურმა რესურსებმა გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე ეს საბჭოთა პერიოდში იყო. დღეს მსოფლიო მინერალურ რესურსებს განიხილავს, როგორც უძრავი მატერიალური ქონების თვისებრივ ფორმას და მან, როგორც ასეთმა, შეიძლება მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებში. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, სანედლეულო ბაზა მთლიანად, ან ნებისმიერი მინერალური რესურსი, შეიძლება გაიყიდოს, გასხვისდეს, გაქირავდეს, გაგირავდეს, ჩაიდოს გარანტიად. უფრო მეტიც, ის ხშირად ვალუტის საერთაშორისო კურსს უზრუნველყოფს და, თუ საჭირო გახდა, მას ინვესტიციების დასაზღვევადაც გამოიყენებენ.

ჩვენს ქვეყანაში კი საბადო აღიქმება, როგორც ერთი ჩვეულებრივი საწარმო, რომლის აუქციონზე გამოტანა დიდად არ განსხვავდება ჩვეულებრივი საწარმოს პრივატიზაციისაგან.

დღეს წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტი საქართველოში არსებულ ყველა მინერალურ რესურსზე (გარდა ნავთობისა და გაზის) გასცემს ლიცენზიას. დეპარტამენტის ინფორმაციით, ამჟამად 150 ლიცენზიაა მოქმედი, აქედან 10 უცხოელ ინვესტორზეა გაცემული. 2001 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციით მიიღო 7 მილიონი ლარი, ხოლო ეკოლოგიური გადასახადიდან — 11 მილიონი ლარი. ეს ძირითადად ის შემოსავალია, რასაც სახელმწიფო იღებს ქვეყნის მინერალური რესურსების ექსპლუატაციით. ამ მაჩვენებელს შეიძლება დავუმატოთ კიდევ 7 მილიონი ლარი, რომელიც ბიუჯეტმა კონკრეტულად ნავთობისა და გაზის საბადოებიდან მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ენერგორესურსები და მიწისქვეშა მინერალური წყლები მსოფლიო ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ამ ბაზარზე, ფაქტობრივად, დასრულდა გადანაწილების პროცესიც, მყარ მინერალურ რესურსებს — როგორიცაა ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, მანგანუმი, მოსაპირკეთებელი და საშენი მასალები, — საქართველოს სანედლეულო ბაზარზე საკმაოდ სოლიდური ადგილი უკავია.

ქართველი სპეციალისტებისთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია ქართული ოქროს ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟი, როცა, ისევ მათი მტკიცებით, საქართველოში არსებობს გაცილებით უფრო ძვირფასი და მდიდარი სპილენძისა და ალუმინის საბადოები. უკვე არსებულ მარაგებზე დაყრდნობით, თურმე სავსებით შესაძლებელია ფერადი და მსუბუქი მეტალურგიის განვითარება, რასაც, უდავოდ, დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ რა ვქნათ, რომ იგი ჩვენი უცხოელი ინვესტორისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია? დღეს ხომ საქართველოს მინერალური რესურსების გამოყენება მთლიანად მათ მივანდეთ. ისინი კი ქართული ოქროს მოპოვებით უფრო არიან დაინტერესებულნი, ვიდრე ფერადი და მსუბუქი მეტალურგიის განვითარებით.

საქართველოში პირველი „ოქროსმაძიებლები“



1993 წელს გამოჩნდნენ და ისინი ავსტრალიელები იყვნენ. შეიქმნა შპს „კვარციტი“, სადაც ქართული მხარის პარტნიორად სწორედ ავსტრალიური კომპანია „ბოლნისი მაინინგ ოპერეიშენ ენ ელ“ მოგვევლინა. დაახლოებით 3 ათას დოლარად სწორედ ავსტრალიელები გახდნენ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატზე მადნის ექსპლუატაციის ლიცენზიის მფლობელები. იმთავითვე განისაზღვრა საბადოდან ოქროს ამოკრეფის კოეფიციენტი და მან 86% შეადგინა. რამდენადაც ეფექტურია მუშაობის ტექნოლოგია, იმდენად დიდია კოეფიციენტი. იყო შემთხვევა, როცა მადნეულში ოქროს ამოკრეფის კოეფიციენტმა 50%-მდე დაიწია. თუმცა, სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით, შპს „კვარციტი“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ყოველთვის 86%-დან გამომდინარე ახდენს.

ერთ მშვენიერ დღეს კი მოხდა ისე, რომ სამხარეო ადმინისტრაციამ და „კვარციტში“ ავსტრალიელთა ქართველი პარტნიორის სს „მადნეულის“ წარმომადგენლებმა „ბოლნისი მაინინგი“ წარმოებიდან გააძევეს. როგორც ჩანს, მაღალი რანგის ჩინოვნიკები ამ მეტად მომგებიანი წარმოების ხელში ჩაგდებას შეეცადნენ. ეს საკმაოდ ხმაურიანი კონფლიქტი დაახლოებით ორი წელი გაგრძელდა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ავსტრალიელებმა აღიდგინეს საწარმოში საკუთარი უფლებები. მას მადნის ექსპლუატაციის უფლება 20 წლით აქვს განსაზღვრული. სხვათა შორის, საბადოს საპროექტო სიცოცხლისუნარიანობა სწორედ 20 წელზეა გათვლილი. მადნეულზე ორჯერ მდიდარია ზემო სვანეთის არეალში არსებული საბადო, რომელსაც ლუხრეს საბადო ეწოდება. აქ ტონაზე 4-6 გრამი ოქრო მოდის. სვანეთში უკვე 1999 წლიდან მუშაობენ კანადელები. კომპანია „სარნი რესურსის“ ხელმძღვანელია დევიდ რობსონი. მისი სახელი უკავშირდება დღეს ისეთ ცნობილ კომპანიას, როგორიცაა „კანარგო“. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ბატონი რობსონი ქართულ ოქროზეც დიდ იმედებს ამყარებს და ეს არ არის შემთხვევითი. წინასწარი გათვლებით, ზემო სვანეთში დაახლოებით 60 ტონა ოქროს რესურსია დაფიქსირებული. პრობლემას ქმნის მხოლოდ ერთი დეტალი. იქიდან გამომდინარე, რომ აქ ოქროს ამოკრეფა საკმაოდ რთულ ტექნოლოგიებს უკავშირდება, ოქროს თვითღირებულება თითქმის მის საბაზრო ფასს უტოლდება. თავის დროზე, ერთ-ერთ ამერიკულ კომპანიას საკმაოდ ძვირი დაუჯდა ოქროს მოპოვება ზემო რაჭაში, ზოფხიტოს საბადოში. სწორედ ამიტომ იყო, რომ კომპანიამ საბადო მიატოვა. წიაღის დაცვისა და სამთო საქმის დეპარტამენტის ცნობით, ზოფხიტოს საბადო დღეს ისევ მოექცა უცხოელი ინვესტორების ყურადღების ქვეშ და სულ მალე დეპარტამენტი მას კონკურსზეც გამოიტანს.

ქართული მყარი მინერალური ნედლეულის ბაზარზე სამი წლის წინათ გამოჩნდა ერთ-ერთი ცნობილი ამერიკული კომპანია „როიალ გოლდიც“. მასაც ქართული ოქრო აინტერესებდა. კომპანია გადაამუშავებდა დარიშხანს, სადაც ოქრო მინარევის სახით არსებობს. ოქროს ამ გზით წარმოება მისთვის ეკონომიკურად არახელსაყრელი აღმოჩნდა, ამიტომ ამერიკელებმა მხოლოდ ერთი სეზონი იმუშავეს.

რაც შეეხება ქართულ მანგანუმს, ისიც არაერთხელ აღმოჩნდა სკანდალების ეპიცენტრში. წლების მანძილზე „ჭიათურმანგანუმი“ პირველი და მეორე ხარისხის მანგანუმის კონცენტრატს უშვებდა. თავის დროზე, კრახით დასრულდა ჭიათურაში რამდენიმე ინვესტორის მოღვაწეობა. დღეს საწარმო სახელმწიფოს განკარგულებაშია და ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, „ჭიათურმანგანუმსა“ და „ფეროშენადნობ ქარხანას“ საერთო ინვესტორი ეყოლება თუ აღნიშნული საწარმოების აქციათა პაკეტები ცალ-ცალკე გადაეცემა (მართვის უფლებით) სხვადასხვა ინვესტორს. ბერძნული კომპანია „სილვერ ენდ ბარიტი“ უკვე 1997 წლიდან ამუშავებს გუმბრისა და ასკანის საბადოებს. ქართული ბენტონიტური თიხები ცნობილია პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში. უფრო მეტიც, საქართველოს ბენტონიტური თიხების შესწავლით საერთოდ იწყება ჩვენი ქვეყნის მინერალური რესურსების სამეცნიერო კვლევის 80-წლიანი ისტორია. ბენტონიტები, რომელიც ნავთობგადამამუშავებელ და ქიმიურ მრეწველობაში გამოიყენება, ბერძნებისთვის სარფიანი საქმე აღმოჩნდა. „სილვერ ენდ ბარიტი“ მყარი მინერალების სანედლეულო ბაზარზე ერთადერთი უცხოელი ინვესტორია, რომელიც საბადოების ბაზაზე ჯერ კიდევ წლების წინ ჩამოყალიბებული შპს „ასკანიტის“ საკონტროლო პაკეტის მფლობელია. ტენდერი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ ჩაატარა და ბერძნულ კომპანიას „ასკანიტში“ მოღვაწეობის 20-წლიანი ვადა განესაზღვრა. დღეს ქართული ბენტონიტური თიხებით მარაგდება არა მხოლოდ ადგილობრივი ბაზარი, არამედ მასზე დიდი მოთხოვნაა საერთაშორისო ბაზარზეც.

საქართველოს მთლიან სანედლეულო ბაზარზე მთელი 25% უკავია მოსაპირკეთებელ მასალებს, ქიმიურ ნედლეულსა და საშენ მასალებს. ამ საბადოებით უცხოელი ინვესტორები, როგორც წესი, არ ინტერესდებიან. ამ რესურსების სპეციფიკას წარმოადგენს მათი შედარებით დაბალი ფასები მაღალი სატრანსპორტო ღირებულების ფონზე. ამიტომ საეჭვოა მათი გატანა საერთაშორისო ბაზარზე. საქართველოში რეგისტრირებულია მარტო სააგურე და საკრამიტე თიხების 600-ზე მეტი საბადო. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მუშაობდა 11 რესპუბლიკური და 52 ადგილობრივი მნიშვნელობის აგურისა და კრამიტის საწარმო. ამჟამად, ეს საწარმოები ძირითადად გაჩერებული და გაძარცულია. ანალოგიური სიტუაციაა თაბაშირისა და ცარცის წარმოებაში.

საქართველოს მინერალურ რესურსებზე იქმნებოდა და დღესაც იქმნება მითები და ხშირად მისი ეკონომიკური მნიშვნელობა მეტისმეტად გაზვიადებულიც კია, თუმცა, მითის დანიშნულებაც ხომ ეს არის. რაც შეეხება ჩვენს რეალობას, ცხადზე უცხადესია, რომ ქვეყნის უმდიდრესი საბადოები, ფაქტობრივად, გამოუყენებელია და ქვეყანასაც ძალზე მცირე მოგებას აძლევს.

# ქვეყნის ეკონომიკა ციფრებში

უკვე რამდენიმე წელია, რაც ამიერკავკასიის ქვეყნები დსთ-ის ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით ლიდერობენ. რაც შეეხება საქართველოს, მას საგრძნობლად უსწრებს აზერბაიჯანი და სომხეთი. უცხოური კაპიტალის მოზიდვაში, რა თქმა უნდა, დიდი როლი ითამაშა ნავთობის ფაქტორმა, რომელიც დაკავშირებულია კასპიის აუზის ენერგეტიკული რესურსების გადამუშავების შესაძლებლობასთან. გარდა ამისა, უცხოელი ექსპერტების აზრით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდენა გაიზარდა ამ ქვეყნებში ინფლაციის მოთოკვისა და ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციაში გარკვეული წარმატებების მიღწევის შედეგად.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლის ზრდის ტენდენცია 1995 წლიდან გაჩნდა. მან პიკს 1998 წელს მიაღწია და ინვესტიციების წილმა მთლიან შიდაპროდუქტში მთელი 7,5% შეადგინა. შემდგომ ეს მაჩვენებელი ნელნელა კლებულობს. ამის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს ხელისუფლების მიერ ინვესტიციების მოზიდვისთვის განხორციელებული პოლიტიკის შედარებითი არაეფექტურობა გახლავთ. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ინვესტიციების შემცირება ადრეული ნავთობის მილსადენისა და სუფსის ტერმინალის სამუშაოების დასრულებამაც განაპირობა. დღეს უკვე უცხოური ინვესტიციების წილი მთლიან შიდაპროდუქტში 2%-ს გაუტოლდა. როგორც ჩანს, ქვეყანაში არსებულმა არასასურველმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ ბევრ ინვესტორ ქვეყანას ათქმევინა უარი, საქართველოში განეხორციელებინა სერიოზული ინვესტირება. 1995 წლიდან 2000 წლამდე დიდ ბრიტანეთს ჩვენი ქვეყნის ძირითად კაპიტალში საკმაოდ სოლიდური ადგილი ეკავა, 2001 წელს კი მისი მონაწილეობა ქვეყნის ძირითად კაპიტალში ნულის ტოლია.

ამერიკელი ინვესტორების მიერ ბოლო წლების მანძილზე დაბანდებული კაპიტალი მეტწილად გამოყენებულია ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობაზე. ენერგეტიკისა და ჩაის მრეწველობის ობიექტების რეკონსტრუქციას, ძირითადად, გერმანული ინვესტიციები მოხმარდა. ბოლო ხუთ წელიწადში შემოსული უცხოური ინვესტიციების მთლიან მოცულობაში მეტი წილი დიდი ბრიტანეთისა და შვეიცარიის ინვესტორებს ეკავათ. ინვესტიციები მათ, ძირითადად, ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში ჩადეს. სხვათა შორის, უცხოელ ინვესტორ ქვეყნებს შორის გასულ წელს პირველად გამოჩნდა ვირჯინიის კუნძულები, რომელიც ოფშორული ზონაა და რომლის მონაწილეობაც საქართველოს ძირითად კაპიტალში 128 მილიონი ლარით განისაზღვრება. ამჯერად ვირჯინიის კუნძულები ჩვენი ენერგეტიკითაც დაინტერესდა.

**2001 წელს საქართველოში ძირითად კაპიტალში 128,2 მლნ ლარის უცხოური ინვესტიცია იქნა გამოყენებული. მათი განაწილება ინვესტორი ქვეყნების, ევრობანკისა და მსოფლიო ბანკის მიხედვით ასეთია:**




აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით, საგრძნობლად იმატა ინვესტიციების წილმა ფერად მეტალურგიასა და ნავთობმომპოვებელ მრეწველობაში. ბოლო რამდენიმე წელს ყველაზე მეტი ინვესტიცია ხორციელდება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრივატიზაციის პროცესები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას. არაერთმა უცხოურმა კომპანიამ უკვე მიიღო მონაწილეობა ამ პროცესში და დღეს უკვე უცხოური კაპიტალი 100-ზე მეტ ქართულ კომპანიაშია ინვესტირებული. კომპანიების მიერ მთლიანად 91.850.000 აშშ დოლარი იქნა გადახდილი საწარმოთა საპრივატიზაციოდ, ხოლო 180.150.000 აშშ დოლარი უკვე პრივატიზებულ საწარმოებში იქნა ინვესტირებული.

*(მომზადებულია სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით)*

***გვერდი მოამზადა ლელა წითლანაძემ***



# მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

**— ამბობენ, რომ 11 სექტემბრის მოვლენების დროს ნანგრევებში მოჰყვა აუარება ძვირფასეულობა. მაინტერესებს რა ბედი ეწია მას?**

***ნელი ონიანი***

— ოქროსა და ვერცხლის ზოდები, რომელთა საერთო წონა 12 ტონას შეადგენდა და 250-დან 350 მლნ დოლარამდე ღირდა, მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ნანგრევებქვეშ 50 დღე იმყოფებოდა. შარშან ნოემბრის დამდეგს ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟის №4MEX-ის ერთ-ერთი განყოფილების (მათ ეკუთვნოდათ ძვირფასი ქვები) წარმომადგენლებმა ქალაქის ყოფილი მერისა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა თანდასწრებით ნანგრევებიდან ამოიღეს საგანძური. სააგენტო ASSOCIATEDPRESS-ის ცნობით საგანძური სრულად იყო შენახული. ზოდები დაჯავშნული მანქანებით წაიღეს, ბირჟის წარმომადგენლებს არ გაუმხელიათ, სად დააბინავეს.

***ვლასტი***

ნდობის ტელეფონი
822-009044
დღე-ღამის განმავლობაში
(18 წლიდან)

ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2250 |
| ევრო | 1,9297 |
| ინგლ. ფუნტი | 3,1542 |
| რუსული რუბლი | 0,0717 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,6088 |

საუკეთესო ასლგადამღები აპარატები
გარანტიით, ფასდაკლებით
შესაძლებელია:
განვადება
ლიზინგი (იჯარა)

საუკეთესო ქსეროასლები
შავ-თეთრი
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი — 1 ლარი
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

„ვლობვინდოუს“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 34-49-40; 61-32-37 (საღამოს); 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“



აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



## თარაზულად:

**5**



წინასწარ შეთანხმე-ბული შეხვედრა

**6**



. . . ლაინერი

**9**

ნუგბარი, მომზადე-ბული ხილის წვენისა და შაქრის-გან ჟელატინის დამატებით

**10**



ფრანგული სასმელი

**11**



**14**

Ω

რისამე თავი — ალფა, ბოლო — ?

**15**



ჩას მშრალი გამოხდით მიღებული ფისი

**17**



ორი შემსრულებლის-გან შემდგარი ანსამბლი

**18**



საფოსტო გზავნილი

**19**



სამონასტრო კომპლექსი

**23**



აირების სასუნთქი ნარევი

**24**



სიბრძნის, ხელოვნებ-ისა და ომის ქალ-ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში

**25**

ჭიკარტი

**28**



ჯილდო

**30**



მხატვრულად გაფორმებული რამ-დენიმეფერდიანი ნაბეჭდი პროდუქცია

**31**



ყვავილი, რომლის ფორმაც გააჩნია სადეგუსტაციო ბოკალს

**32**



წითელი ფერის ძვირფასი ქვა, ლალი

**33**



საყლაპავი მილის გაფართოებული ნაწილი

## შვეულად:

**1**



ფეხბურთის მეფე

**2**



საეკლესიო და სახელმწიფო მოღ-ვაწე, თეიმურაზ ბაგრატიონი — ... I

**3**



სიმართლის „მთქმელი“

**4**



სხეულის ნაწილი

**5**



არჩევითი ხელმძღვ-ანელი ორგანოს სხდომა, რომელსაც ყველა წევრი უნდა ესწრებოდეს

**7**



პოპულარული ფირმა

**8**



საფრანგეთის მეფე, რომელმაც 1312 წ. გააუქმა ტამპლიერ-თა ორდენი

**12**



ტრანსპორტში მჯდომი

**13**




ხორცის ნახარში წვენი

**15**



სასმისი

**16**



ოდისევსის მშობლი-ური კუნძული

**20**



საწერი, სახატავი და სახაზავი საშუალება

**21**



კანის რქოვანი უჯრედების ნაწილაკები

**22**

გარდამტეხ გარემო-ში სინათლის სხივის გავლის შედეგად მიღებული ფერადი ზოლი

**26**



წვრილი ფული

**27**



ცომის წვრილი ნაჭრები

**29**



ინდური ფილოსოფიი-ის ექვსი ორთოდოქ-სული სისტემიდან ერთ-ერთი

**31**



გარეული მამალი ღორი

კროსვორდი შეადგინა
რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №8 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კარიკატურა; 7. სიამოვნება; 10. ინდაური; 11. დოლარი; 12. მერიმე; 16. კაპიტოლიუმი; 18. ყველი; 19. ტაიტი; 20. ავტომატი; 21. კლარნეტი; 25. მარში; 26. ალტაი; 27. აბუსალათინი; 30. ორძელი; 33. შუქურა; 34. სიზმარი; 35. ანტრეპრიზა; 36. შტატგარეშე.

**შვეულად:** 1. ნანადირევი; 2. არენა; 3. ფითრი; 4. აბონემენტი; 6. კოზაკი; 8. ვიარდო; 9. გასტროლი; 13. ასპირანტურა; 14. ჭკუამახვილი; 15. კლავიში; 17. პასტელი; 22. მასტროიანი; 23. პოლიფრამი; 24. საანგარიშო; 28. ერუკლე; 29. დიქცია; 31. დიეზი; 32. სრუტე.

## მილოცვა

**ირაკლი თევდორაშვილს!**



დიდი პატივია, იყო თბილისელი, დიდი პროფესიონალი, ერთგული მეგობარი... უყვარდე და პატივს გცემდეს არა მარტო უახლოესი, არამედ უბრალოდ ნაცნობი და თუნდაც, გარეშე ადამიანი, რომელთანაც კაცურკაცობით იტყვი შენს სათქმელს; დიდი პატივია ხინჯის გარეშე ღირსეულად გატარებული სამოცი წელი.

დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო (დონ) ირაკლი!

*თქვენი უახლოესი ადამიანების სახელით – „კვირის პალიტრა"*

**სულიკო დარჯანიას!**

ჩვენო საყვარელო სულიკო ბებია, გილოცავთ ღირსების ორდენით დაჯილდოებას და დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულს. ღმერთმა დაგლოცოს და დიდხანს გაცოცხლოს ჩვენს ბაბუკოსთან ერთად.

*თაკო, ნათია, ნანული, ვივი*

**(შე)ვულოცავთ ღრმად პატივცემულ ნინოს!**



მრავალი წლის წინ, სწორედ 3 მარტს დაიბადა... მაგრამ რა დაიბადა! ჩვენთვის ყველასთვის საყვარ-ელი ნინო. ტანში ყველას სასიამოვნო ჟრუანტელი გვივლის, როცა გვახსენდება შენი ნაზი და ალერსიანი ჩხავილი, შენი ესოდენ ტაქტიანი, თავაზიანი და მორცხვი წყევლა-კრულვა; დაბოლოს, შენი პოეტური, რომანტიკული, რამდენადმე ბავშვური სისინი. გისურვებთ ყველაფერ იმას, რასაც შენ გვისურვებ ხოლმე სისტემატურად – ცალ-ცალკე და ერთად. დე, შენი ნათელი ზმანება კვლავაც წინ წაგვიძღვეს!

*ფან-კლუბი „ჯ. მაშხალები"*

ჩემო ძვირფასო, საყვარელო, სანატრელო და დედის ძუძუსავით ტკბილო **ნინიკო!!!** გილოცავ დაბადების დღეს. დაე, წელს მაინც შეგვეერთებინოს ჩვენი მოსიყვარულე გულები!

*მარად შენი „მოტანევარჯიშე" 33ბ*

**თამაზ ჯლამაიას!**

გილოცავთ 50 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. იყავი ბედნიერი შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთი გფარავდეს შენ და შენს ოჯახს.

*მეუღლე ნელი, შვილები ვახტანგი, ნატო, ვანიკო ჯლამაიები*

## ბინები

1-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, გადაკეთებული 2-იანად, მე-7 სართულზე. მის: ჭავჭავაძის გამზ. №75 (საცურაო აუზის უკან). ფასი $14.000. ტელ: 877 77-90-08; 23-30-54

სასწრაფოდ! 2-ოთახიანი – გადაკეთებული 3-იანად, სარემონტო ბინა, IV სართულზე. მის: ჭავჭავაძის გამზ. №75 (საცურაო აუზის უკან). ფასი $16.000. ტელ: 877 77-90-08; 23-30-54

სახნოვეოდ, 3-ოთახიანი არასტანდარტული ბინა, პლეხანოვზე, ორი აივნით, ცხელი წყლით, ბ/აირით, ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, მუხის პარკეტით, მიშენების პერსპექტივით. ფართი 100 კვ.მ. ფასი $.25.000. მის. ალმაშენებლის №111. ტ: 95-47-03

ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოტორაანთკარზე გადაბმული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

ან იცვლება სხვადასხვა ქონებაზე, აეროპორტისკენ კაპ. სახლი, 7X5 კვმ, ვერანდით, 3200 კვმ ხეხილით სავსე, კაპ. შემოღობილი ნაკვეთით, ბ/აირით, წყლით, დენით, დამხმარე ნაგებობებით, რკინის ჭიშკრით. ფასი $2.500. ტელ: 37-01-66; 38-02-52; 899 55-58-86

## ქირავდება

2 ოთახიანი, მაღალჭერიანი, გარემონტებული ბინა 5(6), თავისუფლების მოედანზე (რუსთაველის №1), ავეჯით, მუდმივი დენით, ცხელი წყლით, ტელეფონით, დიქტოფონით, ლიფტით. ტელ: 93-51-09; 893 31-79-67

## გთავაზობთ სამუშაოს

კუს ტბაზე: კაფე-ბარ „უიკენდში" და ბუნგალობარში გვესაჭიროება მაღალკვალიფიციური ადმინისტრატორ-მენეჯერები (ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსნები და ვაჟები), აუცილებლად უცხო ენის მცოდნე და მუშაობის გარკვეული გამოცდილებით. კასტინგის პრეტენდენტებს, ვთხოვთ, მოგვმართონ კუს ტბაზე, ოფისში, ყოველდღე, 16-20 სთ. კომერციული დირექტორი გია ხარძიანი. ტელ: 899 53-61-16

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

გაიხსნა ახალი ოფისი. არის სამი ვაკანსია. გვჭირდება 17-38 წლის თანამშრომლები – უმაღლესი განათლებით, ენერგიული, სალად მოაზროვნე. გამომუშავება 100-200 ლარი. მის: მ. „რუსთაველი", ჭოველიძის ქ. №2. IV სართ. №13. ტელ: 93-18-84; 67-95-46; 899 50-68-25. ქალბატონი ელისო

საოფისე ავეჯის კომპანია აცხადებს კონკურსს დიზაინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე. აუცილებელი მოთხოვნაა კომპიუტერული გრაფიკის ცოდნა. დაინტერესებულმა პირებმა მოიტანონ რეზიუმე (CV) შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას №45 (მ. „დელისთან"), სოფმშენის შენობა, მე-15 სართ. ავეჯის საწარმო „მოდულორი". ტელ: 32-98-59

## მომსახურება

გეპატიჟებათ ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „ჩიპოლინო"!. საუკეთესო მენიუ, გართობა და დაბალი ფასები. მის: გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზირი, №33ა. ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 38-00-03; 33-76-50; 96-88-82; 899 58-67-29; 877 49-44-35

ვთარგმნით ნებისმიერი სირთულის ტექსტს ქართულიდან რუსულად და ინგლისურად და პირიქით – სწრაფად და რეალურ ფასად, კომპიუტერზე ტექსტის აკრეფით. ტელ: 52-44-47

ავიჭერბით და დაგიკავშირებთ წიგნებს, ბუკლეტებს, ბროშურებს, გაზეთებს; ყველა სირთულის მათემატიკურ ტექსტს; ნოტებს – რეალურ ფასად. ტელ: 61-51-17

კომპიუტერული კომპანია „Pulsar"-ი გთავაზობთ: ქორწილებისა და სხვა სადღესასწაულო ვიდეოკასეტიდან ციფრულ ფორმატში კომპაქტდისკებზე (CD) ჩაწერას, გაფორმებას, გამოსახულების კომპიუტერულ დამუშავებას. გახსოვდეთ! ვიდეოკასეტისაგან განსხვავებით, კომპაქტდისკი მოგემსახურებათ გაცილებით დიდხანს და ხარისხიანად! მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი, №16. I სართ. ტელ: 33-08-71

KNAUF – შეკიდული ჭერის, ტიხრების დამონტაჟება გიპსოკარტონისაგან (თაბაშირ-მუყაო); აგრეთვე ჭერი – „AMF-Armstrong"; ნებისმიერი დიზაინის. ტელ: 96-71-53; 877 71-09-89

KNAUF – Монтаж подвесных потолков, перегородок из гипсокардона а также „AMF-Armstrong"; любой дизайн; Лучшие специалисты города. Тел: 96-71-53; 877 71-09-89; 877 71-47-43

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ. VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ! არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

სილამაზის სალონი „სტილი" – ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით; თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით, სახესა და ტანზე; სახის გაწმენდა. თმის მოდელური შეჭრა – 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 4-5 ლარი; დეკორატიული მელირება – 15-20 ლარი. აგრეთვე, არსებობს კოსმეტიკისა და პარიკმახერის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი ზინა. მის: ალმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52

სილამაზის სალონი „მიმი": თმის მოდელური შეჭრა, ქალთა, მამაკაცთა – 4 ლარი, დავარცხნა – 5 ლარი, მელირება – 15-20 ლარი, ქიმიური დახვევა-გასწორება – 16-25 ლარი; სადღესასწაულო ვარცხნილობა – 12-15 ლარი; მანიკური, პედიკური; კოსმეტოლოგიური მომსახურება – სახის გაწმენდა, მასაჟი, ბიოეპილაცია, მაკიაჟი, წამწამების და წარბების შეღებვა. მის: მ. „რუსთაველთან", მიწისქვეშა გადასასვლელში. ტელ: 99-63-14

## მკურნალობა

სამედიცინო ცენტრი „დელფინის" ბაზაზე აპრილიდან იხსნება სპორტულ-გამაჯანსაღებელი სამკურნალო ბაგა-ბაღი. ბავშვებს ჩაუტარდებათ პროცედურები: 1. ვარჯიშები; 2. მასაჟები; 3. წყალში სამკურნალო ვარჯიშები; 4. სუნთქვითი ვარჯიშები; 5. ფსიქოლოგ-ლოგოპედიური გაკვეთილები. აღსაზრდელები მთელი დღის განმავლობაში იქნებიან მაღალკვალიფიციური პედიატრის, ნევროპათოლოგის, ორთოპედის მეთვალყურეობის ქვეშ. მის: ცოტნე დადიანის ქ. №134, სპორტული კომპლექსის შენობა, III სართ. (მ. „ნაძალადევთან"). ტელ: 69-57-76 (დღისით); 36-40-65; 38-29-63 (საღამოს)

სიახლე გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობაში: საშვილოსნოსა და დანამატების ანთება; ეროზიები, უნაყოფობა, კლიმაქტერიული სინდრომი, აბორტისა და მშობიარობის შემდგომი გართულებები; უახლესი ტექნოლოგიები, მაღალი ეფექტი, მისაღები ფასები. სამკურნალო ცენტრი. მის: ბახტრიონის ქ. №18. ტ: 53-63-05; 38-27-52

მაღალეფექტური მკურნალობა იაპონური აპარატ „ობრონით": ბრონქული ასთმის, ბრონქიტის, ფილტვების დაავადებების, რესპირატორული დაავადების (გრიპი, ხველა, ყელის სიმშრალე, ტკივილი). მის: წერეთლის გამზ. №10 (მ. „წერეთელი"), თერაპიის ინსტიტუტის პოლიკლინიკა. ექიმი დალი პაიჭაძე. ტელ: 34-47-24 (დღისით); 33-45-54 (საღამოს)

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდებით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის გამოცდილებით, სპეციალური აღმდგენი აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით, აღადგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს, – ლოგონევროზს, ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას; მოგიხსნით ხვრინვას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას. ტ: 899 55-05-75; 39-01-55

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, სასქესო ორგანოებზე, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან. ტელ: 95-83-54 (სამს); 39-00-70; 39-25-57 (ბინა); 899 56-96-61

ფსიქოლოგი ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდებით აღგიდგენთ ენაბორძიკობას, გონებრივად ჩამორჩენილობას. მის: ოზურგეთი, გაგარინის №12. 899 17-91-26; 6-33-40. მაიკო კომახიძე

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფუნებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, საშწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა. პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეში მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური მალამოებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ლომთათიძესთან საზღვარგარეთიდან მოწვეული ექიმები მკურნალობენ: მუცლის ზედა როკების, მენჯ-ბარძაყის ანთებებს; ხერხემლის გამრუდებას, რადიკულიტს, თავბრუს ხვევას, თმის ცვენას, სებორეას, ფსორიაზს, ბუასილს, ტროფიკულ წყლულს; გინეკოლოგიაში – ეროზიას, კლიმაქტერიულ სინდრომს, ფიბრომიომას, კისტას, უშვილობას, ციკლის დარღვევას. მკურნალობის კურსი 10 დღიანია. ხდება სწრაფი დიაგნოსტიკა. მის: ალმაშენებლის 113, კაბ. №17. ახალი პოლიკლინიკა. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29 (სამს); 77-68-50 (ბინა)

საზღვარგარეთიდან მოწვეული ექიმები მკურნალობენ: მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ართროზს, მუცლის მაღალი ანთებას, სქოლიოზს, თავბრუს ხვევას, თმის ცვენას, ბუასილს, ტროფიკულ წყლულს, წითელ ქარს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრდას; მკურნალობენ წურბლებით. აქვე ხდება დიაგნოსტიკა და მკურნალობა. მკურნალობის კურსი 5-10-დღიანია. მის: ალმაშენებლის 113, კაბ. №17. ახალი პოლიკლინიკა. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29 (სამს); 899 51-76-08. ირა

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი ევლინა ლოლაძე. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, საშწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ევლინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

არტერიული ჰიპერტონიის მკურნალობა ახალი, კომბინირებული მეთოდით: აპარატ „ელექტროფექტორისა" და მედიკამენტების (გაცემა უფასოა) საშუალებით. მის: რესპუბლიკური საავადმყოფო, ვაჟა-ფშაველას №29, მე-4 სართ. გასტროენტეროლოგიური განყოფილება, ოთ. №481. მიღება 10-12 სთ, კვირის გარდა. წინასწარი ჩაწერა: 66-04-67

სიახლე საქართველოში! მეჭეჭების, ხალების, სვირინგების, ნაწიბურების მოცილება კანზე, ლორწოვანზე და სასქესო ორგანოებზე; ეროზიის, ლეიკოპლაკიის, კონდილომების მკურნალობა $CO_2$ ლაზერით. საუკეთესო კოსმეტიკური ეფექტი მხოლოდ ერთი სეანსით! ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05; 38-27-52

ნევროზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის მკურნალობა უახლესი ტექნოლოგიებით. კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულის, კოლიტის, ქრონიკული გასტრიტის, ქრონიკული ბრონქიტის, ართრიტის მკურნალობა. უახლესი ტექნოლოგიები, მისაღები ფასები. კონსულტაცია უფასოა. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 53-63-05

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

მოვამზადებ აბიტურიენტებს ისტორიასა და გეოგრაფიაში. ტელ: 22-78-56

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

პირველად საქართველოში, „Pulsar"-ი გთავაზობთ სიახლეს: კომპიუტერული ტექნიკის აწყობის, შეკეთებისა და მოდერნიზაციის შემსწავლელ კურსებს. გამოცდის ჩაბარების შემდეგ გაიცემა სერტიფიკატი. სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლებიც მოვლენ ჯგუფურად (50-10 კაცი), გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი შეღავათები. მის: ვაჟა-ფშაველას გამზირი, №16. I სართ. ტელ: 33-08-71

## იყიდება

იყიდება ჩაის და სადილის კომპლექტის სერვიზი – ლურჯი, „რაკუშკა" – 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-09-35; 96-19-40 [illegible]

[illegible] – 2 კრიახი. $200. ტელ: 23-07-65

## შევიძენ

[illegible] თმას. მის: ცენტრი, რუსთავზის სადგური, II სართ. [illegible] ზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.






„კვირის პალიტრის" რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ *მარინა სვანიძე-ინანიშვილს*, მამის

**ვანო გიორგის ძე სვანიძის**

გარდაცვალების გამო.

ფირმა „ბარიონის" თანამშრომლები გულისტკივილით იუწყებიან

**ნინო ყაველაშვილისა და ელგუჯა გაბაძის**

ტრაგიკულად გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილთა ოჯახებს.

*ფირმა „ბარიონის" კოლექტივი*

მარინა, გოდერძი, ზაზა ილურიძეები დიდი გულისტკივილით იუწყებიან დეიდაშვილის

**მეგი ტატიშვილის**

გარდაცვალებას.

### ვახტანგ ხათაშვილის ხსოვნას!



7 მარტს ორმოცი დღე გახდება, რაც მიგვატოვე, სულში სიბნელე და სიცარიელე დაგვიტოვე.

სულ წელიწადნახევრის იყავი, სიკვდილმა კი შენი თავი, ნინოობას წაძართვა. ზეთისცხები და ნაზიარები გამოფრინდი ზეცაში. არ გიკითხავს, რამდენ ტკივილს დაგვიტოვებდი. მოგონებებით გეფერები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მინდა, გულში ჩაგიხუტო და შენს ლამაზ თვალებს ვკოცნო, როგორც ჩვენი ერთად ყოფნის დროს ხდებოდა.

ალბათ ჩვენი განშორება უფლის ნება იყო, მე კი არ ვიცი, რა ვუყო ფიქრებს; ხმებს, რომელიც საიდანღაც მესმის, „დედას" მეძახის, თითქოს მეფერება კიდეც. სინამდვილეში კი უშენობაა.

ყველას ძალიან ენატრები: პაპას, ბებიას, გიორგი ბიძიას. მათთვის შენ პირველი მერცხალი და დიდი სიხარული იყავი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩემო შვილო.

*დედა სოფიო ავსაჯანიშვილი*

### ვალერი ქრიას ხსოვნას



მოულოდნელი და შემზარავი იყო შენი სიკვდილი, რომელმაც აუტანელი ტანჯვა-წამება მოუტანა შენს მოხუც დედას, ცალად დარჩენილ ძმას, ნათესავებს და ახლობლებს.

7 მარტს ტკივილით სავსე და მძიმე 40 დღე შესრულდება. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო მონატრება. სოხუმიდან იძულებით ათენში გადასახლებულმა შენმა სათნო გულმა ვერ გადაიტანა სამშობლოს მონატრება, საყვარელი დედის და ახლობლების სიშორე და უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი სხეული და სათნო სული.

ჩემო ვალერი, მშვიდად იძინე საბერძნეთის მიწაზე, სადაც შარადის მოვლენ შენს საფლავთან შენი შვილები და მეუღლე.

*ბიძა პოლუშა, ბიცოლა ეთერი, ბიძაშვილები თემურ და მანანა გვარამიები*

### ლუბა სევარიონის ასული მანაგაძე-ნემსაძის მონატრება



მხოლოდ 40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან და ნეტავი იცოდე, როგორ გვიჭირს უშენოდ ყოფნა, როგორ გვენატრები, ჩვენო ტკბილო და თბილო დედიკო. არადა, როგორ გწყუროდა სიცოცხლე, როგორ გინდოდა გეყურებინა შენი ლამაზი ექვსი შვილიშვილისა და თერთმეტი შვილთაშვილისთვის. რატომ იყავი ასე საოცრად კეთილი, ფაქიზი და სათნო გულის, ღვთისნიერი ადამიანი; რა უსაზღვროდ გიყვარდა შენი სკოლა და პატარები; როგორი რუდუნებით ემსახურებოდი მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს. სწორედ ამიტომ გაგაცილა ასე ღირსეულად შენმა მშობლიურმა სკოლამ, გულისამაჩუყებელი სიტყვებით გამოგემშვიდობნენ შენი აღზრდილი პედაგოგები.

სევდა, ტკივილი, ცრემლი, მონატრება — ეს სიტყვები სრულად არ გამოხატავს იმ საშინელ გრძნობას, რაც თან ახლავს შენთან სამუდამო განშორებას.

იძინე მშვიდად, ჩვენ კი ყოველთვის დავანთებთ წმინდა სანთლებს და ვილოცებთ შენი სულისათვის. გვჯერა, რომ ეს დანთებული სანთლები გაგინათებს გზას შენს მარადიულ სასუფეველში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

*შენი მონატრებული შვილები*

### მერაბ პავლეს ძე ჩიჩილიძის ხსოვნას!



შენი გარდაცვალება მეხივით დაატყდა თავს მთელ შენს საახლობლოს, ვისზე ფიქრსა და ზრუნვაშიც გაატარე შენი ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი სიცოცხლე.

მოყვასის სიყვარულით ათენებდი და აღამებდი. ცდილობდი, ყველას გვერდში ამოსდგომოდი და მისი გულისტკივილი გაგეთავისებინა. ალბათ ამიტომაც გიმტყუნა იმ გულმა, რომელშიც ყველას სიყვარულსა და საფიქრალს იტევდი.

შენი ცხოვრება კაცურკაცობის ნიმუშია და მისაბაძი მაგალითი იქნება გოგიტასა და პავლესათვის, რომლებიც შენ მაგივრად დატოვე ახლობლების ხანუგეშოდ. შენი ნათელი ხსოვნა არასოდეს დაიბინდება. მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური ვარძიის მიწა, დაუვიწყარო ძმაო და მეგობარო.

*გივი, მარინა, ნიკა, გიორგი ქაჩლიშვილები*

### მედიკო ციხისელი-ჩხიკვიშვილის მონატრება



ჩვენო საყვარელო დაიკო, 3 მარტი შენი დაბადების დღეა. გილოცავთ ზეციურ სასუფეველში, ძალიან გვაკლია შენი სითბო. შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერაფერი შეავსებს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, ულალატო სული. ყველას დასწყვიტე გული — შენს ოჯახს, დედმამიშვილებს, ნათესავებს, მეზობლებს, მეგობრებს და ყველას, ვინც კი გიცნობდა. ყველა გიყვარდა, ამიტომ ცოცხლობ მათ გულებში.

*შენი დედმამიშვილები: მზია, მურმანი, გურამი ოჯახებით*

### ალექსი ჭკადუას გახსენება

ჩვენ ერთად შევაღეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი სიხარულით, იმედით... ერთად შევხაროდით ყველაფერს კარგს და საამოს... ძალიან მალე გამოგვაკლდი... დაგვიტოვე ტკივილი და სტუდენტობის დღეებს ადევნებული უშენობის სევდა... უფალმა გადაგაფაროს კალთა...

*თანაკურსელები*

### ალიკა ქარჩაიძის გახსენება



ექვსი უნუგეშო, ტკივილიანი თვე გავიდა, ალიკა, შენი დაღუპვიდან. საშინელება იმის გააზრება, რომ ჩვენ გვერდით არასოდეს იქნები. შენ ხომ გამორჩეული იყავი და უზომოდ გვიყვარდი ყველას. უეცრად წახვედი და უსაზღვრო ტკივილი დაგვიტოვე.

დღეს, 4 მარტს, 35 წლის შესრულდებოდი. სიცოცხლე გწყუროდა, მაგრამ მუხთალმა წუთისოფელმა უდროოდ გაგწირა.

დღეს, შენთვის დაბადების დღე სახლში უნდა მოგველოცა, ცოცხლად გვედღეგრძელებინე, მაგრამ, ვაი, რომ საფლავზე გვიხდება მოსვლა.

დანთებული სანთლებით, ცრემლიანი თვალებით და უამრავი ლამაზი ყვავილით მოგილოცავთ დაბადების დღეს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*შენი დეიდაშვილი ლალი ჭინჭარაშვილი*

### ზაზა გიორგობიანის ხსოვნას!



უკვე ექვსი წელია, ზაზა გიორგობიანი ჩვენ შორის აღარ არის და მხოლოდ ახლა, წლების გადასახედიდან ცხადად შევიგრძენით და გავაცნობიერეთ, რომ ეს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბიჭი, იმთავითვე გამოირჩეოდა ყველა ჩვენგანისგან, თავმდაბლობითა და გასაოცარი ტაქტით, კეთილშობილებითა და სიწრფელით და წლების მანძილზე უსაზღვრო სითბოსა და სიყვარულს უანგაროდ და უხვად უნაწილებდა თავის მეგობრებს.

...ასევე უხმაურო და შეუმჩნეველი იყო მისი წასვლაც. თითქოს არც კი შეებრძოლაო სიკვდილს, იგი უპრეტენზიოდ შეხვდა გარდაუვალ აღსასრულს და ჩვეული სიმშვიდით შეუერთდა მარადისობას...

თუმცა, თავისი დაუვიწყარო ღიმილი და სითბოთი გამთბარი მზერა მაინც დაგვიტოვა — ისევ ჩვენს გასამხნევებლად და სანუგეშოდ.

*მეგობრები*



რა გაუსაძლისია ეს ტკივილი.

გავიდა ჯოჯოხეთური 6 თვე, შემზარავი დღიდან — 26 აგვისტოდან. ამ დღემ დაგვაშორა ერთმანეთს, ჩვენო საყვარელო. ძნელია გახსენება, მაგრამ ღმერთის ნება ასეთი ყოფილა. გამორჩეული იყავი და ღმერთმაც თავისთვის გამოგარჩია.

ძნელი გასახსენებელია შარშანდელი 10 ნოემბერი — შენი ქორწილის დღე. რა ლამაზი პატარძალი იყავი, რამხელა სიხარული იყავით შენ და რამაზი. რამდენიმე თვე იყავი ბედნიერი რამაზთან ერთად. მასაც ხომ დიდი ტკივილი დაუტოვე. მისი დიდი სიყვარული გაგყვა თან. ჩვენი დიდი სიხარული და სიამაყე იყავი, შენი მომავლით. ზღვა ცრემლი გაგყვა უკანასკნელ გზაზე. შენი ოჯახები და ახლობლები უყურადღებოდ არ ვტოვებთ შენს საფლავს, რომელსაც სულ ამშვენებს ცრემლიანი ყვავილები.

შარშან ახალი წელი მულთან გაატარე თბილისში. როგორ გიხაროდა! ეს ახალი წელი კი ცრემლებით და გულისტკივილით აღვნიშნეთ შენს საფლავზე. ჩვენო საყვარელო ნინო, დაუამებელი ტკივილით გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*ირა, სარა, დათო, მაია ოჯახებით*

### ვალერი (ვალტერ) გიორგაძეს!



გაზაფხული ჩაშავებული ფარდებით მოვიდა ჩვენთვის. ერთი წლის უკან, შენ გვყავდი, ახლა სიზმრებსა და მოგონებებში გეფერებით. უხისხლო ქართველის მარჯვენამ უცხო მიწაზე მოგიჩინა უკანასკნელი წამი — მაშინ, როცა ჩვენ გვნატრობდი, ჩვენს ნახვაზე ოცნებობდი.

დავრჩით ობლად, მე და შენი შვილი, ვალტერ! უშენობას ვერავინ ავსებს ამქვეყნად.

შენი განსხვავებული, ლამაზი სული წამით არ გვცილდება გვერდიდან, ასე გვგონია. დღემდე არ განელებულა პირველი სიმწარე ჩვენს ოჯახში, შენს მეგობრებში, მთელ პატარძეულში. შენი მურაზი ისეთ ვაჟკაცად უნდა გავზარდო, შენ რომ გეკადრება, ვალტერ!

ღმერთს ვევედრებით, მოაღწიოს მონატრებულმა ჩვენმა ხმამ შენამდე, მოგიალერსოს და გიამბოს უშენობით გაწამებული შენი ოჯახის, ცოლ-შვილის ამბავი. შვილისა, რომელიც თავისი ბავშვური ფიქრებით დღემდე მოუთმენლად ელოდება შენს დაბრუნებას.

*ნინო და მურაზი*

მიტომ გაილიე, მიტომ გაიხარჯე,
თავი დაისაჯე მართლაც.
როგორ გტკიოდა და როგორ გღალატობდა
გული გატანჯული, მაგრამ
ისევ სხვებზე ფიქრით ათენ-აღამებდი,
ისევ გაგაწამა გაგრამ.
ველარ მოერიე ფიქრებს მორიალეს,
ზრუნვა შუბლს გებურა მარად.
ვერ შეელიე და ველარ დაივიწყე
შენი ბედისწერა — გაგრა.
ალპანამ გაგზარდა, თბილისმა ჩაგიხუტა
მერო გაგრისაო, მაგრამ
ცხადში და სიზმარში სულ გელანდებოდა
შენი საოცნებო გაგრა.
ჩვენი ტკივილი ხარ, ჩვენი საფიცარი,
გული გაგვიგლიჯა დარდმა.
რა ძნელი ყოფილა, გიტიროთ ორივე —
გაგრელი კაცი და... გაგრა.
ტკივილით დაგვტოვე, ზეცას შეერიე,
ზეკაცი იყავი აქაც.
შენი მონაგარი, შენი დიდი საძმო
მოგტირით, გვაკლიხარ მართლაც.
მშვიდად განისვენე, კაცო დამაშვრალო,
გვიჭირს, მართალია, მაგრამ
მაინც ვიზეიმებთ მტერზე გამარჯვებას,
მაინც დავიბრუნებთ გაგრას.

*ქეთი თოდაძე*

### მიხეილ ღარიბაშვილის გახსენება



მოგვნატრებია მშობლიურ კერასავით თბილი ჩვენი ინსტიტუტი და მოგვნატრებიხართ თქვენც, ბატონო მიშა! ბუნებით ალალი და ხალისიანი, უბედურებამ გაგტეხათ, მაგრამ სიკეთის ქმნას ვერ გადაგაჩვიათ. თუ მაშინ, ჩვენდა უნებურად, უკანასკნელად ვერ გამოგეთხოვეთ, ახლა გეუბნებით სათქმელს: გვახსოვხართ და გვჯერა უფლის წყალობის — თქვენნაირი ფაქიზი სულისა და ბუნების ადამიანების ღვაწლი არც ამქვეყნად იკარგება და იმ ქვეყანაშიც სასუფევლის მკვიდრი იქნებით, თქვენს გოგონასთან ერთად.

*„კვირისპალიტრელები"*

### გივი თევზაძის გახსენება

მერამდენე წელია წახვედი და გაუნელებელი ტკივილი დაგვიტოვე... მართლა მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება... ხშირად ვიგონებთ შენს მშვენიერ, დახვეწილ, ჭკვიანურ სტატიებს, ჩვენო „სიყრმევ" — ეს შენი საყვარელი გამოთქმა იყო! ნიჭიერი კაცი იყავი, გულმხურვალე, კეთილი, დიდთან დიდი, პატარასთან — პატარა... ბევრი რამ დაგრჩა გასაკეთებელი, ბევრი დარდიც გაგყვა — სამშობლოს დარდი. ღმერთმა აცხონოს შენი სული, ძვირფასო მეგობარო.

*თანაკურსელები*

### თემურ მორგოშიას გახსენება

თემურ, უშენობა ძალიან დააკლდა შენს საყვარელ მეუღლეს, ჩვენს სათნო და კეთილ რძალს — ლილი მაისურაძეს, შენს ოჯახს და ჩვენ — შენს მეგობრებს, რომელთაც ხშირად შეეხმიანებოდი, ამხნევებდი, აიმედებდი...შემოგვრჩა შენი მშვენიერი წიგნები და ტკბილ-მწარე მოგონება. ღმერთმა გაცხონოს...

*თანაკურსელები*

### მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები

1. ხორციელის შაბათი — 24 თებერვალი (9 მარტი);
2. დიდი მარხვის მე-2 შაბათი — 17 (30) მარტი;
3. დიდი მარხვის მე-3 შაბათი — 24 მარტი (6 აპრილი);
4. დიდი მარხვის მე-4 შაბათი — 31 მარტი (13 აპრილი);
5. თომას კვირის სამშაბათი — 1 (14) მაისი;
6. სულთმოფენობის წინა, სულის შაბათი — 9 (22) ივნისი;
7. დიმიტრის შაბათი — 20 ოქტომბერი (2 ნოემბერი).

წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო სულსა მონისა და მხევლისა შენისასა (სახელები), სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

### ლევან ჩანტლაძის გახსენება



გაზაფხული მოდის, შენი დაბადების დღე, მაგრამ უხალისოდ — რაღა ფასი აქვს უშენოდ მის მოსვლას! ყველას გვენატრები და გვიყვარხარ, ჩვენი დიდი სიყვარული იყავი და ახლა ჩვენი დიდი მწუხარება ხარ. შენ ხომ სიცოცხლე გიყვარდა. უშენოდ ძალიან გვიჭირს, ჩვენო ლამაზო ლევან!

*მამიდაშვილები*

### პაატა გიანაშვილის გახსენება



შვილო, პაატა, მესამედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, 12 მარტს, უშენოდ. დრომ ვერ განკურნა ჩვენი გულისტკივილი. გწამდეს, რომ ყველას ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. არ გვინდა, დავიჯეროთ, რომ აღარ შემოაღებ სახლის კარს და აღარ დაბრუნდები, მაგრამ ვაი, რომ ეს მწარე რეალობაა.

შენი ხსოვნისა ყოფილიყოს ჩემ მიერ დაღვრილი ცრემლი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული. მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური თიანეთის მიწა.

*დედა ლილი გონჯილაშვილი*

### მამუკა რატიას ხსოვნას!



ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, მწუხარება უფრო ღრმავდება, მატულობს.

ძმაო! უკვე 9 წელი გავიდა, ჩვენთან აღარ ხარ. როგორ გვაკლია შენი სითბო, ღიმილი, კეთილი და მოსიყვარულე გული.

9 წელია, სიცარიელეს განვიცდით უშენოდ. დაგტირი, მენატრები, უსაშველოდ მენატრები.

*შენი და ნინო*

### სონა ნადიბაიძე-წიკლაურის ხსოვნას!



ერთი ტკივილიანი წელი გავიდა, დედა, უშენოდ, მონატრებით სავსე წელიწადი. თან გაიყოლე შენი წილი სიკეთე და სიყვარული. შენ ხომ ყველას მოსიყვარულე და ულალატო იყავი.

ძალიან გვაკლიხარ, უსაზღვროდ გვენატრები. უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

### ნინო გელხაური-სანიშვილის მონატრება

ჩვენო საყვარელო ნინო, დიდო ტკივილო და უტყვო მწუხარებავ! 20 წელი გისრულდება, ცხრა მარტს. შარშან პირველად და უკანასკნელად გადაიხადე დაბადების დღე, შენს საყვარელ რამაზთან, მის ოჯახში. რა ბედნიერი იყავი მაშინ... გვტკივა უშენობა,

### გრიგოლ (გრიშა) ფხალაძის მონატრება



მეორე წელია ვხვდებით, მამი, შენს დაბადების დღეს — 1 მარტს, უშენოდ. დიდია, ძალიან დიდი ეს ტკივილი. გარეგნულად მკაცრი, ძალზე თბილი, უსაზღვროდ მოსიყვარულე, ნუგეშის მომცემი და მხნე იყავი, არა მარტო შენი ოჯახისათვის, არამედ ყველასათვის, ვინც შენ გიცნობდა.

გვენატრები, ძალიან გვენატრები.

*შენი მოსიყვარულე შვილები: ნაზი, დარეჯანი, თინიკო; სიძეები: თენგიზი, ვაჟა; შვილიშვილები: ლექსო, გიგა, გიორგი*

### გივი შაშიაშვილის გახსენება



გივი, ერთი წელი გავიდა უშენოდ. როგორ მოულოდნელად, ნაადრევად, ჩუმად და უსიტყვოდ წახვედი ჩვენგან. ჩვენ ხომ ამდენი ხნით ერთმანეთს არ დავშორებულვართ. ძნელია იმის დაჯერება, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ და აღარასოდეს გნახავთ. შენს ცივ სამარეს არ აკლია სანთლები, სიყვარულის ცრემლები და ყვავილები. ყველანი ვტირით, გვენატრები, არასდროს დაგივიწყებთ. უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, კეთილი სული.

*მეუღლე მარადი შაშიაშვილი*

### ბაჩუკი ჩივაძის გახსენება



1 წელი შესრულდება 3 მარტს, რაც შენ ჩვენგან წახვედი. დაგვიტოვე სევდა და წუხილი. შენ ხომ დედ-მამის ნანატრი და ერთადერთი იყავი. მოულოდნელი იყო შენი ტრაგიკული სიკვდილი, მეხის გავარდნას ჰგავდა მთელი სანათესავოსთვის. წახვედი და ფრთამოტეხილი დატოვე შენი მეუღლე თამუნა, შენი ნანატრი ვანუკა, რომელზეც დიდ იმედს ამყარებდი.

*შენი გულგახეთქილი დედ-მამა და ნათია; შენი უახლოესი ღვანიების ოჯახი*

### ანზორ ფრუიძის ხსოვნას!



კაცო ალალო და კაცო გულმართალო,
გული დაგისერა დარდმა.
ველარ დაივიწყე მტრისგან გათელილი
შენი საყვარელი გაგრა.
გული დიდი გქონდა, სული დიდი გქონდა,
იტევდა საქართველოს, მაგრამ
სწორედ საქართველო ძალუმად გტკიოდა,
რაკი აღარ გქონდა გაგრა.
გული სუფთა გქონდა, მიტომ გაწუხებდა
ზადი და ფლიდობა კაცთა,

### გიორგი ქორიძისა და რეზო ნიკოლეიშვილის გახსენება

ჩვენო საყვარელო ბიჭებო, ძალიან ახალგაზრდები — თქვენმა სიკვდილმა დაგვასევდიანა და შეგვაკრთო. ალალები, კეთილები, ნიჭიერები იყავით, მართლაც დიდი მომავალი გელოდებოდათ. ულმობელმა სიკვდილმა გაგიტაცათ — ეტყობა, მოისაკლისეთ ერთმანეთი, ეტყობა ვერ გაძელით უერთმანეთოდ, რადგან ერთ სულ და ერთ ხორც იყავით მუდამ... ღმერთმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი...

*თანაკლასელები*

### ტკივილიანი გახსენება



თქვენი გაზეთის №4 ნომერში გამოქვეყნდა სტატია „დაუსჯელობის სინდრომი გრძელდება", რომელიც იმ საზარელ მკვლელობას ეხება, დუდუ დადიანის სიცოცხლე რომ წაიყოლა თან. არადა, რას წარმოიდგენდა პარასკევს, ნათლისღების წინა დღეს, ვაკეში, დუდუს წმინდა სამების ტაძარი მიმოულოცავს.

მისი საზარელი სიკვდილიდან, ორ მარტს სრულდება მეორმოცე დღე. თვალს ვადევნებ პრესას და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ყველამ უნდა აიმაღლოს ხმა ამ ვანდალიზმის წინააღმდეგ. მივმართავ ქალებს, დედებს, რომელთა წიაღიდანაც იშვება, როგორც სიკეთე, ასევე ბოროტება (ის მკვლელიც ხომ ჩვენი ცოდვის შვილია) — ავიმაღლოთ ხმა: შეჩერდნენ, უცებ ტყვიას ნუ მიახლიან ცხელ გულზე ერთმანეთს, თორემ სანთლად ანთებულ სიცოცხლეებს გვიქრობენ, ორივე თვალს გვიბნელებენ. დაუსჯელობის სინდრომი კი გრძელდება. ხსენებული სტატია მთავრდება ასე: „ეს იყო მაშინ... დღეს?"

მინდა, ეს „დღეს", ჩემი გულიდან გამოწურული განცდით გავაგრძელო:

*დღეს სინანულით მოვიგონებთ დუდუ დადიანს,*
*სიცოცხლით სავსეს, ამაყს, ლამაზს, თვალებნაღვლიანს.*
*ვზრდიდით ბიჭის სულს ანგელოზად, ოცნებაფრთიანს.*
*ლაჩარის გარდა, ვინ ჰკადრებდა სიკვდილს ავდრიანს?!*
*ვაი, ბოროტი მძლავრობს, გვებრძვის, ხელიდან გვაცლის,*
*მოყვასისათვის გულანთებულ შვილებს მადლიანს,*
*ქვითინი დისა ქვას წვავს ცრემლით, დოლაბს ამძრიანს,*
*ალერსით ნაზარდ, ნაფერებ ძმას, ტყვიას ახლიან!*
*ღმერთო, ვით ვიტანთ მკვლელს უმადურს, ყოფაავზნიანს,*
*შურით დაცემულს, გულღრძოს, უხამსს და შავჩადრიანს,*
*ნეტავ, როდემდის უნდა ვთელოთ ცოდვით ბილიკი,*
*როდემდის უნდა ვდიოთ ასე ამინდს ავდრიანს?!*
*მეშვიდეკლასელ ბიჭს ვიხსენებ — დუდუ დადიანს,*
*მამის და და-ძმის ნებიერას, თვალებნაღვლიანს,*
*ვზრდიდით ლამაზ სულს ანგელოზად, სახემადლიანს,*
*სიყვარულისთვის გაჩენილი ვეტოვებს დარდიანს.*

*ცინარა ხმიადაშვილი, 125-ე სკოლის მასწავლებელი*

## 18-20 წუთი და – უმძიმესი ოპერაცია დასრულებულია...



ბრაზილიელი ინჟინერ-ელექტრიკოსი რუბენს ფარია მკურნალობის სფეროში გასაოცარ ნიჭს ამჟღავნებს. იგი სხვადასხვა ოპერაციას აკეთებს და ოპერაციების მსურველთ თურმე დიდხანს უწევთ რიგში ყოფნა. ფარიას ოპერაციები ბევრი ცნობილი პიროვნებისათვის გაუკეთებია, რადგან ტრადიციული მედიცინა უძლური გამომდგარა.

ხერხემალში ნერვის დაზიანების აღმკვეთი ოპერაციის დროს მკურნალის ასისტენტები პაციენტს ფრთხილად აწვენენ მაგიდაზე. ფარია მტკივნეულ ადგილს მონიშნავს და სწრაფად აკეთებს სკალპელით 4 სმ-იან კვეთს. სკალპელს ქირურგიული მაშა ენაცვლება, ფარია თამამად აშორიშორებს მალებს, რომელთა შორის ნერვია მოქცეული. მერე კი ასისტენტი ავადმყოფს ნაკერებს ადებს. ყველაფერს 18-20 წუთი სჭირდება. უნარკოზო ოპერაციის დასრულებისთანავე პაციენტს ეძლევა გავლის უფლება.

დიპლომირებული მედიკოსები ფარიას შარლატანს უწოდებენ, მაგრამ მკურნალს პაციენტები მაინც არ აკლია. როგორც თვითონ ამბობს, მის სხეულში პირველ მსოფლიო ომში დაღუპული ცნობილი გერმანელი ქირურგის ადოლფ იერპერსოვენის სულია ჩასახლებული. და თუ ეს სასწაულია, მაშინ ეს სასწაული რეალურადაა დადასტურებული ასეულობით უნიკალური ოპერაციით, რომელთა აღიარება ტრადიციულ მედიცინას არ სურს.

***კორეიუ ბრაზილიენსი №3***

## გოგონა-ჩიტი და მისი დედობილი არწივი

აშშ-ში, კოლორადო-სპრინგსში ალპინისტებმა სამასი მეტრის სიმაღლეზე შეამჩნიეს დაახლოებით ათი წლის გოგონა. გოგონამაც დაინახა ისინი და ოთხით სწრაფად დაიწყო ზევით ასვლა.



ქალაქში დაბრუნებულმა ალპინისტებმა ეს ამბავი ქალაქის მესვეურებს მოუთხრეს. მოხალისეთა რაზმმა გოგონას ძებნა დაიწყო და როგორც იქნა, მიაგნო. გოგონას კლდის მწვერვალზე გაკეთებულ დიდ ბუდეში ეძინა, რომელიც პატარა ცხოველების ძვლებით იყო სავსე. როცა მაშველებმა ბუდიდან გოგონას ამოყვანა დააპირეს, თავს სამი არწივი დაესხა და არ აძლევდნენ გოგონას წაყვანის საშუალებას. გოგონაც აქტიურად იბრძოდა, არაფრით ნებდებოდა, ბრაზობდა, იკბინებოდა და იკაწრებოდა...

ფიქრობენ, რომ უჩვეულო გოგონა-ჩიტი ის ბავშვია, რომელიც 1994 წლის 9 მაისს თავისი სახლის ეზოდან არწივმა გაიტაცა. მაშინ გოგონა ბევრი ეძებეს, ვერ იპოვეს და გადაწყვიტეს, რომ დაიღუპა.

ფსიქოლოგები ასე აღწერენ გოგონას ახლანდელ მდგომარეობას: მას ეშინია ადამიანების, იძინებს მხოლოდ წიგნის მაღალ თაროზე, მისი მოძრაობა ბუმბულის გასუფთავებას წააგავს, თავს ესხმის თაგვებს, იჭერს და ცოცხლად ჭამს.

მეცნიერების ვარაუდით, გოგონა გადაარჩინა და გაზარდა არწივმა.

დედა-არწივს კარგად განვითარებული დედობრივი გრძნობა აქვს, — ამბობს ორინტოლოგი, პროფესორი ფეიზჰელდი. ცნობილია შემთხვევები, როცა ისინი პატრონობენ და ზრუნავენ ციკნებსა და მინდვრის თაგვებზე.

ფსიქოლოგები იმედოვნებენ, რომ გოგონას დაეხმარებიან და როცა ის ადამიანებს მიეჩვევა და ლაპარაკს ისწავლის, მშობლებს დაუბრუნებენ.

***ტაინაია ვლასტ №3***

## კუდიანი ბიჭუნა თვალებსაც არ ახამხამებს...



ახლახან ინდოეთში, პენჯაბის შტატში, სალმე ბეგულის შეეძინა ბავშვი, რომელსაც 10 სმ სიგრძის კუდი აქვს. პენჯაბელებს ბავშვი ინდური პანთეონის ღმერთ ჰანუმანის — დიდი მაიმუნის — განსახიერებად მიაჩნიათ. ბაბაინს (ასე დაარქვეს ჩვილს) კუდის გარდა, კიდევ რამდენიმე ნიშანი აქვს ჰანუმანისა: ნაიარევი მარცხენა ფეხზე (ჰანუმანი ისრის დაჭრა ბჰარატმა), ჰანის კვალი (ძაფი, რომლითაც მარცხენა ხელს იხვევდა ჰანუმანი). ეს ამბავი ელვის უსწრაფესად მოედო მთელ ინდოეთს. უამრავი ხალხი დაიძრა ჰანუმანის ცოცხალი განსახიერების სანახავად, ცხადია, სათანადო თანხის საფასურად. მორწმუნეებმა მის სახლთან პატარა სამლოცველო ააგეს. ადგილობრივი მოძღვრების რჩევით 15 თვის თავზე ბავშვი მშობლებს ჩამოართვეს და ბაბუას (დედის მამას) გადასცეს აღსაზრდელად. ოჯახი კატეგორიული წინააღმდეგია, რომ ბავშვი ექიმებმა გასინჯონ (ექიმების აზრით, კუდი წაზრდილი კუდუსუნია). ბავშვი არასდროს ტირის, არ იცინის და თვალებსაც კი არ ახამხამებს.

კუდიანი ბავშვის დაბადება პირველი შემთხვევა არ არის. 20 წლის წინ ამერიკაში დაიბადა ბავშვი 5 სმ-იანი კუდით, რაზეც მოზრდილი გამოკვლევა დაიწერა — „ადამიანის კუდის ევოლუცია“.

***მირ ნოვოსტეი №7***

## იდუმალი გაუჩინარება

როცა ადამიანები ჩვენ თვალწინ უეცრად უჩინარდებიან ან უკვალოდ ქრებიან მსხვილი ობიექტები, ლოგიკა უკან იხევს და ადგილს მისტიკას უთმობს.

1971 წლის 20 ივნისს იტალიელი ფერმერი მიადგა თავის მამულს, რომელსაც მდინარე ჰყოფდა შუაში და პირკატა ეცა — სად იყო მისი ძველისძველი, 5-ტონიანი რკინის ხიდი! ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს.

1973 წლის მარტის ერთ მშვენიერ დღეს ახალდაქორწინებული ეგვიპტელი ცოლ-ქმარი ალექსანდრიის ქუჩებში სეირნობდა. უეცრად მიწა გაირღვა, ქალი, 24 წლის მირქატ აშმად შიქათითან ჩაიტანა და ისე დაიხურა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. თავზარდაცემული ქმარი და გამვლელები მაშინვე პოლიციას მიადგნენ. გათხარეს ის ადგილი, მაგრამ 10 მეტრის სიღრმეშიც კი ქალის ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს.

1973 წლის აპრილში ქალაქიდან შინ დაბრუნებულ მისის გრიფენს კარგა მოზრდილი საკუჭნაო ეზოში აღარ დახვდა. პოლიციამ ამაოდ ეძება გამქრალი სახლი. მეზობლები ირწმუნებოდნენ — დილით ჩვენი თვალით ვნახეთ, თავის ადგილას იდგაო!

1978 წლის ზაფხულის ერთ ღამეს ამერიკის ერთ-ერთი ტბიდან უკვალოდ გაქრა ვეებერთელა სასეირნო იახტა. იგი რამდენიმე კაცს ეკუთვნოდა.

წინადღეს ერთ-ერთი მეპატრონე სტუმრებთან ერთად დასეირნობდა ტბაზე. საღამოს იახტა დამბაზე დააბეს და კარგად ჩანდა ნაპირიდან. დილით კი აღარ იყო...



იახტის გადატანა დაუჯერებელი გახლდათ, რადგან ტბას ერთადერთი რუ ერთვოდა. დეტექტივებმა იფიქრეს, ხომ არ ჩაიძირაო და სულ გოჯ-გოჯ გადაჩხრიკეს ტბის ფსკერი, მაგრამ რა დაგიკარგავს, რა გიპოვია?! ბოლოს, მეთევზეებმა თქვეს, განთიადისას რაღაც უცნაური მკვეთრი ნათება დაადგა თავს იახტასო... ახლომახლო კი არც ხანძარი ყოფილა და არც რამე აფეთქების ხმას დაურღვევია სიმყუდროვე. მერე ვილაცას გაახსენდა, შუაღამისას უცნობმა საჰაერო ობიექტმა უხმაუროდ აიტაცა იახტა ჰაერშიო. მაგრამ იმ დროს არ არსებობდა იმგვარი სიმძლავრის საჰაერო ტრანსპორტი.

***ნლო №7***

## ჩვენ გვწერენ

## აფრიკული ნიღბები

ნიკამ აფრიკის რომელიღაც ეგზოტიკური ქვეყნიდან შავი, საზარელი ნიღაბი ჩამოიტანა და ძალიან ამაყობდა — ნამდვილია, ერთ-ერთი ტომის ბელადმა მომყიდაო.

იმ დღის მერე ოჯახში არაფერი ჩერდებოდა — ან იმსხვრეოდა, ან იკარგებოდა. თან ავადმყოფობაც შეეჩვიათ — ერთი რომ ფეხზე წამოდგებოდა, მეორე ლოგინად ჩავარდებოდა ხოლმე.

ერთ დილას ნიკას 12 წლის დამ, ეკამ წივილ-კივილით გაიღვიძა — ვიღაც შავი კაცი მახრჩობსო... დაამშვიდეს — ცუდ სიზმარს ნახავდიო. ეს ავი სიზმრები კარგა ხანს გაგრძელდა. მაგრამ ყელსა და ყვრიმალებზე ნათითურებივით სისხლნაჟღენთებიც რომ დაეტყო გოგონას, იკადრეს და ფსიქოთერაპევტს მიაკითხეს. არაფერმა უშველა ბავშვს. ოჯახი საგონებელში ჩავარდა.



ერთხელ ნიკას უცხოელი კოლეგა ჰყავდა სტუმრად. იგი უმალ დაინტერესდა კედლიდან მოცქირალი სქელტუჩა, უცნაურად მოხატული ნიღბით და ნიკას უთხრა, — მე აფრიკის ტომების წეს-ჩვეულებებს კარგად ვიცნობ. ეს მაგიური ნიღაბია და ბევრ ფათერაკს გადაგყრითო. ნიკას სისხლი გაეყინა — ვაითუ, ჩვენი ამდენი უბედურება ამ მახინჯის ბრალიაო.

ჯეიმსმა ნიკას უამბო:

— აფრიკული ნიღბები, სტატუეტები თუ სხვა რამ სამშვენისი უვნებელი სულაც არ არის. ოსტატი ხეზე მუშაობისას თავისი ტომის მფარველ ღმერთებს ევედრება შემწეობას და ამ ლოცვა-ვედრებაში მისი ნამუშევარი კერპად იქცევა.

ნიღბებს ჯადოქრობისთვისაც იყენებენ. აბორიგენებს სწამთ, რომ თუ ბოროტი სულის ნიღაბს დადებთ ავადმყოფის გვერდით, სნეულება მასში გადავა. ამისთვის საკმარისია იდუმალი შელოცვა. ამბობენ, ჯადოქრები ამგვარად კურნავენ ავადმყოფ თანასოფლელებსო. გამოჯანმრთელებულები კი ამ ნიღბებით მიქრიან ბაზრობებზე და ჩალის ფასად აძლევენ სუვენირების გამყიდველებს თავიანთ „სნეულებას და უყისმათობას“. ის კი, ეგზოტიკის მოყვარულ ტურისტებთან ასაღებს ნიღაბს. ტურისტი კი, რომელსაც ფიქრადაც არ მოსდის, რა „მაგიური ბომბი“ მიაქვს ამ ქვეყნიდან, შინ მისვლისთანავე საჩინო ადგილზე გამოჰკიდებს ხოლმე „ველური ხელოვნების ნიმუშს“. განსაცდელიც არ იგვიანებს, ის სხვადასხვანაირად მჟღავნდება: ან ოჯახის რომელიმე წევრს შეეყრება უცნობი დაავადება, ან ხანძარი ჩნდება, ცოლ-ქმარი იყრება, ბარაქა ხელიდან მიდის და ა.შ. ამიტომ სჯობს, თავიდან მოიშოროთ ეს ნივთი, ბინა კი აკურთხებინოთ მოძღვარს.

...ნიკამ მტკვარს გაატანა აფრიკული ნიღაბი. იმ დღიდან ოჯახმა სიმშვიდე ნახა...

***დარეჯან თეთრაძე***

## ეს იცოდით?.. ეს იცოდით?.. ეს იცოდით?..

**უსტვინეთ და აღარ შეგეშინდებათ!** „თუ თქვენდა მოულოდნელად უცხოპლანეტელების ხელში აღმოჩნდით და შიშმა შეგიპყროთ, რაიმე მხიარული მელოდიის სტვენა გიშველით“, — გვირჩევს ბრიტანელი უფოლოგი ენტონი სპოტი.

უფოლოგის აზრით, უცხოპლანეტელებს არ შეუძლიათ ადამიანისთვის ზიანის მიყენება მანამ, სანამ ეს უკანასკნელი მხიარულ მელოდიას უსტვენს(!). იქნებ სტვენა უცხოპლანეტელებს მშობლიურ ენას აგონებთ და მსტვინავ ადამიანს შინაურად იღებენ?

**ცოცხალი ძალა.** იაპონიაში ახალი ავტომობილის წარმოებაში გაშვებას აპირებენ. ჩვეულებრივისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ მუშაობს... ცოცხალი ზაზუნების ენერგიით. საბრალო მღრღნელები გაუჩერებლად დარბიან სპეციალური მექანიზმის შიგნით და ამით მოძრაობაში მოჰყავთ მანქანა. ეს ანტიჰუმანური, მაგრამ ეკოლოგიურად სუფთა კონსტრუქცია შეიმუშავეს ტოკიოელმა სტუდენტებმა კონცერნ „ტოიოტას“ ხარჯით. პირველად კი მისი ჩვენება მოაწყვეს „იდეათა ოლიმპიადაზე“, სადაც წარმოდგენილ სხვა გიჟურ იდეებს აჯობა.

**პატარა სამედიცინო ჰოროსკოპი.** ნეიროფსიქობიოლოგებმა ამას წინათ დაადგინეს კავშირი ადამიანის დაბადების თარიღსა და გარკვეული ჯგუფის დაავადებათა შორის. თუკი თქვენ ზაფხულში ან შემოდგომაზე დაიბადეთ, გიხაროდეთ, რადგან შიზოფრენიით დაავადების რისკი 10%-ით შემცირდა. თუკი თქვენი დაბადების თარიღი იანვარზე, თებერვალსა თუ მარტზე მოდის, მაშინ არ უნდა გაოცებდეთ დეპრესიის ხშირი შეტევები, რადგან სწორედ ამ თვეებში დაბადებულებთ ახასიათებს ხშირი ნერვულ-ფსიქიკური აშლილობები. სეზონური დეპრესიები კი დამახასიათებელია მაისში დაბადებულთათვის.

**იულიუს კეისარმა თავისი მკვლელობის პროვოცირება მოახდინა?** რომაელი დიქტატორის გაი იულიუს კეისრის დაღუპვის ახალი ვერსია წარმოადგინეს იტალიელმა ისტორიკოსებმა. მათ მიაჩნიათ, თითქოს კეისარმა იცოდა, მის წინააღმდეგ შეთქმულება რომ მზადდებოდა და თავადაც ეძებდა სიკვდილს.

ამ ვერსიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ კეისარი უკურნებელი სენით იყო დაავადებული — თითქოს სასახლის წყალგაყვანილობის ტყვიისაგან დამზადებულმა მილებმა იგი კუჭის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადა. იმდროინდელი ესკულაპები უძლურნი აღმოჩნდნენ, მისთვის დახმარება გაეწიათ.



მაშინ კეისარმა, რომელიც საიდუმლო აგენტებისგან უკვე ინფორმირებული იყო შეთქმულების თაობაზე, გადაწყვიტა თავად შეგებებოდა მკვლელებს. იმ დროს, როცა სენატთან უამრავი ხალხი იყო თავშეყრილი, იგი სენატის პარმაღზე გამოვარდა და როცა თავისი გერის ხელში ხანჯალი დაინახა, წარმოთქვა (როგორც ირწმუნება სენეკა) თავისი ცნობილი ფრაზა: „ბრუტუს, შენც?!“

**მყვირალა თავის ქალა.** კონდორის ტბის რაიონში, ამაზონის არქეოლოგიურ გათხრებს, სადაც მეცნიერები ძველ ინდიელთა ტომის ჩაჩაპოიასების სამარხებს იკვლევდნენ, ისე მკაცრად იცავდნენ, რომ ჩიტი ვერ შეფრინდებოდა. მიუხედავად ამისა, ქურდებმა მაინც მოახერხეს რამდენიმე ძვირფასი ნივთისა და დიდი ისტორიული ღირებულების მქონე თავის ქალის მოპარვა. უნდოდათ, საუდის არაბეთის მდიდარი შეიხისთვის მიეყიდათ, მაგრამ როგორც თვითონ ამბობენ, ველარ გაუძლეს „წყეულ თავის ქალას, რომელიც ღამღამობით ყვიროდა“. ერთ-ერთი ქურდი ფსიქიატრიულ კლინიკაშიც კი მიუყვანიათ, ისტერიული შეტევები დაწყებია. თავის ქალა ეკუთვნოდა ჩვ.წ.აღ.-მდე 750 წელს გარდაცვლილ ტომის ბელადს. თურმე ის მაგიის საიდუმლოს და სულების გადასახლების უნარს ფლობდა. ქურდები დაჟინებით აცხადებენ, ყვირილი ნამდვილად გვესმოდაო. მათ ნებაყოფლობით დააბრუნეს ნაპარავი და გამომძიებელს ეხვეწებიან, სასამართლოზე თავის ქალა არ მოიტანონ.

***უცხოური პრესის მიხედვით***

## „საზალლო-სალალო“ გვერდის პასუხები

I. **რებუსი**
ჰაერში უკვე გაზაფხულის სურნელი ტრიალებს.

II. ბ-მ

III. ურემი

# გარდაიცვალა ჯეიმს ბონდის პროტოტიპი



გარდაიცვალა ყველა დროის ყველაზე დიდი ჯაშუში — ჯეიმს ბონდი. უფრო სწორად, ადამიანი, რომელიც გახდა ბონდის პროტოტიპი.

ნამდვილმა სუპერგმირმა ვერნონ უოლტერსმა „კარიერა“ 1942 წელს დაიწყო. მისი პირველი დავალება იყო ქსელში გერმანელი ჯაშუშების ჩართვა. მას ძალიან შველოდა უცხო ენების ცოდნა — იგი 7 ენაზე ლაპარაკობდა, მათ შორის რუსულადაც. იყო სამი პრეზიდენტის — ტრუმენის, ეიზენჰაუერის და ნიქსონის თარჯიმანი.

უოლტერსის ბიოგრაფიის მიხედვით უახლესი ისტორიის შესწავლა შეიძლება — 1944 წელს მან ამერიკელ ჯარისკაცებთან ერთად რომი გაათავისუფლა, 40-იანი წლების დამლევს მონაწილეობდა მარშალის გეგმის შემუშავებაში, 1953 წელს მოამზადა პუტჩი თეირანში, 1958 წელს კარაკასში იხსნა აშშ-ის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი ბრბოს თავდასხმისაგან.

1964 წელს უოლტერსი ბრაზილიაში აღმოჩნდა „გენერლების ცნობილი ამბოხის“ დროს. დაახლოებით ამ დროსვე კუბაში საიდუმლოდ შეხვდა კასტროს. 70-იან წლებში მონაწილეობდა ვიეტნამელ კომუნისტებთან გასაიდუმლოებულ მოლაპარაკებებში. „უოტერგეიტის“ დროს იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოადგილე.

უოლტერსმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა იცოდა ფრანკოსგან, რომ ესპანეთში დიქტატურას მონარქია მოჰყვებოდა.

თავისი კარიერის და „ცივი ომის“ დასასრულს უოლტერსი გერმანიაში ელჩად გაგზავნეს. მან 1991 წლიდან დაიწყო მემუარების წერა. წიგნს ჰქვია „მდუმარების მისია“.

ვერნონ უოლტერსი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა პალმ-ბიჩის სამედიცინო ცენტრში.

***იზვესტია №28***

# ხელმრუდი სახელგანთქმული ადამიანები

კლეპტომანიას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამით განსაკუთრებით გამოირჩეოდა საფრანგეთის მეფე ჰენრი IV, რომელიც სტუმრად ყოფნისას, აუცილებლად რაიმეს, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ნივთს, ხელს გააყოლებდა. მისთვის მთავარი თვით პროცესი იყო, რასაც ვერ ვიტყვით მის ამჟამინდელ მიმდევრებზე.

**მაიკლ ჯექსონს** ძალიან უყვარს ბევერლი ჰილზის საიუველირო მაღაზიაში შესვლა, სადაც ძვირფასეულობას აქირავებენ. მაგრამ მაიკლს, რატომღაც ყოველთვის ავიწყდება საფასურის გადახდა. ერთხელ მან ამ მაღაზიაში იქირავა 1,45 მლნ დოლარად ღირებული „ვაშერონ კონსტანცინის“ ბრილიანტებით მოოჭვილი საათი და, რა თქმა უნდა, ფული არ გადაიხადა. მაღაზიის მეპატრონე იძულებული გახდა, სასამართლოსთვის მიემართა კუთვნილი თანხის მისაღებად.



მსახიობმა **ვაინონა რაიდერმა** ლოს-ანჯელესის ტანსაცმლის მაღაზიიდან აწაპნა 4 ათასი დოლარის ღირებულების ტანსაცმელი. ფაქტზე დაჭერილმა მსახიობმა ამ ამბავს გაუგებრობა უწოდა, რომელიც მის ადვოკატებს 20 ათასი დოლარი დაუჯდა. როგორც ამბობენ, ვაინონა კლეპტომანიის სამკურნალო კურსს იტარებს.

მომღერალმა **ბიორკიმ** ერთხელ მაღაზიიდან გასაბერი მინი-აუზიც კი მოიპარა, რითაც ძალიან ამაყობს.

**მარლონ ბრანდომ** ერთხელ აღიარა, — მსახიობი რომ არ გავმხდარიყავი, ალბათ ქურდი ვიქნებოდიო.



მეგობრებისთვის საიდუმლო სულაც არ არის, რომ თუკი მათთან მარლონი სტუმრობს, აუცილებლად რაღაც პატარა ნივთი დაიკარგება. მაგრამ ისინი აპატიებენ ამ სისუსტეს. უარეს მდგომარეობაშია მაღაზიები — მარლონი ყოველთვის რაღაცას იპარავს და, სხვათა შორის, არასოდეს „ჩავარდნილა“.

**მადონაც** არ აკლებდა ხელს ამ საქმიანობას. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მას ძალიან უჭირდა და ამიტომ ხშირად იპარავდა მაღაზიებში პროდუქტებსა და სხვა ნივთებს.



რამდენიმე დღის წინ, ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში პროდუქტების ქურდობისთვის (რომლის საერთო ღირებულება სულ 19 დოლარია) დაიჭირეს ამჟამად იქ მცხოვრები, სახელგანთქმული რუსი ტანმოვარჯიშე, ოლიმპიადების ოთხი ოქროს მედლის მფლობელი **ოლგა კორბუტი,** რომელიც ამტკიცებს, რომ მას მოპარვა კი არ უნდოდა, არამედ საფულე მანქანაში დარჩა და პროდუქტებიანად მის მოსატანად გამოვიდა მაღაზიიდან.

***სობესედნიკი №7***




# ვარდისა და ჯვრის ლეგენდები

ვარდისა და ჯვრის საძმო ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლო საზოგადოებადაა მიჩნეული, რომელიც ოდესმე არსებულა. როზენკრეიცერების ამ საიდუმლოს ამოხსნის მცდელობამ არაერთი ლეგენდა შექმნა.

ვარდისა და ჯვრის ორდენის ჩამოყალიბებას მიაწერენ გერმანელ, ქრისტიან როზენკრეიცერს, რომელიც 1378 წ დაიბადა და 106 წელი იცოცხლა. მან 1400 წ დააარსა ვარდისა და ჯვრის საძმო, რათა დაეწყო მეცნიერებისა და კულტურის რეფორმაცია. ორდენის მოღვაწეობა დაიწყო საიდუმლო შრიფტის დამუშავებით, რაც საჭირო იყო შეგროვილი ცოდნისა და სიბრძნის ლექსიკონის შესადგენად.

სხვათა შორის, როზენკრეიცერი საძმოს წევრების გარდა არავის უნახავს და არც მისი გარეგნობის აღწერილობაა შემონახული.

როზენკრეიცერებმა თავისი ნიშნის ერთ-ერთ ელემენტად შემთხვევით როდი შეარჩიეს ვარდი. იგი განასახიერებს ნაყოფიერებას და სიწმინდეს. გაშლილი კოკორი მეტყველებს სულიერ განვითარებაზე, წითელი ფერი კი გვახსენებს ქრისტეს სისხლს. ყვავილის ცენტრში მოთავსებული ოქროს გული — ადამიანის სულიერი საგანძურია, ხოლო ათი ფურცელი მიგვითითებს ამ პითაგორასეული რიცხვის სრულყოფილებაზე.

როზენკრეიცერები თავად არჩევდნენ მოსწავლეებს და მათ ორდენში ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ იღებდნენ. საძმოს წევრები მკაცრად ინახავდნენ საიდუმლოს, რადგან იცოდნენ, რომ კაცობრიობას საშიშროებას მოუტანდა ის, ვისაც პრაქტიკულად განუსაზღვრელი ძალაუფლება ექნებოდა, მაგრამ არ ექნებოდა სათანადო ცოდნა და არც სათანადო ზნეობა.

როცა ორდენის წევრების თავდაპირველმა რიცხვმა რვას მიაღწია, მათ დაასრულეს ყველა საბუთისა და ინსტრუქციის მომზადება და გადაწყვიტეს ცალ-ცალკე მოენახულებინათ სხვადასხვა ქვეყანა. განშორების წინ ძმებმა ექვსი ყველასათვის სავალდებულო წესი დააწესეს:

— მკურნალობა უფასოდ;

— ჩაიცვან ჩვეულებრივი სამოსი, რომელიც რაიმე ფორმას არ ემგვანებოდა;

— შეერჩიათ საკუთარი თავის შემცვლელი;

— ორდენის ბეჭდად და ინიციალებად ეცნოთ ასოები R C;

— ყოველწლიურად მოეწყოთ შეხვედრები;

— ასი წლის განმავლობაში საიდუმლოდ შეენახათ ორდენის არსებობა;

როზენკრეიცერების საზოგადოების მიზნების შესახებ ცნობილია მათი მომხრისა და პროპაგანდისტის ჯონ ჰეიდონის შრომებიდან. ის წერს, რომ საძმოს სამი მთავარი მიზანი ჰქონდა: ადამიანები დაეცვა მონარქიული დესპოტიზმისგან, მოეხდინა მეცნიერების, ფილოსოფიისა და ეთიკის რეფორმაცია, პანაცეა შეექმნა ყველა ავადმყოფობის განსაკურნებლად.

იმ ადამიანებმა, რომლებიც საკუთარ თავს როზენკრეიცერებს უწოდებდნენ, ადამიანის ცნობიერების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

***ნლო №7***

# სად გაქრა გოიას თავის ქალა?



ფრანსისკო გოია 1746 წელს დაიბადა ესპანეთის ერთ მიყრუებულ სოფელში. ალბათ მამამისივით ისიც მომვარაყებელი გამოვიდოდა, 14 წლისას სარაგოსას ტაძარში ველასკესის ფრესკები რომ არ ენახა. ადგილობრივი მხატვრის დახმარებით, ფერწერის ტექნიკის ათვისების შემდეგ, გოიამ ორჯერ სცადა სან-ფერნანდოს ხელოვნების აკადემიაში ჩაბარება, მაგრამ ორივეჯერ ჩაიჭრა. წარუმატებლობამ ფარ-ხმალი არ დააყრევინა და 1771 წელს რომში ჩავიდა მხატვრების კონკურსზე. მაგრამ იქაც არ გაუმართლა — პირველი ადგილი სხვას მიანიჭეს.

დიდი ხნის მანძილზე ფრანსისკო გაურკვევლობაში იყო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბედმა გაუღიმა — სანტა-პილარის ბაზილიკის მოხატვა მიანდეს. ახალგაზრდა ფერმწერმა სამეფო კარის მხატვრის ყურადღება მიიქცია. მან გოია თავის დაზე, ხოსეფაზე დააქორწინა. მალე სამეფო ოჯახის წევრებმა შეუკვეთეს პორტრეტები. გოიამ სახელი მოიხვეჭა და რაც მთავარია, ფული იშოვა — ღარიბ ოჯახში გაზრდილს პანიკურად ეშინოდა უფულობის.

ხოსეფას მიმართ ფრანსისკოს გრძნობა არ ჰქონია, მაგრამ შვილები ძალიან უყვარდა. თავისი ბავშვობის მეგობარს მარტინ საპატერას სწერდა: „მთელი მადრიდი შესციცინებს ჩემს 4 წლის ვაჟს. ის ანგელოზს ჰგავს. ამას წინათ ავად გახდა, მთელი ღამეები მის სასთუმალთან გავატარე ტირილში“. საუბედუროდ, 4 მცირეწლოვანი შვილი დაკარგა. ერთადერთმა მიაღწია ზრდასრულ ასაკს. იგი სახელგანთქმული მამის სურათების ასლების ხატვით გახდა ცნობილი.

1792 წელს გოია მძიმედ დასნეულდა რაღაც უცნობი ვირუსით. ექიმების ძალისხმევით სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ სმენა დაკარგა, რაც მის ფსიქიკაზე აისახა. გოია მაინც ძველებურად ცხოვრობდა, უკანასკნელ მოდაზე იცვამდა. გავიდა დრო და თავდავიწყებით შეუყვარდა ესპანეთის ერთ-ერთი ულამაზესი მანდილოსანი — ჰერცოგის ქალი ალბა. თუმცა როგორც გაირკვა, თავის ცნობილ ტილოზე „შიშველი მახა“, რომელმაც ინკვიზიციის ყურადღება მიიპყრო, გოიამ ჰერცოგის ქალი ალბა კი არ დახატა, არამედ — ჰერტა ტუდო — ერთი ცნობილი ჩინოვნიკის საყვარელი.

1812 წელს გოიას მეუღლე გარდაეცვალა, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა ქვრივად — 70 წლისამ ცოლად შეირთო ლეოკადი ვაისისი, გარდაცვლილი მეუღლის ნათესავი, რომელიც შვილიშვილად ერგებოდა. ახალგაზრდა ცოლთან ერთად გოია ქალაქგარეთ დასახლდა და სახლის კედლები იმ საშინელი მონსტრებით მოხატა, რომლებიც ხშირად ეცხადებოდნენ ხილვებში...

მადრიდის სან-ანტონიოს ეკლესიის აკლდამაში მხატვრის უთავო ჩონჩხია დასვენებული. სად გაქრა თავის ქალა — არავინ იცის...

***პარი მატჩი***


# ბუასილი — მტკივნეული პრობლემის დასასრული

ბუასილი მეტად გავრცელებული დაავადებაა. ტერმინი „ჰემოროი”, მედიცინაში,პირველად ჰიპოკრატემ გამოიყენა,რაც სიტყვა სიტყვით სისხლდენას ნიშნავს. ექიმები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბუასილის გამომწვევ ორ ძირითად მიზეზს ანიჭებენ. 1)სწორი ნაწლავის ვენური სისხლძარღვების თანდაყოლილი უკმარისობა. 2)ორგანიზმის შიდა მიმდინარე პროცესები და ცხოვრების არაჯანსაღი წესი. კერძოდ, ქრონიკული შეკრულობა, ხშირი მშობიარობა, ცხარე, ნაწლავების გამაღიზიანებელი საკვები, ალკოჰოლიზმი, მძიმე ფიზიკური შრომა, ცხოვრების უმოძრაო წესი და სხვა. ხშირად, ბუასილის განვითარების მიზეზების დადგენისათვის, მნიშვნელობა ენიჭება სქესს, ეროვნებასა და კლიმატურ პირობებსაც კი.

ბუასილით დაავადების მაღალ სიხშირეზე მეტყველებს სტატისტიკაც. ავადმყოფობა მეტ-ნაკლები სირთულით მოსახლეობის თითქმის 80%-ს ახასიათებს. მათგან 50%-ი კი, აქტიურ მკურნალობას მოითხოვს.

ბუასილი განიხილება როგორც ქრონიკული დაავადება, რომელიც საჭიროებს პერიოდულ პროფილაქტიკურ მკურნალობას, რათა არ გამოიწვიოს მძიმე გართულებები. დაავადებულთა უმრავლესობისათვის დაწყებითი სტადია თითქმის შეუმჩნევლად მიმდინარეობს. მათ აქვთ უხერხულობის და ხანდახან, უცხო სხეულის შეგრძნება უკანა ტანში, ქავილი. ტკივილები და სერიოზული დისკომფორტი მოგვიანებით იწყება. დაწყებითი სტადია შეიძლება თვეები და წლებიც კი გაგრძელდეს, სანამ ის ქრონიკულ დაავადებად ჩამოყალიბდება. სწორედ ეს პერიოდია ყველაზე ხელსაყრელი დრო მკურნალობისათვის. დაწყებით ეტაპზე შესაძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების თავიდან აცილება, როგორიცაა, სისხლდენა, ტკივილი დეფეკაციის დროს, კვანძების გამოვარდნა და სხვ.

დაავადების გამოვლენის მეთოდიკა მეტად მრავალფეროვანია, გამომდინარე იქიდან, რომ მას თან ახლავს სწორი ნაწლავის სხვადასხვა პათოლოგია: ანალური არხის ნაპრალი, სწორი ნაწლავის ფისტულა და სხვ.

ბუასილის მკურნალობის ყველა არსებული მეთოდი შეიძლება 3 ძირითად ჯგუფად დაიყოს; 1) კონსერვატორული (მედიკამენტები, ფიზიოთერაპია), 2) ნაკლებად ინვაზიური (“მცირე” ოპერაციები ტკივილის, სისხლის და ნარკოზის გარეშე), 3) ქირურგიული (ოპერაცია). სადღეისოდ, განვითარებული ქვეყნების სპეციალისტები უპირატესობას ე.წ. ნაკლებად ინვაზიური (უოპერაციოდ) მკურნალობის მეთოდიკას ანიჭებენ. ეს არის ქირურგიული მეთოდის სერიოზული ალტერნატივა, რომელიც პაციენტს საშუალებას აძლევს ნარკოზისა და ლანცეტის გარეშე დაივიწყოს ტკივილი და მუდმივი დისკომფორტი.

სამედიცინო ცენტრი **„ექიმი გილი”** სწორედ ამგვარ ალტერნატივას სთავაზობს მათ, ვისაც სურს დაიბრუნოს ჯანმრთელი, უმტკივნეულო და აქტიური ცხოვრება. ცენტრში ტარდება პაციენტის ყოველმხრივი, სრულყოფილი გამოკვლევა და ამის საფუძველზე შეირჩევა მკურნალობის ინდივიდუალური, კომპლექსური სისტემა, რაც გულისხმობს დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენას და ზრუნვას ორგანიზმის საერთო გაჯანსაღებისათვის. ამგვარი მეთოდიკა შესაძლებელს ხდის გამორიცხული იქნას დაავადების ნებისმიერი რეციდივი. კლინიკა აღჭურვილია უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებითა და პრეპარატებით. დაავადების განვითარების შესაბამისად შეირჩევა კვანძების მოშორების მეთოდი. ამ მიკროოპერაციებს არ ახლავს ტკივილი და სისხლდენა, პაციენტი არ ეთიშება ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ამავე დროს ფართოდ გამოიყენება ფიზიო, ლაზერო-მაგნიტური და კვანტური თერაპია.

**ბუასილი მეტად „მტკივნეული” პრობლემაა და სულაც არ არის საჭირო, რომ ის თქვენი ცხოვრების მუდმივი და თანაც აუტანელი თანამგზავრი გახდეს.**

სამედიცინო ცენტრი

## „ექიმი გილი”

ტ: 29-05-25 25-27-09

ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

# „რეალი“ ყველგან პირველია

ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტური დარჩა, გასულ კვირაში გამართულ მატჩებში წინა ტურისაგან განსხვავებით სენსაციები არ დაფიქსირებულა. თითქმის ყველა ფავორიტმა მოიგო. მადრიდის „რეალმა“ „პორტუს“ სტუმრად ძლევით ოფიციალურად გაინაღდა მეოთხედფინალში თამაში, შემდეგ ეტაპამდე თითო ნაბიჯის გადადგმა დარჩათ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“. პრაქტიკულად გაინაღდა ჯგუფიდან გასვლა ბერძნულმა „პანათინაიკოსმაც“. სხვა ჯგუფებში კი ჯერ კიდევ ყველაფერი გასარკვევია და გამსვლელთა და გავარდნილთა ვინაობას ალბათ უკანასკნელი ტური გაარკვევს. V ტურის საუკეთესო შეხვედრა უთუოდ „რომასა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირება გახლდათ, კატალონიელთა განადგურებით ფაბიო კაპელოს გუნდი ჯგუფს სათავეში მოექცა და თუ შინ „გალათასარაის“ დამარცხება შეძლო, მეოთხედფინალში ითამაშებს. რივალდოსა და მის თანაგუნდელებს შინ „ლივერპულის“ დამარცხება მართებთ, ალბათ ეს მატჩი გაარკვევს ჯგუფიდან მეორე გამსვლელი გუნდის ვინაობას. დიდებულად ითამაშა ლონდონის „არსენალმა“, რომელმაც პირწმინდად გაანადგურა კლაუს ტოპმიოლერის „ლევერკუზენი“. ამ მატჩში დენის ბერგკამპის გატანილი გოლი საფეხბურთო შედევრთა რიცხვს მიეკუთვნება. ლა კორუნიაში წაგებით მომდევნო ეტაპზე გასვლა სათუო გაიხადა ტურინის „იუვენტუსმა“, სამაგიეროდ, შარშანდელი მიღწევის გამეორების კარგი შანსი მიეცა ხავიერ ირურეტას გუნდს.

## ჩემპიონთა ლიგა. II ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### A ჯგუფი

მანჩესტერი-ნანტი 5:1

ბაიერნი-ბოავიშტა 1:0

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:3 | 8 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| ბოავიშტა | 4 | 1 | 1 | 2 | 1:4 | 4 |
| ნანტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |







### B ჯგუფი

რომა-ბარსელონა 3:0

გალათასარაი-ლივერპული 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 6 |
| ბარსელონა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| გალათასარაი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| ლივერპული | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |




### C ჯგუფი

პორტუ-რეალი 1:2

პანათინაიკოსი-სპარტა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| სპარტა | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| პორტუ | 4 | 0 | 1 | 3 | 1:3 | 1 |




### D ჯგუფი

დეპორტივო-იუვენტუსი 2:0

არსენალი-ლევერკუზენი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |

# კუპერი «კუპერს» გადაეყარა

უეფას თასის გათამაშების მერვედფინალური ეტაპის საპასუხო შეხვედრებში ისეთი ამბები დატრიალდა, ყველაზე რისკიანი პროგნოზისტიც რომ ვერ იწინასწარმეტყველებდა. აბა ვის მოუვიდოდა აზრად, რომ იტალიის „პარმა“, რომელიც ორიოდე წლის წინ მსოფლიოს საუკეთესო კლუბთა ათეულში შედიოდა, შინ ვერ მოუგებდა ისრაელის „ჰაპოელს“, უფრო მეტიც — დამარცხდებოდა და მეოთხედფინალის საგზურის გარეშეც დარჩებოდა. ჰოლანდიურ „როდასთან“ სტუმრად მოგების შემდეგ, კიდევ ერთი იტალიური გრანდი, „მილანი“, უკვე მეოთხედფინალისტად ჩათვალეს. კახი კალაძის გუნდი მომდევნო ეტაპზე კი გავიდა, ამას თუ გასვლა ჰქვია... „მილანმა“ იმდენი „მოახერხა“, რომ შინ წააგო ყველასათვის უცნობ ჰოლანდიურ კლუბთან და პენალტების სერიაში გაუმართლა. პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერი — „ლიდს იუნაიტედი“, სტუმრად ნათამაშები ფრეს შემდეგ, უდავო ფავორიტად ითვლებოდა „ეინდჰოვენთან“ საპასუხო მატჩის წინ, მაგრამ ისიც დამარცხდა. დიდი ამბიციების მქონე დორტმუნდის „ბორუსია“ კი სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გავიდა ფონს ფრანგულ „ლილთან“ ორმატჩიან დუელში. საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი „ლიონი“ ჩეხურ „ლიბერეცთან“ განადგურდა. ერთი სიტყვით, ფავორიტთაგან მხოლოდ მილანის „ინტერმა“ და „ვალენსიამ“ მოახერხეს მერვედფინალური ბარიერის უპრობლემოდ გადალახვა.

ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) 0:1 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) (0:0)
ლიბერეცი (ჩეხეთი) 4:1 ლიონი (საფრანგეთი) (1:1)
პარმა (იტალია) 1:2 ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) (0:0)
დორტმუნდი (გერმანია) 0:0 ლილი (საფრანგეთი) (1:1)
აეკ (საბერძნეთი) 2:2 ინტერი (იტალია) (1:3)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) 3:2 გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) (1:1)
მილანი (იტალია) 0:1 დ.დ. (პენ. 3:2, 0:1) როდა (ჰოლანდია) (1:0)
სერვეტი (შვეიცარია) 2:2 ვალენსია (ესპანეთი) (0:3)

## მეოთხედფინალური ეტაპის წილისყრა

| | |
|---|---|
| ჰაპოელი-მილანი | ინტერი-ვალენსია |
| პსვ ეინდჰოვენი-ფეიენოორდი | ლიბერეცი-დორტმუნდი |

***პირველი მატჩები 14 მარტს გაიმართება, საპასუხოები — 21 მარტს.***

ყველაზე საინტერესო უთუოდ „ინტერი“-„ვალენსიას“ წყვილია. ჰექტორ რაულ კუპერის ამჟამინდელ გუნდს მისივე ყოფილი კლუბი გადაეყარა. საინტერესოა ჰოლანდიური დუელიც. დანარჩენ ორ წყვილს „დორტმუნდისა“ და „მილანის“ სახით უდავო ფავორიტები ჰყავს, თუმცა ვინ იცის, იქნებ ებრაელებმა პარმელ „მერძევეებს“ „მილანიც“ ზედ მიაყოლონ...

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლh1-e4!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს **სამ** სვლაში.



# საქართველო-რუსეთი 12:12



ელემენტარული ჭეშმარიტებაა — სპორტში ყოველთვის ძლიერი ვერ იმარჯვებს, ასე რომ არ იყოს, ყოველგვარი თამაში და შეჯიბრი აზრს დაკარგავდა. ქართველმა მორაგბეებმა ზედიზედ სამჯერ სძლიეს რუსეთის ნაკრებს და მაშინ წაიბორძიკეს, როცა მათგან მთელი საქართველო მეოთხე გამარჯვებას მოელოდა. „ბორჯღალოსნებზე“ სასაყვედურო აბა ვის რა უნდა დასცდეს — მათი წყალობით ბოლო ორ წელიწადში რაგბიც ათმაგად პოპულარული გახდა და ქართველებმა გამარჯვების რწმენაც დავიბრუნეთ. კარგი იქნებოდა, რუსი „დათვები“ მეოთხედაც დამარცხებულნი გაგვებრუნებინა შინ, მაგრამ არა უშავს — ფრე ისეთ ნაკრებთან, როგორიც რუსეთია, ურიგო შედეგი არ არის. უბრალოდ, „ბორჯღალოსნებმა“ გაგვანებივრეს გამარჯვებებით. სპორტულ შედეგზე მეტად გულდასაწყვეტი ის არის, რომ ათიათასობით კაცი ეროვნულ სტადიონს საზეიმო განწყობით, გამარჯვების აღსანიშნავად ეწვია.

ერთი თამაში არაფერს წყვეტს, მთავარი შრომა და მონდომებაა, რასაც ზოგ-ზოგებისგან განსხვავებით, მორაგბეებს ვერ დაუკარგავ. შრომას და მონდომებას კი დიდი გამარჯვებებიც აუცილებლად მოჰყვება.

# „დინამოს“ ბრაზილიელს ცოლ-შვილი მოენატრა

თბილისის „დინამო“ ჯერ კიდევ საბჭოური პერიოდიდან მკაცრად ნაციონალურ გუნდად იყო მიჩნეული. თუკი მოსკოვის „სპარტაკი“, კიევის „დინამო“ და მრავალი სხვა კლუბი არასდროს თაკილობდა უცხოტომელთა დამატებას, თბილისური გუნდის მესვეურნი მხოლოდ ქართველთა ხარჯზე გადიოდნენ ფონს და წარმატებებსაც სხვებზე არანაკლებად აღწევდნენ. მიზეზი მარტივი და გასაგებია — საქართველოში ყოველთვის იზრდებოდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები, რომელთაც არც შრომა ეზარებოდათ პოტენციალის სრულად გამოსავლენად.

თუმცა, აირია დრო, საქართველოს მოსწყვიტეს აფხაზეთი, სამაჩაბლო და „საფეხბურთო მდინარეს“ ორი დიდი მასაზრდოებელი წყარო დააკლდა. თავი იჩინა ქვეყნის გაჭირვებამაც და ფინანსური პრობლემების გამო საფეხბურთო სკოლებიც ძველებურად ველარ ამარაგებენ კლუბებს. თუკი ამარაგებენ, გუნდების მწირი მატერიალური ბაზისა და მწვრთნელთა სუსტი კონტინგენტის გამო, ნიჭიერი ახალგაზრდები ვარსკვლავებად ვერ ყალიბდებიან.

უკვე სამი-ოთხი წელია, ქართულ კლუბებს უცხოელებიც შემოეჩვივნენ. თუმცა, მათი კლასი ყოველთვის ვერ აკმაყოფილებდა გუნდების მოთხოვნებს — თუნდაც საქართველოს დონისას.

თბილისის „დინამოს“ გაძლიერებაც წარმოუდგენელი იყო ძლიერი უცხოელი მოთამაშეების დამატების გარეშე. მანამდე გეტყვით, რომ გუნდის მეპატრონეებს ქართველი ლეგიონერების დამატება სურდათ, მაგრამ საქართველოში თამაში მათ აღარ სურთ.

თემურ ქეცბაიამ „დინამოდან“ ზარი ხუმრობად მიიჩნია და ითხოვა, ამ წინადადებით აღარ მიემართათ. საქმე ისაა, რომ „დანდის“ ქართველ ფორვარდს მეუღლე კვიპროსელი ჰყავს, ინგლისში კი ოთხი ბინა იყიდა, აქირავებს და მცირე ბიზნესი აქვს აწყობილი. კარიერის დამთავრების შემდეგაც უცხოეთში აპირებს დასახლებას და სულაც უშემოსავლოდ რომ დარჩეს, საქართველოში დაბრუნება და თუნდაც ყველაზე ამბიციურ ქართულ კლუბში თამაში არანაირად არ სურს.

გიორგი დემეტრაძე მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მშვენიერი პირობებითა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის პერსპექტივით გადაიბირა. მანაც მსოფლიოს საუკეთესო ლიგად მონათლული პრიმერა-დივიზიონის რუსულ პრემიერ-ლიგაზე გაცვლა ამჯობინა საქართველოში თამაშს.

ამჟამად თბილისური კლუბის შეფები, „ლიერსის“ მცველის, მამუკა წერეთლის, „ჩელსის“ ფორვარდის, რატი ალექსიძისა და „როსტსელმაშის“ მიერ დაწუნებული ოთარ ხიზანეიშვილის გადაბირებაზე ფიქრობენ. თუმცა, სამივე მათგანის დამატებას მინიმუმ მილიონი დოლარი მაინც დასჭირდება, ამიტომაც ვერ მოუფიქრებიათ, რა გზას დაადგნენ.

იტალიური შეკრების შემდეგ, დინამოელთა ხორვატმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა ორი ბრაზილიელი, ევანდრო და ვანდერლეი დაიწუნა, აი მესამე ბრაზილიელს კი — კარლოს ალბერტო დე როჩას, „დინამომ“ უკვე გაუფორმა კონტრაქტი და გუნდის მაისურიც საზეიმო ვითარებაში გადასცეს. იგი 28 წლისაა და სულ 6 კლუბში უთამაშია, მათ შორის მოსკოვის „ტორპედოსა“ და ტულის „არსენალში“. კარლოსი უცებ გაუშინაურდა დინამოელებს და მეტადაც მოსწონს ქართველები. თუმცა, მოდით თავად მას მოვუსმინოთ:

**— კარლოს, დინამოელები გაოცებულნი არიან — მეუღლის ერთგული ბრაზილიელი კაცი იშვიათად გვინახავსო.**

— მე ვარ მორწმუნე კათოლიკე და სხვანაირად როგორ უნდა მოვიქცე? მეუღლისა და პატარა შვილის ღალატი ჩემი ოჯახის სირცხვილი იქნება.

**— ბრაზილიელებზე ოდნავ განსხვავებული წარმოდგენა გვქონდა...**

— მესმის, მაგრამ ყველა ერთნაირი ვერ ვიქნებით.

**— როდის აპირებ ოჯახის ჩამოყვანას?**

— სანამ ჩამოვიყვან, მანამდე ხომ უნდა ვიცოდე, სად ვაცხოვრო? მე კი დღემდე თბილისს ნორმალურად არც გავცნობივარ.

**— რატომ? თანაგუნდელებს ხომ ხშირად დაჰყავხარ აქეთ-იქით?**

— დიახ ასეა... ბურდული, სვანაძე, დარასელია ძალიან თბილად მექცევიან და შეძლებისდაგვარად ქალაქს მათვალიერებინებენ, თუმცა ვარჯიშებით ვარ დაკავებული, ფორმის აღდგენა მსურს და ამის გამო, ძირითადად სულ ბაზაზე ვიმყოფები. ჯერჯერობით აქ ვცხოვრობ და ამიტომაც გარეთ იშვიათად გავდივარ.

**— საერთოდ, აპირებ ოჯახის ჩამოყვანას?**

— რა თქმა უნდა, ეს აუცილებელიც არის, რომ მეუღლემ და შვილმა არ მოიწყინონ. ჩვენ ერთმანეთი ძალიან გვენატრება. ჩემი ბიჭი, პატარა კარლოს ჟუნიორი ორწელიწად-ნახევრის არის. ორი თვის შემდეგ ჩამოვიყვან.

**— ქართულ სამზარეულოს თუ შეეჩვიე?**

— როგორ არა! აქ ძალიან გემრიელი საჭმელებია, ბრაზილიურზე გემრიელიც კი. ხაჭაპური მომეწონა განსაკუთრებით, ხინკალი, მწვადი, მოკლედ, გემრიელია ყველაფერი, რაც აქ გავსინჯე.

**— შენ მრავალ კლუბში გითამაშია. მათ შორის ტურნირი რომ ჩატარდეს, „დინამო“ რომელ ადგილს დაიკავებდა?**



— მოსკოვის „ტორპედოსთან“ და „პორტუ ალეგრესთან“ ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ უკეთესად რომ შევთამაშდეთ, საკმაოდ ძლიერი გუნდი გვეყოლება. მჯერა, რომ ძალიან ბევრ ცნობილ გუნდს გავამწარებთ. საერთოდ, ვერც წარმომედგინა, საქართველოში ამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი თუ თამაშობდა. მართალია, რუსები ხშირად ამბობდნენ, რომ ბრაზილიელებივით ტექნიკურები და ნიჭიერები არიანო, მაგრამ აქ რაც ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

**— რუსეთში რატომ ვერ გაჩერდით?**

— ამინდიც ცივია და ხალხიც, რაც ბრაზილიელისთვის აუტანელ გარემოს ქმნის. მე უფრო მეგობრულ ატმოსფეროს ვარ მიჩვეული და ძალიან მიხარია, „დინამოში“ ბრაზილიური სული რომ დამხვდა. კვიპროსზე შეკრებაზე ორი დღე დავყავი და ყველა უპრობლემოდ გავიცანი.

სხვათა შორის, მოსკოვის „ტორპედოს“ ამის გამო ვერ შევეწყვე, გუნდის წევრთა ცივმა დამოკიდებულებამ ძლიერ დამთრგუნა. იმედია, საქართველოში ყველაზე უკეთ წარმოვაჩენ საკუთარ შესაძლებლობებს.

***ლაშა დუმბაძე***

## ვინი-პუჰს ბულიმია ჭირდა(!)

კანადელი მედიკოსები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ალან მილნის სახელგანთქმული საბავშვო წიგნის „ვინი-პუჰის“ ყველა პერსონაჟი ფსიქიკურად დაავადებული ყოფილა(!).



ესკულაპების გუნდმა დოქტორი სარა შის მეთაურობით ბავშვების საყვარელი გმირების „ავადმყოფობის ისტორია“ შეადგინა.

მაგალითად, ვინი-პუჰის ცნობილი რეპლიკა „...ხომ არ წაგვეხემსა?“ მედიკოსებს აფიქრებინებს, რომ მას ბულიმია სჭირდა (შიმშილის გაძლიერებული შეგრძნება). გარდა ამისა, დათვის ბელს აკვიატებული იდეები და არასრულფასოვნების კომპლექსიც ტანჯავს.

მისი განუყრელი მეგობარი — გოჭი პანიკიორია და ნამდვილად საჭიროებს დამამშვიდებელ პრეპარატებს. ვირს — ია-იას ქრონიკული დეპრესია აქვს; კურდღელი, რომელსაც დიდი ორგანიზატორული ნიჭი აქვს, განდიდების მანიის მსუბუქი ფორმითაა დაავადებული, ნარცისიზმიც შეჰპარვია.

ბრძენი ბუ ნამდვილად დისლექსიკია, ანუ კითხვა უჭირს. ნამცეცა რუს, რომელიც თავისი მეგობრის ვეფხვის, მავნე გავლენის ქვეშაა, საფრთხე ემუქრება მუდამ. მედიკოსების აზრით, თუ ადრე თუ გვიან, გალოთდება და ნარკოტიკებსაც შეეჩვევა.

„იქნებ „ვინი-პუჰის“ გმირები არც ისე ნორმალურები არიან, მაგრამ ჩვენ ისინი მაინც გვიყვარს“, — დაასკვნის დოქტორი ში.

გვიყვარს კი იმიტომ, რომ ძალიან გვგვანან ჩვენ!

***ორაკული №2***

## ბოშა ქალი და რა ქალი



ბოშათა შორის ყველაზე ლამაზ ქალად აღიარეს 20 წლის ბუდაპეშტელი ექთანი ბერნადეტ ბელოვიცი.

უნგრეთში ჩატარებული კონკურსის — „ყველაზე მომხიბლავი ბოშა ქალი“ მონაწილე ლამაზმანებს უნდა ემღერათ ძველი ბოშური სიმღერა, სცენაზე სალამოს კაბებით გამოგოგმანებულიყვნენ და უნგრელი ბოშების მდიდარი ტრადიციების ცოდნითაც უნდა მოეწონებინათ თავი.

ბერნადეტს მიაჩნია, რომ მისი ბედი კონკურსის უკანასკნელ ტურში ცეცხლოვანი „ჩარდაშის“ ცეკვამ გადაწყვიტა. „ჩარდაში“ მან ფეხის ადგმისთანავე ისწავლა.

კონკურსში გამარჯვებული ბოშა ქალი რამდენიმე საცეკვაო კოლექტივმა მიიწვია, მაგრამ ბერნადეტ ბელოვიცი უარზეა — მინდა იურისპრუდენცია შევისწავლო და ბოშათა ოჯახებს დავეხმაროო.

***ვოკრუგ სვეტა №8***

## უნიტაზით — ნიუ-იორკში

სკანდინავიური ავიაკომპანიის ავიალაინერი „ბოინგი 767“, ოსლოდან ნიუ-იორკში მიფრინავდა. მისი ერთ-ერთი მგზავრი, მწორედ მაშინ, როცა „ბოინგი“ ატლანტიკის თავზე მოექცა, ტუალეტში შებრძანდა. საწყალი, რას წარმოიდგენდა, რომ უკან ვეღარ გამოვიდოდა.

„ბოინგის“ ტუალეტის მოხმარებისას გარკვეული უსაფრთხოების წესების დაცვაა საჭირო — უნიტაზის ჩამრეცხი ვაკუუმური სისტემა ისე არ ამუშავდება, თუ მომხმარებელი არ ადგება უნიტაზიდან, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ჩამრეცხის კნოპზე ხელის დაჭერა. ქალბატონმა ყოველივე ამის გაკეთება მჯდომარემ გადაწყვიტა და, რომ იტყვიან, სამკვდრო-სასიცოცხლოდ მიეკრა უნიტაზს — სანამ „ბოინგი“ საფრენ ბილიკზე არ დაჯდა ნიუ-იორკში, ქალი ვერაფრით ააგლიჯეს იქაურობას.

ტუალეტის ტყვეობიდან ქალი აეროპორტის ტექნიკოსებმა იხსნეს. ფინეთის ავიაკომპანიამ თავი ვალდებულად ცნო, რომ დაზარალებულისთვის სოლიდური კომპენსაცია გადაეხადა.

***თაიმსი №7***

## სიყვარული და სინჯარა



ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში პოლიციამ დამნაშავეთა ბანდა აღმოაჩინა, რომელიც უჩვეულო საქმეს სჩადიოდა. დამნაშავეებმა გახსნეს ფეშენებელური საროსკიპო, სადაც მხოლოდ რჩეული საზოგადოება იყრიდა თავს — ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მსახიობები, ბიზნესმენები... წინასწარ შერჩეულ მდიდარ კლიენტებს ულამაზესი მეძავები ემსახურებოდნენ, რომლებიც სქესობრივი აქტის დროს ახერხებდნენ პატარა სინჯარაში მამაკაცის სპერმის ნაწილის მოთავსებას, რომელსაც შემდეგ საროსკიპოს მესაკუთრეებს გადასცემდნენ.

ამ დანაშაულებრივი „ფირმის“ აგენტები მიყრუებულ სოფლებში პოულობდნენ ლამაზ ყმაწვილ ქალებს, რომლებიც თანხმდებოდნენ (რა თქმა უნდა, სათანადო თანხის გადახდის შემდეგ) გამხდარიყვნენ სუროგატული დედები. ხელოვნური განაყოფიერებით ბავშვის გაჩენის შემდეგ ასეთ დედას მიუგზავნიდნენ სპერმის უნებლიეთ გამცემ მამაკაცს.

ახალგაზრდა დედა აცხადებდა, რომ მამაკაცმა მასზე იძალადა და მოითხოვდა „მამისგან“ ბავშვის სარჩენად და აღსაზრდელად საკმაოდ დიდ თანხას. როცა შანტაჟის მსხვერპლი აცხადებდა, რომ ამ ქალს საერთოდ არ ვიცნობო, მაშინ ქალს სასამართლოში სარჩელი შეჰქონდა. თავის უდანაშაულობაში დარწმუნებული „მამა“ თანხმდებოდა გენეტიკურ ექსპერტიზაზე და... მარცხდებოდა — ანალიზი ნათლად ამტკიცებდა მის მამობას, დავას აზრი აღარ ჰქონდა და ამ ბრწყინვალე აფერის მსხვერპლი მისგან „გაუბედურებულ ქალს“ დიდ ფულს უხდიდა.

შესანიშნავად აწყობილი საქმე მოულოდნელად გახმაურდა: ერთმა ახალგაზრდა ქალმა როცა სასამართლოში იჩივლა და მის „კლიენტს“ ანალიზი ჩაუტარეს, მამა სულ სხვა მამაკაცი აღმოჩნდა. გაირკვა, რომ ქალმა პირობა დაარღვია — ხელოვნური განაყოფიერების წინა დღე საყვარელთან გაატარა და მისგან დაორსულდა.

გამწარებული ბანდიტები ქალს დაემუქრნენ, მან კი პოლიციას მიმართა და ყველაფერი ჩამოარაკრაკა.

პოლიციამ ამ უნიკალური ბიზნესის ორგანიზატორები დააკავა.

***ინტერპოლ-ექსპრესი №6***

## ლეოს თავში ბრილიანტი მოხვდა

ქერათმიანმა და სახელგანთქმულმა ლეონარდო დი კაპრიომ თავისი ვარსკვლავური სტატუსის შესაფერისი მეგობარი ქალი შეარჩია — გრძელფეხება სუპერმოდელი ჟიზელ ბუნდჰენი. შეყვარებულები განუყრელად ერთად არიან და თავს ბედნიერად გრძნობენ. ლეომ გულის რჩეულს ბრილიანტისთვლიანი საქორწინო ბეჭედი მიართვა, ბომონდი კი მათ მომავალ ქორწინებაზე ალაპარაკდა.



როგორც კი ეს ხმა დაირხა, ლეო საგრძნობლად შეიცვალა. ხან ფეხმსუბუქი ქალების კომპანიაში ნახეს, ხან პრანჭია ათლეტთან. ლეოს საქციელმა ჟიზელი აღაშფოთა. დიდხანს ითმინა, თითქმის ერთი წელი და...

ლეოსთან ლოს-ანჯელესში რომანტიკული უიქენდის გასატარებლად ჟიზელმა პრესტიჟული ფოტოგადაღებები მიატოვა და შეყვარებულთან ჩაფრინდა. სწორედ იმ დროს ლას-ვეგასში ტარდებოდა მატჩი ლეგენდარული მოკრივის ლენოქს ლუისის მონაწილეობით. ასეთი მოვლენის გამოტოვება ეგოისტ ლეოს არ შეეძლო, ამიტომ ჟიზელი არც გახსენებია, ისე ჩახტა თვითმფრინავში და ლას-ვეგასისაკენ გაფრინდა.

დაბრუნებულმა ლეომ გაცეცხლებული ჟიზელისგან საკუთარ თავზე ბევრი რამ გაიგო და თავისი ლექსიკონიც შეავსო. მათი სასიყვარულო გარჩევის კულმინაციად იქცა მომენტი, როცა ჟიზელმა ბრილიანტის ბეჭედი ოსტატურად მოისროლა, ლეოს შიგ შუბლში მოარტყა, შემდეგ კარი გაიჯახუნა და წავიდა.

ახია ლეოზე, მაგრამ სამწუხაროა, ყველაფერი ხომ ისე ლამაზად დაიწყო...

***კალეიდოსკოპი №6***

## მკვლელი — მთავარ როლში



ირანელი კინორეჟისორის მოჰსენ მაჰმალბაფის ფილმმა „ყანდაარმა“ კანის ფესტივალის პრიზი დაიმსახურა და ამჟამად „ოსკარზეა“ წარდგენილი, როგორც „საზღვარგარეთული საუკეთესო ფილმი“.

ფილმი მაყურებელს მოუთხრობს ავღანეთში თალიბთა ბატონობის უმძიმეს პერიოდზე. მაგრამ მოწმენილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული ცნობა, რომ მთავარი როლის, თაბიბა საიდის შემსრულებელს, ჰასან თანთაის თურმე ბრალად მკვლელობა ედება, რომ იგი სულაც არ არის ჰასან თანთაი და მისი ნამდვილი გვარი და სახელია დევიდ ბელფილდი. მან 1980 წლის 22 ივლისს ვაშინგტონის ახლოს ქ. ბეტესტში მოკლა ირანელი დიპლომატი, ირანის საელჩოს პრესმდივანი ალი აქბარ თაბათაი (ირანში ჰომეინის ისლამისტური რეჟიმის დაუცხრომელი კრიტიკოსი). ბელფილდი ფოსტალიონივით მივიდა ელჩთან — ვითომც დაზღვეული წერილი ჰქონდა გადასაცემი, კარის გაღებისთანავე სამი ტყვია დაახალა ალი აქბარს, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა.

მკვლელობის შემდეგ ბელფილდი გაიქცა ჯერ კანადაში, მერე შვეიცარიაში. ბოლოს ირანში ჩავიდა. ფილმის რეჟისორმა მოჰსენ მაჰმალბაფმა განაცხადა, რომ არაფერი იცოდა დევიდ ბელფილდის წარსულზე. ირანელი რეჟისორი ცნობილია იმით, რომ როლზე ხშირად არაპროფესიონალ შემსრულებელს იწვევს. მუშაობის დამთავრების შემდეგ კი აღარ აინტერესებს მათი მომავალი. ეს ყველაფერი ცნობილი გახდა მოკლულის ტყუპისცალი ძმისაგან, რომელიც 71 წლისაა. უკვე მრავალი წელია ამერიკის ხელისუფალთაგან ითხოვს მოძებნონ ბელფილდი. ახლა კი მან მოითხოვა კინოფილმ „ყანდაარის“ ჩვენების აკრძალვა შტატებსა და ირანში და ირანისაგან ვაშინგტონისათვის ბელფილდის გადაცემა.

***შტერნი***

## თახვის კუდი — თავადური დელიკატესი



ქალაქ შეცინში XVIII-XX საუკუნეების პოლონური სამზარეულოსადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო. აქ გამოფენილ ექსპონატთაგან ყველაზე ძველი 1571 წელს კრაკოვში დაბეჭდილი წიგნია. დამთვალიერებელთა ინტერესს იწვევს თავად ლიუბომირსკების მზარეულის 1754 წელს დაწერილი რეცეპტები — თანაც მეტად ეგზოტიკურები. მაგალითად, დათვის თათი, შემწვარი თახვის ხორცი... როგორც მზარეული ირწმუნება, შესაწვავად მხოლოდ თახვის კუდი გამოდგება. სწორედ მასშია ყველაზე მეტი ცხიმი. „გაწმინდე კუდი ტყავისგან, დაჭერი ნაწილებად, მოხარშე მარილწყალში, დაამატე ნიორი, ღვინის ძმარი, შეაზავე ზეითუნის ზეთით და სუფრაზე მიიტანე“, — გვირჩევს მზარეული.

გამოფენაზე წარმოდგენილ ჭურჭლეულს შორის ყველაზე საინტერესოა მეტალის ფორმა კურდღლის პაშტეტისათვის და ფაიანსის ქვაბი სარდელებისათვის, ასევე ორმაგძირიანი სუპის თეფში, რომლის ერთ-ერთ ძირზე ცხელ წყალს ასხამდნენ, რათა სუპი არ გაცივებულიყო.

***კობეტა ი ჟიცე №7***

## ჩემი ძვენ ეითზაიოო...

საბერძნეთის უკანონო აზარტული თამაშების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ალეკოს ხრისანკოპულოსი სწორედ თამაშის სიყვარულმა დაღუპა. თურმე დეპუტატი თვითონ დიდი ხალისით ეტანებოდა იმ აზარტულ თამაშებს, რომლებსაც თავგამოდებით უკრძალავდა სხვებს. ერთმა ტელეჟურნალისტმა სწორედ მაშინ წაიჭირა, როცა თვალებდაჭყეტილი დასცქეროდა მწვანე მაუდგადაკრულ სათამაშო მაგიდას. დეპუტატი ჟურნალისტთან „მორიგებას“ შეეცადა, მაგრამ არაფერი გაუვიდა.

მეორე დღეს მთელმა საბერძნეთმა იხილა კომიტეტის თავმჯდომარე როგორ ატარებს თავისუფალ დროს. სოციალისტური პარტიის ამხანაგებმა აზარტული თანაპარტიელი კინწისკვრით გააგდეს საპარლამენტო ფრაქციიდან.

***ეხო პლანეტი №7***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ჟან ჟაკ რუსოს საფლავის ეპიტაფიას ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ი | კ | ი | თ | ხ | ე | თ | მ | ხ | ო | ლ | ო | დ | კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ლ | ა | ა | ა | კ | ი | ა | ი | უ | დ | ი | მ | ტ | ე | ნ | ნ | შ | ი | ლ | ი | ო | ნ | ი | ა | ი | ნ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**ი.** ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლისთავი, რომელსაც საზეიმოდ აღნიშნავდნენ; **კ.** ქალაქი ლიტვაში; **ი.** უმცროსი მატროსი; **თ.** დინების უნარის მქონე; **ხ.** ბარგი; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **თ.** წვრილი ღვედი; **მ.** ესპანეთის დედაქალაქი; **ხ.** თევზის ჯიში; **ო.** შეჯიბრება სპორტის ორ სახეობაში; **ლ.** ქალაქი ბელგიაში; **ო.** ქვევრიდან ღვინის ამოსაღები გრძელტარიანი ჭურჭელი; **დ.** რა ერქვა გიორგი ბრწყინვალეს მამას; **კ.** ვულკანის ამოღრმავებული ადგილი, საიდანაც ლავა იფრქვევა; **ვ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას“ მოქმედება; **ი.** ტროას მეორენაირი სახელწოდება; **რ.** ქალაქის თვითმმართველობის შენობა; **ი.** თბილისის ერთ-ერთი სასტუმრო; **ს.** წინასწარმეტყველი ქალი ძველ საბერძნეთსა და რომში; **პ.** ჭადრაკის ფიგურა; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ლ.** ციტრუსი; **ი.** ფაშიზმის სამშობლო; **ტ.** მდინარე ლონდონში; **რ.** ქალაქ მადრიდის საფეხბურთო კლუბი; **ა.** სახელგანთქმული ქართველი ყაჩაღი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დახაუ; **ა.** არენდა; **ი.** იალაღი; **ს.** სკოტი; **ვ.** ვივალდი; **ე.** ელადა; **ნ.** ნინუა; **ე.** ეკიპაჟი; **კ.** კოცონი; **ვ.** ვახტი; **ი.** იაშინი; **რ.** რეისი; **ი.** იურმალა; **ს.** სვანეთი; **პ.** პუდელი; **ა.** ატლანტა; **ლ.** ლიუბეკი; **ი.** ისკრა; **ტ.** ტემზა; **რ.** რეალი; **ა.** ასპიტი; **ს.** სკუნსი; **თ.** თერგი; **ა.** აპისი; **ნ.** ნესკაფე; **ე.** ერმაკი; **რ.** რიონი; **თ.** თუნგი; **ა.** ავანსი; **დ.** დრაკონი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ხელოვანიც ხშირად ლუკმაპურის მონაა.**

CMYK

## №8 (282) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 730 მკითხველი გამოეხმაურა. მხოლოდ 2 ბარათი იყო არასწორად შევსებული. 260-მა ქალმა და 468 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვინ არის ყველაზე ინტელექტუალური პოლიტიკოსი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, ყველაზე ინტელექტუალური პოლიტიკოსი ზურაბ ჟვანიაა. რესპონდენტთა 22-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა, მინიმალური ქულით კი 3-მა შეაფასა. უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ყველაზე ცოტა მინიმალური ქულით შეფასდა. **5,73** საშუალო ქულით ჟვანია პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზე პარლამენტის თავმჯდომარეა, ნინო ბურჯანაძეს მაქსიმალური ქულა მკითხველთა 20-მა მიაკუთვნა.

„რეფორმების მამა“ — მიხეილ სააკაშვილი მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,14. მაქსიმალური — 8 ქულით იგი რესპონდენტთა 19-მა შეაფასა.

როგორც ვხედავთ, საპრიზო ადგილები ერთი გუნდის წევრებმა გაიყვეს, პირველი-მეორე ადგილები კი — პარლამენტის ყოფილმა და მოქმედმა თავმჯდომარეებმა.

ასლან აბაშიძემ, აკაკი ასათიანმა და ირაკლი მენაღარიშვილმა შედარებით დაბალი შეფასებები მიიღეს. №1-მა ტრადიციონალისტმა სულ უმნიშვნელო სხვაობით ჩამოიტოვა უკან საგარეო საქმეთა მინისტრი, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ადგილზე გასული ირაკლი მენაღარიშვილი მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით (5) წინ უსწრებს ასათიანსაც (3) და ასლან აბაშიძესაც (4).

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა აბაშიძეს ხვდა წილად (23).

აღსანიშნავია, რომ მინიმალური ქულების სიმცირით მაინცდამაინც არც ერთი პოლიტიკოსი არ გამოირჩევა.

ქალი რესპონდენტები თვლიან, რომ ინტელექტუალი პოლიტიკოსის ტიტულს ყველაზე მეტად ნინო ბურჯანაძე იმსახურებს. მათთან, ასევე მენაღარიშვილი უსწრებს კაკო ასათიანს.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი თბილისელი, 44 წლის **ჯემალ ადეიშვილია.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, ასლან აბაშიძეს სამის ნაცვლად ოთხი ქულა (მეხუთე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო გიორგი თარგამაძეს — ოთხის ნაცვლად — სამი (მეექვსე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 6 მარტს, 17 საათზე.

## №9 (283) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№9 (283) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 6 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 7 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №9 (283) — გამართლებული არსებობა**

**თქვენი აზრით, რომელი უწყება (ორგანიზაცია) ამართლებს თავის არსებობას საქართველოში ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№9(283) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ორგანიზაცია | ქულა |
|---|---|---|
| 1 | საკრებულო | |
| 2 | პარლამენტი | |
| 3 | მერია | |
| 4 | პოლიცია | |
| 5 | არასამთავრობო ორგანიზაციები | |
| 6 | ომბუდსმენის აპარატი | |
| 7 | სასამართლო | |
| 8 | კონტროლის პალატა | |
| 9 | შემოსავლების სამინისტრო | |

*მკითხველის რეიტინგი*

**თქვენი აზრით, პირველ რიგში რომელი ქვეყანა უნდა აირჩიოს საქართველომ სტრატეგიულ პარტნიორად?**

✓ ______

თქვენი სახელი, გვარი ______

ქალაქი (რაიონი) ______

ასაკი ______ ტელეფონი ______

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

*მკითხველის რეიტინგის შედეგები*

**კითხვა: რომელი მოვლენა მიგაჩნიათ ყველაზე სკანდალურად თებერვლის თვეში?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნუგზარ საჯაიას თვითმკვლელობა | 70,5% |
| 2. | მოსალოდნელი მიწისძვრა | 7,9% |
| 3. | პანკისის მოვლენები | 7,2% |
| 4. | დეპუტატთა ჩხუბი | 3,7% |
| 5. | კაკუბავას ბრალდებები | 2,7% |
| 6. | ბინ ლადენი პანკისში | 2,1% |
| 7. | მასწავლებელთა ორი ჩხუბი | 1,0% |
| 8-10. | განხეთქილება ედპ-ში | 0,5% |
| 8-10. | ზამთრის ოლიმპიადა | 0,5% |
| 8-10. | გრიგალი | 0,5% |

**სკანდალური მოვლენის დასახელება მკითხველთა 1,9%-ს გაუჭირდა; 0,6% კი თვლის, რომ თებერვალში სკანდალები არ ყოფილა.**

***მკითხველის რეიტინგში 624 რესპონდენტი მონაწილეობდა.***

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

______

______

______

______

______

______

თქვენი სახელი, გვარი ______

ქალაქი (რაიონი) ______



**ვლადიმირ პუტინი, ჯორჯ ბუში**

არიან რკინის მკვნეტავნი,
იციან საქმის გარჩევა,
დიდხანს გაძლებენ ნეტავი,
ხაბურ, ძნელა და ნარჩემა?
ჩვენი სამშობლო ბეჩავი,
მათ ხელში თუ გადარჩება?

***სანდრო, თბილისი***

**ლ.ძ.** — ჩავეწეროთ, ბიჭებო, მოხალისეებად ამერიკის არმიაში და შევალთ პანკისის ხეობაში კაცურად.

***დ.რ., თბილისი***

**კ.ნ.** — ლევან! გაიგე, კაკუბავა გაუტაცნიათ პანკისელებს.
**ლ.ძ.** — მართლა, კაცო?!
**ვ.ხ.** — 1 მილიონს ითხოვენ, თორემ გამოუშვებენ.
**ლ.ძ.** — ვაი, ჩვენს ბიუჯეტს!

***რ. ნაფეტვარიძე, ვანი***

სიმართლისათვის იბრძოლეთ
ვალერი, ლევან, კობა,
ქართველი ხალხი, ბიჭებო,
არ მიატოვოთ ობლად.

***ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

**ლ.ძ.** — გაიგეთ, ამერიკა ნადირობს მაღალ, წვერებიან ბინ ლადენზე, ჩვენ არ დავეხმაროთ?!
**კ.ნ.** — ვუთხარით, პაწა დაგეხმარებით-თქვა. მარა, ასე თქვეს: მანდ რომ დაბალი, წვერებიანი გყავთ, ჯერ იმას მოუარეთო.

***მეღორე, ფშაფი***



**ვალერი ხაბურძანია, ლევან ძნელაძე, კობა ნარჩემაშვილი**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 146 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ლ.ძ.** — ბიჭებო, იცით, ივანოვმა თქვა, ბინ ლადენი პანკისში იმალებაო, მართალია?
**ვ.ხ.** — სამწუხაროდ, არა, ახლა მოვდივართ პანკისიდან.
**ლ.ძ.** — რატომ სამწუხაროდ?
**კ.ნ.** — მილიონების პატრონია, თან მგონი კაიფობს, დავიჭერდით, „მაყუთს ავახევდით“ და გავიყოფდით.

***გოჩა ლიპარტელიანი, წყალტუბო***

**კ.ნ.** — არ გაგივა, ლევანიკო, ჩვენთან ეშმაკობა!
როდის უნდა აქეიფო
ვალერი და კობა?!
დიდ სუფრაზე დამანახე
შენი ვაჟკაცობა!!!

***მიშიკო კვანტალიანი, თბილისი***

**ლ.ძ.** — ბიჭებო, მომილოცეთ, ბავშვი შემეძინა.
**ვ.ხ.** — ბიჭი?
**ლ.ძ.** — არა.
**კ.ნ.** — აბა, გოგო?
**ლ.ძ.** — ვა, როგორ მიხვდი?

***ზაზა გობეჯიშვილი, სოხუმი (თბილისი)***

**ვ.ხ.** — კობა, რა ჰქენით პანკისში?
**კ.ნ.** — ბედი არ გინდა, ორჯერ დავჭერით, მაგრამ მაინც გაგვექცა!
**ვ.ხ.** — ეჰ, რა გაუძლებს ახლა რუსების საყვედურებს.
**კ.ნ.** — კაცო, ვისი რა საქმეა, როგორ ვინადირებ დათვზე?!

***სვანი, თბილისი***

**კ.ნ.** — გამოძიება დასრულდა: სუყველას ქონება სიდედრ-სიმამრმა ან ბებია-ბაბუამ დაუტოვა.
**ვ.ხ.** — ჩემი მონაცემებით სსრკ-ის ბიუჯეტი ქართველ ბებია-ბაბუებს შეუჭამიათ.
**ლ.ძ.** — არ მიკვირდა, კაცო, რატომ დაინგრა ამოდენა კავშირი-მეთქი?!

***ედიკა გელაშვილი, სურამი***







წინა სკანვორდის პასუხები







## ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია). „კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; ლილოს ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ცირკთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ითანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ში, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; ლავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ. გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კი „საქართველოსთან“; წერეთლის გამზ. გამიფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმის“ გაჩერებასთან; დიღომში - მევლბრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაჟაშველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მ/რ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე - არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ბოლნისში თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. ჟინვალსა და დუშეთში — თვის III კვირის ოთშაბათს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (9) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№9 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 7 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

* * *

სვანი ეუბნება შვილს:

— წადი მაღაზიაში და მოიტანე ორი რამე — ძეხვი და პური.

გესმის, ორი: ძეხვი და პური.

შვილი შინ ბრუნდება და მოაქვს კბილის პასტა.

მამა ეჩხუბება:

— იდიოტო, ხომ გითხარი, ორი რამე-მეთქი!!! სადაა ჯაგრისი?!



* * *



ფეხბურთის სტადიონზე...

— ბიჭიკო, საიდან მოხვედი ამ ადგილზე, აქ ხომ ასდოლარიანი ბილეთებია ყველა?

— მამაჩემმა იყიდა?

— თვითონ სად არის?

— შინ... ბილეთს ეძებს...

* * *

ორნი თამაშობენ ჭადრაკს...

— სად დგამ მაგ მეფეს, ხომ გადავყლაპავ...

— გადაყლაპე რა... გამოვაცხადებ რესპუბლიკას და ისე ვითამაშებ...




ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, სარდაფების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა“©

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.